VOYAGER

BY SOLO

ისრაელი

გაზეთი 6/2017

მოგზაურობა • ცხოვრების სტილი • გასტრონომია • არქიტექტურა • დიზაინი • სპორტი

EY
Building a better working world

What legacy will you create?

Asking better questions leads to better answers, which create lasting legacies for the working world.
ey.com/betterworkingworld #BetterQuestions

The better the question. The better the answer. The better the world works.

© 2017 EYGeorgia LLC. All Rights Reserved.

ისრაელი უნიკალური ქვეყანაა, ერთდროულად ძველიც და ახალგაზრდაც – 1948 წლამდე მხოლოდ ძველი სამყაროს რუკებზე დატანილი, წარმოუდგენლად მიმზიდველი, საინტერესო და მრავალსახოვანი.

ჟურნალის ამ ნომერში ისრაელში სამოგზაუროდ გეპატიჟებით, თითქოს ნაცნობ, მაგრამ მაინც უცნობ ქვეყანაში. გიამბობთ, როგორ იქმნებოდა ისრაელის სახელმწიფო; როგორ შეძლო ამ ქვეყანამ თვითმფრინავების წარმოება მაშინ დაეწყო, როცა სურსათს ჯერ კიდევ ბარათებით ანაწილებდნენ; როგორია უძველესი იუდეური ტრადიციები; რატომ უწოდებენ თელ-ავივს გამოგონილ, წიგნებიდან გადმოსულ ქალაქს; როგორ გახდა ტექნოლოგიური ლიდერი; როგორ მორწყა უდაბნო, გააშენა იქ თევზსარეწები და უწყლო და უმიწო ქვეყანაში შექმნა მსოფლიოში ყველაზე ეფექტიანი სოფლის მეურნეობა, როგორ „მიაგნეს“ ხილსა და ბოსტნეულს, რომელსაც ბევრი წყალი არ სჭირდება, გამოიყვანეს ახალი ჯიშები, რომლებიც უდაბნოს შეაგუეს და, საერთოდ, როგორ მოახდინეს ცნობილი „ისრაელური სასწაული“. ისრაელში მოგზაურობისას გიჯირს დაჯერება, რომ ეს 8-მილიონიანი ქვეყანა 69 წლის წინ, როდესაც სახელმწიფო შეიქმნა, პატარა მიწა იყო – აღმოსავლეთში კოღოებით სავსე ჭაობებით, სამხრეთში უდაბნოთი და ქვა-ღორღით, ორი მკვდარი ტბითა და მომაკვდავი, დამშრალი მდინარე იორდანეთი, ბუნებრივი რესურსების, ოქროს და ნავთობის გარეშე.

ეს მათთვის „ჩვეულებრივი“ სასწაული სამ ვეშაპზე დგას – მაღალტექნოლოგიურად მოაზროვნე ადამიანთა არმიაზე, რომელიც ყველა ბიზნეს იდეის „ინკუბატორია“; საიმიგრაციო პოლიტიკაზე, რომლის მთავარი პრინციპია: „ჯობს ბევრი და საუკეთესო“; მეცნიერებასა და ინოვაციებში დაბანდებულ უზარმაზარ თანხებზე. ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის გამოწვევაა, რომ ის „იდეების ფაბრიკად“ იქცეს, რაც ამ იდეების საკუთარ სახელმწიფოში შექმნასაც გულისხმობს და სხვა ქვეყნებში მოფიქრებულის გამოყენებასაც.

ისრაელი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი „იდეების ფაბრიკაა“. 270-ზე მეტმა მულტინაციონალურმა კომპანიამ მოღვაწეობის ადგილად სწორედ ის აირჩია: Facebook-ის სიდიდით მეორე კვლევისა და განვითარების ცენტრი ამ ქვეყანაში მდებარეობს, ისრაელში მუშაობს Microsoft, Google, Apple, Intel, Samsung, HP, Siemens, GE, Philips, Alcatel-Lucent, Cisco, Toshiba, Barclays, Hutchison და LG spark, რომლებიც მსოფლიოს ლიდერი კომპანიების გრძელი სიის სათავეში დგანან და აცნობიერებენ, რომ ინვესტიციებისთვის ისრაელი იდეალური ადგილია. ისრაელი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური High-Tech ეკოსისტემაა 9-მილიარდიანი კაპიტალით.

ამ ქვეყანას შეუძლია იტრაბახოს, როგორც ერთ-ერთმა ყველაზე განათლებულმა სამეწარმეო და მულტიკულტურულმა სამუშაო სივრცემ მთელ მსოფლიოში. სწორედ ეს მულტიკულტურული პალიტრა ქმნის მოქნილ ბიზნეს კავშირებს სხვადასხვა სექტორებსა და გეოგრაფიულ ადგილებს შორის და, კვლევისა და განვითარების მხრივ, ინოვაციებისა და რევოლუციური აღმოჩენების ცენტრად აქცევს.

ამავდროულად, ისრაელი არა მხოლოდ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სამოგზაურო მარშრუტია სხვადასხვა რელიგიის მომლოცველთათვის, არამედ საუკეთესო დასასვენებელი ადგილიც – ხმელთაშუა და წითელი ზღვების კომფორტული კურორტებით კეისარიასა და ეილატში, ქვიშის მრავალკილომეტრიანი სანაპიროებით, წითელი უდაბნოებით, გალილეის ნაკრძალებით,

განუმეორებელი გასტრონომიული გამოცდილებით, რომელსაც დღეს მსოფლიოში სახელგანთქმული ახალი ისრაელური სამზარეულო შემოგთავაზებთ.

ეს ახალგაზრდა სახელმწიფო იმ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის უმძიმეს ტვირთსაც ატარებს, რომელიც უმეტესწილად მითოსს ეფუძნება. ყველაფერი – სიმართლე და გამონაგონი, ისტორია და თანამედროვეობა ერთი ქალაქის – იერუსალიმის სივრცეში იკვეთება: ეს სამი რელიგიის ქალაქია, წმინდა ადგილი როგორც იუდეველებისთვის, ისე ქრისტიანებისა და მუსლიმებისთვის – აქ ააგეს იერუსალიმის ტაძარი, აქ აცვეს ჯვარს ქრისტე და აქედან ამაღლდა ცად მუჰამედი.

იერუსალიმი სამყაროს აკვანია, კაცობრიობის ისტორიის მდინარეების მამოძრავებელ ძალთა თავისებური გასაღები; გასაღებია იმისაც, თუ რას წარმოადგენს თანამედროვე ისრაელი. როცა დავით მეფის ნაკვალევს გაჰყვები, ძველ ცინორს – წყლის გვირაბებს დაუყვები გიხონის წყარომდე, იმ ადგილამდე, სადაც ქალაქი დაარსდა, თავს გაგახსენებს პარადოქსული თანამედროვეობა – ძველი ქალაქის სამეთვალყურეო ვიდეოცენტრი; ასევე, აქ ჯვაროსნების ყოფილ ტაძარში მდებარე არაბულ რესტორანში ტკბილეულს მიირთმევ, იუდეველთა და ქრისტიანთა წმინდა ადგილებს მოინახულებ და თვით მამაზეციერს მისწერ წერილს.

თელ-ავივში კი ხვდები, რომ ცნება „ქალაქის ენერგია“ ფანტომი არ არის. ის ისრაელის ქალაქთა შორის ყველაზე ხმაურიანია და უსწრაფესი რიტმით ფეთქავს, სამხრეთული, თბილი ცნობილი ღამის კლუბებით, ულამაზესი ქუჩებით, ხმაურიანი სანაპიროებითა და სიმწვანით სავსე. ის იქმნება განწყობისგან, რომლითაც კაფეში მიმტანები და ბაზარში მოვაჭრენი გესაუბრებიან; ისეთი მოდური რესტორნებისაგან, როგორიც ლონდონსა და ნიუ-იორკშია; და კიდევ – იახტების ულამაზესი ნავსაყუდელებისა და სერფერებით მოფენილი ზურმუხტისფერი ზღვისგან.

თელ-ავივის არაჩვეულებრივობა იმაშიც იმალება, რომ იქ ეჭვისა და შიშის გარეშე გიშვებენ, მოგზაურობის მთავარი არსი ბოლომდე რომ შეიცნო. „თეთრი ქალაქი“ (როგორც მას უწოდებენ), ბაუჰაუზის სტილის 4000-მდე შენობით, ზედმიწევნით კეთილგანწყობილი, ტოლერანტული და „ფართოჰორიზონტიანია“. უმეტესად ებრაული, თუმცა მულტიკულტურული და ისეთივე მდიდარი, როგორიც ევროპის დიდი ქალაქები.

ისრაელის ნობელიანტი პრემიერის, შიმონ პერესის აზრით, ებრაელი ხალხის ყველაზე დიდი წვლილი კაცობრიობის ისტორიაში – ეს დაუკმაყოფილებლობის გრძნობაა, სურვილი, მუდამ იცვლებოდე. პატრიოტიზმისა და შეუპოვრობის ურთიერთშერწყმა, ცნობისმოყვარეობა, ისრაელელებსა და მათ ისტორიაში ღრმად ფესვგადგმული დაუდგრომლობა – ისრაელის სახელმწიფოს სწორედ ამ ადამიანურ თვისებათა ერთობლიობა აქცევს უძლიერეს მონოლითად.

მიუხედავად გამუდმებული პრობლემებისა, ამ ქვეყანას ერთი უმთავრესი უპირატესობა აქვს – საკუთარი უმაღლესი მიზნის შეგრძნება. მას აქვს ისეთი ძლიერი მოტივი, როგორიცაა გაბედულების ნიჭი – ე. წ. „ქუცბა“ (chutzpah), მოულოდნელი, თითქმის დაუჯერებელი მოქმედების, კომფორტის ზონიდან გამოღწევის უნარი, რომელიც ღრმა თავდაჯერებულობას მოითხოვს.

הצפה – ამ ებრაულ სიტყვას არც ერთ ენაში ზუსტი შესატყვისი არ გაარნია. „ქუცბა“ მიზნისადმი ერთგვარი არამიწიერი მიდგომაა – თითქოს სინამდვილეში არაფერი არსებობს, რაც საკუთარი სურვილისამებრ მოქმედებისგან შეგაკავებდა. „ქუცბა“ რჩეულთა ნიჭია, მათი ხვედრი. აი, მაგალითად, აბრაამი ღმერთსაც კი შეესიტყვა, როცა სოდომისა და გომორას განადგურების განზრახვის შესახებ შეიტყო; მოსეც არ მორიდებია საკუთარი ხალხის გადასარჩენად ღმერთთან შეკამათებას მაშინაც კი, როცა ისრაელელები მცდარ გზაზე იდგნენ; მეფე დავითს კი ვერც წარმოედგინა, იმ გოლიათის შეშინებოდა, რომელიც ებრაელ ხალხს ამცირებდა და ავიწროებდა.

თანამედროვე ისრაელი სწორედ გაცნობიერებული მიზნის თავდაჯერებულად მიღწევის მაგალითია.

თეა სხიერელი
მთავარი რედაქტორი

იერუსალიმი 10 / 32
სასტუმროები / მუზეუმები
მაჰანე იეჰუდას ბაზარი
რესტორნები / კაფეები / ბარები

თელ-ავივი 36 / 57
სასტუმროები / მუზეუმები
შოპინგი / ალმასების ბირჟის კარს მიღმა
რესტორნები / ბარები / ღამის კლუბები

ისტორია: ისრაელის
„დამფუძნებელი მამები“ 58

ტრადიცია 66
იუდაიზმი: ინტერპრეტაციის მრავალგვაროვნება

BIS-ზე შესრულდება... 72

თეთრი ქალაქი 74

ზუბინ მეტა და ჰუბერმანის ვიოლინო წინანდალში 77

STARTUP-ების ქვეყანა 80

აღთქმული უდაბნო 84

ჟამე, დალია, იცეკვე 88
ისრაელის „ახალი სამზარეულო“

„ლეხაიმ“ – გაუმარჯოს სიცოცხლეს! 96

სპორტი: მაკაბიადა, ჭადრაკი 100

ტანსაცმელი ფერადი ადამიანებისთვის 102

ტურიზმი ჯანმრთელობის 106

ადგილი, საიდანაც დაიწყო სამყარო 110

ქალაქები 114 / 126
მასადა / ცფათი
გეთსემანი / ნაზარეთი
გალილეა / კეისარია
ხაიფა / ნეთანია

LA PARIS

სილამაზის ცენტრი

KÉRASTASE PARIS
L'ORÉAL PROFESSIONNEL PARIS
MICABELLA cosmetics Mineral Makeup

თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 35ა | ტელ: 032 2 25 26 42 / 032 2 23 25 61
E-mail: info@laparis.ge | www.facebook.com/LaParis35

VOYAGER BY SOLO

6, 2017

მთავარი რედაქტორი
თეა სხიერელი

არტდირექტორი
ნინო დარასელი

რედაქტორი
სალომე დადუნაშვილი

დიზაინერი
ნინო ყაველაშვილი

მხატვარი-ილუსტრატორი
მაია სუმბაძე

სტილის რედაქტორი
ნინო ლურსმანაშვილი

ავტორები:
აკა მორჩილაძე
ბიძინა ბარათაშვილი
ლაშა ბუღაძე
ნიკოლოზ ჩხაიძე
ზაზა ჯილაძე
მარინა ყიფშიძე
დავით საყვარელიძე
ციუკა ყიფშიძე

ადმინისტრაციული თანაშემწე
გიორგი ვასაძე

სარეკლამო გაყიდვების მენეჯერი
ნაზი გოშაძე

ფოტო - **Shutterstock**

SOLO

გამომცემელი: შპს „სოლო“
ვებგვერდი: www.solo.ge
ტელ.: +995 32 2 44 44 00
ISSN: 2346-8130

პროექტის ხელმძღვანელი / SOLO-ს დირექტორი
ეკა დუჩიძე

პროექტის კონსულტანტი
ნინო გეგეშიძე

SOLO-ს ბრენდმენეჯერი
ქეთი ნიკოლეიშვილი

დაბეჭდილია სტამბაში:
Bauer Medien Productions-&Handels Gmbh
მისამართი: Baumannstrasse 3/19,
A – 1030 Vienna, Austria
e-mail: office@bauermedien.at
www.bauermedien.at

ბეჭდვის მენეჯმენტი:
Ctrl P
მისამართი: თბილისი 0162,
წყნეთის გზატკეცილი #39
ტელ.: +995 32 290 57 38

რეკლამა ჟურნალში: +995 599 330 364 / ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს შპს „სოლოს“ საკუთრებას.
ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება კომპანიის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

www.solo.ge

ტელ.: +995 32 2 44 44 00

DREAMLAND
OASIS IN CHAKVI

ელიტარული აპარტამენტები პრემიუმ კლასის რემონტით ზღვის სანაპიროს პირველ ზოლში, ბათუმიდან მხოლოდ 9 კილომეტრის დაშორებით

- გარემონტებული აპარტამენტები ავეჯით და სრულად აღჭურვილი საყოფაცხოვრებო ტექნიკით;
- ბინა $49 126-იდან;
- პირველადი შენატანი: 30%;
- თვეში: $499;
- გარანტირებული შემოსავალი იჯარიდან;
- უფასო ინფრასტრუქტურა და სერვისები.

+995 32 210 20 40
info@dreamland.ge | www.dreamland.ge

იერუსალიმის ხედი ზეთისხილის მთიდან

სალომე დადუნაშვილი

ხმელთაშუა ზღვიდან მოსულმა სიბნელემ მოიცვა კროკურატორის საძულველი ქალაქი. გაქრა დაკიდებული ხიდები, ტაძარს რომ ანტონიუსის საშიშ კოშკთან აკავშირებდა, ზეციდან დაეშვა წყვდიადი და შთანთქა ფრთოსანი ღმერთები იპოდრომზე, ჰასმონეის სასახლე თავისი ქონგურებით, ბაზრები, ქარვასლები, შუკები, ტბები; გაქრა იერუშალაიმი, დიადი ქალაქი, ისე, თითქოს არც ყოფილა ამქვეყნად.

მიხეილ ბულგაკოვი

გაქრა ის იერუშალაიმი ისე, თითქოს არც ყოფილა ამქვეყნად. უკვე დიდი ხანია გაქრა ის ოქროსქერცლიანი, დრაკონის ტყავის მსგავსი სახურავებით დახურული ტაძრები, გაქრა სასახლეები და სპილოსფეხიანი პალმები, გაქრა დაკიდებული ხიდები და, მით უმეტეს, ტბები. დარჩა მოგონება ქალაქის შესახებ, ისეთი, როგორიც გვინდა, რომ იყოს, როგორსაც ვხედავთ უცხოთა მიერ ნაანდერძევ მოგონებებში.

ჯაფას ჭიშკარში ჩაშენებულ პატარა ოთახებში ებრაელი და მუსლიმი გიდები სხედან. ერთ კვადრატულ კილომეტრზე დატანილი ქალაქის ამ მოგონებებს საკუთარი ან მეგობრული რჯულის ხალხზე ყიდიან და თავისებურად ჰყვებიან. ჯაფას ჭიშკართან, საიდანაც ოდესღაც, ლეგენდაში, ხმელთაშუა ზღვის პორტ ჯაფაში ჩამომდგარი გემებიდან ჩამოტვირთული კედრები შეიტანეს ქალაქში ებრაელთა პირველი და მეორე ტაძრების ასაშენებლად. ტაძრებისა, რომლებიც აღარ არის უკვე, გაქრა იმ იერუშალაიმთან ერთად.

და რაც გაქრა, მას შემდეგ დაეძებს ხალხი იერუშალაიმს. ეფერებიან მიწიდან ამოშვერილ საუკუნოვან ლოდებსა და ნომრავენ მისი კედლების ქვებს.

ფრანცისკელი ბერებივით დაეძებენ ქრისტეს ჯვრის ნამსხვრევებს, მის ნაკვალევს ხან ჩვენი წელთაღრიცხვით I, ხან IV საუკუნის შენობებში რომ პოულობდნენ. ადგენენ მაცხოვრის წამების სადგურებს, სულ 14-ს: 9-ს – კანონიკურსა და 5-ს – ლეგენდებზე დაფუძნებულს. ტოვებენ წერილებს გოდების კედლის ნაოჭებში, დაატარებენ ვია დოლოროზაზე ჯვრებს, ეთაყვანებიან კლდეს, სადაც ბურაქმა ჯადოსნური ფლოქვი დასცა მუჰამედის ცად ასაფრენად.

ჭეშმარიტად, ყველას თავისი იერუსალიმი აქვს და ყველა იერუშალაიმს დაეძებს.

იერუსალიმის ასილიუმები სავსეა წმინდა ქალაქის სინდრომით შეპყრობილი ადამიანებით, რომლებმაც მიღმიერისა და რეალობის უფაქიზეს ზღვარზე თავი ვერ შეიკავეს და „უკანა სკნელში“ განაგრძეს მოგზაურობა, სადაც ყველაფერი უკუღმაა და ჭინკებს ფეხის ტერფებიც შეტრიალებული აქვთ.

წმინდათა შორის წმინდა მიწაზე დასაფლავების და მეორედ მოსვლის დროს მკვდრეთით აღმდგართა შორის პირველ რიგებში ყოფნის მსურველები კი საფლავის ქვებისთვის იბრძვიან. მათთვის ამქვეყნიურს უკვე ფასი აღარ აქვს. ქალაქს კი ამ დროს, ასე მგონია, სული ეხუთება, სუნთქვა უნდა, ჰაერი... ქალაქი, რომელიც მთელი არსით ზეცისკენ მიისწრაფვის, თითქოს დაბმულია ამ ჯადოსნურ მთაზე.

ზეთისხილის მთიდან თუ დახედე, თითქოს ასაფრენადაა მომზადებული, თითქოს ცაში ლივლივებს კიდეც, მაგრამ ადამიანები თავიანთი სასაფლაოებით, დარდებითა და ბრაზით, განხეთქილებისა და სიძულვილის სიმძიმით მის კედლებს ჩაბღაუჭებულნი, ამძიმებენ, არ უშვებენ, ებრაულ საფლავის ქვებზე დაწყობილი დიდი და მცირე ქვებივით სრესენ, რომ არ გაფრინდეს. ესაა ის იერუსალიმი, რაც დარჩათ. ცისთვის არ ემეტებათ.

დგას იერუსალიმი, იერუშალაიმის აჩრდილი და ელის თავისუფლებას. ელის, როდის იპოვნიან – დაკარგულს. ჰოდა, სხვა რა დაგრჩენიათ?! თქვენი იერუშალაიმი უნდა იპოვოთ.

იერუსალიმში ყველა უკვე დაწერილი, საკუთარი ისტორიით ჩადის. სტერეოტიპების ძალა იმდენად დიდია, რომ მათი მსხვრევისასაც კი ადამიანები თვალის დახუჭვას ამჯობინებენ. მორწმუნე ქრისტიანები ვია დოლოროზას და მაცხოვრის საფლავს მიაკითხავენ, ებრაელები – გოდების ტაძარს, მაჰმადიანები – ტაძრის მთას, სადაც ახლა ალ აქსას მეჩეთი და კლდის გუმბათი (მავზოლეუმია) განთავსებული.

ათეისტები ისტორიას ჩაუღრმავდებიან და შეიტყობენ, რომ დავითის კოშკი დავითს კი არა, ჰეროდეს აუგია, რომელსაც საოცრად უყვარდა თურმე მშენებლობა; მას მეორე ებრაული ტაძრის რეკონსტრუქციაც კი ჩაუტარებია. უბიწო ჩვილთა მოკვდინებაშიც არ მიუძღვის ბრალი, რადგან იმ დროისთვის უკვე დაუტოვებია ეს ცოდვილი მიწა.

დავითის ქალაქის ნანგრევები

ეს ქალაქი ისეთი ძველია, რომ დროთა სიმძიმე გსრესს. აქ ყველაფერი კაცობრიობის ყრმობით სუნთქავს, იმ დროით, როცა ჰაერიც უფრო გამჭვირვალე იყო, ადამის მოდგმაც – უფრო ნორჩი და ღმერთსაც მეტი დრო ჰქონდა თავის შვილებთან სალაპარაკოდ. მის ხმას ათასობით ქარხნის გუგუგნი, კავშირგაბმულობის ანძების ზუზუნი და ათასობით მშიერი ადამიანით გატენილი კონტინენტების კვნესა არ ახშობდა. პლანეტაზე სიხალვათე იყო, ეს სამყარო კი – ახალი, სულ ახლახან ამოღებული სასაჩუქრე ყუთიდან.

ლომების კარიბჭე

ჯაფას კარიბჭე

გოდების კედელი

როცა მეფე სოლომონი ისრაელის ყველა ტომიდან შეგროვებული ფულით ტაძრის შენებას იწყებდა, არჩევანი სწორედ მორიის მთაზე, ფაქტობრივად, კლდეზე შეჩერდა. მორიის მთას თავი წაჰკვეთეს, ამ უზარმაზარ მოედანზე პირველი ტაძარი ააგეს და იქ აღთქმის კიდობანი დაასვენეს. რას წარმოიდგენდა მეფე სოლომონი, რომ სწორედ ამ ერთი კლდისთვის ბრძოლა გახდებოდა ადამიანთა მოდგმის დიდი ნაწილის მთავარი საზრუნავი.

პირველი ტაძარი ნაბუქოდონოსორმა დაანგრია, რის შედეგადაც ათი მცნების ფირფიტები და აღთქმის კიდობანი სამუდამოდ დაიკარგა. მაგრამ ტაძრის მთა დარჩა. ებრაელებმა პირველი ტაძარი გამოიტირეს და მეორე ააგეს – ის, რომელიც ჰეროდემ შეაკეთა და რომაელებმა იმსხვერპლეს. 10 დღეს იწვოდა ტაძარი და, ებრაული კალენდრით, ავას მე-9 დღეს დაინგრა – იმავე დღეს, როცა საუკუნეების წინათ პირველი ტაძარი. მის ნახანძრალზე დაიბადა ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი დარდი. მას შემდეგ ებრაელები იძულებულნი არიან, დასავლეთის კედელთან ილოცონ, კედელთან, რომელიც ოდესღაც ტაძრის მთას გარს ეკვროდა. ილოცონ და იდარდონ გოდების კედელთან დაკარგულ სამოთხეზე.

იერუსალიმში დღესაც ყოველდღე ათასობით წერილი მოდის, რომელთა მისამართის გრაფაში მარტივადაა მითითებული: „ღმერთს“. ამ წერილებს ებრაელები და არა მხოლოდ ისინი მთელი მსოფლიოდან გზავნიან, რომ ვიღაცის ღვთისნიერმა ხელმა ეს პატარა ფურცლები, სადაც მათი დარდები, ოცნებები და თხოვნები წერია, გოდების კედლის რომელიმე ნაპრალში მოათავსოს. ასეც ხდება. ზოგიერთი სურვილი მჭიდროდ ეკვრის კედელს და მის ნაოჭებში ელოდება

გოდების კედელი

უწმინდესი ადგილია ყველა ებრაელისთვის და მასთან მისვლა გარკვეულ რიტუალებს მოითხოვს. კედელთან მიახლოება აკრძალულია შინაურ ცხოველებთან ერთად, შაბათობით კი აკრძალულია მობილური ტელეფონებით სარგებლობა, მოწევა და ფოტოს გადაღება. აუცილებელია შესაბამისი ჩაცმულობა: მხრები და ხელები დაფარული უნდა გქონდეთ, მამაკაცებისთვის კედელთან მიახლოებისას აუცილებელია თავსაბურავი. რიტუალის განუყრელი ნაწილია ხელების დაბანა, რისთვისაც სპეციალური ხელსაბანებია მოწყობილი. ჩამჩაში დაგროვებული წყალი ჯერ მარჯვენა ხელზე უნდა გადაივლო სამჯერ, შემდეგ – მარცხენაზე.

ღმერთის პასუხს; ზოგიც ძირს ცვივა, მაგრამ ამით ფასს არ კარგავს. ძირს დაცვენილ ბარათებს ფრთხილად აგროვებენ და ქალაქის კედლებს გარეთ, განცალკევებით წვავენ.

დასავლეთის კედლის გარშემო თითქოს ჰაერი დედდება, ხმები შორეული და დახშული მოგონებასავით ჩაგესმის, დრო თითქოს იწელება და ჰაერი უცნაურად ლივლივებს. ამ ფენომენს ებრაელები ერთ კვადრატულ მეტრზე ღმერთის ყველაზე მაღალი კონცენტრაციით ხსნიან, მაგრამ აქ ადამიანების სურვილების, დარდებისა და ოცნებების ყველაზე მაღალი კონცენტრაციაცაა. კედლის ქვეშ ებრაელები ლოცულობენ, კედლის ზემოთ კი – მუსლიმები.

მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მეჩეთის, **ალ აქსას შავი გუმბათი** გოდების კედელს დაჰყურებს. მის პირდაპირ ეგრეთ წოდებული კლდის გუმბათი ბრწყინავს მზესავით, ოქროსფრად. ეს შენობა მავზოლეუმია და იმ კლდის ნაწილის გარშემოა აშენებული, რომელზეც ბურაქმა შეისვენა, როცა ჯადოსნურ ღამეულ მოგზაურობაში გააქროლა მუჰამედი.

ალ აქსას მეჩეთში, რომელიც მესამეა სიწმინდით მუსლიმთათვის მექისა და მედინის შემდეგ, აგრეთვე, მავზოლეუმში არამუსლიმთათვის შესვლა აკრძალულია, მაგრამ ტაძრის კლდეზე ასვლა შესაძლებელია ხის დაკიდებული ხიდით, რომელიც დასავლეთის კედელთან იღებს სათავეს. შესვლის საათები შეზღუდულია: 7.00-იდან 10.00-მდე და 13.30-იდან 14.30-მდე, პარასკევისა და შაბათის გარდა. ქალების ჩაცმულობა მოკრძალებულია და სასურველია თავშალი.

კლდის გუმბათთან ასასვლელად სასურველია, დათქმულ საათზე ცოტა ადრე მიხვიდეთ. რიგი შესაძლოა საკმაოდ გრძელი აღმოჩნდეს. პროცესს კონტროლიც ართულებს. მსგავსი შემოწმება ტრადიციულია იერუსალიმში და განსაკუთრებით ებრაულ და მუსლიმურ სიწმინდეებთან მიახლოებისას მკაცრდება. გაითვალისწინეთ, რომ ალკოჰოლის სუნის გამოც კი შესაძლოა გარეთ დარჩეთ. ასევე აკრძალულია ბასრი საგნებისა და საკულტო დანიშნულების ნივთების შეტანა (არ იგულისხმება პატარა ჯვარი).

ალ აქსა

კლდის გუმბათისა და ალ აქსას ნახვა მარტო იმიტომაც ღირს, რომ ეს ორი შენობა ისლამური არქიტექტურის მსოფლიოში ყველაზე გამორჩეულ ნიმუშებს შორისაა.

კლდის გუმბათის შენობა, რომელიც ხშირად ჩანს მედიასაშუალებებში, როგორც იერუსალიმის სიმბოლო, სინამდვილეში რელიგიური და ტერიტორიული კონფლიქტის სიმბოლოა. მოოქრული გუმბათი მიწის იმ ნაკვეთზეა აღმართული, რომელიც არაბულ-ებრაულ კონფლიქტში დაპირისპირების მიზეზად იქცა – ეს არის ე. წ. აღთქმის კლდე, საიდანაც, იუდეური ტრადიციის თანახმად, სამყაროს შექმნა დაიწყო და რომელზეც აბრაამს მსხვერპლად უნდა შეეწირა საკუთარი ვაჟი – ისაკი.

ამ ადგილას იდგა ორი ებრაული ტაძარი: ერთი – 965 წლიდან 586 წლამდე (ჩვენს ერამდე); მეორე – ძვ. წ. 534 წლიდან ახ. წ. 70 წლამდე (604 წლის მანძილზე იმ 1000-წლიანი უწყვეტი პერიოდიდან, როცა ებრაელი ხალხი ტაძრის მთაზე ერთიან ღმერთს ეთაყვანებოდა). კლდის გუმბათის კედლები მოფენილია ციტატებით ყურანიდან, რომლებიც მუჰამედის რელიგიის უპირატესობის დამტკიცებას ემსახურება.

ლამაზი შორენკეცები, გუმბათის კედლებს რომ ფარავს, უფრო გვიანდელ ხანაშია დამატებული თურქეთის სულთნის, სულეიმან დიდებულის ბრძანებით.

კლდის გუმბათი

იერუსალიმში ცხოვრება ძალიან რთულია. მუდმივი განხეთქილებით დატანჯული ეს ქალაქი ზავიდან ზავამდე ცხოვრობს.

ვია დოლოროზას გაყოლებაზე, თითქმის ყველა სადგურთან ავტომატური იარაღით აღჭურვილი მკაცრი ჯარისკაცები დგანან. მიუხედავად ამისა, ისე, როგორც ყველა აღმოსავლურ ქალაქში, მის ვიწრო, დახლართულ ქუჩებში სეირნობა დიდი სიამოვნებაა.

მართალია, თითქოს წარმოუდგენელია იპოვო მშვიდი ქუჩა ამ ქალაქში, სადაც ყველა ნიში, ყველა ღრმული კედელში, ყველა საწყობი და ყველა სახლის პირველი სართული მაღაზიადაა ქცეული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკმარისია ერთი არალოგიკური ნაბიჯი მარცხნივ ან მარჯვნივ და ქვის ჭებივით ქუჩების უკაცრიელ ხლართში აღმოჩნდებით.

აქ კი უკვე საჭმლის სუნსაც იგრძნობთ და მეზობლების გადალაპარაკებასაც გაიგებთ. გამოფენილი სარეცხი კი სახლში ბავშვების რაოდენობას გამცნობთ. სწორედ ამ დროს მიხვდებით, რომ ნამდვილ ქალაქში ხართ და არა ისტორიულ-რელიგიურ პერფორმანსში.

„ჩემი სახლი ჩემი ციხესიმაგრეა“ – ეს სიტყვები იერუსალიმელებს პირდაპირ ესმით და გასაგებია, რატომაც: ერთი კვადრატული კილომეტრი მკაცრადაა განაწილებული და ყველა მონაკვეთში სხვა ღმერთისთვის ლოცულობენ. თუ სახლის კედლებზე წითელ-ყვითელი მთვარე და ვარსკვლავები ანათებს, პატრონი მუსლიმია და ახლახან ჰაჯიდან დაბრუნებულა, წმინდა ადგილები მოულოცია და ასე, ფერადი გრაფიტით მიახარა ყველას, რომ მისი სახლი, მისი ციხესიმაგრე, ახლა უფრო წმინდაა, ვიდრე ადრე იყო.

ყველა ებრაულ კარზე მეზუზაა მიკრული – მოგრძო ყუთი, სადაც თორის ნაწყვეტებს ათავსებენ და ყოველ ჯერზე ეხებიან მათ სახლში შესვლისას. ზოგჯერ მავთულხლართებით და გისოსებით დაცული ფანჯრების ზემოთ ისრაელის დროშა ფრიალებს.

დავითის კოშკის პირდაპირ ოკრობოკრო ქვის ლაბირინთში თუ შეხვალ, შეუყვები ათჯერ დარღვეული შარფის ძაფის გორგალივით ჩახლართულ ამ ქუჩებს, ჩაუვლი გვერდს მთვარეებით მოხატულ სახლებს – გადახურული ქუჩების ჭაში ჩაყვინთავ. თუ სწორად მიჰყვები გორგლის ძაფს, სადღაც ზემოთ, ყველაფრისგან თავისუფალი ცის ქვეშ ამოყვინთავ. ცა ადგას იერუსალიმს, როგორც კიდევ ერთი იმ გუმბათთაგანი, რომელთა ციმციმიც აქედან, მისი სახლების სახურავებიდან, უკეთ მოჩანს.

ამ ქალაქში ყოველთვის არის რამდენიმე შრე, შეგიძლია კილომეტრები იარო მიწის ქვეშ ჩაკარგულ ლაბირინთში, დაიკარგო მის დახლართულ ქუჩებში, ან ახვიდე უფრო მაღლა, სახურავებზე და ბანიდან ბანზე გადახტომით მოიარო უბანი. სახურავებზე სიცოცხლე ჩქეფს: ბავშვები ფეხბურთს თამაშობენ, მზე ანათებს, ეკლესიების გუმბათები ოქროსფრად ელავს. აქ შეიძლება დიჯდე და ცოტა ხნით დაივიწყო ის, რასაც ეს ქალაქი არ გავიწყებს. რა შეუძლია ადამიანს ღმერთის სახელით: რამდენი კარგი, ანგელოზებს რომ აამღერებს და რამდენი ავი, ღმერთსაც რომ შეაძრწუნებს!

მერე გაივლი ვიღაცის აივანზე, ჩაუვლი ებრაულ სასულიერო სკოლას, სადაც ტეფილინებით თავშემკული სემინარისტები, ხელზე შვიდგზის შემოხვეული ტყავის ზონრებით, თვალდახრილნი, ცის გუმბათის ქვეშ მორიგი ლოცვისთვის ემზადებიან. ტეფილინი შავი ფერის ხარის ტყავისგან დამზადებული პატარა კვადრატული ყუთია, რომელშიც რამდენიმე პერგამენტს ათავსებენ თორის ნაწყვეტებით. ებრაელები ამ პატარა ყუთებს ერთ-ერთ ხელსა და თავზე იკეთებენ ლოცვის დროს, რადგან ასე უფრო ახლოს არიან ღმერთთან; სემინარისტები ამ სიახლოვეს მთელ დღეს არ თმობენ. მათი ციციტის თეთრი ფოჩები ქარში ფრიალებს და შიგ ცისფერი ცა ექსოვება იმ ძაფის მაგივრად, რომელსაც ადრე ციციტში ჩასატანებლად იშვიათი ზღვის ლოკოკინით, ჰილაზონით ღებავდნენ. ამ ცისფერ ძაფს უნდა გაეხსენებინა ებრაელისთვის ცის სიწმინდე. აქ, სახურავებზე ცის დავიწყება მაინც შუძლებელია.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი – თქმულების მიხედვით, აქ გაიზარდა ბიბლიური ხე, რომლისგან დამზადებულ ჯვარსაც შემდგომში იესო ქრისტე აცვეს. IV საუკუნეში ბიზანტიაში ჩასულ ქართლის მეფე მირიანს ეს მიწა შეუსყიდია და სამლოცველო აუშენებია. V საუკუნეში იერუსალიმში ჯარით შესულ ვახტანგ გორგასალს ტაძარი გაუდიდებია და სოფელ მალხაში 600 ქართველი დაუტოვებია მცველებად.

მონასტერი ქართველთა სულიერების, რელიგიური და კულტურული მოღვაწეობის ცენტრად იქცა. საუკუნეების განმავლობაში ქართველი ბერ-მონაზვნები აქ მწიგნობრობა-მწერლობას და განმანათლებლობას ეწეოდნენ. აქ აღმოაჩინეს მრავალი ჰაგიოგრაფიული ძეგლი, მათ შორის, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. ჯვრის მონასტერში მოღვაწეობდნენ შოთა რუსთაველი, არსენ იყალთოელი, ეფრემ მცირე, ნიკოლოზ გულაბერისძე და მრავალი წმინდა მამა. ქართველები ჯვრის მონასტრის მფლობელობას XVIII საუკუნემდე ინარჩუნებდნენ.

ჯვრის მონასტერი იერუსალიმის ელიტურ რაიონში, მალხაში, ზეთისხილის ბაღნარში მდებარეობს. მაღალი გალავნით შემოსაზღვრული მცირე ციხე-ქალაქი სამ და ოთხსართულიანი შენობების კომპლექსით 270-მდე სათავსოსა და დამხმარე ნაგებობას მოიცავს. უცხოეთის არც ერთ ქართულ სავანეში არ შემორჩენილა იმდენი ქართული წარწერა, რამდენიც ჯვრის მონასტერში.

მთავარ ტაძარში სვეტზე შემონახული იყო შოთა რუსთაველის ფრესკული პორტრეტი (XII-XIII საუკუნეების მიჯნა). „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ქართველი საერო დიდებულის სამოსშია გამოსახული: ასხია ყარყუმის ბეწვისაყელოიანი მეწამული მანტია, თავზე თეთრი ბეწვის შავით გაწყობილი ქართული ქუდი ახურავს და ხელაპყრობილი დგას მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის წინაშე. წარწერის მიხედვით, მკვლევარები ფიქრობენ, რომ ეს რუსთაველის ავტოპორტრეტია. ფრესკა შემონახული იყო 2004 წლამდე, ვიდრე ვანდალურად დააზიანებდნენ. ამჟამად აღდგენილია. სავარაუდოდ, აქვეა პოეტის საფლავიც.

მაცხოვრის საფლავის ტაძარი ქრისტიანებისთვის იერუსალიმის მთავარი სიწმინდეა. მათ სჯერათ, რომ სწორედ ამ ადგილზე აცვეს ჯვარს და შემდეგ მკვდრეთით აღდგა იესო ქრისტე. კლდეს, რომელსაც ტაძრის ერთ-ერთი ფრთა ფარავს, გოლგოთად მოიაზრებენ.

ტაძარი პატარა მოედანზე გადმოსული ფასადით, ერთი შეხედვით, მცირე ზომისაა, თუმცა შიგნით შესვლისას, თითქოს ფიზიკის კანონების საწინააღმდეგოდ, უზარმაზარ და საკმაოდ არასტრუქტურირებულ სივრცეში მოხვდებით. ეს იმის გამოა, რომ ტაძრის ტერიტორიას ნ ქრისტიანული კონფესია ფლობს და თანაც ის არაერთხელ გადაკეთდა.

ტაძრის მთავარი სიწმინდე შესასვლელშივე მოთავსებული მირონცხების ქვაა, რომელზეც ჯვრიდანგარდამოხსნის შემდეგ განბანეს და ნელსაცხებლებით გაუპატიოსნეს მაცხოვრის ცხედარი. ქრისტეს საფლავი – კუვუკლია, რომლის პირველი ვერსიაც იმპერატორ კონსტანტინე დიდის ბრძანებით 325-335 წლებში აიგო, გოლგოთის მთის ნაწილია. დღევანდელ დღეს ტაძარში ტერიტორიებს კათოლიკური, სომხური გრიგორიანული, ბერძნული, სირიული, ეთიოპიური და კოპტური მართლმადიდებელი ეკლესიები ფლობენ.
ღიაა ზაფხულში: 05.00 – 20.00;
ზამთარში: 04.00 – 19.00

მირონცხების ქვის მარჯვნივ ორი კიბე გოლგოთაზე ადის. გადმოცემის თანახმად, აქ მდებარეობს ადგილი, რომელზეც ქრისტე ჯვარზე გააკრეს. იატაკზე მოთავსებულ ვერცხლისფერ დისკს მრგვალი ჭრილი აქვს – ის აღნიშნავს ადგილს, სადაც ჯვარი იყო დასმული. მის გვერდზე 2 შავი წრით აღნიშნულია ქრისტესთან ერთად დასჯილი ავაზაკების ჯვარცმის ადგილი. აქვეა მგლოვიარე ღვთისმშობლის ხატი. გოლგოთის ქვემოთ კიდევ ერთი სამრეკლოა. მის იატაკში ნაპრალია – ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ მომხდარი მიწისძვრის შედეგი. ქრისტიანები ნაპრალის სიგანეს ყოველწლიურად ზომავენ და მის ზრდას აპოკალიფსის მოახლოების ნიშნად მიიჩნევენ.

ქრისტეს საფლავისკენ დაბალი გასასვლელი მიემართება, ამიტომ ადამიანს ქედის მოხრა უწევს. სამარხი მეტად ვიწროა, ამიტომ ბერძენი მგველი მხოლოდ ორ-სამ მლოცველს უშვებს. სამარხს კედელზე ოთხ რიგად დამაგრებული სანათები ანათებს.



ვია დოლოროზა – გზა გოლგოთისკენ

გაჩერებები ჯვარცმის გზაზე:

I. მარკ ანტონიუსის ციხესიმაგრე – პილატე მსჯავრს სდებს იესოს;
II. ლიითოსტროტოსი – იესომ ჯვარი იტვირთა;
III. იესო ჯვრის სიმძიმისგან ეცემა;
IV. ღვთისმშობელი ხედავს ჯვრისმტვირთველ იესოს;
V. სვიმონ კვირინელს ჯვრის ტვირთვა აიძულეს;
VI. წმ. ვერონიკა იესოს ხელსახოცს აწვდის;
VII. იესო ხელმეორედ ეცემა;
VIII. იესო იერუსალიმელ ქალს ესაუბრება;
IX. იესო მესამედ ეცემა;
X. გოლგოთა – იესოს სამოსი განძარცვეს;
XI. გოლგოთა – იესო ჯვარზე გააკრეს;
XII. გოლგოთა – იესო აღმართულ ჯვარზე სულს განუტევებს;
XIII. გოლგოთა – იესოს სხეული ჯვრიდან გარდამოხსნეს;
XIV. წმინდა აკლდამა – იოსებ არიმათიელი იესოს ჯვარცმულ სხეულს აკლდამაში ასვენებს.

ზეთისხილის მთა ყველაზე მაღალია იერუსალიმის მთებს შორის და მისი ფერდობებიდან, რომლებიც ბუგენვილიების შეშლილი ყვავილებითა და კვიპაროსების მწყობრი ხაზებითაა შემკული, იერუსალიმის დიდება ყველაზე კარგად ჩანს. ჩანს კლდის გუმბათი, მეორედ მოსვლამდე დახშული ოქროს ჭიშკარი, მუსლიმთა და ებრაელთა სასაფლაოები. ამქვეყნიური და იმქვეყნიური მუდამ გვერდიგვერდ დადიან იერუსალიმში.

ქრისტიანული რწმენის მიხედვით, სწორედ აქედან დაეშვა მაცხოვარი ტაძრის მთისკენ და სწორედ აქაა მისი ცად ამაღლების ადგილიც. ზეთისხილის მთის მისტიკურ სიმშვიდეს საუკუნოვანი ხეები იცავენ, მაგრამ მათ არ ახსოვთ ქრისტე; თუმცა ზეთისხილის ხეს თვითაღდგენის უნიკალური უნარი აქვს და შესაძლოა ეს ხეები, რომლებიც ყველა ტაძარზე მეტად გვაახლოებენ რაღაც ნამდვილსა და ძლიერთან, სწორედ მათი შთამომავლები იყვნენ.

მთის ყველაზე მაღალ წერტილზე მდებარეობს **ქრისტეს ამაღლების კაპელა**, სადაც მაცხოვარი აღდგომის შემდეგ გამოეცხადა მოციქულებს და შემდეგ ცად ამაღლდა.

პირველი სალოცავი ამ ადგილზე რომაელმა არისტოკრატმა, ქრისტიანმა ქალმა პიმენიამ 380 წელს ააგო. დღეს კაპელა უფრო მცირე ზომისაა, ვიდრე თავდაპირველად იყო და ქრისტიანებისთვის მთავარ რელიკვიას – ქვაზე აღბეჭდილ ქრისტეს ნაფეხურს იცავს. თავად სულთანმა სალადინმა (სალაჰ ად-დინ იუსუფ იბნ აიუბი) როდესაც ნახა, რაოდენ დიდი იყო ქრისტიან მომლოცველთა რაოდენობა ამ ადგილზე, ბრძანა, გვერდით მეჩეთი აეგოთ, რათა მუსლიმებსაც ჰქონოდათ საშუალება, პატივი მიეგოთ მათთვისაც წმინდა ისასთვის.

ქრისტეს ცრემლების ტაძარი, დომინუს ფლევიტი, იმ ადილზეა აგებული, სადაც მაცხოვარს დარდი მოერია იერუსალიმის ბედის გამო და ცრემლები ვერ შეიკავა.

ფრანცისკელებმა ეს ტერიტორია 1891 წელს შეიძინეს. მოგვიანებით არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქაც ბიზანტიური ბაზილიკის ნაშთები აღმოჩნდა, რომლის შესანიშნავი, მოზაიკური იატაკის ფრაგმენტი დღესაც თვალისმომჭრელია. მოქმედი ტაძარი არქიტექტორმა ანტონიო ბარლუციმ 1955 წელს ააგო. ტრადიციის მიუხედავად, ბარლუციმ საკურთხეველი აღმოსავლეთის ნაცვლად დასავლეთისკენ, იერუსალიმისკენ მიმართა. საკურთხევლის უკან კედლის ნაცვლად ვიტრაჟია, რომელზე გამოსახული ჯვარიც საკურთხევლის წინ მუხლმოდრეკილი მორწმუნისთვის პერსპექტივაში გოლგოთის თავზე აღმოჩნდება.



„მამაო ჩვენოს" ტაძარი იმ მღვიმის თავზე ააშენეს, რომელშიც მაცხოვარი უხსნიდა მოციქულებს, თუ როგორ უნდა ელოცათ. ტაძრის კედლებზე მსოფლიოს ყველა ენაზე დაწერილ „მამაო ჩვენოს" წაიკითხავთ. მათ შორისაა ქართული ანბანით შესრულებული წარწერაც, თუმცა ამ ტაძრის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობა მისივე ტერიტორიაზე შენარჩუნებული, იმპერატორ კონსტანტინეს დედის, ელენეს მიერ აგებული ტაძრის ნანგრევებია, რომელიც 326 წელს თავისი შვილის დავალებით ეწვია იერუსალიმს, რათა ქრისტეს არსებობის მატერიალური ნივთმტკიცებები შეეგროვებინა.

საინტერესოა, რომ კონსტანტინემ ქრისტიანობა, რომელიც სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, დედისგან განსხვავებით, თავად მხოლოდ სიკვდილის წინ მიიღო.

გეთსიმანიის მღვიმე კიდევ ერთი წმინდა ადგილია იერუსალიმში, რომელიც ფრანცისკელ ბერებს ეკუთვნის. ქრისტიანები მღვიმეს ეთაყვანებიან, როგორც საიდუმლო სეროების ჩატარების ადგილს. გამოქვაბულის იატაკზე შემორჩენილია მე-12 საუკუნის ბიზანტიური მოზაიკის, თაღზე კი – ფრესკების ფრაგმენტები.

ბერძნული ეკლესიის ჰეგემონიაში შედის წმინდა **მარიამის საფლავის ტაძარი**, რომელიც იმ გამოქვაბულის თავზეა აშენებული, სადაც მოციქულებმა წმინდა მარიამი დაასვენეს. პირველი ეკლესია დედოფალ ელენეს ბრძანებით 326 წელს ააგეს. მორწმუნენი წმინდა ლუკას მიერ ღვთისმშობლის სიცოცხლეშივე შექმნილი წმინდა მარიამის ხატის პირველად ასლს ეთაყვანებიან, რომელიც წმინდანის ყველა გამოსახულების პირველპირად მიიჩნევა.

დღეს წმინდა მარიამის ცარიელ საფლავს, რომელიც ჯერ დაგვიანებით მისული თომას თხოვნით 3 დღეში, შემდეგ კი, 680-81 წლებში მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით გახსნეს, ქრისტიანთა ყველა კონფესიის წარმომადგენლები და მუსლიმები ერთად ეთაყვანებიან. საფლავში (რომელიც მოციქულ თომას ცარიელი დახვდა) VII ს-ში ნაპოვნი ქამარი ათონის მონასტერში ინახება.

ვაჭრობა, რელიგიური სუვენირები და იერუსალიმი – განუყოფელი მოვლენაა. არც ერთი მომლოცველი არ ბრუნდება იერუსალიმიდან თუნდაც მცირე სუვენირის გარეშე. ზეთისხილის მთის წვერზე, ქრისტეს ამაღლების კაპელის მახლობლად ერთ-ერთ საუკეთესო სუვენირების მაღაზიას იპოვით. აქ მრავალფეროვანი არჩევანი გელით. მონასტრებში ნაწერი მაღალი ხარისხის ხატები, საიუველირო ნაკეთობები, იერუსალიმის ვარსკვლავები, რომლებსაც, ტრადიციულად, ქალები ატარებენ, ჯვრები და ამულეტები ყველა სახის მასალისგანაა შესრულებული. ძველი ქალა-ქის სავაჭრო ადგილებისაგან განსხვავებით, აქ ყოველთვის ნაკლები მყიდველია.

MAXIM GIFT SHOP – ზეთისხილის მთაზე, „მამაო ჩვენოსა" და ამაღლების ტაძრებს შორის მოედანზე, იერუსალიმი; **ღიაა:** კვირა-ხუთშაბათი – 10.00-19.00; პარასკევი – 10.00-14.00

ებრაელები საფლავის ქვაზე ყვავილების ნაცვლად ქვებს დებენ, როგორც მარადიული ხსოვნის სიმბოლოს. მოჭრილი ყვავილის ელვარე სილამაზე რამდენიმე დღეში ფერფლად იქცევა, ქვა კი მარადიული, ურღვევი სიყვარულის დარად დარჩება. როცა მთიდან ქედრონის ველისკენ დაშვებას იწყებ, სწორედ ქვებით დამძიმებულ ერთ-ერთ უძველეს ებრაულ სასაფლაოს ჩაუვლი გვერდით. ამ სასაფლაოს ზოგიერთი აკლდამა ებრაელთა პირველი ტაძრის პერიოდს განეკუთვნება. მას **წანასწარმეტყველთა სასაფლაოსაც** უწოდებენ, რადგან აქ არის წინასწარმეტყველების – მალაქიასა და ზაქარიას უკანასკნელი განსასვენებელი. ქედრონის ველამდე გაწელილი ეს მკვდართა ქალაქი, გადმოცემის მიხედვით, პირველი გაიგებს იეზეკიელის საყვირის ხმას და მკვდრეთით აღდგება. არსად მომჩვენებია ქვები ასე მსუბუქად.

არქიტექტორმა ანტონიო ბარლუციმ ბევრი იღვაწა იერუსალიმში, მის სახელს უკავშირდება არაერთი ტაძრის აგება თუ რეკონსტრუქცია, მათ შორის, ქრისტეს საფლავის ტაძრის გოლგოთის ნაწილისაც. 1924 წელს ბარლუციმ **გეთსიმანიის ბაღში** ააგო ტაძარი, რომელიც მსოფლიო კათოლიკეთა შემოწირულობებით დაფინანსდა და სახელიც შესაბამისი მიიღო – **ყველა ნაციის ტაძარი**. ეს ტაძარი იერუსალიმის არაერთგვაროვანი და მრავალშრიანი არსის შესანიშნავი სიმბოლოა, გარკვეულწილად ის თავადაა იერუსალიმი. ტაძარი ჯვაროსნების მიერ აგებული, 1345 წელს მიტოვებული სალოცავის ნანგრევებზეა აღმართული. მშენებლობის დროს აღმოჩნდა ბიზანტიური პერიოდის კიდევ ერთი შრე. გაირკვა, რომ ჯვაროსნებმა სალოცავი ჩვ. წ. IV საუკუნის ბიზანტიური ბაზილიკის ნანგრევებზე ააგეს, რომელსაც შესანიშნავი მოზაიკური იატაკი ამშვენებდა.

ბაზილიკა 746 წელს მიწისძვრამ იმსხვერპლა. ბარლუციმ მოზაიკის გადარჩენილი ნაწილები შეინარჩუნა, ტაძრის საკურთხეველზე კილოდიმოათავსა, რომელთანაც, გადმოცემის თანახმად, ლოცულობდა ქრისტე. ტაძარი მუდმივად ნახევრად ჩაბნელებულია – გეთსიმანიის ბაღში მოქმედება ხომ ღამით ხდებოდა.

ეს ტაძარი სიმბოლოა მაცხოვრის ყველაზე ადამიანური აქტისა. ბაღს, სადაც მოახლოებული ღალატისა და წამების მოლოდინში ადამიანი მაცხოვარში ღმერთს ხვედრის შემსუბუქებას ავედრებდა, სადაც იუდამ ქრისტეს აკოცა, ბაღს, რომელიც ტაძარზე წმინდაა, რკინის გალავანი აქვს შემოვლებული. გულმოწყალე ზეთისხილის ხეები არ ცნობენმათსავედასაცავადაგებულბარიერებსდაგულთბილად უწვდიან ათიათასჯერ დალოცვილ ტოტებს მორწმუნეებს მოსაფერებლად.

ისრაელთან უვიზო მიმოსვლის წესები:

- უვიზო მიმოსვლის რეჟიმი შესაძლებლობას აძლევს საქართველოს მოქალაქეებს, ვიზის გარეშე მოკლევადიანი ვიზიტები განახორციელონ ისრაელში სხვადასხვა მიზნით: ტურისტული, საქმიანი, მოკლევადიანი სასწავლო გაცვლითი პროგრამები/ტრენინგები, სასწავლო კურსები, კულტურული ან სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა, მკურნალობა და ა.შ.
- მოკლევადიანი ვიზიტი გულისხმობს, რომ საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, დაყონ ისრაელის ტერიტორიაზე 1-იდან 90 დღემდე ვადით 6 თვის განმავლობაში. შესაბამისად, ისრაელში ლეგალურად ყოფნის ვადის ამოწურვის შემდეგ საქართველოს მოქალაქემ უნდა დატოვოს ამ ქვეყნის ტერიტორია. ისრაელის ტერიტორიაზე მომდევნო შესვლა შესაძლებელია ბოლო შესვლიდან 90-დღიანი (3-თვიანი) პერიოდის გასვლის შემდეგ. ისრაელში უვიზო შესვლა არ იძლევა ისრაელში მუშაობის ან დასაქმების უფლებას!

რა პროცედურების გავლა უწევთ საქართველოს მოქალაქეებს ბენ გურიონის სახელობის აეროპორტში?

საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს ისრაელის სასაზღვრო პუნქტთან სასაზღვრო კონტროლის სამსახურის წარმომადგენელმა შესაძლოა მოსთხოვოს შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:

- მგზავრობის მიზნის დამადასტურებელი დოკუმენტები (მოწვევა ან იმ პირის ბინადრობის ნებართვის ასლი, რომლის მოსანახულებლადაც მიემგზავრებით; სასტუმროს ჯავშანი ან იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ იცხოვრებთ თქვენს მეგობართან ან ახლობელთან; იმ სამედიცინო დაწესებულების დასტური, რომელშიც მკურნალობას გეგმავთ, სამოგზაურო ან სამედიცინო დაზღვევა და სხვა);
- მგზავრობის სრული პერიოდისათვის საარსებოდ და სამშობლოში დაბრუნებისათვის საკმარისი თანხის ფლობის დამადასტურებელი საბუთი (ნაღდი ფული, სამგზავრო ჩეკები ან მოქმედი საბანკო ბარათები და ა.შ.);
- უკან დაბრუნების გარანტია: სამგზავრო ბილეთი ორივე მიმართულებით (ავიაბილეთი, ქვეყნის შიგნით ავტობუსის ან მგზავრობის სხვა საშუალების ბილეთი და ა.შ.).

ზოგჯერ საზღვრის დაცვის სამსახური მოქალაქეთა ვიზიტის მიზნის დასადგენად ახორციელებს დამატებით გასაუბრებას მგზავრებთან. საზღვრის გადაკვეთის პროცედურა გასაუბრების ჩათვლით შესაძლოა 3-4 საათს გაგრძელდეს, რაც დამოკიდებულია იმ მომენტისათვის არსებულ მგზავრთა ნაკადსა და საიმიგრაციო სამსახურის ადამიანურ რესურსებზე.

წყარო: www.israel.mfa.gov.ge

ისრაელში შესვლა-გამოსვლის დაჩქარებული პროცესი

ბენ გურიონის აეროპორტში რიგში დგომა თავიდან რომ აიცილოთ, აეროპორტის VIP სერვისები ჩამოფრენისა და გაფრენის პროცესის დაჩქარებას გთავაზობთ. VIP კლუბის წარმომადგენელი სტუმრებს აეროპორტში ხვდება და ზრუნავს ბარგის მიღებაზე, უსაფრთხოების სკრინინგზე, ბარგის გამოკვლევაზე, პასპორტის კონტროლზე იმ მომენტიდანვე, როცა თვითმფრინავი დაჯდება, ან სერვისების დარბაზში შეაბიჯებთ (იმის მიხედვით, თუ რა შედის თქვენს VIP პაკეტში).

ფასი: 1-4 პერსონაზე – 125 $; 5-19 პერსონაზე – კაცზე დამატებითი 16 $.

VIP კლუბის სერვისი – ჩასვლა ისრაელში

სერვისი მოიცავს თვითმფრინავიდან გასასვლელ დარბაზამდე ესკორტს და სწრაფ პროცედურას საჰაერო ხიდთან შეხვედრის შემდეგ. მგზავრები პერსონალური მინიავტომობილით გადაჰყავთ ბილიკზე, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხოების სკრინინგი და პასპორტის კონტროლი. სტიუარდები და სტიუარდესები მგზავრებს გასასვლელი დარბაზიდან მანქანაში მომლოდინე მძღოლისკენ გაუძღვებიან.

ფასი: 1-4 პერსონაზე – 139 $; 5-10 პერსონაზე – კაცზე დამატებითი 20 $.

გაფრენისას რეისზე რომ არ დაგვიანოთ, აეროპორტში ჩასხდომის დაწყებამდე სამი საათით ადრე გამოცხადდით, რადგან აქ ბარგსაც და დოკუმენტებსაც მკაცრად და საგულდაგულოდ ამოწმებენ.

Ben Gurion Airport Express & VIP Service
დაჯავშნეთ ვებგვერდზე: www.israelwelcome.com/vipservicereservation

ტაქსით მგზავრობა ბენ გურიონის აეროპორტიდან:
იერუსალიმში – 250 NIS (შაბათს – 300 NIS)
თელ-ავივის ცენტრში – 250 NIS

ALEGRA BOUTIQUE HOTEL

სტუდიოს ტიპის ხუთი სუიტი რომანტიზმითა და იერუსალიმის კულტურული კონტექსტითაა გაჟღენთილი – ეინ კერემის დიზაინი აღმოსავლური მოტივებისა და თანამედროვე დახვეწილობის სიმბიოზია. სამი ელეგანტური სუიტი ნამდვილად წარჩინებული ადამიანის გემოვნებაზეა მორგებული, აქ იერუსალიმური სახლებისათვის დამახასიათებელი ინტერიერი, უნიკალური საცხოვრებელი პირობები და ფართო საწოლებია მაქსიმალური რელაქსაციისა და ნებივრობისთვის.

ახალგამომცხვარი პურის მადისაღმძვრელი სურნელი თუ გაგაღვიძებთ, იცოდეთ, ეს იერუსალიმის კულინარიული სამყაროს ამომავალი ვარსკვლავის, შეფ-მზარეულ ამირის ნახელავია. „ალეგრაში“ ქალაქში საუკეთესო საუზმე და სხვა კერძები გელით, რომლებიც ქორფა სეზონური პროდუქტით, კლასიკური და თანამედროვე მეთოდების შეზავებითა და იერუსალიმური შტრიხებითაა დამზადებული. ღვინის ფართო არჩევანი კი საშუალებას გაძლევთ, ჭიქით ხელში დატკბეთ 150-წლოვანი ბაღის ხედებით.

სტანდარტული ნომრის ფასი: 180 $-იდან

Derech Hahachaiot 13, Jerusalem;
www.hotelalegra.com

THE AMERICAN COLONY

იერუსალიმის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს შორის მდებარე ეს სასტუმრო საუკუნეზე მეტია არსებობს. აქ ბინავდებოდნენ ინგრიდ ბერგმანი, მარკ შაგალი, უინსტონ ჩერჩილი, ბობ დილანი, ლოურენს არაბი (თომას ედვარდ ლოურენსი), უმა თურმანი. 95 ნომერი განთავსებულია ოთხ ისტორიულ შენობაში: Main House, East House, Palm House და Cow Byre. The East House თაღოვანი ჭერითა და ძველი, ელეგანტური ოთახებით გამოირჩევა, ხოლო ბოლო სართულზე პენტჰაუსის ტიპის ნომრებია. პენტჰაუსის სუიტებს სპა-სააბაზანოები ამშვენებს, ხოლო ზოგიერთ ნომერს საკუთარი ტერასა და შიდა ეზო აქვს.

იდილიური შიდა ბაღი საუკეთესო ადგილია ქალაქის ქაოსისაგან გასაქცევად. რომანტიკული საზაფხულო ბარი უნიკალურ გამაგრილებელ კოქტეილებს შემოგთავაზებთ, ხოლო აღმოსავლური სტილის რესტორანი ყველაზე მეტად ცნობილია განუმეორებელი საშაბათო მენიუთი.

ფასი: 300 $-იდან

Louis Vincent st 1, Jerusalem; www.americancolony.com

MAMILLA

ისრაელში არც ერთი ნაგებობა ისე არ გამოხატავს თანამედროვე დიზაინისადმი ერთგულებას, როგორც სასტუმრო „მამილა“, რომელიც 2009 წელს გაიხსნა. ქალაქის საქმიან ნაწილთან ახლოს მდებარე შენობა პირდაპირ გადაჰყურებს ძველი ქალაქის გალავანს. 194-ოთახიანი სასტუმრო ადგილობრივი ღია ფერის კირქვითაა მოპირკეთებული.

ფასი: 350 $-იდან

King Solomon st 11, Jerusalem
www.mamillahotel.com

AKASHA WELLBEING CENTER – ისრაელის საუკეთესო სპა-ცენტრი კლიენტებს მასაჟთან ერთად სთავაზობს იოგას, ფილატესს, საცურაო აუზს, „ჯანსაღ ბარს“ ხილითა და წვენებით.

KING DAVID

1920-იან წლებში აშენებული ეს უნიკალური ისტორიული დაწესებულება, რომელშიც ხშირად ბინავდებიან სხვადასხვა ქვეყნის ლიდერები და ცნობილი ხელოვანები, მსოფლიოს ლეგენდარულ სასტუმროთა რიცხვშია. სასტუმროს კიდევ ერთი ღირსება საუკეთესო მდებარეობაა – ძველი და ახალი ქალაქის გადაკვეთის ადგილი; სასტუმროს მფლობელობაშია მწვანემდელოებიანი ბაღები, ჩოგბურთის კორტები, აუზი და სათამაშო მოედანი პატარებისთვის; სტუმრების განკარგულებაშია იერუსალიმის ყველაზე დიდებულ ბაღში მდებარე ღია საცურაო აუზი პანორამული ხედით. სასტუმროში 233 ნომერია, ყველა მათგანში ფუფუნება და ელეგანტურობა ერთმანეთს ერწყმის. სპა და ახალი ფიტნეს-ცენტრი ვარჯიშისა და გამჯანსაღებელი პროცედურების მაღალი ხარისხის უპირობო გარანტიას იძლევა. ის უნიკალურად ჰარმონიულ გარემოს ჰპირდება სტუმრებს.

DAVID CITADEL

David Citadel-იდან ძველი ქალაქის საუკეთესო ხედი მოჩანს. დიზაინში ურთიერთშერწყმულია ტრადიციული იერუსალიმური და აღმოსავლური არქიტექტურის ელემენტები. ცნობილი არქიტექტორ-დიზაინერის, პიერო ლისონის განსაცვიფრებელი დიზაინი ამშვენებს ვრცელ ლობი-ლაუნჯს. კლასიკური მუქი მწვანისა და ჟოლოსფრის გამა მზის შუქზე მარჯნისფრად და ღია მწვანედ გარდაიქმნება. ყოველდღიურ მენიუშია ცხელი კერძების ფართო არჩევანი, ცივი სალათები, სენდვიჩები და სასმელები, რომლებიც სასტუმროს შეფ-მზარეულის, ავი ტურგემანის ზედამხედველობით მზადდება.

The Seasons Restaurant-ში შემოგთავაზებენ არაჩვეულებრივ საუზმეულს, რომელთა შორისაა ადგილობრივი წარმოების ყველის სახეობები, შებოლილი თევზი და ქაშაყის ფილე, ახალთახალი სალათები და სხვა ჯანსაღი პროდუქტები.

სასტუმროს ტერიტორიაზე 4 რესტორანი მუშაობს, რომელთა შორის განსაკუთრებით პოპულარულია ღია ცის ქვეშ მდებარე King's Garden-ი – ამ შესანიშნავ გარემოში ისრაელის ტრადიციული სამზარეულოს უგემრიელეს კერძებს შემოგთავაზებენ. **ფასი:** 400 $-იდან

King David 23, Jerusalem; www.danhotels.com

ზაფხულში ამ მსუყე კერძებს ულამაზეს ტერასაზე დააგემოვნებთ. თუ David Citadel-ში არ ცხოვრობთ, გირჩევთ, საუკეთესო საუზმის მისარომევად ერთხელ მაინც ეწვიოთ ამ რესტორანს. **ფასი:** 350 $-იდან; **ტრადიციული ორადგილიანი ნომრის ფასი:** 500 $-იდან

King David st 7, Jerusalem; www.thedavidcitadel.com

DAN JERUSALEM

Dan Jerusalem-ი შესანიშნავი სასტარტო წერტილია უდაბნოსაკენ, მკვდარი ზღვისა თუ მასადისკენ მოგზაურობის დასაწყებად. სასტუმროში 500 ნომერი და სუიტი, რამდენიმე რესტორანი, ბარები და ღია აუზია. თანამედროვედ აღჭურვილ სპა-ცენტრში კეთილგანწყობილი პერსონალი დაგხვდებათ, რომელიც მრავალნაირ გამაჯანსაღებელ თუ კოსმეტიკურ პროგრამასა და თბილ დახურულ აუზს შემოგთავაზებთ. თუ სასტუმროს მისივე ვებგვერდიდან დაჯავშნით, 5 პროცენტით ნაკლებს გადაიხდით.

ფასი: 150 $-იდან

Lehi st 32, Jerusalem; www.danhotels.com

განსაკუთრებით საინტერესოა ებრაელი ხალხის ისტორიისა და ყოფითი კულტურის ამსახველი გამოფენები, სადაც მთელი მსოფლიოდან უნიკალური ექსპონატებია თავმოყრილი.

ISRAEL MUSEUM

ქვეყნის უდიდესი მუზეუმი გივატ რამის მთაზე მდებარეობს. ეს კომპლექსი მოიცავს განყოფილებებს, სადაც დამთვალიერებელი ნახავს არქეოლოგიის, მე-20 საუკუნის ხელოვნების, სამხრეთამერიკული ხელოვნების ნიმუშებს, იმპრესიონისტების ნამუშევრებს და ა. შ. აქვეა ქანდაკების ბაღიც.

მუზეუმი 1965 წელს დაარსდა და ენციკლოპედიური კოლექციის მფლობელია – პრეისტორიული ეპოქით დაწყებული, თანამედროვე ხელოვნებით დამთავრებული. მუზეუმი ამჟამად 500 000 ექსპონატს ფლობს. იგი მსოფლიოში აღიარებულ, კულტურულ ფასეულობათა უმრეტ საგანძურს წარმოადგენს არა მხოლოდ ისრაელისა და ახლო აღმოსავლეთის, არამედ მთელი პლანეტის მასშტაბით.

წიგნის ტაძარი

წიგნის ტაძარი თანამედროვე არქიტექტურის შედევრია, რომელშიც გამოფენილია მკვდარი ზღვის გრაგნილი ხელნაწერები – უკანასკნელი ასწლეულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური აღმოჩენა – ისრაელის სახელმწიფოსა და ებრაელი ხალხის ეროვნული საგანძური. ექსპონატთა შორისაა X საუკუნის „ალეპოს კოდექსი“ – ყველაზე ძველი და სრული (გრაგნილების აღმოჩენამდე) ებრაული ბიბლიური კოდექსი.

„სამყარო თავდაყირა“. ანიშ კაპური

მეორე ტაძრის ეპოქის იერუსალიმის მაკეტი

მაკეტი დამთვალიერებელს წარმოუდგენს ახ. წ. 66 წლამდე არსებული იერუსალიმის არქიტექტურასა და ტოპოგრაფიას. სწორედ ამ დროს იფეთქა აჯანყებამ რომაელების წინააღმდეგ, რომლის დროსაც დაიქცა ქალაქიცა და ტაძარიც.

ეს მაკეტი თავდაპირველად სასტუმრო „გოლილენდის“ ტერიტორიაზე აააგეს; ამჟამად კი, წიგნის ტაძართან ერთად, სამუზეუმო კომპლექსის საკუთრებაა. იგი შესრულებულია მასშტაბში 1:50 და 1000 კვ. მ-ზეა განფენილი.

დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა, უკეთესად აღიქვას II ტაძრის ეპოქის ისტორიული კონტექსტი, მკვდარი ზღვის ეტრატების ისტორია და ყველაფერი, რაც ქრისტეს უკავშირდება.

ქანდაკების ბაღი

ბაღის უნიკალურ კონცეფციას იაპონური წარმოშობის ამერიკელი მოქანდაკის, ისამო ნოგუჩის იდეა დაედო საფუძვლად. სივრცე აერთიანებს ისრაელის ლანდშაფტის თავისებურებებსა და იაპონური ძენ-ბაღების სილამაზეს. ევროპელი, ამერიკელი და ისრაელელი მოქანდაკეების 50 ნამუშევარი ისეა განლაგებული, რომ მნახველმა თვალი გაადევნოს თანამედროვე ქანდაკების განვითარებას XIX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, დღევანდელობამდე. სკულპტურულ ნამუშევრებს შორისაა ჰენრი მურის ცნობილი „ხერხემლის მალები“, ოგიუსტ როდენის „ადამი“, რობერტ ინდიანის „სიყვარული“. მუზეუმის ხელოვნების განყოფილების მოდერნისტული და თანამედროვე ხელოვნების მრავალფეროვან კოლექციებში ვან გოგის, პაბლო პიკასოს, ჰენრი მურის, ფრენსის ბეკონის, ალბერტო ჯაკომეტის, ხუან მიროს, ვასილი კანდინსკის, ფერნანდ ლეჟეს ნამუშევრებია დაცული.

ისრაელის მუზეუმის ყველა განყოფილება ღიაა: კვირიდან ოთხშაბათის ჩათვლით – 10.00-17.00; ხუთშაბათს – 10.00-14.00; გამოსასვლელ დღეებსა და დღესასწაულებზე – 10.00-17.00. **ბილეთის ფასი:** 54 NIS (Israeli new shekel)

Derech Ruppin 11; www.imj.org.il

YAD VASHEM

იად ვაშემის ჰოლოკოსტის მემორიალში 2005 წელს ხელახლა გაიხსნა ისტორიის მუზეუმი. კომპლექსის არქიტექტურა მოშე საფდის ეკუთვნის, რომელმაც ახალი სიცოცხლე შთაბერა 53 წლის წინ აგებულ დაწესებულებას. 4200 კვ. მ-ზე განფენილი კომპლექსი უძველეს სოფელ ეინ კერემს გადაჰყურებს. 180 მეტრის სიგრძის ბეტონის თაღი შეჭრილია გორაკის წვეროში და გიგანტური შემინული ჭერიდან რბილად ნათდება. ნაგებობის შუაში მიმოფანტულია სხვადასხვა საგამოფენო სივრცე, ხოლო ერთ მხარეს, გორაკის დასასრულს, შენობა ორ ფლანგად იყოფა. აქედან დაინახავთ ქვემოთ გადაჭიმული ველის თვალისმომჭრელ ხედს. „სახელების დერეფანი“ ათი მეტრის სიმაღლის კონუსისებური დარბაზია, რომელიც ჰოლოკოსტის მსხვერპლი სამი მილიონი ადამიანის ხსოვნას უკვდავყოფს.

Har hazikaron, Ein Kerem; www.yadvashem.org

JERUSALEM MUSEUM FOR ISLAMIC ART

ისლამური ხელოვნების იერუსალიმის მუზეუმის ნაკრები, რომელიც მოიცავს უნიკალურ ნივთებსა და იშვიათ კოლექციებს, წარმოგვიდგენს ექსპონატებს ეგვიპტიდან, სირიიდან, ერაყიდან, თურქეთიდან, ავღანეთიდან, ინდოეთიდან, ირანიდან და ესპანეთიდან, აგრეთვე, იმ ევროპელ მხატვართა ნამუშევრებს, რომლებმაც თავიანთი ნაწარმოებები აღმოსავლეთს, მის ბუნებას, ადამიანებსა და წეს-ჩვეულებებს მიუძღვნეს.

მუდმივი თუ დროებითი გამოფენების დროს წარმოდგენილია კერამიკის, მინის, ლითონის ნაკეთობების, სარიტუალო ნივთების, ხელოვნების ნიმუშების, საიუველირო ნაწარმისა და ორნამენტიანი ხალიჩების მდიდარი კოლექციები, რომლებიც ისლამური კულტურის სხვადასხვა მიმართულებას წარმოაჩენს.

ღიაა: ორშაბათიდან ოთხშაბათის ჩათვლით – 10.00-15.00; ხუთშაბათი – 10.00-19.00; პარასკევი და ორშაბათი – 10.00-14.00; კვირადღეს დაკეტილია.
ბილეთის ფასი: 40 NIS

Hapalmach st 2, Jerusalem
www.islamicart.co.il

ROCKEFELLER ARCHAEOLOGICAL MUSEUM

როკფელერის მუზეუმში არქეოლოგიური აღმოჩენების კოლექციაა წარმოდგენილი, თუმცა მხოლოდ ვერნისაჟის სანახავად აქ ცოტა ადამიანი თუ მოდის, რადგან თავად შენობა არქიტექტურის ნამდვილი მარგალიტია. ნაგებობა XVII საუკუნეში აშენდა და სხვადასხვა დროს, მონაცვლეობით, ხან ზეითუნის ზეთის სახდელი იყო, ხანაც საცხოვრებელი სახლი.

არქეოლოგიური მუზეუმის ექსპოზიცია მოიცავს 1000-ზე მეტ არტეფაქტს ქრონოლოგიის მიხედვით, წინარე ისტორიული ეპოქიდან ოტომანების იმპერიის პერიოდის ჩათვლით; აქ ნახავთ 9000 წლის ასაკის სტატუას იერიქონიდან, ბრინჯაოს ხანის ოქროს სამკაულებს და ა. შ. მუზეუმი აღმოსავლეთ და დასავლეთ იერუსალიმის საზღვარზე მდებარეობს, ძველი ქალაქის კედლების პირდაპირ, რაც მას ერთგვარ სიმბოლურობას ანიჭებს.

ღიაა: კვირიდან ოთხშაბათის ჩათვლით – 10.00-15.00; ხუთშაბათი – 10.00-14.00; დღესასწაულებზე დაკეტილია.
შესვლა უფასოა.

Sultan Suleiman st (Herod's Gate) 27
www.imjnet.org.il

BIBLE LANDS

ბიბლიის ქვეყნების მუზეუმი ახლო აღმოსავლეთის სიძველეების უმდიდრეს კოლექციას ინახავს, ძველი კულტურების ფენომენის აღსაქმელად დამთვალიერებელს სარკმლებს უღებს და მათ შორის არსებული ურთიერთგავლენების არსებობას წარმოაჩენს.

გამოფენებს თან ახლავს რუკები, სქემები და ციტატები ძველი აღთქმიდან, რომლებიც ძველი ხალხების ყოფას, რელიგიურ კულტებს, სოციალური ურთიერთობის წესებსა და ხელოვნებას გვაცნობს. აქვეა დიდი ბაღიც, რომელშიც ძველ აღთქმაში მოხსენიებული მცენარეები ხარობს. ეს მსოფლიოში ერთადერთი მუზეუმია, რომელიც ბიბლიურ პერიოდს ეძღვნება და ცივილიზაციის გარიჟრაჟზე არსებულ ისტორიულ-კულტურულ პროცესებს იკვლევს.

ბიბლიური მიწების მუზეუმი – ეს ერთგვარი დროის მანქანაა, რომლის მეშვეობით დამთვალიერებლები, ახლო აღმოსავლეთის ისტორიის ფურცლების მიხედვით, სულისშემძვრელ მოგზაურობაში გაემართებიან.

ღიაა კვირის შვიდივე დღეს: კვირიდან ოთხშაბათის ჩათვლით – 09.30-17.30; პარასკევიდან კვირის ჩათვლით, ასევე დღესასწაულებზე – 10.00-14.00; დაკეტილია მხოლოდ ებრაული დღესასწაულების დროს.
ფასი: 44 NIS

Shmuel stefan Wise st 21,
Museum Row, Jerusalem
www.blmj.org

მაჰანე იეჰუდას ბაზარი

ამბობენ, რომ აღმოსავლეთში ყველა ქუჩა ბაზარში მიდის. შესაძლოა ყველა ქუჩა არა, მაგრამ ყველა მოგზაურის გზა აუცილებლად ბაზარზე გაივლის, რადგან რთული მოსაძებნია ადგილი, რომელიც ასე ზუსტად, სწრაფად და საინტერესოდ დაგვანახებდა იმ ქალაქის რეალობას, სადაც მოვხვდით. გამოცდილმა მოგზაურებმა ეს კარგად იციან და აუცილებლად უთმობენ ერთ დღეს ბაზარში გასეირნებას.

იერუსალიმის ბაზარი ქალაქის ცნობილი ფენომენია და არა მხოლოდ სიძველის, არამედ კულტურათა შერწყმის, პროდუქტის მრავალფეროვნებისა და ფერადოვნების გამოც.

გათვითცნობიერებული ადამიანები ამბობენ, რომ მაჰანე იეჰუდას ბაზარი ახალი იერუსალიმის სიმბოლოა. ეს ადგილი მართლაც შესანიშნავია ადგილობრივი პროდუქტების და მცირე სუვენირების შესაძენად. გარდა ამისა, აქ ფასებიც გაცილებით უფრო მისაღებია და შევაჭრებაც ჩვეულებრივი ამბავია.

მაჰანე იეჰუდას ბაზარი (Macahne Yehuda market) იერუსალიმისთვის ისეთივე სიმბოლოა, როგორიც დავითის კოშკი ან დასავლეთის კედელი. ამ უზარმაზარ სივრცეში რელიგიური კონფლიქტით და ზეციურზე მსჯელობით გადაღლილი იერუსალიმი ყოველდღიურობით ისვენებს.

აქ ჩვეულებრივი ცხოვრება დუღს – ცხოვრება, რომელიც ყველა მრწამსისა და სოციალური სტატუსის ადამიანს აერთიანებს.

საინტერესოა, რომ სწორედ ეს ადგილი იქცა თანამედროვე იერუსალიმის სახედ; ცოცხალ და მომღიმარ სახედ, რომელიც გახსნილია ყველა სიახლისათვის.

ჯერ კიდევ 8 წლის წინათ ბაზარი ღამით იკეტებოდა. უზარმაზარი, გამოცარიელებული სივრცე და დახურული დახლები ამ ადგილის რეპუტაციაზე კარგად არ მოქმედებდა. სწორედ ამ დროს ერთ-ერთ მხატვარს – სოლომონ სუზას გაუჩნდა იდეა, ჩაკეტილი მაღაზიების რკინის კარებები გრაფიტით მოეხატა და 150-მდე მაღაზიისგან ნებართვაც მიიღო. რამდენიმე თვეში ბაზარი, ფაქტობრივად, მხატვართა ნამუშევრების გალერეად იქცა. გაზრდილი ინტერესით ბაზრის მოვაჭრეებმა ისარგებლეს და რამდენიმე ბარი გახსნეს, სადაც, ძირითადად, ადგილობრივი წარმოების ლუდს ყიდდნენ.

მაღაზიების დაკეტვის შემდეგ ბაზარი ღამის ცხოვრებას იწყებდა. ასე და ამგვარად, ბაზარმა მოახერხა თითქმის შეუძლებელი – მან გააერთიანა იერუსალიმის წარსული და მომავალი, მისი მრავალრიგი ცხოვანი კონფესიების ინტერესები, ახალგაზრდების იდეები და დღეს ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და ცოცხალ ორგანიზმს წარმოადგენს ამ უძველეს ქალაქში.

WWW.MACHNE.CO.IL
მაჰანე იეჰუდას ოფიციალური საიტის მისამართია.

აქ შეგიძლიათ დაუკვეთოთ სხვადასხვა სახის ტურები და ბაზრის ტერიტორია ან მისი კაფე-ბარები პროფესიონალთან ერთად შემოიაროთ. სასურველი ტურის ფასს მეილზე გამოგიგზავნიან.

მაჰანე იეჰუდას ბაზარში იერუსალიმის რამდენიმე საუკეთესო რესტორანი და ათობით ბარია თავმოყრილი, სადაც დიდი პოპულარობით სარგებლობს ადგილობრივი პროდუქტისგან დამზადებული საკვები და სასმელი.

FRUITS OF THE JUNGLE
ერთ-ერთი პირველი მაღაზიაა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ყიდის ეგზოტიკურ ხილს. აქ არა მხოლოდ ჟოლოს და ლეღვს, არამედ ლიჩისაც აღმოაჩენთ.

PILAS – ამ საოჯახო საცხობს დიდი ისტორია აქვს. აქ ნამცხვრების, ორცხობილებისა და ტრადიციული ტკბილეულის დიდი მრავალფეროვნება დაგხვდებათ.

PEREG SPICES – ამ მაღაზიაში ჩვეული და იშვიათი სუნელების ფართო არჩევანი გელით. აქ არა მხოლოდ ცალკეულ სუნელებს, არამედ მათ სპეციფიკურ მიქსებსაც შემოგთავაზებენ სხვადასხვა კერძისთვის და რეცეპტებსაც კი ჩაგაწერინებენ.

AZOURA კიდევ ერთი ოჯახური ბიზნესია, რომელსაც უკვე მესამე თაობა მართავს. მაღაზია 1920 წელს გაიხსნა და საოცარ ახლად დაწურულ წვენებს სთავაზობს კლიენტებს. ბროწეული, მანდარინი და გარგარი მისი საფირმო ნიშანია.

CRAVE ქოშერული ახალი კონცეფციის მქონე ობიექტია. აქ ისეთი კერძებიც კი, როგორიც ბურიტოა, ქოშერულადაა მომზადებული. Crave-ში გასინჯავთ კიმ ჩისა და პასტრამის საინტერესო ვერსიებსაც.

CHATZOT შუაღამეს ნიშნავს. სწორედ აქ, აგრიპას ქუჩაზე გვიან ღამემდე შეგიძლიათ ხორციანი კერძების დაგემოვნება. ამ ადგილას თავიდან მხოლოდ გარემოვაჭრეების პატარა ფარდული იყო, ახლა გაფართოვდა და იერუსალიმელების საყვარელ სივრცედ იქცა. Chatzot-ში საფირმო შემწვარი ქათმის გასინჯვას გირჩევთ.

AROMA ESPRESSO ბარი ყველა სახის უმაღლესი ხარისხის ყავას გთავაზობთ. ეს ქსელი 125 კაფეს ფლობს მთელ ისრაელში.

სწორედ ეს ადგილი იქცა თანამედროვე იერუსალიმის სახედ; ცოცხალ და მომღიმარ სახედ, რომელიც გახსნილია ყველა სიახლისათვის.

CAFÉ MIZRAHI ბაზრის გულია, რადგან სწორედ აქედან დაიწყო მაჰანე იეჰუდას გადაქცევა პროდუქტების ტრივიალური ბაზრიდან იერუსალიმის ღამის ცხოვრების ცენტრად. 2001 წლამდე აქ საწყობი იყო, 2002 წელს ელი მიზრაჰიმ, რომლის ოჯახიც რამდენიმე დახლს ფლობდა ბაზარში, ადგილი გამოისყიდა და მორიგი დახლის მაგივრად ესპრესო ბარი გახსნა.

მოგვიანებით ეს კაფე ყველაზე პოპულარულ ადგილად იქცა ბაზარში. მაშინ, მეორე ინტიფადის შემდეგ, ბაზარი მოუვლელი და არაპრესტიჟული ადგილი იყო. მიუხედავად ამისა, კაფეს იმდენად რეზონანსული გამოხმაურება მოჰყვა, რომ სხვა ბიზნესმენებსაც გაუჩნდათ სურვილი, ბაზრის ტერიტორიაზე კაფე-ბარები გაეხსნათ. ეს ადგილი მუდამ დარჩება იმის მაგალითად, რომ ერთ მერცხალსაც შეუძლია გაზაფხულის მოყვანა.

BASHER FROMAGERIE
ელი ბაშერმა თავისი პატარა საოჯახო ბიზნესი ყველის იმპერიად აქცია და ახლა მისი მაღაზია მთელ იერუსალიმშია ცნობილი ყველისა და რძის პროდუქტების მოყვარულთა შორის.

HAMOTZI – 3 წლის წინ კულინარიულ შოუ "Master Chef"-ში გამარჯვების შემდეგ ალი ლევიმ ოცნება აისრულა და აგრიპას ქუჩაზე რესტორანი გახსნა. ალი ლევი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შეფია ისრაელში და მისი რესტორანი ჩრდილოაფრიკული კერძების მისეულ ინტერპრეტაციებს გთავაზობთ.

BEER BAZAAR
ეტს შაიმისა და ჯაფას ქუჩების კუთხეში „ლუდის ბაზარს" აღმოაჩენთ, სადაც ადგილობრივი წარმოების ლუდის 70-მდე სახეობის შეძენაა შესაძლებელი. ღამით „ლუდის ბაზარში" მაგიდებს პირდაპირ ქუჩაში აწყობენ და მთელი ბაზარი ერთ დიდ ბარადაა ხოლმე ქცეული. იერუსალიმის ღამის ცხოვრების ცენტრი სწორედ ეს ადგილია.

FISHENCHIPS
შლომი და ავრიამი მოგზაურობიდან ბიზნეს იდეით დაბრუნდნენ და ახალი თევზით (მამის თევზის მაღაზიიდან) და ბაზარში ნაყიდი კარტოფილით „ფიშ ენდ ჩიპსს" ამზადებენ. საქმეს შეფ-მზარეულ მარიო გაინის სოუსები აგვირგვინებს.

ისრაელში მოგზაურობისას გურმანებისთვის ყველაზე საინტერესო კულინარიული შთაბეჭდილება საავტორო სამზარეულოს დამკვიდრებაა. იმ რესტორნებში, სადაც ორიგინალური საავტორო მენიუა, ოთხშაბათსა და განსაკუთრებით ხუთშაბათ საღამოს ძალიან ბევრი სტუმარია. ამიტომ გირჩევთ, წინასწარ დაჯავშნოთ ადგილი – თუნდაც სასურველ თარიღამდე ორი კვირით ადრე.

ბევრ ცნობილ რესტორანში ე. წ. „ღია სამზარეულო“ დაგხვდებათ. შესაბამისად, ისინი უფრო საინტერესო და „ცოცხალ“ ადგილებად მიიჩნევა. აქ სამზარეულო მხოლოდ დახლითაა გამოყოფილი დარბაზისგან და შეგიძლიათ თავად შეფი ან ბარმენი გაიცნოთ, ან სამზარეულოში გაჩაღებული სამუშაოს ცქერით გაერთოთ.

ჯობს, საავტორო რესტორნებში აირჩიოთ შეფის მენიუ, რომელიც რამდენიმე ნიშანდობლივი კერძისგან შედგება. ეს საშუალებას მოგცემთ, უკეთესად გაიაზროთ მზარეულის კონცეფცია და დააგემოვნოთ ის კერძები, რომლებსაც სხვაგან ვერ მიირთმევთ. შეკვეთისას შეგიძლიათ მიუთითოთ ის საკვები, რომელიც პირადად თქვენთვის მიუღებელია. შეფი ამას აუცილებლად გაითვალისწინებს.

ისრაელში რესტორნების უმეტესობა, ტრადიციულად, კვირიდან ხუთშაბათის ჩათვლით მუშაობს. პარასკეობით ძირითადად ლანჩის შემდეგ (15.00-ზე) იხურებიან;

კვირაობით კი ვახშმისათვის იხსნებიან (19.30-20.00-იდან). რესტორნებსა და კაფეებში მიღებულია ფეხის ქირის დატოვება 10-15%-ის ოდენობით.

ADOM

ეს რესტორანი იერუსალიმის კულინარიულ სცენაზე უკვე დიდი ხანია ლიდერობს. სხვადასხვა დროს აქ უმუშავია თანამედროვე სამზარეულოს რამდენიმე ვარსკვლავ შეფს. დღეს რესტორანს უძღვებიან გამოჩენილი ასაფ და ნომ რიცები, რომლებმაც შეიმუშავეს ფრანგულ-ისრაელური „ფიუჟენი“ თევზეულითა და ხორცით. სტუმრებზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს სხვადასხვაგვარი თევზის ტარტარი, რიზოტო ცისფერი კიბორჩხალათი და უგემრიელესი საფირმო კოქტეილები. **ღიაა:** 12.00-02.00; **ფასი:** 152 NIS (2 კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

First station (იერუსალიმის ყოფილი პირველი რკინიგზის სადგურის კომპლექსი)

David Ramez st 4; Tel. +972 2 624 6242

MACHNEYUDA

ამ რესტორანს აუცილებლად უნდა ესტუმროთ, რადგან დაუვიწყარი, ცოცხალი, პროგრესული და მრავალეთნიკურ ტრადიციებზე დაფუძნებული დაწესებულება სამმა გამორჩეულად ნიჭიერმა შეფმა შექმნა: ასაფ გრანიტმა, ური ნავონმა და იოსი ელადმა. თანამედროვე ისრაელური კულინარიული აღზევებისა და პოპულარობის მიზეზების გააზრება ამ რესტორნის კერძების დაგემოვნების გარეშე შეუძლებელია.

გირჩევთ, ენდოთ მიმტანს (შეფს) – აქ თავად შეგირჩევენ რაიმე განსაკუთრებულ საოცრებას თავიანთი მენიუდან, რომელიც სეზონურად მუდმივად იცვლება (აუცილებლად გასინჯეთ სოკოს პოლენტა). წინასწარი დაჯავშნისას ჯობს, აირჩიოთ რესტორნის პირველი სართული; ყველაზე პოპულარული დღე კი ხუთშაბათია (21.00-იდან).

ღიაა: კვირა-ხუთშაბათი – 12.30-16.00, 18.30-იდან (ბოლო კლიენტის წასვლამდე); პარასკეობით – 11.30-იდან და შაბათის დაწყებამდე საათ-ნახევრით ადრე იკეტება. შაბათის დამთავრებიდან საათ-ნახევრის შემდეგ იხსნება. **ფასი:** შეფის მენიუ ერთ პერსონაზე 265 NIS ან 188 NIS (2 კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

Beit Ya´Akov st 10; Tel. + 972 2 533 3442

TALBIYE

Machneyuda-ს ჯგუფს ეკუთვნის, აგრეთვე, რამდენიმე მშვენიერი რესტორანი ლონდონსა და იერუსალიმში, მათ შორისაა იერუსალიმის თეატრის ქვეშ განთავსებული სამზარეულო და ღვინის ბარი, რომელიც დილაობით გთავაზობთ სახელგანთქმულ განუმეორებელ ისრაელურ საუზმეებს Machneyuda-ს ჯგუფის ყველა შეფის მიერ შემოთავაზებული განსხვავებული ვარიანტებით.

ფასი: საუზმე – 55 NIS; სადილი – 142 NIS (2 კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

Chopin st 5; Tel. +972 2 581 1927

ROOFTOP

ეს რესტორანი განთქმულია თავისი ადგილმდებარეობით: ის ლუქსის კლასის სასტუმრო „მამილას“ ტერასაზეა განთავსებული, საიდანაც იშლება ქალაქის თვალწარმტაცი ხედი, რომელიც მზის ჩასვლისას შეუდარებელია. აუცილებლად დაადგემოვნეთ თიხის ღუმელ „ტაბუნში“ მომზადებული კერძები. რესტორანი გთავაზობთ მაღალი ხარისხის ბოსტნეულის, თევზეულისა და ხორცის ევროპულ კერძებს, თუმცა გემრიელი ქორჭილას შაურმაც დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ. **ღიაა:** კვირა-ხუთშაბათი – 18.00-23.00; პარასკევი – 12.00-14.30; შაბათი – 19.30-23.00; **ფასი:** 224 NIS (2 კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

Hotel Mamila; Shlomo ha-Melekh st 11; Tel.+ 972 2 548223O

JACKO'S

იერუსალიმის ბაზრის, მაჰანე იეჰუდას მიმდებარე ტერიტორიაზე ბევრი საინტერესო პატარა რესტორანი მდებარეობს. მათ შორის აუცილებლად უნდა ეწვიოთ შეფ-მზარეულ ზაკაი ჰუჯას მხიარულ დაწესებულებას, რომლის ნებისმიერი კერძის – ორაგულის სევიჩეს, სიმინდზე გაზრდილი ხბოს ასადოსა თუ ჩვეულებრივი ჰამბურგერის გემო დიდხანს გემახსოვრებათ.

ღიაა: ორშაბათი-ხუთშაბათი – 18.00-01.00; შაბათი – 21.00-01.00; კვირა – 18.00-01.00; პარასკეობით დაკეტილია. **ფასი:** 177 NIS (2 კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

Hashikma st 6; Tel. + 972 2 581 7178

CHAKRA

2000 წლიდან ერან პერესა და როჯერ მურის პრესტიჟული რესტორანი ადგილობრივების თავშეყრის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ადგილია. შეფების კონცეფციით, აქ წარმოდგენილია იტალიური მენიუ იერუსალიმური აქცენტებით, მაგალითად, შემწვარი ჭარხალი მოცარელათი; კალმარები ლიმონის მარინადითა და ქორფა ქინძით; ღია ცეცხლზე შემწვარი ბადრიჯანი ტაჰინის სოუსით. **ღიაა:** კვირა-პარასკევი – 18.00-იდან; შაბათი – 12.30-იდან ბოლო კლენტამდე; **ფასი:** 225 NIS (2 კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

King George st 41
Tel.+ 972 2 625 2733

MONA

ნიჭიერი შეფები – მოშე გამლიელი და იტამარ ნავონი გვთავაზობენ თანამედროვე, ევროპულ-იერუსალიმურ მიქსს. მენიუს ინსპირაცია მაჰანე იეჰუდას ბაზრის სეზონურად ცვალებადი პროდუქტებიდან მოდის.

გირჩევთ, გასინჯოთ ტულუმ ყველის რავიოლი, თევზის ტარტარი ლემონგრასის სოუსით და ჰანგარ სტეიკი.

ღიაა: კვირა-ხუთშაბათი 18.30 – ბოლო კლიენტამდე; პარასკევი: 12.30-16.30 და 18.00-იდან; შაბათი: 12.30-იდან – ბოლო კლიენტამდე; **ფასი:** 211 NIS (2 კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

Hmuel Hanagid st 12
Tel.+972 2 622 2283

SATYA

ეს შეფ-მზარეულ ილან გარუსის საავტორო რესტორანია, რომელიც მედიტერანული სამზარეულოს ზეგავლენით შეიქმნა. კერძები სათუთად, სეზონური პროდუქტების თავისებურებათა მკაცრი გათვალისწინებითაა შერჩეული. გირჩევთ, მიირთვათ ქათმის ღვიძლის სალათა, ზღვის პროდუქტების უგემრიელესი კერძი (ტაფაზე შემწვარი კალმარები და კრევეტები) და იაპონურ სოუსში 8 საათის განმავლობაში დამარინადებული ნეკნები.

ღიაა: 13.00-17.00; 19.00-01.00; **ფასი:** 194 NIS (2 კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

Keren HaYesod st 31
Tel.+972 2 650 6808

HaKETZAVIM

ხორცის კერძების რესტორანი შუა აღმოსავლეთის კულინარიული ტრადიციების მიმდევარია. მისი მფლობელები პროფესიონალი ყასბების მრავალწლიანი დინასტიის წარმომადგენლები არიან.

აქ მხოლოდ საუკეთესო ხარისხის, გრილზე ოსტატურად მომზადებულ ხორცის კერძებს, განსაკუთრებით ქაბაბებს შემოგთავაზებენ. ეს ადგილი ხორცის მოყვარულთათვის ნამდვილი ოაზისია. **ღიაა:** კვირა-ხუშაბათი – 12.00-01.00; **ფასი:** 155 NIS (2 კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

Agripas st 34
Tel. +972 2 328 1891

AUSTRIAN HOSPICE

ვია დოლოროზასა და ალ ვადის ქუჩების კუთხეში მდებარეობს ავსტრიული ჰოსპისის ისტორიული შენობა. აქ 150 წლის წინათ ავსტრიელი კათოლიკე პილიგრიმების ცენტრი დაარსდა. დღეს ეს ტრადიცია ნაწილობრივ შენარჩუნდა და ჰოსპისი იქცა სასტუმროდ, რომელიც ღიაა როგორც მომლოცველებისთვის, ისე ჩვეულებრივი მოგზაურებისათვისაც. ეწვიეთ ამ ტერიტორიაზე მდებარე განთქმულ ვენურ კაფეს, სადაც შეძლებთ მიირთვათ Julius Meinl-ის ფირმის ნამდვილი ვენური ყავა და განთქმული შტრუდელი, ვენური შნიცელი და ავსტრიული სამზარეულოს სხვა კერძები. ჰოსპისის ხის კარი, ჩვეულებრივ, დაკეტილია, ამიტომ აუცილებლად ზარი უნდა დარეკოთ. **ღიაა:** ყოველდღე – 10.00-23.00; **ფასი:** 140 NIS(2 კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

Via Dolorosa 37; Tel. +972 2 6265800

NAFOURA JERUSALEM

ქრისტიანულ უბანში, ჯაფას კარიბჭესთან ახლოს, მდებარეობს რესტორანი, რომელშიც ტრადიციულ კერძებს შემოგთავაზებენ. აქ შეგიძლიათ შესანიშნავ ინტერიერში ან ძალიან მყუდრო, სასიამოვნო შიდა ეზოში ისადილოთ. **ღიაა:** ყოველდღე კვირის გარდა – 12.00-24.00
ფასი: 143 NIS (2 კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

Latin Patriarchate Road 26; Tel. +972 2 6260034

JAFFA GATE FALAFEL RESTAURANT & CAFE

ეს ფალაფელის მოყვარულთათვის საუკეთესო ადგილია. ძველ ქალაქში ყველაზე გემრიელი ფალაფელი სწორედ ჯაფას კარიბჭესთან შეგიძლიათ მიირთვათ. Jaffa Gate Falafel მოგზაურებისთვის აუცილებლად მოსანახულებელ ობიექტთა სიაშია. **ღიაა:** 24 საათის განმავლობაში.

Corner of the Latin Patriarch Road

BANDORA

თუ ძველ ქალაქში სეირნობისას შემთხვევით აღმოჩნდებით რეხოვ ტიფერეტის ქუჩაზე, იცოდეთ, რომ აქ, ადგილობრივების აზრით, ქალაქის საუკეთესო შაურმას ამზადებენ.

Rehov Tiferet 17; Tel. +972 50 4205649

ETZ CAFÉ და SHRAGA

ეს ორი კაფე გვერდიგვერდ მდებარეობს. Etz Café ცნობილია თავისი უგემრიელესი მრავალფეროვანი კერძებით, თუმცა ამ ადგილის პოპულარობა კიდევ იმიტომ გაიზარდა, რომ ყოველდღიური შემოსავალი თითქმის მთლიანად მიუსაფარ ბავშვთა ფონდში ირიცხება. Shraga პატარა არტისტული კაფეა, სადაც შეგიძლიათ მიირთვათ კარგი ყავა და უგემრიელესი, სახელდახელოდ მომზადებული სენდვიჩები. **ღიაა:** კვირა-პარასკევი – 08.00-16.00; შაბათს დაკეტილია. **ფასი:** 75 NIS (სალათა ან საუზმე /ყავა და წვენი)

Yanai 3; Tel. +972 542489178

CAFÉ KADOSH

ეს კაფე, რომელმაც პოპულარობა დამსახურებულად მოიპოვა, 41 წლის წინ გაიხსნა და დღესაც დამფუძნებელთა ოჯახის საკუთრებაა. უგემრიელესი პურ-ფუნთუშეული და თევზის მარინადი იქვე, ადგილზე მზადდება. კაფე ცნობილია თავისი ნაირ-ნაირი საუზმეულითაც. ამიტომაც გირჩევთ, ადგილი წინასწარ დაჯავშნოთ.

Shlomotzion HaMalka 6; Tel. +972 53 8094518

MAMILLA CAFÉ

სასტუმრო „მამილასთან“ არსებულ კაფეს იდეალური ტერასა ამშვენებს და შესანიშნავ ადგილას მდებარეობს – საშოპინგო ქუჩის თავზე. გარდა ამისა, 12.00-იდან 18.00-მდე ყოველ შეკვეთილ მთავარ კერძთან ერთად კაფე თავის კლიენტებს საჩუქრად ჭიქა ღვინოს სთავაზობს. **ღიაა:** ყოველდღე, პარასკევ საღამოსა და შაბათ დილის გარდა; **ფასი:** 150 NIS (2 კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

King Solomon st 11; Tel. +972 2 548 2230

გამოფენების კალენდარი 2017

16-17 თებერვალი — www.educationfair.ge
IEFG – განათლების საერთაშორისო გამოფენა
უმაღლესი და პროფესიული განათლების, საზღვარგარეთ სწავლისა და სტუდენტური სერვისების მე-7 საერთაშორისო გამოფენა

27-29 აპრილი — www.tourismexpo.ge
CTF'17 – CAUCASUS TOURISM FAIR
მე-19 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა

16-19 მაისი — www.buildexpo.ge
CAUCASUS BUILD 2017
მშენებლობისა და ინტერიერის 22-ე საერთაშორისო გამოფენა

9-11 ივნისი — www.winexpo.ge
WINEXPO GEORGIA'17
ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-10 საერთაშორისო გამოფენა

11-13 ოქტომბერი — www.elcommexpo.ge
ELCOMM CAUCASUS 2017
ენერგეტიკის, ელექტროტექნიკისა და ტელეკომუნიკაციის მე-4 საერთაშორისო გამოფენა

AQUATHERM TBILISI 2017
გათბობის, წყალმომარაგების, სანტექნიკის, კონდიცირების, ვენტილაციისა და აუზის მოწყობილობების მე-4 საერთაშორისო გამოფენა
www.aquatherm.ge

26-28 ოქტომბერი — www.thfexpo.ge
THF'17 – TBILISI HEALTH FORUM
- **სამედიცინო აღჭურვილობა**
  ტექნოლოგიისა და აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენა
- **ესთეტიკური მედიცინა**
  ესთეტიკური მედიცინის საერთაშორისო გამოფენა
- **სტომატოლოგია**
  სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიური აღჭურვილობის საერთაშორისო გამოფენა

20-22 ნოემბერი — www.agroexpo.ge
AGRO / FOOD / DRINK / TECH EXPO GEORGIA
სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების მე-17 საერთაშორისო გამოფენა

დეკემბერი — www.bookexpo.ge
თბილისის წიგნის დღეები 2017

GATSBY

ამ ბარში მოხვედრამდე მთელი თავგადასავალი გელოდებათ – უღიმღამო შესასვლელის გავლის შემდეგ წიგნების თაროებით გაწყობილ, XX საუკუნის დასაწყისის ინტერიერში მოხვდებით. თუ ადგილი დაჯავშნილი გაქვთ, კედელი იხსნება. ამგვარად, ამერიკის „მშრალი კანონის“ ეპოქის ჯაზისა და სვინგის ჰანგებში გახვეულ, ჯადოსნური კოქტეილების სამყაროში აღმოჩნდებით.

ღიაა: შაბათი-პარასკევი – 18.00-03.00; კვირა – 18.00-24.00; **ფასი:** 38 NIS-იდან ("La Punta" – ჩილის წიწაკით გაჯერებული ტეკილას კოქტეილი)

Hillel st 18; Tel. +972 54 8147143

ZUTA

იანკალე ტურჯემანის ცნობილ რესტორან „1868“-სთან არსებული ბარი გამორჩეულია საუკეთესო სასმლებისგან მომზადებული კლასიკური კოქტეილებით. აუცილებლად გირჩევთ, მიირთვათ Knob Creek Rye ბურბონით შეზავებული კლასიკური კოქტეილი Old Fashion. **ღიაა:** კვირა-ხუთშაბათი – 18.00-იდან; **ფასი:** კოქტეილი 38 NIS-იდან

10, King David street; Tel. +972 072 328 1977

YUDALE

ეს გახლავთ თავისუფალი ატმოსფეროთი გამორჩეული ბარი, სადაც შეგიძლიათ „ტაპასის“ სტილის უგემრიელესი აპეტაიზერები და შესანიშნავი კოქტეილები მიირთვათ. ეს დაწესებულება „მაჰნეიუდა ჯგუფის“ საკუთრებაა და მათი მთავარი რესტორნის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს. **ღიაა:** კვირა-ხუთშაბათი – 18.30-იდან ბოლო კლიენტის წასვლამდე; პარასკევი – 11.30-იდან 03.00-მდე და შაბათის დამთავრების შემდეგ. **ფასი:** კოქტეილი – 38 NIS

Beit Ya'akov st 11; Tel. + 972 2 5333442

VOYAGER რეკომენდაცია

რკინიგზის ძველი სადგური

XIX საუკუნეში იერუსალიმმა, როგორც ურბანულმა სივრცემ, კედლების გარეთაც დაიწყო განვითარება, თუმცა ჯაფადან იერუსალიმში მოხვედრა არც თუ ადვილი იყო. გზას 10 საათი სჭირდებოდა და გადაადგილება, ძირითადად, აქლემებით ხდებოდა. ახალი ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად იერუსალიმში პირველი სარკინიგზო სადგურის მშენებლობაც გადაწყდა. ეს ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის დროს მოხდა.

ჯაფა-იერუსალიმის სარკინიგზო ხაზის მშენებლობის ამბავი ისტორიულ რომანს ჰგავს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ისტორიას ბედნიერი დასასრული აქვს. 1892 წლის 26 სექტემბერს იერუსალიმის სადგურში პირველი მატარებელი ჩამოდგა და ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. საზეიმო განწყობა კარგახანს გაგრძელდა, რადგანაცსადგურში,ოსმალეთისიმპერიისმბრძანებლობის დროს აშენებულ ერთადერთ საჯარო შენობაში, მუდამ სიცოცხლე დუღდა.

მას შემდეგ, რაც სადგურმა ფუნქცია დაკარგა, მისი კონსერვაცია გადაწყდა. მის აღდგენას მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლის შესაბამისად მიუდგნენ და დღეს პირველი სადგურის ტერიტორია ისევ ხალხითაა სავსე. აქ ისევ სიცოცხლე დუღს, ოღონდ კაფეებში, ბარებსა და რესტორნებში.

იქ, სადაც ადრე მატარებელი დგებოდა, გარემოვაჭრეების დახლებია ჩამწკრივებული, რომლებიც შესანიშნავი ბლინებითა და ტკბილეულობით ვაჭრობენ. აქვეა ბევრი საინტერესო მაღაზია, სადაც სუვენირები იყიდება. სადგურში ბევრი სივრცეა ბავშვებისთვის, ამიტომაც ოჯახები სრული შემადგენლობით მოდიან; თანაც აქ ისრაელში ერთ-ერთი საუკეთესო ნაყინის, Vaniglia-ს მაღაზიაცაა. აღსანიშნავია, რომ სადგური შაბათსაც მუშაობს.

KING DAVID

AGE OMNE BONUM

EUROPEAN PROPERTY AWARDS
DEVELOPMENT

in association with

The Telegraph

★★★★★

BEST MIXED-USE DEVELOPMENT GEORGIA

King David
by Rezid Holding GmbH

2016-2017

EUROPEAN PROPERTY AWARDS

გამარჯვებული პროექტი ნომინაციაში

საუკეთესო მრავალფუნქციური კომპლექსი საქართველოში

გაეცანით ახალ შეთავაზებას

200 18 18

მერაბ ალექსიძის 12. 0171 თბილისი, საქართველო

WWW.KDR.GE

SALES@KDR.GE

თეა სხიერელი

ულამაზესი 14-კილომეტრიანი სანაპირო ზოლითა და ენერგიული ადგილობრივი მაცხოვრებლებით, რომელთაც სხეულიდან რუჯი და სახიდან ღიმილი მთელი წლის განმავლობაში არ შორდებათ, თელ-ავივი კეთილგანწყობილი, ტოლერანტული, არაბულიდა ლევანტურიტრადიციებისსაკმაზიანი ევროპული პროგრესულობით გამოირჩევა.

ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ თელ-ავივი ინდიფერენტულობის საბურველშია გახვეული, თითქოს აქ ხალხი მხოლოდ კულინარიულ ავანსცენებს, სახელოვნებო გამოფენებსა და ახალგაზრდა დიზაინერების ამბებს განიხილავს.

სინამდვილეში, ამ ქალაქს პირველს უწევს ისრაელში და მის გარშემო არსებულ კონფლიქტთან გამკლავება. უმეტესად ებრაული, თუმცა მულტიკულტურული და ისეთივე მდიდარი, როგორიც ევროპის დიდი ქალაქები – თელ-ავივი სწრაფი ტემპით ფეთქავს. მისი სტუმრებისთვის კი უამრავი გონივრული მიზეზი არსებობს, რომ აქ სვლა შეანელონ და უნიკალური გასტრონომიული და კულტურული თავგადასავლებით დატკბნენ.

შესაშური ურბანული ღირსებები ალბათ ერთ-ერთი მთავარი ფენომენია, რომელიც თელ-ავივზე ფიქრისას მოგზაურთა უმეტესობას ახსენდება, როგორც ისრაელის ზღვისპირა გეგმარების, სეკულარულობის, გასტრონომიული აღმოჩენების, კომერციული ხედვისა და კულტურული აღქმის მონაპოვარი. ეს მოდერნისტული ქალაქი მსოფლიო რუკაზე ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი „დანიშნულების ადგილია“.

Fire and Water Fountain

ჯაკოვ აგამის „ცეცხლისა და წყლის შადრევანი“, რომელიც დიზენგოფის სკვერის ცენტრში მდებარეობს, მოძრავი კინეტიკური სკულპტურა, მაყურებლის ხედვის პერსპექტივის შესაბამისად იცვლება და ოპტიკურ თავისებურებებს იძენს; ბრუნავს და მუსიკალური აკომპანემენტის თანხლებით წყლის შხეფებს ისვრის 11.00, 13.00, 19.00 და 21.00 სთ-ზე, ღამით კი ინთება.

თელ-ავივის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე კვარტლები, ტრადიციულად, ელიტის წარმომადგენლებითაა დასახლებული, სამხრეთი რაიონები კი ეკლექტიკურობით გამოირჩევა. როტშილდის ბულვართან მდებარე უბნები სწორედ ის ადგილია, სადაც პირველად დასახლდნენ ემიგრანტები და სადაც დღეს სახელგანთქმულ რესტორნებში, კაფეებსა და ღამის კლუბებში დრო არასდროს ჩერდება.

JAFFA / YAFO

თელ-ავივის ისტორია ჯაფადან იწყება. 3000 წლის წინათ დაარსებული ჯაფა ძველი ისრაელის ერთ-ერთი მთავარი პორტი იყო. ის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძველი უწყვეტად დასახლებული ქალაქია. ეს უბანი თელ-ავივში უძველესი დასახლებაა, რომლისთვისაც საუკუნეების მანძილზე ბრძოლა იყო გაჩაღებული.

1909 წელს ჯაფაში მცხოვრებმა 66-მა ებრაულმა ოჯახმა მომავალი თელ-ავივის ერთ-ერთი რაიონი – „ახუზათ ბაითი“ („მშობლიური სახლი“) დააარსა. 1910 წლამდე ის ჯაფას რაიონი იყო, შემდეგ კი თელ-ავივი ეწოდა. თელ-ავივი სწრაფად გაიზარდა და იეშვას (მაშინდელი პალესტინის ებრაული მოსახლეობა) ცენტრად იქცა.

ჯაფაში განლაგებულია 11 ცნობილი ეკლესია, მონასტერი და მეჩეთი, რომელთა შორის გამორჩეულია წმინდა პეტრეს ეკლესია და ფრანცისკელთა მონასტერი.

ესტუმრეთ მის ფლიმარკეტს (Yefet), ისტორიულ დასახლებასა და მუზეუმს Ilana Goor (Mazel Dagim 4), რომელიც ისრაელელი მოქანდაკისა და ავეჯის ოსტატის სახლ-მუზეუმია, ხოლო კაფე Dr Shakshuka-ში ლანჩის მირთმევა სავალდებულოა.

გირჩევთ, ჯაფას მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ფორთოხალიც დააგემოვნოთ, რომლის გემური თვისებებით გამორჩეული ჯიში მე-19 საუკუნეში პალესტინელმა ფერმერებმა გამოიყვანეს.

NOGA/NEVEH TZEDEK

ცენტრალურ თელ-ავივსა და ჯაფას შორის მდებარე ნოგა ქალაქის კრეატიული კვანძია. „სამართლიანობის ოაზისი“ – პირველი ებრაული კვარტალი ნევე ცედეკში 1887 წელს აარონ შლუშმა დააარსა. ის მალევე გადაიქცა ფეშენებელურ ადგილად. აქ დღემდე ისრაელის შემოქმედებითი ელიტა სახლობს; ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება სახლ-მუზეუმები, მაღალი მოდის ბუტიკები, დიზაინერთა საავტორო ნამუშევრები და ანტიკვარიატის დახლები.

Cymbalista Synagogue

თელ-ავივის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მარიო ბოტას მიერ 1998 წელს აგებული სინაგოგის ნაგებობის ზემოთ ორი 13-მეტრიანი წრიული კოშკურაა, რომლებიც სივრცეს ორ ნაწილად ყოფს და სხვადასხვა ფუნქციას ანიჭებს – ერთგან ლოცვის ადგილია, ხოლო მეორე ადგილას სეკულარული სალექციო აუდიტორიაა, რაც კარგად გამოხატავს ცხოვრების სხვადასხვა სფეროს სიმბიოზსა და ტოლერანტობას. ტაძარში ბიბლიური სცენების სადა ილუსტრაციებია.

First International Bank Tower

– ფეი ქობ ფრიდის დიზაინით შექმნილი 132 მ სიმაღლის ცათამბჯენი ერთ-ერთი მაღალი შენობაა ქვეყანაში და პირველ სერტიფიცირებულ „მწვანე“ ნაგებობას წარმოადგენს. ხუთი მინის პრიზმა ტერასულ, ასიმეტრიულ ცათამბჯენს ქმნის.

Rothschild Boulevard 40

FLORENTIN

ფლორენტინს ხშირად თელ-ავივის სოჰოს უწოდებენ. მოსახლეობა ეკლექტიკურია; ტრადიციულად, მათი უმეტესობა ღარიბი იყო, ახლა კი აქაურობა თანდათანობით ახალგაზრდა და მიზანსწრაფული კარიერისტების საცხოვრებელი ადგილი გახდა. 90-იან წლებში ფლორენტინის ძველი ნაგებობები არტისტებმა ცოცხალ და მოდურ სამუშაო სივრცეებად აქციეს. მას შემდეგ აქ უამრავი ბარი, რესტორანი და მაღაზიაა, ხოლო ღამის კლუბებმა და ცოცხალი მუსიკის საკონცერტო დარბაზებმა მიტოვებულ საწყობებსა და სარდაფებში დაიდო ბინა. ფლორენტინის სახასიათო შტრიხებს სიღარიბისა და სიმდიდრის, მძიმე შრომისა და მხიარულების, წარმავლობისა და მუდმივობის კონტრასტული, თუმცა, ამავ-დროულად, ჰარმონიული ერთობა ქმნის.

ფლორენტინი ალტერნატიული კულტურის ცენტრი ხდება, სადაც სწრაფად ვითარდება ღამის ცხოვრება. ღამღამობით ის კიდევ უფრო გამოცოცხლდება ხოლმე და ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ადგილები გასართობ სივრცეებად გარდაიქმნება, ბარები იაფ სასმელს ყიდიან; ტროტუარები პიცისა და ფალაფელის მომლოდინე ხალხის ნაკადით ივსება. ფლორენტინი თელ-ავივის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რაიონია.

Asia House

„აზიის სახლი“ ურბანული სივრცის დახვეწილი ნაწილია – ამორფული გზავნილი გეომეტრიული ბრუტალობის გარემოში. მისი შემქმნელი არქიტექტორ მორდეხაი ბენ ჩორინის განცხადებით, ნაგებობის ფორმები მას ტალღებმა შთაგონა.

ბენ ჩორინმა სკულპტურული, „მობიბინე“ ფასადი შექმნა, რომლის შვიდი სართულიც თითქოს გადმოკიდებულია და ღია დერეფნების ჭერის ფუნქციას ასრულებს.

Weizmann 4

YOO TOWERS

ფილიპ სტარკის მიერ აგებული ტყუპი ცათამბჯენი ქალაქში პირველი საცხოვრებელი კომპლექსი იყო, რომელიც ვარსკვლავად ქცეული არქიტექტორის დიზაინით შეიქმნა.

Mordechai Namir

ROTHSCHILD BOULEVARD

როტშილდის ბულვარი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქუჩაა თელ-ავივის ცენტრში. ის ნევე ცედეკიდან იწყება, ქალაქის სამხრეთ-დასავლეთი გარეუბნიდან. ქუჩის თითქმის შუაში აღმართულია თელ-ავივის დამაარსებელთა ძეგლი, მის პირდაპირ კი დგას სახლი, რომელშიც ისრაელის სახელმწიფოს შექმნა გამოცხადდა. აქ ცხოვრობდა თელ-ავივის პირველი მერი მეირ დიზენგოფი. როტშილდის ბულვარი ცნობილია, როგორც ფინანსური დაწესებულებების კონცენტრაციის ადგილი.

Tel Aviv Port

1930-იან წლებში აშენებული თელ-ავივის მთავარი ნავსადგური უკანასკნელ წლებში სრულიად გადასხვაფერდა. არქიტექტორ ცადიკ ელიაკიმის ალღოსა და რამდენიმე მილიონად შეფასებული რებრენდინგის წყალობით, თელ-ავივის პორტი 2002 წელს ღრმა ძილიდან გამოერკვა და ახალი ცხოვრება დაიწყო.

TAYELET

ეს ექვსკილომეტრიანი ზღვისპირა სასეირნო ზოლი ქალაქის დასავლეთ ნაწილს შემოსაზღვრავს. მისი განიერი ქვაფენილი, რომელიც პალმის ხეებით, დაბურული ხეივნებითა და წასახემსებელი ჯიხურებითაა დამშვენებული, მორბენლების, ძაღლის გასასეირნებლად გამოსული ადამიანებისა და, უბრალოდ, მოხეტიალეების საყვარელი ადგილია. ჩათვალეთ, რომ ეს ხმელთაშუა ზღვის მაიამია.

Azrieli Center

სამკუთხედისა და კვადრატის ფორმის ცათამბჯენები 1998 წელს გაიხსნა. 2007 წელს მათ წრის ფორმის ნაგებობა დაემატა, რომელიც თელ-ავივში ყველაზე მაღალი შენობაა. სამივე მათგანი ერთმანეთთან სავაჭრო ცენტრითაა დაკავშირებული. 2022 წლისთვის მათ გვერდს დაუმშვენებს მოშე ცურის მიერ დაპროექტებული ცათამბჯენი, რომელიც „თანამოძმეებს“ სიმაღლეში ორჯერ გაუსწრებს.

Menachem Begin 132

SHEINKIN – უფრო ცხოვრების სტილია, ვიდრე ქუჩა. აქ უამრავი რესტორანი და ისრაელელი დიზაინერების პროდუქციით მოვაჭრე ბუტიკია; შაბათობით ამ ადგილას განსაკუთრებული ხალხმრავლობაა. Hamedina-ს მოედანზე, რომელიც ქალაქის სიღრმეში მდებარეობს, განლაგებულია ბრენდების – Gucci, Louis Vuitton, Versace, Escada, Armani და Furla – საფლაგმანო მაღაზიები, მათ მეზობლად კი – დემოკრატიული Gap და Tommy Hilfiger.

Hakirya

ეს შენობა თელ-ავივის ცენტრალური სამხედრო შტაბ-ბინაა, რომელიც თავისი „კომუნიკაციების კოშკურის“ ორიგინალური ფორმითაა ცნობილი.

Shaul Hamelech Boulevard

Weizmann House

არქიტექტორი ერიკ მენდელსონი ცნობილია თავისი ექსპრესიონისტული „აინშტაინის ცათამბჯენით“ პოტსდამში და მოდერნისტული „დე ლა ვარ პავილიონით“ ბექსჰილში. მან შექმნა ქვეყნის პირველი პრეზიდენტის, დოქტორ ჰაიმ ვაისმანის 25-ოთახიანი რეზიდენცია, რომელიც კლასიკურიპროპორციებითა და სიმეტრიით გამოირჩევა. მის ცენტრში კი ნახევარცილინდრული ფორმის კიბეა. ზემოთ ასვლისას მშვენიერი ბაღების ხედი გადაგეშლებათ თვალწინ.

Herzl 234

აუცილებლად მოძებნეთ სახლი, ე. წ. „საგიჟეთი“ (Hayarkon st 181). გაუდის არქიტექტურული შედევრების ეს სახუმარო ასლი ისრაელელმა არქიტექტორმა გასული საუკუნის 80-იან წლებში შექმნა.

THE NORMAN

2014 წელს, გახსნისთანავე, ეს სასტუმრო ქალაქის სტუმრების ყველაზე „ამოჩემებულ“ ადგილად იქცა. ნორმანის ორ, პასტელის ფერებში გადაწყვეტილ ნაგებობას არქიტექტორ იოავ მესერის ხელი დაეტყო – მან 1920 წელს აშენებული სახლები ზედმიწევნით განაახლა და დაუმატა პენტჰაუსის სართული ტერასითა და აბანოთი. ინტერიერის დიზაინი დევიდ დალმადას ეკუთვნის და 1920-იანი წლების გლამურული სულისკვეთების გამოძახილია. 1940-იანი წლების სტილში შესრულებული ბიბლიოთეკა-ბარი კი ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. აქ არის 50 ოთახი, ლაუნჯები, აუზი სახურავზე, სოლარიუმი, რესტორანი და კაფე. **ორადგილიანი სტანდარტული ნომრის ფასი:** 510 $-იდან

Nachmani 23/25; www.thenorman.com

BROWN BEACH HOUSE

სასტუმრო 2015 წელს გაიხსნა და მაშინვე გახდა სანაპირო ზოლის ღირსშესანიშნაობა, V studio-ს არქიტექტორებმა მას რეტრო-გლამურის სტილი მოარგეს და იდეალურ ადგილად აქციეს. 40 ფართო ოთახი ყვითელი ფერის აქცენტებით თვალს მოგტაცებთ და ოდნავ თავბრუსაც დაგახვევთ თავისი ზიგზაგისებური ხალიჩებით. მეზობლად მდებარე Imperial Bar-ში საუკეთესო კოქტეილებსაც დააგემოვნებთ. **ორადგილიანი სტანდარტული ნომრის ფასი:** 170 $-იდან

Hayarkon 64; brownhotels.com/beach/

HOTEL MONTEFIORE

1920-იანი წლების შენობაში განთავსებული პატარა სასტუმრო, რომლის ფასადიც ევროპული ტრადიციისა და ლევანტური ორნამენტების ნაზავია, ნამდვილი საგანძურია. თორმეტი ოთახიდან თითოეული სხვადასხვა ისრაელელი არტისტისადმია მიძღვნილი. რესტორანში სხვა კერძებთან ერთად ვიეტნამურ სამზარეულოსაც დააგემოვნებთ. აქ საუკეთესო ღვინოები და სხვა სასმელები შეგიძლიათ მიირთვათ, საღამოობით კი ისეთი წვეულებები იმართება, რომ ცეკვაზე უარს ვერ იტყვით. **ორადგილიანი სტანდარტული ნომრის ფასი:** 400 $-იდან

Montefiore 36; www.hotelmontefiore.co.il

CARLTON TEL-AVIV

„კარლტონ თელ-ავივის“ 268-ვე ნომერი და ფართო სუიტი უნიკალური, დახვეწილი დიზაინითა და კომფორტული ავეჯით გამოირჩევა. მის სტუმრებს გარანტირებული აქვთ სრულფასოვანი ძილი, გემრიელი კვება, კარგი დასვენება-განტვირთვა და გართობა.

სასტუმროს სახურავზე, მე-15 სართულზე მდებარე აუზიდან დიდებული ხედები იშლება. ხმაურიანი თელ-ავივის გულში მდებარე ამ მშვიდ ოაზისში შეგიძლიათ ნამდვილი იდილია იპოვოთ და სრულად განიტვირთოთ. Carlton Tel Aviv-ის განახლებული სპა და სპორტული დარბაზი დიდებულ შეგრძნებებს განგაცდევინებთ.

სასტუმრო 2 რესტორანს ფლობს, რომელსაც მსოფლიოში ცნობილი შეფ-მზარეული მეირა ადონი უძღვება. ერთ-ერთი მათგანი – BLUE SKY სასტუმროს სახურავზეა. აქ შეგიძლიათ დააგემოვნოთ კერძები მდიდარი ვეგეტარიანული თუ თევზის მენიუდან, თან ქვემოთ გადაშლილი ქალაქის ხედით დატკბეთ.

რესტორნის დარბაზი დახვეწილი თანამედროვე ინტერიერით გამოირჩევა, რომელიც ფუფუნების და რომანტიკის განცდას ქმნის. შეგიძლიათ ვერანდაზე გახვიდეთ და, ბარის დახლთან მდგარი, ზღვისა და მჩქეფარე თელ-ავივის ხედების მზერით გაერთოთ. აქ უფრო მსუბუქ კერძებს შემოგთავაზებენ ახალი, ხარისხიანი ადგილობრივი და სეზონური ინგრედიენტებისგან.

ცნობილი თანამედროვე სკულპტორის, დავიდ გერშტეინის ნამუშევრების გარემოცვაში ვარჯიში, თან პლაჟის და ზღვის მიმოქცევის ყურება 9 დიდ მონიტორზე, რეალურ დროში, ნამდვილად შთამბეჭდავია.

ღიაა: კვირიდან ხუთშაბათის ჩათვლით – 18.00 -23.00, პარასკევი – 10.00-14.00; **სტანდარტული ნომრის ფასი:** 340$

Eliezer Peri st 10; www.carlton.co.il

NEVE TZEDEK HOTEL

ორი ძმის მიერ დაარსებულმა ამ ხუთსუიტიანმა სასტუმრომ რესტავრირებულ საცხოვრებელ სახლში დაიდო ბინა. თეთრად შეღებილი ინტერიერი დახვეწილი ავეჯითა და ექსცენტრიკული კიჩის ელემენტებით გამოირჩევა. აქვეა სამდონიანი ბაღის სუიტი, რომელსაც შიდა ეზო აქვს, აგრეთვე, სახურავის სუიტი, რომლის ბოლოშიც ტერასასა და ჯაკუზის აღმოაჩენთ.

საუზმეს იქვე ახლოს, ფრანგული ბისტროს სტილში გადაწყვეტილ Lulu Kitchen-ში მიირთმევთ. სასტუმრო ქალაქის ყველაზე მომხიბვლელ, თუმცა ხალხმრავალ და მოგზაურებით სავსე ნაწილში მდებარეობს. ამ რაიონში უამრავ მაღალი კლასის რესტორანსა და ბარს იპოვით თავშესაქცევად.

ორადგილიანი სტანდარტული ნომრის ფასი: 150 $-იდან

Deganya 4; www.mendelisthotel.com

TEL AVIV MUSEUM OF ART

პრესტონ სკოტ კოენის მიერ შექმნილი უნიკალური ფასადი გეომეტრიული ფორმის ფილების განლაგების შესანიშნავი ნიმუშია და ის თელ-ავივის ხელოვნების მუზეუმს განსაკუთრებულ მომხიბვლელობას სძენს. 457 ფილა იდეალურადაა მორგებული 27-მეტრიან სპირალისებურ გალერეაზე, რომელშიც ისრაელური თანამედროვე და კონცეპტუალური ხელოვნების ყველაზე დიდი კოლექციაა გამოფენილი.

კოლექცია უკანასკნელი ასწლეულის განმავლობაშია შეკრებილი და აერთიანებს ებრაული ხელოვნების მრავალფეროვან პალიტრას, ასევე, ევროპელ მხატვართა შემოქმედებას რენესანსიდან თანამედროვეობამდე; მათ შორისაა იმპრესიონიზმის გამორჩეულად საინტერესო ნიმუშები და თანამედროვე ამერიკელ ავტორთა ნამუშევრები, 20 ათასზე მეტი გრავიურა და ნახატი. მუზეუმის შენობის წინ ფართო მოედანს კი მონუმენტური ქანდაკებები ამშვენებს.

ღიაა: ორშაბათი, ოთხშაბათი და შაბათი – 10.00-18.00; სამშაბათი და ხუთშაბათი – 10.00-21.00, პარასკევი – 10.00-14.00; დაკეტილია კვირადღეს. **ბილეთის ფასი:** 20 NIS

Shaul Hamelech Blvd 27; www.tamuseum.org.il

HELENA RUBINSTEIN PAVILION FOR CONTEMPORARY ART

ქალაქის ცენტრში, თეატრ „გამიბისა“ და კულტურის სასახლის, „გეიჰალ ა-თარბუთის“ გვერდით მდებარეობს თელ-ავივის ხელოვნების მუზეუმის ფილიალი – ელენა რუბინშტეინის პავილიონი. ელენა რუბინშტეინის მინიატურების კოლექციის ვერნისაჟის გვერდით თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებების გამოფენები იმართება.

სხვათა შორის, შენობის ეს ნაწილი მნახველთა არანაკლებ ინტერესს იწვევს, ვიდრე მასში წარმოდგენილი გამოფენები. არქიტექტორმა პრესტონ სკოტ კოენმა შეძლო შეექმნა უნიკალური სტრუქტურა ფუტურისტულ სტილში, არნახული საგამოფენო შესაძლებლობებით, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ როგორც ერთ, ისე მრავალდონიან სივრცეებში.

ზოგადად, მუზეუმის ინტერიერს კომპოზიციურად კრავს 26-მეტრიანი ვერტიკალური „სინათლის დაცემის ხაზი“, რომელიც სპირალის მსგავსად ეხვევა და ერთი დონიდან მომდევნომდე ეშვება. ბუნებრივი შუქი ჭერიდან, ატრიუმიდან იღვრება. დონეები ერთმანეთს უკავშირდება კიბეებითა და პანდუსებით, რომლებიც ასევე სპირალურად მიემართება და გუგენჰაიმის მუზეუმის ინტერიერს მოგვაგონებს. შენობის გარეგნული მხარე კუთხოვან მოდულებს წარმოადგენს, რომლებიც ცემენტის 430 გაპრიალებული პანელისგანაა შექმნილი და ერთგვარი ნაკეცებისგან აწყობილს წაგავს.

ღიაა: ორშაბათი, ოთხშაბათი და შაბათი – 10.00-18.00; სამშაბათი და ხუთშაბათი – 10.00-21.00; პარასკევი – 10.00-14.00; დაკეტილია კვირადღეს. **ბილეთის ფასი:** 20 NIS; **ავტობუსი:** N5, N26

Tarsat Blvd 6; Tel. +972 O 3 5287196

DESIGN MUSEUM HOLON

ქალაქ ჰოლონში, რომელიც თელ-ავივიდან 20 წუთის სავალზეა, ანგლო-ისრაელელი არქიტექტორის, რონ არადის მიერ დაპროექტებული პირველი მასშტაბური კომპლექსი მდებარეობს. ის 2010 წელს გაიხსნა და დიზაინერული, საიუველირო, ტექსტილისა და ავეჯის ნამუშევრების საგამოფენო ცენტრია. აქ ადგილობრივი და უცხოელი არტისტების შემოქმედებას იხილავთ. კომპლექსის დიზაინი მაშინვე თვალს მოგჭრით – უზარმაზარი ნაგებობის სკულპტურული ფასადი რვიანის ფორმას ქმნის და მას მოწითალო ფოლადის უზარმაზარი „ლენტები“ გასდევს.

კომპლექსი საცხოვრებელ კვარტალში მდებარეობს, რომელიც ასევე სახელგანთქმულია კარიკატურისა და კომიქსების მუზეუმითა და ჰოლონის მედიათეკით.

Pinhas Eilon 8; www.dmh.org.il

ERETZ MUSEUM

სახელწოდება „ისრაელის მიწა“ ზუსტად აღწერს ამ მუზეუმის არსს – წარმოაჩინოს მთელი ქვეყანა, რომელიც სავსეა ისტორიული და კულტურული სიმდიდრით. სამუზეუმო კომპლექსის უზარმაზარ ტერიტორიაზე, რომელზეც გაბნეულია გასართობი ობიექტები და პარკები, ისრაელისთვის დამახასიათებელი ლანდშაფტებია შექმნილი.

თელ კასილის არქეოლოგიურ გათხრებზე შეგიძლიათ დაათვალიეროთ XII საუკუნის ფილისტიმელთა ქალაქის ნაშთები, პლანეტარიუმში მოსინჯოთ საკუთარი შესაძლებლობები, როგორც ახალბედა ასტრონომმა და თავი კოსმოსური ხომალდის მგზავრადაც შეიგრძნოთ. მოხუციცა და ახალგაზრდაც სიამოვნებით დაათვალიერებენ ნიუ-იორკიდან ჩამოტანილ სახანძრო მანქანას, რომელიც 80 წლისაა და ისრაელის პირველი სახანძრო რაზმის კუთვნილება იყო.

აქ შეძლებთ მოინახულოთ მოედანი, რომლის ზედაპირსაც ძველი მოზაიკა ამშვენებს, აგრეთვე, დაათვალიეროთ ზეთუნის ზეთის უძველესი სახდელი მოწყობილობა, მზის საათის მოედანი და ა. შ.

ღიაა: კვირიდან ოთხშაბათის ჩათვლით და შაბათი – 10.00-16.00; ხუთშაბათი – 10.00-20.00; პარასკევი – 10.00-14.00 **ბილეთის ფასი:** 52 NIS

Haim Levanon st 2, Ramat Aviv; www.eretzmuseum.org.il

ALON SEGEV GALLERY

1880-იანი წლების ბოლოს ნევე ცედეკი მწერლებისა და არტისტების უბანი იყო. მას შემდეგ, რაც ქალაქმა ზრდა დაიწყო, ამ უბნის პატარა სახლები და ვიწრო ქუჩები ღრმა ძილს მიეცა. ზუსტად ერთი საუკუნის შემდეგ ნევე ცედეკი კვლავ გამოცოცხლდა და ისევ მოგვევლინა ქალაქის უმნიშვნელოვანეს კულტურულ, კულინარიულ და საშოპინგო სივრცედ. 2009 წლიდან აქ ალონ სეგევის გალერეაც გადმოვიდა და ცემენტის პირქუში ფასადის მქონე ყუთისმაგვარ შენობაში დაიდო ბინა. ინტერიერი სრულ კონტრასტშია ექსტერიერთან – იდეალურად თეთრ კედლებზე ისრაელის წამყვანი არტისტების საუკეთესო ნამუშევრებს იხილავთ.

Rothschild Boulevard 6; www.alonsegevgallery.com

შოპინგი თელ-ავივში ტურისტული მოგზაურობის სასიამოვნო „ბონუსია“ და თუ მოისურვებთ, ხმელთაშუა ზღვის ნაპირას მდებარე ამ კეთილდღეობის ოაზისიდან ნამდვილად კარგი შენაძენების წამოღება შეგიძლიათ შინ; უბრალოდ, უნდა იცოდეთ, სად წახვიდეთ საშოპინგოდ.

KIKAR HAMEDINA

თელ-ავივის ცნობილი Kikar Hamedina („სახელმწიფო მოედანი“) ქალაქის ყველაზე დიდი მოედანი და ისრაელის ექსკლუზიური საშოპინგო სივრცეა. ის თელ-ავივის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს, შუაში მოქცეული დიდი პარკით, ხოლო მის ტერიტორიაზე განფენილი ელეგანტური შენობები სახელგანთქმული ბრაზილიელი არქიტექტორის, ოსკარ ნიმეიერის შექმნილია.

მდიდრული ბუტიკები საცხოვრებელი შენობების პირველ სართულზეა ჩამწკრივებული. მათ ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ქუჩაზე, He Be'Iyar-ზე მიაგნებთ, სადაც მსოფლიოს მაღალი მოდის ისეთი საუკეთესო დიზაინერებისა და ბრენდების ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და აქსესუარების შეძენაა შესაძლებელი, როგორიცაა: Escada, Miu Miu, P.A.R.O.S.H, Saint Laurent, Alexander Wang, Balmain, Prada, Minna Parikka, Rene Caovilla, Chiara Ferragni, Ancient Greek Sandals, Oscar Tiye, Kenzo, Escada, Gianvito Rossi, Aquazzura, Sophia Webster, Jimmy Choo, Lanvin, Baldinini – ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია.

აქვე ნახავთ სილამაზის სალონებს, მყუდრო კაფეებსა და ხელოვნების გალერეას. Kikar Hamedina კლასიკური ელეგანტურობისა და თანამედროვე ფუფუნების ნაზავია, რაც თქვენს შოპინგს თელ-ავივში დაუვიწყარ შთაბეჭდილებად აქცევს.

ODED KASHI

ოდედ კაშის ნამუშევრების თვითმყოფადობას მისი ოჯახის მდიდარი წარსული განაპირობებს – აზერბაიჯანში მცხოვრები იუველირების ისტორია Kikar Hamedina-ზე, სამკაულების გალერეაში გრძელდება.

ეგზოტიკური, შთამაგონებელი, ყოველგვარი წესებისა და საზღვრების დამრღვევი – ამგვარად შეიძლება აღიწეროს კაშის შემოქმედება.

Heh B'Iyar 28

DAJ DARYA

ექსკლუზიურად DAJ Darya-სთვის შექმნილი ლიატ ტოპელის სამკაულები გარდამავალ ფერთა პალიტრით გამოირჩევა. დიზაინერი აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აღმოსავლეთის მოტივების ერთმანეთთან მისადაგებით უნიკალურ შეხამებას ქმნის.

ღიაა: კვირა-ხუთშაბათი – 10.00-19.00; პარასკევი – 10.00-15.00 DAJ Darya მდებარეობს Jabotinsky-სა და Weizman-ის ქუჩების გადაკვეთაზე.

www.dajdarya.com

RAMAT AVIV

ამ ქსელში ისეთი ბრენდების ბუტიკებს შეგიძლიათ ეწვიოთ, როგორიცაა: Louis Vuitton, Carolina Hererra, H.Stern, Steve Madden, American Eagle. ასევე შეიძენთ ადგილობრივი ბრენდების, Dana Ashkenazi-ს, Castro-ს, Fox-ისა და Factory 54-ის ნაწარმს. ეს შოპინგ-ცენტრი არც ისე დიდია და მის ტერიტორიაზე გემრიელი ყავისა და საკონდიტრო ნაწარმის დაგემოვნებაც შეგიძლიათ.

ღიაა: კვირა-ხუთშაბათი – 09.30-21.30; პარასკევი – 08.00-16.00; შაბათის დამთავრებიდან 1 სთ-ის შემდეგ 23.00 სთ-მდე

Einstein st 40; www.ramat-aviv-mall.co.il

SHARON BRUNSHER

მას შემდეგ, რაც შარონ ბრუნშერმა 2005 წელს საკუთარი ბრენდი შექმნა, მის სამოსს თელ-ავივის სტილის საუკეთესო გამოვლინებად მიიჩნევენ.

მას ქალაქში საკუთარი ოთხი კონცეპტუალური მაღაზია აქვს და საოცრად ინდივიდუალურ, მარტივად, თითქოს დაუდევრად დამზადებულ და უპრეტენზიო ტანსაცმელს გთავაზობთ: ტრიკოტაჟის მაისურებს, ზომაზე დიდ ნაქსოვ სვიტერებსა და კარდიგანებს, ასევე, საწოლის შავ, თეთრ და ნაცრისფერ „თეთრეულს“.

ღიაა: კვირა-ხუთშაბათი – 10.00-19.30; პარასკევი – 10.00-15.30

Amihad st 13; www.brunsher.com

FACTORY 54

ყოფილი პორტის სასაწყობე შენობები მოდურ რესტორნებად, გალერეებად და მაღაზიებად არის გადაკეთებული: „საყოველთაო“ Castro-დან დაწყებული, სოლიდურ მულტიბრენდ Factory 54-მდე, სადაც Marc Jacobs-ის, Paul Smith-ის, Diesel-ისა თუ Neil Barrett-ის ნივთების შეძენაც შეგიძლიათ – როგორც ევროპულ დედაქალაქებში, თუმცა ოდნავ უფრო ძვირად.

Old Port Hangar 9, Tel Aviv Old Port

HaTACHANA

ძველი სარკინიგზო სადგურის კომპლექსი თელ-ავივის ინოვაციურ და არტ-მოედნად იქცა. აქ ნახავთ ისრაელური მარკის – Sketch-ის საფლაგმანო ბუტიკს; დიზაინერული ნივთების მაღაზია Soho-ში ყოველთვის იპოვით რამე საინტერესოს, გრავიურების ალბომებიდან დაწყებული, აკრილის რგოლებით (ხელსახოცებისთვის) დამთავრებული. შენობის უკან თელავიველი დიზაინერების – Ronen Chen-ის, Naama Bezalel-ისა და Ido Recanati-ს ბუტიკებია.

HaTachana-ში თავბრუს დაგახვევთ კაფეების, რესტორნებისა და საინტერესო ბუტიკების არჩევანი, მით უმეტეს, რომ ეს ყველაფერი ისტორიულ გარემოშია.

ყოველ ხუთშაბათს, საღამოს შვიდი საათიდან შუაღამემდე Unique-ის ღამეა – ისრაელელი დიზაინერები, არტისტები და კონცეპტუალური შემოქმედები ღია ცის ქვეშ ჩვენებას მართავენ. გამოფენებს თან ახლავს ცოცხალი მუსიკა და DJ-ების აკომპანიმენტი. ხუთშაბათი ამით არ მთავრდება და შუაღამის შემდეგ Orbanic-ის ბაზრობა იწყება – ეს სახელწოდება „ურბანულისა“ და „ორგანულის“ სინთეზია.

ღიაა: ყოველდღე – 10.00-22.00

www.hatachana.co.il

აუცილებლად ესტუმრეთ „აზროვნების ხელოვნების“ ცენტრ GAYA-ს. აქ საოცარ ასაწყობ სათამაშოებს და ნივთებს გადააწყდებით და რთული გამოწვევის დაძლევის სიხარულსაც შეიგრძნობთ. GAYA-ში უნიკალური საჩუქრების შეძენაც შეგიძლიათ.

SKETCH

ბრენდი Sketch ნამდვილი აღმორჩენაა. მისმა წამყვანმა დიზაინერმა იოსი კაცავმა საკუთარი მარკა ჯერ კიდევ ისრაელურ Castro-ში მუშაობისას შექმნა, შემდეგ ნიუ-იორკში DKNY-ს მამაკაცის სამოსის დიზაინერთა გუნდს შეუერთდა; სამშობლოში დაბრუნებულმა კი Sketch-ი დააარსა. აქ მამაკაცებს შეუძლიათ თავიდან ფეხებამდე შეიმოსონ; ბოლოხანს კი ქალთა ტანსაცმლის ხაზმა Sketch-ი მრავალფეროვან, სრულყოფილ ბრენდად აქცია.

ღიაა: კვირა-ხუთშაბათი – 10.00-20.00; პარასკევი – 10.00-16.00; შაბათი – 10.00-21.00

Koifman 2; www.ysketch.com

TALI'S WELL BEING

ეს ეკლექტიკური კონცეპტუალური მაღაზიაა თელ-ავივის შუაგულში. აქ ნახავთ ინტერიერის დიზაინის ნივთებს, სუნამოებს, სააბაზანო და ტანის მოვლის საშუალებებს, სამკაულებს, ვეგანურ დელიკატესებს, ყავასა და ნაირ-ნაირ წვენებს. ამ ყველაფერს კი ემატება გაფართოებული სექცია, რომელიც ჯანსაღი კვების მოყვარულთათვის ნამდვილი სამოთხეა.

Ehad Ha'am 8
www.talisebbag.com

SETI BOUTIQUE

ეს ბუტიკი სახლის დეკორის სფეროში სპეციალიზდება და ინტერიერისათვის ევროპიდან თუ ჩრდილოეთ ამერიკიდან ზედმიწევნით დახვეწილ, მუდმივად განახლებად კოლექციებს გთავაზობთ. SETI საერთაშორისო ბაზარზე უკომპრომისო ხარისხის სიმბოლოდ იქცა. აქ შეგიძლიათ შეიძინოთ ავეჯი, დეკორატიული საგნები, სანათები, თეთრეული, არომატული სანთლები, წიგნები ტექსტილისა და ხელოვნების შესახებ და ეს ყველაფერი ისეთი ექსკლუზიური ცენტრებიდან, როგორიცაა: Hamilton Conte, Pacific Connections, SKLO, Cire Trudon, L'Artisan და სხვა.

ღიაა: კვირა-ხუთშაბათი – 10.00-20.00; პარასკევი და უქმეები – 9.30-16.00

Shabazi 25; www.seti.co.il

INDIVIDUAL: CABINET DE PARFUMS

ნევე ცედეკის შუაგულში მდებარე ამ ბუტიკში ყველაზე პრესტიჟული ფირმების 40-ზე მეტი სახეობის სუნამოა წარმოდგენილი. Individual: Cabinet de Parfums-ის არომატების სპექტრს ისრაელის პარფიუმერიის ბაზარზე ანალოგი არ მოეძებნება. ბუტიკში მსოფლიოს 15 პარფიუმერული სახლის სუნამოებს იხილავთ, მათ შორის, ისეთი ბრენდებისა, როგორიცაა: არომატების შეზავებით სახელგანთქმული Santi Burgas, პარფიუმერ პოლ ვაშერის ოსტატობის პიკი Le Galion, ბუნების არომატებით მდიდარი Acqua delle Langhe და პრეზიდენტების ფავორიტი Amuage.

ღიაა: ორშაბათი-ოთხშაბათი – 10.00-19.00;
ხუთშაბათი – 9.00-15.00

Shabazi st 40; www.individual-parfum.com

CHOMER TOV

ამ გალერეაში უნიკალური დიზაინის მქონე დეკორატიული და ფუნქციური ხელოვნების ნიმუშების, მათ შორის, სამკაულების მრავალფეროვან კოლექციებს იხილავთ. ეს ნივთები შეგიძლიათ Chomer Tov-შივე შეიძინოთ თავად მისი შემქმნელი ხელოვანებისგან, თან ისე, რომ საკომისიოს გადახდა არ დაგჭირდეთ.

ღიაა: კვირა-ხუთშაბათი – 10.00-20.00; პარასკევი – ზაფხულობით 10.00-17.00, ზამთარში კი – 10.00-16.00

Shabazi st 27
www.chomertov.co.il

RUBY STAR

2000 წელს შირლი იციკის მიერ დაარსებული საიუველირო ბრენდი შთაგონებას ისტორიაში პოულობს, იქნება ეს ვიქტორიანული ეპოქის მოწყობილობათა მექანიზმები თუ ძველეგვიპტური ორნამენტები. Timekillers-ი ამ ფირმის სადებიუტო კოლექცია იყო და მასში შემავალი სამკაულები, ძირითადად, საათის დაშლილი მექანიზმის ნაწილებისაგან შედგებოდა.

Timekillers-ს კი არტ დეკოს სტილის სერია მოჰყვა, რომლის ნივთები ოქროთი და შავი ონიქსითაა შესრულებული.

ღიაა: კვირა-ხუთშაბათი – 9.30-17.30

Amihad st 13
www.rubystarstudio.com

THE STUDIO

ზურ ალონი, ცნობილი თანამედროვე სამკაულების დიზაინერი, თელ-ავივში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მისი კრეატიულობა და ახალი ხედვა სწორედ ისეთ ქალებს შეესაბამება, რომლებიც მშვენიერებას, სისადავესა და ელეგანტურობას აფასებენ. მის ნამუშევრებს უკვე უამრავი ერთგული მომხმარებელი ჰყავს სამშობლოში და საზღვარგარეთაც. ამ არტისტმა შთაგონება ბუნების ამოუცნობ დეტალებსა და მოგზაურობის სიყვარულში პოვა; შორეული აღმოსავლეთის ფერადი ტაძრებისა და ევროპული მუზეუმების გავლენის ნაყოფია სტილი, რომელიც იმდენადვე ორიგინალურია, რამდენადაც მშვენიერი.

ღიაა: კვირა-ხუთშაბათი – 10.00-19.00; პარასკევი – 11.30-15.00

Shabazi st 21; www.zuralon.co.il

SHLOMIT

„შლომიტი“ ქმნის უნიკალურ სამკაულებსა და აქსესუარებს იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც რომანტიკული შეგრძნებებისა და თანამედროვე, მოდური სტილის შეხამება მოსწონთ. მისი შემოქმედება ყოველდღიურობაში არსებული სტოპკადრებითაა სავსე. „შლომიტი“ დროს აჩერებს და მათ სამკაულებზე ასახავს: პაწია ჩიტი ტოტზე, გაზაფხულის ყვავილობა, ურბანულ ჰორიზონტზე დანახული მკვეთრი ხაზები და გეომეტრიული ფიგურები. ეს ყველაფერი კი ოქროსა და ვერცხლის თხელ ფირფიტებზე მარგალიტებით, ნახევრად ძვირფასი ქვებით, მინისა და ხის მასალითაა შესრულებული. „შლომიტი“ სამკაულების გარდა უნიკალური საქორწილო ტანსაცმლისა და აქსესუარების ექსკლუზიურ კოლექციასაც გთავაზობთ.

ღიაა: კვირა-ხუთშაბათი – 10.00-20.00; პარასკევი – 10.00-16.00; შაბათი – 18.00-22.00

Shabazi st 21; www.shlomitofir.com

MAYA NEGRI

შოპინგისათვის თელ-ავივის ყველაზე საინტერესო რაიონია Neve Tzedek.

„შესასვლელთან“ როტშილდის ბულვარის მხრიდან არც ისე დიდი ხნის წინ გამორჩეული ისრაელური მონობრენდის – Maya Negri-ს მაღაზია გაიხსნა.

აქ მოდიან სხვადასხვა ფერის და ფაქტურის შარვლებისთვის, კომფორტული ჟაკეტებისა და მშვენიერი საზაფხულო აქსესუარებისთვის.

Rothschild 1 Tower,
Ahad Ha'am st 10

COMPLÉT

აბრეშუმისგან დამზადებული „თეთრწინწკლებიანი აბრეშუმის შარფი“ (White Specks Silk Scarf) იდეალური აქსესუარია. ის თმის დასამაგრებლადაც გამოდგება, ასევე, ნებისმიერ ხელჩანთას მოუხდება. ეს საუკეთესო არჩევანია, თუ გსურთ, რომ თქვენს საზაფხულო გარდერობს დახვეწილი შტრიხი შესძინოთ. Complét დიზაინერებმა – სივან მოშკოვიცმა და ლეონორა ფიურერმა დააარსეს. ის მაღალი ხარისხის, პრინტებზეფოკუსირებული აქსესუარების ბრენდია.

ELEMENTO

ამ მაღაზიამ პირველი ნაბიჯები როტშილდის ბულვარში გადადგა, სანამ ბინას ძველ ჯაფაში, ოტომანების ეპოქაში აგებულ შენობაში დაიდებდა. აქ იხილავთ იოსი გოლდბერგისა და მისი გუნდის ნამუშევრებს, რომელთა გამორჩეული სტილიც რეტროს საზღვრებზე გადის, 1960-1970-იანი წლების სუნი დაჰკრავს და ძვირფასი მასალითაა დამზადებული.

კოლექციები მოიცავს საწოლებს, დივნებს, კაბინეტის ავეჯს, გრაფიკული ორნამენტებით მორთულ ხალიჩებსა და სანათებს – ისეთს, როგორიცაა გოლდბერგის სახელგანთქმული Glazgow-ს ანსამბლი – ხელით დამზადებული ყავისფერი გაბერილი მინისგან შექმნილ ნაწარმს. უბრალო, კირით შეთეთრებულ დარბაზში კი ინდივიდუალიზმის ატმოსფერო გამეფებულა. დაყოფილ სექციებში, სადაც კედლები შუასაუკუნეებით შთაგონებული არტით, გეომეტრიული ფორმებითა და ფოტოებითაა გაფორმებული, უდავოდ გამორჩეული ავეჯი გელოდებათ.

ღიაა: კვირა-ხუთშაბათი – 10.00-19.00; პარასკევი – 9.00-14.30

Hazorfim st 15; www.elemento-design.com

ვისაც ამ ქალაქში შოპინგის ნამდვილი გემოს გაგება სურს, **ძველ ჯაფას** უნდა ესტუმროს. სიძველის ატმოსფეროთი გაჟღენთილი **ფლიმარკეტი** და უთვალავი პაწია ბუტიკის ვიტრინები თავბრუს დაგახვევთ. შაბაზის ქუჩაზე, 13 ნომერში მულტიბრენდულ მაღაზია **Numero 13**-ს მიაგნებთ, ქალის სამოსისთვის კი აუცილებლად შეიარეთ **Boutique 77**-ში, რომელიც ამავე ქუჩის 40 ნომერში მდებარეობს.

BALAGAN

თელ-ავივში შექმნილი ბრენდი „ბალაგანი“ მაღალი ხარისხის ტყავის ნაწარმს გთავაზობთ. აქ ყველაფერია, რაც გჭირდებათ. მაგ., მარკა AVIR წარმოგიდგენთ ბალეტრინის პუანტების განახლებულ ვერსიებს. ყველა ნივთი ადგილობრივი დიზაინერის ნამუშევარია, რომელიც ქალაქის სახელოვნებო სულისკვეთებას გამოხატავს.

Shvil Hamifal st 5, Level 1
www.balaganstudio.com

PAPIER

იპოვეთ შთაგონება „პაპიეს“ ანბანურ ბლოკნოტში.

დახვეწილი დიზაინი და მაღალი ხარისხის ზოლიანი ფურცლები შესანიშნავია თქვენს გენიალურ იდეებზე სამუშაოდ. „პაპიეს“ ქაღალდზე ორიენტირებული მაღაზია ბეჭდური, ტექსტური და გრაფიკული დიზაინის განუმეორებელ სამყაროს გთავაზობთ.

Sderot David HaMelech 1

ASUFA

თუ სუვენირის შეძენა, ანდა, უბრალოდ, ისრაელელი დიზაინერების ნამუშევრების დათვალიერება გსურთ, „ასუფა“ ამისთვის ზედგამოჭრილი ადგილია. ეს არც მთლად მაღაზიაა და არც მხოლოდ ექსპოზიციის ადგილი; დიზაინერული ნამუშევრების კოლექცია კი ნამდვილად თვალისმომჭრელია. „ასუფაში“ ღიმილისმომგვრელსაჩუქრებსაც შეიძენთ, სამკაულებსაც და სახლის თანამედროვე დეკორატიულ ნივთებსაც.

„ასუფას“ დახასიათება რთულია, რადგან ის საოცრად ეკლექტიკურია და სწორედ ეს არის მისი მთავარი ხიბლი. ეს ადგილი აუცილებლად შეგიყვარდებათ. ერთ ჭერქვეშ უამრავი ისრაელელი დიზაინერის უნიკალური ქმნილებებია. აქ სტუმრობა ცოტა „სახიფათოცაა“, რადგან შესაძლოა თქვენს სამგზავრო ჩემოდანში სხვა აღარაფრისთვის დაგრჩეთ ადგილი.

ღიაა: კვირა-ხუთშაბათი – 10.00-22.00, პარასკევი – 10.00-15.00

Yehuda mi-Ragusa st 8; www.asufadesign.com

SOHO 100% DESIGN SHOP

SOHO-ს დიზაინერული მაღაზია არის სივრცე, რომელიც ესთეტიკისა და ფორმების აღქმის მოგზაურობაში წაგიყვანთ და რომელშიც უნიკალური თუ ინოვაციური ნივთები სრულიად ხელმისაწვდომია. მაღაზიაში სხვადასხვა კატეგორიის დიზაინერული ნამუშევრების ფართო არჩევანია: აქ ნახავთ დეკორატიულ ნივთებს, სამზარეულოსა და კულინარიულ აქსესუარებს, ხელჩანთებსა და სამკაულებს, გამორჩეული დიზაინის გაჯეტებს, სპა-პროდუქტებს, საოფისე ნივთებს, საბავშვო ნაწარმსა და სხვა.

„სოჰოში“ ისრაელელი თანამედროვე დიზაინერების ნამუშევრების ყველაზე ფართო არჩევანია წარმოდგენილი.

ღიაა: კვირა-ხუთშაბათი – 9.00-18.00

Hangar 12
www.sohodesignshop.com

ალმასების ბირჟის კარს მიღმა

აქ არჩევენ ბრილიანტებს საუკეთესო ევროპული საიუველირო სახლებისთვის, აფასებენ დაუმუშავებელ ალმასებს და მრავალმილიონიან გარიგებებს დებენ, მათ შორის, კერძო კლიენტებთანაც, რომლებსაც ანონიმებად დარჩენა სურთ.

ნინო ურსმანაშვილი

ისრაელის ალმასების ბირჟა (ინგლ. Israel Diamond Exchange) მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და მოწინავე ცენტრია ალმასების დამუშავებისა და ბრილიანტებით ვაჭრობის სფეროში. ბირჟა განთავსებულია 4 შენობის კომპლექსში, რამათ განში (ისრაელი).

ისრაელი ალმასებით ვაჭრობის და ბრილიანტების წარმოების ერთ-ერთი წამყვანი მსოფლიო ცენტრია. ისრაელის ალმასების კომპანიები ძვირფასი ხარისხის ალმასის ნედლეულის მსოფლიო მოცულობის მნიშვნელოვან წილს ამუშავებენ. ამ ძვირფასი ქვის დაწახნაგებისა და გაპრიალების აქაურ საწარმოებში, რომლებიც მსოფლიოში მოწინავეებად მიიჩნევა, ალმასის დამუშავების ურთულეს ტექნოლოგიებს იყენებენ, რომელთა დიდი ნაწილი სწორედ ისრაელშია შექმნილი. ისრაელი დიამანტერების ტექნოლოგიური მიღწევები, როგორიცაა: დაწახნაგების ლაზერული დანადგარები, გაპრიალების ავტომატიზებული მოწყობილობები, ავტომატიზებული პროექტირების კომპიუტერული სისტემები და მრავალი სხვა – დღეისათვის ყველგან გამოიყენება მსოფლიოში.

ისრაელის ალმასების ბირჟა (IDE) 1937 წელს დაარსდა და ამჟამად 3000-მდე წევრს ითვლის, რომლებიც ალმასის ნედლეულის და ბრილიანტების წარმოებას, იმპორტს, ექსპორტს და ვაჭრობას მისდევენ. ბირჟა თავისი წევრებისთვის ქმნის საქმიანობის ისეთ პირობებს, რომ გამყიდველებსაც და მყიდველებსაც საშუალება ჰქონდეთ, მაქსიმალურად კომფორტულ და უსაფრთხო გარემოში განახორციელონ გარიგებები; ეს ეხება როგორც სავაჭრო დარბაზებს, ისე ბირჟის წევრების კერძო ოფისებს.

ალმასების ინდუსტრიიდან ისრაელის ბიუჯეტი მაქსიმალურ შემოსავალს იღებს. ისრაელის ბრილიანტების ბირჟის წლიური ბრუნვა 10 მილიარდ დოლარს აღწევს. ამ დარგში ისრაელი ერთ-ერთი მსოფლიო ლიდერია და გარიგებების წლიური რაოდენობა განუხრელად იზრდება.

თუ ალმასის შეძენა გსურთ IDE-ს მეშვეობით, აუცილებლად დაგჭირდებათ ამ ქსელის ერთ-ერთი კომპანიის მოწვევა, სხვანაირად ბირჟაზე ვერ მოხვდებით. უცხოელებს ისრაელში ალმასების ყიდვა დაბეგვრის გარეშე შეუძლიათ. იმის მიუხედავად, ძვირფასი ქვა თან მიგაქვთ თუ IDE-ს კომპლექსში მომუშავე რომელიმე სატრანსპორტო ფირმის მეშვეობით გზავნით, ნებისმიერი ისრაელური კომპანია ვალდებულია, გაიაროს ექსპორტის პროცედურა კომპლექსის შიგნით მდებარე საბაჟო სამმართველოში. ამ პროცედურის გავლის შემდეგ თქვენი შენაძენი ისრაელის საბაჟოს შტამპიანი დაბეჭდილი კონვერტით გადმოგეცემათ, რათა უპრობლემოდ და შეუფერხებლად შეძლოთ ქვეყნის დატოვება შენაძენითურთ.

„მაზალ უბრახა“

ალმასების ყიდვა-გაყიდვის გარიგება მთელ მსოფლიოში მთავრდება ხელის ჩამორთმევით და ორი სიტყვით ივრითზე: „მაზალ უბრახა“. ამ სიტყვებით გარიგების მონაწილეები ერთმანეთს ლოცავენ და წარმატებას უსურვებენ. ეს თავისებური კოდი ალმასების დილერების წრეში გამოიყენება არა მარტო ისრაელში, არამედ აშშ-ში, ჩინეთში, ინდოეთსა და არაბულ ქვეყნებშიც კი.

IDE-ს უზარმაზარი სავაჭრო მოედანი 2 დარბაზისგან შედგება (ერთი – ალმასებისთვის, მეორე – ბრილიანტებისთვის). მისი საერთო ფართობი 2,5 ათას კვ. მეტრს უტოლდება. სავაჭრო დარბაზებში ყოველდღიურად ასობით დიამანტერი დებს გარიგებებს ურიცხვ უცხოელ მყიდველთან, რომლებიც ალმასებისა და ბრილიანტების შესაძენად მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოდიან ისრაელში.

აქ შესაძლებელია ნებისმიერი ზომის, ფორმისა და ხარისხის ბრილიანტის შეძენა, იქნება ეს წვრილი, საშუალო, მსხვილი, მრგვალი, ექსტრავაგანტურად ორიგინალური ფორმის თუ სპეციალური დაწახნაგების, ისრაელელი თუ სხვა დიამანტერების დამუშავებული; ნებისმიერი ჯგუფის თეთრი ბრილიანტები თუ ბუნებრივი წარმოშობის ფერადი ბრილიანტები სხვადასხვა ელფერით. ისრაელი იუველირებისთვის იმითაა მიმზიდველი, რომ ნებისმიერი ტიპის ამ ძვირფასი ქვების შეძენა შეუძლიათ შეუფერხებლად, ნებისმიერ დროს.

ბრილიანტები ისრაელის ერთ-ერთი წამყვანი საექსპორტო პროდუქტია. დღეს ეს ქვეყანა არა მარტო ბრილიანტების ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორია მსოფლიოში, არამედ ალმასის ნედლეულით ვაჭრობის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრიც. ისრაელში დაუმუშავებელი ალმასების მსოფლიო მოცულობის დაახლოებით მესამედი შედის იმპორტის სახით და ალმასების ბირჟაზე ხვდება, საიდანაც შემდეგ მსოფლიო ბაზრებზე გადის. ისრაელი ბრილიანტების მთავარი ექსპორტიორია აშშ-ში, ბრილიანტების მოხმარების მსოფლიოში უდიდეს ბაზარზე. ისრაელის ალმასის მრეწველობის წილი ქვეყნის საგადახდო ბალანსში წელიწადში 800 მლნ დოლარამდეა. 20 ათას ოჯახზე მეტი შემოსავალს სწორედ ალმასების სფეროში საქმიანობით იღებს. ისრაელის ალმასების ბირჟის (IDE) კომპლექსით ყოველწლიურად 330 ათასამდე ადამიანი, მათ შორის, უცხოელი მყიდველი სარგებლობს.

ისრაელის ბრილიანტების ბირჟა თავის კლიენტებს ყველანაირ გარანტიას აძლევს ძვირფასი ქვების გაყიდვასა თუ ყიდვასთან დაკავშირებით; მოქმედებს მნიშვნელოვანი ფასდაკლებებიც კომპანიების მხრიდან პოტენციური კლიენტების მოსაზიდად. ის, რომ პროდუქცია გარანტირებულად უმაღლესი ხარისხისაა, თანაც სერტიფიცირებული და ლეგალური – დიდი პლუსია ისრაელის ბრილიანტების ბირჟის სასარგებლოდ. ბირჟის ტერიტორიაზე დიდი თუ მცირე ზომის რამდენიმე ასეული საიუველირო მაღაზიაა განთავსებული.

Zabutinsky st 1, Ramat Gan

ჰარი ოპენჰაიმერის ალმასების და ბრილიანტების მუზეუმი

მუზეუმმა, რომელიც ისრაელის ალმასების ცენტრში მდებარეობს რამათ განში, 2007 წელს თავისი 70 წლის იუბილე აღნიშნა. მუზეუმში დამთვალიერებელს სთავაზობენ მომაჯადოებელ ვირტუალურ მოგზაურობას ალმასების სამყაროში: გამოფენებით, ინტერაქტიული სტენდებით, ვიდეო და მულტიმედიური საშუალებებით უამბობენ, ზოგადად, ალმასებისა და, კონკრეტულად, ისრაელის ალმასის მრეწველობის ისტორიას; აცნობენ, როგორია ალმასის „გზა“ მიწის სიღრმიდან ძვირფასეულობასა და აქსესუარებამდე...

DC – ისრაელის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი საიუველირო კომპანიაა, რომელიც არა მარტო მზა სამკაულს ყიდის, არამედ მომხმარებელს დაუმუშავებელ ალმასებსაც სთავაზობს; IDC რამდენიმე დამწახნაგებელ საიუველირო სახელოსნოსთანაც თანამშრომლობს.

EDIAMONDS – კომპანია ერთმანეთს უთავსებს მზა სამკაულისა და ძვირფასი ქვების გაყიდვას და ალმასის დაწახნაგების და დაუმუშავებელი ქვისგან უნიკალური შედევრის შექმნის დემონსტრაციას მომხმარებლის თვალწინ – კლიენტს შესაძლებლობა აქვს, მონაწილეობა მიიღოს საიუველირო სამკაულის შექმნაში, რომელიც თავადვე აირჩია; შეუძლია თვითონვე განსაზღვროს ალმასის ფორმა და ზომა, შეიტანოს კორექტივები მზა ნაკეთობის დიზაინსა და ფერში.

D&A JEWELRY-ს პროდუქტები ხელოვნების სრულიად განსაკუთრებული ნიმუშებია. D&A Jewelry, ისრაელის ერთ-ერთი ყველაზე ძველი საიუველირო ფირმა, ევროპულ სახელმწიფოთა უმრავლესობასა და აშშ-სთან მუშაობს. კომპანიის ყველა კლიენტს ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს და განაახლოს ნაკეთობა, რომელიც აქ ოდესმე შეუძენია; ამასთან, აქვს სამუდამო გარანტია და ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

SHUK HaNAMAL

„შუკ ჰანამალი“ ისრაელის მთავარი გადახურული ბაზრობაა და თელ-ავივის უმშვენიერეს პორტში მდებარეობს. აქ ყოველდღიურად შეგიძლიათ შეიძინოთ ახალი და სეზონური პროდუქტი, როგორც ადგილობრივი, ისე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის საუკეთესო ინგრედიენტები; სპეციალურ მაღაზიებში და დახლებზე შემოგთავაზებენ სეზონურ ხილსა და ბოსტნეულს Good, clean & fair-ის მცირე და საშუალო მეწარმეებისგან.

აქ განლაგებულია ხილ-ბოსტნეულის, საყასბო, თევზეულის, ქიმერული ხორცპროდუქტების, ღვინის, იტალიური ყავისა და ნაყინის, ახლად გამოწურული წვენის, ყველისა და American style deli-ს პროდუქტების მაღაზიები; შეძლებთ შეიძინოთ ახალგამომცხვარი ფუნთუშეული, ახალდამზადებული პასტა, იტალიური და ესპანური კონსერვირებული პროდუქტები, ზეთისხილის ნაირსახეობები, ადგილობრივი ზეითუნის ზეთი, თაფლი, ჰალვა და ტაჰინი.

აქვეა პროფესიონალი მზარეულებისთვის განკუთვნილი სამზარეულოს აღჭურვილობების მაღაზია, რესტორანისადემონსტრაციო სამზარეულოთი და კულინარიული ვორქშოპის ცენტრი.

ზღვის მომაჯადოებელი ხედის ფონზე, მაღაზიები და დახლები გთავაზობენ უამრავ სასადილო სივრცეს, ბარებსა და რესტორნებს, სადაც მსუბუქად წახემსებასაც შეძლებთ და სადილსაც მიირთმევთ.

ყოველ პარასკევს დილით და სამშაბათს შუადღეს აქ კულინარიული დღესასწაული იმართება.

Hangar 12, Tel Aviv Port
www.shukhanamal.co.il

SARONA MARKET

91 მაღაზიით, დახლითა და სხვადასხვა კატეგორიის რესტორნით „სარონას“ ცენტრმა ისრაელის ყველაზე გამორჩეული კულინარიული კომპლექსის სახელი დაიმკვიდრა. თანამედროვე და ინოვაციურ ურბანულ გარემოში წარმოდგენილია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სხვადასხვა სახეობის ყველი, უმაღლესი ხარისხის ბალზამიკოები იტალიიდან, ახალი ზღვის პროდუქტები ატლანტის ოკეანიდან, ფრანგული შამპანური და აღმოსავლური სუნელები ადგილობრივ პროდუქტთან ერთად – ხილი და ბოსტნეული ემეკ ჰეფერიდან და არავიდან, ცხვარი და ხბო გოლანის მაღლობებიდან, ხმელთაშუა ზღვის თევზეული, ადგილობრივი და უცხოური ღვინოები, ლუდი, შოკოლადი, უგემრიელესი საკონდიტრო ნაწარმი და სხვა მრავალი.

ღიაა: კვირა-ხუთშაბათი – 09.00-23.00;
პარასკევი – 08.00-18.00; შაბათი – 09.00-23.00
Kalman Magen 3; www.saronamarket.co.il

კულინარიულ ცენტრში გურმანები ცნობილი ისრაელელი შეფ-მზარეულების ისეთი კერძების დაგემოვნებას შეძლებენ, რომლებიც უკვე კარგა ხანია აქ მცხოვრებთათვის ლეგენდად იქცა; ასევე გასინჯავენ ადგილობრივი წარმოების საუკეთესო მონაპოვარს, როგორიცაა Fauchon Paris-ს პროდუქცია, Bashar Fromagerie-ს ყველი და Halva Kingdom-ის ჰალვა.
ადგილობრივისა და საერთაშორისოს, კლასიკურისა და თანამედროვის, ურბანულისა და პასტორალურის შეხამება „სარონას“ კომპლექსში იშვიათ გარემოს ქმნის.

აქ შეიძენთ საუკეთესო ინგრედიენტებს კერძების დასამზადებლად, სამკერძიან სადილსაც მიირთმევთ, სახალისო შოპინგით დაკავდებით, უგემრიელეს ფრანგულ სასუსნავს მიაგნებთ, იტალიურ ესპრესოს მიაყოლებთ და წიგნს გადაფურცლავთ, ანდა ჭიქა ღვინოს მოიმარჯვებთ საუკეთესო ძეხვეულის ასორტიმენტთან ერთად; ახალდამზადებულ ზეითუნის ზეთს გასინჯავთ, ყველის ნაირსახეობას დააგემოვნებთ; ორგანული პომიდვრის სახეობებს შორის განსხვავების შესახებ თავად ფერმერებისგან შეიტყობთ. ზედმიწევნით კარგი სერვისის, მისაღები ფასებისა და მრავალფეროვნების გამო „სარონაში“ შოპინგი მუდამ გემახსოვრებათ.

თელ-ავივის საშზარეულოს კანონები

როგორც კი თელ-ავივში აღმოსავლური იისფერი საღამოს ჩრდილები მომძლავრდება და ზღვიდან მარილიანი ბრიზი მძლავრად დაბერავს, მოციმციმე, თბილი სინათლით განათებული რესტორნების შემინული გალერეებიდან თელ-ავივის ქუჩებში საოცარი სურნელი იწყებს გამოპარვას.

ეს სუნელებით გაჯერებული, თბილი და რაღაც უძველესის, კარგად დავიწყებულის გახსენების იმედივით სავსე არომატები ცხვირში უღიტინებს, ათრობს და აბრუებს ადამიანებს და ისინიც სიხარულით ერთვებიან ხილ-ბოსტნეულის, ზღვის ბინადართა, ოთხფეხა ცხოველთა და ტკბილეულის სამყაროს ორომტრიალში, სადაც ისრაელის ახალი თაობის შეფები მეფობენ.

ისრაელში, განსაკუთრებით კი თელ-ავივში ძალიან უყვართ საღამოების რესტორნებში გატარება. ყველა კარგი რესტორანი ხმაურიანი, მხიარული და ლაღია. საღამოს 8 საათის მერე დაწყებული ტრაპეზი ღამის ორზე მაგიდაზე ცეკვით სრულდება. ამ საქმეში აქტიურად ერთვებიან მიმტანებიც, რომლებიც ნამდვილად შესანიშნავად ფლობენ თავიანთ საქმეს და ზედმეტი ფამილარობის გარეშე ახერხებენ კლიენტების მომსახურებასაც და გართობასაც.

კიდევ ერთი ტრადიცია: მიმტანები ხშირად თქვენთვისაც დაასხამენ სასმელს პატარა ჭიქაში და თავისთვისაც, თქვენს სადღეგრძელოსაც დალევენ და ისე წაგაქეზებენ, რომ მაგიდაზე სულ მალე საკუთარი ნებით აღმოჩნდებით.

პოპულარულ რესტორნებში ჩვეულებრივი მოვლენაა ღია სამზარეულო. ამ შემთხვევაში საშუალება გეძლევათ, ნამდვილ კულინარიულ შოუს ადევნოთ თვალი, სწორედ ამიტომ ყველა ცდილობს, ბართან დაიკავოს ადგილი. ეს არცაა გასაკვირი, თუ შეფების გაზრდილ პოპულარობას გავითვალისწინებთ. მათთვის კი, ვისაც აინტერესებს კულინარიის სამყარო და მოსწონს კერძის მომზადების თვალყურის დევნება, ეს მართლაც შესანიშნავი ბონუსია. ის, რასაც ამ სამზარეულოებში ნახავთ, ყველა სატელევიზიო შოუს სჯობს.

ძალიან ხშირად მთელი რესტორანი პროდუქტების ყუთებითაა სავსე. ახალი ხილი და ბოსტნეული, რომელიც მხოლოდ აქაური წარმოებისაა, ადგილობრივი ბაზრიდან ან რესტორნის მომმარაგებელი კიბუცი-ფერმიდან მოდის – ცალკე სანახაობაა. აქ ყველაფერი გარეთაა გამოტანილი იმისთვის, რომ საკუთარი თვალით ხედავდეთ, რა პროდუქტისგან მომზადებულ საკვებს მიირთმევთ.

მხიარულად და გემრიელად გატარებული საღამოს მერე მშვენიერი დილა დგება და რესტორნები ახლა უკვე საუზმისთვის ივსება. საუზმის კულტურა თელ-ავივში ფრიად განვითარებულია. ქალაქის ცენტრში თავმოყრილ კაფეებში ყველა სახის საუზმე შეგიძლიათ მიირთვათ, მაგრამ ბეიგელი კრემოვანი ყველითა და წითელი თევზით მაინც პრიორიტეტულია გასასინჯ კერძთა სიაში.

POPINA

სან პელეგრინოს ჯგუფის მიერ ნომინირებული შეფის, ორელ კიმჩის უნიკალური მენიუ კერძების მომზადების ტექნოლოგიით ხუთ კატეგორიადაა დაყოფილი: შებოლილი, ორთქლზე მოთუშული, ღუმელში გამომცხვარი, ტაფაზე შემწვარი და დაბალ ცეცხლზე მომზადებული. თითოეულ კატეგორიას შესაბამისი კოქტეილიც ახლავს. დაფიქრდით, როგორი გემო იწვევს თქვენში ყველაზე მეტ სიამოვნებას და თამამად აირჩიეთ კატეგორია – ეს დაუვიწყარი კულინარიული თავგადასავალი იქნება.

ღიაა: კვირა-პარასკევი – 18.00-01.00; შაბათი – 12.00-15.00/ 18.00-01.00; **ფასი:** tasting menu 280 NIS; 192 NIS (2 კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

Ahad Haam st 3; Tel. + 972 3 5757477

OCD

გურმანებს, რომელთაც ნამდვილი კულინარიული თავგადასავალი იზიდავს, ვურჩევთ, ესტუმრონ ახალგაზრდა, თუმცა უკვე საკმაოდ ცნობილი ნიჭიერი შეფის, რაზ რაჰავის რესტორანს, სადაც თანამედროვე ინტერიერში, სამზარეულოს ირგვლივ არსებულ დახლთან მხოლოდ 18 სტუმარი თავსდება და დღეში სერვისის ორი ეტაპი ტარდება. აქ ადგილი წინასწარ უნდა დაჯავშნოთ. რაზ რაჰავს ტრადიციული მენიუ არა აქვს. ყოველდღე განსხვავებული პროდუქტებით ინსპირირებული, 9 კერძისგან შემდგარი მენიუ თქვენ თვალწინ მზადდება და ეს მართლაც დაუვიწყარი სპექტაკლია. **ღიაა:** ორშაბათი-პარასკევი – 19.00-იდან ან 21.30-იდან; **ფასი:** შეფის მენიუ 280 NIS (სასმლის გარეშე)

Tirsta st 17, Jaffa; Tel. + 972 3 5566774

HaSALON

ისრაელის ერთ-ერთი ყველაზე ექსცენტრიკული შეფის, ეიალ შანის ლეგენდარული რესტორანი კვირაში მხოლოდ ორი დღე მუშაობს. სადილი საკმაოდ ძვირადღირებულია, მაგრამ მისგან მიღებული სიამოვნება დაუვიწყარია. აქ ბარის დახლთან მოკალათებაც შეგიძლიათ.

22.00 საათიდან რესტორანი სახეს იცვლის – მუსიკის ხმა ძლიერდება, შუქი კლებულობს და მაგიდაზე ცეკვას თავად რესტორნის თანამშრომლები იწყებენ. ეიალ შანის სამზარეულოს მთავარი კრედოა, უმაღლესი ხარისხის ინგრედიენტები ყველაზე ოპტიმალური და პოეტური გზით მომზადდეს. მენიუ ყოველდღე იცვლება და თითოეული მათგანი განუმეორებელია. რესტორანი ქალაქის ცენტრიდან ცოტა მოშორებით მდებარეობს, ამიტომ ტაქსით მგზავრობას გირჩევთ.

ღიაა: ოთხშაბათი და ხუთშაბათი – 19.00-იდან ბოლო კლიენტის წასვლამდე; **ფასი:** 250 NIS (სასმლის გარეშე)

Maavar Yabok 8; Tel. + 972 52 7035888

MIZNON

მორიგი, წარმატებული რესტორანი სპეციალიზებულია უგემრიელესი ისრაელური პიტის სენდვიჩებზე, რომლებსაც სხვადასხვაგვარი შიგთავსით აქ წარმატებული და ახალგაზრდა შეფ-მზარეულები ამზადებენ.

იალ შანის ყველაზე დემოკრატიული რესტორანი Miznon, რომელიც უფრო სწრაფი კვების ობიექტს ჰგავს, თელ-ავივის ცნობილ ბაზართან, შუქ ჰაკარმელთან (Shuk HaCarmel) ახლოს მდებარეობს. „მიძნონში“ ამავე ბაზრიდან მოტანილი ახალი პროდუქტებით მომზადებული მრავალფეროვანი კერძებით გაგიმასპინძლდებიან, რომელსაც პიტაში გამოხვეულს მოგართმევენ.

აქ ფასებიც ყველაზე დემოკრატიულია და მომსახურებაც მხიარული და უშუალო. შეგიძლიათ ბართან ჩამოჯდეთ და საინტერესო საუბარი გაუბათ ბარმენს ან ოფიციანტებს, რომლებიც ციბრუტივით ტრიალებენ, თან ყველაფერს ასწრებენ, მათ შორის, თქვენთან ერთად ჭიქის გადაკვრასაც.

გირჩევთ, ქათმის ღვიძლით ან ღორის ყბების ხორცით მომზადებული უგემრიელესი პიტა გასინჯოთ.

ღიაა: 12.00-00.00; **ფასი:** 80 NIS-იდან

Ibn Gabriol 23; Tel. + 972 3 7168977

TZFON ABRAXAS

განუმეორებელი ატმოსფერო და გემოების ფეიერვერკი გელით რესტორან „ცვონ აბრაქსასში“ (Tzfon Abraxas). პირველ სართულზე, ღია სამზარეულოს გარშემო განლაგებულ მრგვალ ბართან მოთავსდით – გარწმუნებთ, ეს გაცილებით უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მეორე სართულზე, ამ საინტერესო ფუსფუსიდან მოშორებით ყოფნა. კერძებს აქაც ყავისფერ ქაღალდზე მოგართმევენ.

აუცილებლად უნდა გასინჯოთ შეფ ეიალ შანის საავტორო კერძი – სახელგანთქმული ყვავილოვანი კომბოსტო, იმის მიუხედავად, თუ რა დამოკიდებულება გაქვთ ბოსტნეულთან. ეს კერძი ნამდვილი შედევრია, თუმცა ხორცის მოყვარულებსაც საოცარი სიამოვნება ელით სტეიკების სახით.

საკვების მომზადების პროცესი თქვენ თვალწინ წარიმართება, ბოსტნეულის გემო კი, რომელსაც ამ რესტორანში გასინჯავთ, ნამდვილად არასოდეს დაგავიწყდებათ.

ძალიან მეგობრული მომსახურე პერსონალი ყოველთვის სიამოვნებით აგიხსნით ყველა კერძის შინაარსს და, თქვენი გემოვნების გათვალისწინებით, რჩევასაც მოგცემთ.

ღიაა: 12.00-02.00; **ფასი:** 180 NIS (2 კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

Lilienblum 40;
Tel. +972 3 5166660

SALON ROMANO

ესეც ეიალ შანის კიდევ ერთი მოდური გასტრო-ბარია, რომელშიც შეგიძლიათ შეფის საამაყო უნიკალური ფრანგული ფრი დააგემოვნოთ. მისი გემოს საიდუმლო მომზადების თავისებურებაშია: სამჯერ შემწვარი და სპეციალურ მაცივარში გაგრილებული კარტოფილის კერძი ხრაშუნა გარეკანისა და ურბილესი შიგთავსის იდეალური კომბინაციაა.

ღიაა: 20.00-04.00

Derech Romano 9; Tel. + 972 3 5566774

ITZIK HaGADOL

ეს თელ-ავივში საუკეთესო ხორცის კერძების რესტორანია, სადაც შეგიძლიათ მიირთვათ გამორჩეული გემოს მქონე სხვადასხვაგვარი სტეიკი და ქაბაბი. ორი ადამიანის უგემრიელესი სადილი კი დაახლოებით 300 შეკელი დაგიჯდებათ.

ღიაა: კვირა-ხუთშაბათი – 11.30-23.30; პარასკევს დაკეტილია; **ფასი:** 250 NIS (2 კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

David Raziel st 3; Tel. + 972 57 9438970

KITCHEN MARKET

იოსი შიტრიტის რესტორანი იდეალურ ადგილას მდებარეობს – თანამედროვე ფერმერული მარკეტის თავზე. შესაბამისად, პროდუქტებიც უმაღლესი ხარისხისაა. საღამოს ზღვის სანაპიროზე მზის ჩასვლის ცქერით დატკბებით და ძალიან ნიჯიერი შეფის კლასიკური „ფიუჟენის“ უგემრიელეს და ლამაზად გაფორმებულ კერძებს დააგემოვნებთ. ერთი სიტყვით, აქ საღამოს იდეალურად გაატარებთ.

ფასი: 221 NIS (2 კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

Hangar st 12, TLV Port; Tel. + 972 3 5566774

MESSA

აქ შეფ-მზარეულ მოშე ავივის ღირსშესანიშნავი, მაღალი დონის, ხმელთაშუაზღვისპირეთის კერძებით შთაგონებული სამზარეულო და შთამბეჭდავი ინტერიერი დაგხვდებათ. როგორც თევზეულის, ისევე ხორცის მოყვარულთათვის საინტერესო იქნება შემწვარი კალმარები ლიმონის სოუსით, ზღვის ქორჭილა ხახვის რავიოლითა და ღია ცეცხლზე შემწვარი ურბილესი სტეიკი. **ღიაა:** 12.00- 15.30 / 19.00-23.00; **ფასი:** 260 NIS (2 კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

Ha'Arba st 19; Tel. + 972 3 6856859

CAFE EUROPA / ROTHSCHILD 12 / SOCIAL CLUB

თელ-ავივის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე, როტშილდის ბულვარზე მდებარეობს სამი საკულტო, ძალზე პოპულარული კაფე-რესტორანი, რომლებიც შესანიშნავია არა მხოლოდ იმისათვის, რომ თბილ ამინდში, უბრალოდ, ჩამოჯდეთ და ერთ-ერთი სასიამოვნო საქმიანობით – საინტერესო, ექსტრავაგანტური ხალხის თვალიერებით გაერთოთ, არამედ ისინი ცნობილია ევროპული ბისტროს ტიპის, საოცრად გემრიელი სამზარეულოთი, ჩინებული ბარებითა და კოქტეილების მენიუთი.

სამივე მათგანი ძალზე ხალხმრავალი ადგილია და თუ გსურთ, ტერასაზე მიირთვათ, უმჯობესია, ადგილები წინასწარ დაჯავშნოთ.

ფასი: 130 NIS (2 კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

CAFE EUROPA	ROTHSCHILD 12	SOCIAL CLUB
Rothschild Blvd 9b	Rothschild Blvd 12	Rothschild Blvd 45
+ 972 3 5259987	+ 972 3 5106430	+ 972 3 5601114

SHILA

სასტუმრო „ჰილტონთან“ ახლოს მდებარე თევზის რესტორანი შეფმა შარონ კოენმა 10 წლის წინ გახსნა და ის დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეს რესტორანი რეკომენდებულია მათთვის, ვისაც უყვარს უმაღლესი ხარისხის სხვადასხვა თევზისგან მომზადებული ტარტარი, კარპაჩო, კალმარები, გრილზე შემწვარი კიბორჩხალები და ასთაკვები.

ღიაა: კვირა-ორშაბათი – 12.30-24.00; ხუთშაბათი – 12.30-01.00
ფასი: 230 NIS (2 კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

Ben Yehuda 182; Tel. +972 3 5221224

BOTANIKA

სკანდინავიური დიზაინით დამშვენებულ ინტერიერში დახვეწილ, მაღალხარისხოვან ალკოჰოლურ სასმელებს შემოგთავაზებენ. დამაარსებლების მსოფლმხედველობა დაფუძნებულია კონცეფციაზე, რომ კოქტეილში მთავარი ალკოჰოლია, ხოლო დანარჩენი გემოები – მხოლოდ დამხმარე ელემენტები. აქვეა რესტორანი, რომლის შეფიც იოსი ასრაფია. მისი აზრით, ნებისმიერი კერძის (ბოსტნეული, თევზი თუ ხორცი) მაღალხარისხოვან მთავარ ინგრედიენტს ზედმეტი მომზადება არ სჭირდება – ეს ჭეშმარიტად სკანდინავიური მინიმალიზმია.

ღიაა: 18.00-02.00; **ფასი:** 100 NIS (ერთი კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

Botanika hotel; Hayarkon st 78; Tel. + 972 3 9330339

ARIA

თელ-ავივის წარმატებული ადამიანების თავშეყრის საყვარელი სივრცე ორ სართულს მოიცავს. შენობის პირველ სართულზე მდებარე პოპულარულ ბარში ფასები მაღალია, მაგრამ კერძებისა და კოქტეილების განსაკუთრებული გემო ამ „უსიამოვნებას“ აბათილებს. აუცილებლად გასინჯეთ ლეგენდარული სასმელები: Aria Sour #4, Plague Water Collins და Tropical Smoke. შეფმა გაი გამზუმ საინტერესო მენიუ შექმნა, რომელიც ინსპირირებულია სირიის, ეგვიპტის, იტალიის, ესპანეთისა და იაპონიის სამზარეულოთა ელემენტებით. გირჩევთ, გასინჯოთ თევზის სხვადასხვაგვარი სევიჩე და ნაირ-ნაირი ხორცის სტეიკი.
ფასი: 115 NIS (ერთი კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

Nahalat Binyamin 66; Tel. + 972 3 5296054

SPICEHOUSE

ფასადზე წარწერაა: "The East Jaffa Parfume Compny". ამ ბარის უნიკალური კონცეფცია ფარმაცევტული თემის „გათამაშებაზეა“ აგებული, რაც ინტერიერის დეტალებშიც ჩანს. ბარმენები თეთრ ხალათებში გამოწყობილნან, სასმელს კოლბებით გთავაზობენ და, რაც მთავარია, სამედიცინო თემა მათი კოქტეილების სრულიად დაუვიწყარ რეცეპტებში გამოიხატება. გასინჯეთ Okinawa Vesper და Istanbul-Louisville Express. ფასდაკლების საათებში (18.00-20.00) ერთი კოქტეილის ფასად მეორეს გჩუქნიან.
ღიაა: 18.00-03.00;
ფასი: 100 NIS (ერთი კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

Dizengoff st 117
Tel. + 972 54 2286200

BELLBOY BAR

ეს შესანიშნავი კრეატიული ბარი, რომელიც სასტუმრო „ბერდიჩევსკის“ ტერიტორიაზე მდებარეობს, უჩვეულო მცენარეული ინგრედიენტების არომატებზე დამზადებული კოქტეილების დიდ არჩევანს გთავაზობთ.
შინდისფერი ხავერდის ფარდები, ტყავის დივნები, მარმარილოსა და სპილენძის დახლი, მოყვითალო ნათურები – ეს ბარი ადგილობრივმა მედიამ შეაფასა, როგორც „ისრაელში საუკეთესო და ყველაზე ორიგინალური“.
ფასი: 100 NIS (ერთი კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

Berdichevsky 14;
Tel. + 972 3 7289213

IMPERIAL CRAFT COCKTAIL BAR

The Imperial Hotel-ის ბარი საუკეთესო ბარების მსოფლიო რეიტინგში მე-17 ადგილზეა. აქ თელ-ავივის ყველაზე ცნობილი ბარისტები მუშაობენ. ინტერიერი მე-20 საუკუნის დასაწყისის აზიური კოლონიური სტილითაა შთაგონებული. კოქტეილების მენიუ დაყოფილია განსხვავებული გემოების მიხედვით: ხილის, მწარე, ცხარე, დაძველებული, შებოლილი და ა. შ. ფასდაკლების საათებში სასმელს ნახევარ ფასად შეიძენთ. **ღიაა:** 18.00-24.00;
ფასი: 105 NIS (ერთი კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

Ha'Yarkon st 66;
Tel. + 972 3 2649464

DOUBLE STANDARD

ეს კომპანია Spicehouse-ის კუთვნილი კიდევ ერთი, ძალიან მყუდრო ბარია სასიამოვნო ტერასით, სადაც შეგიძლიათ არა მარტო დაგემოვნოთ დაუვიწყარი კოქტეილები, არამედ საგანგებოდ შექმნილი ბოთლებით წასაღებადაც შეიძინოთ. გარდა ამისა, აქ იყიდება პროფესიონალი ბარმენის აქსესუარებიც.

ბარი ასევე განთქმულია თავისი დახვეწილი აპეტაიზერებით. ფასდაკლების საათებში (18.00-20.00) მოქმედებს პრინციპი 1+1.
ფასი: 142 NIS (ერთი კერძი და ჭიქა ალკოჰოლი)

Dizengoff st 247;
Tel. + 972 3 5550966

THE BLOCK

ეს კლუბი ელექტრონული მუსიკის მოყვარულთა თავშეყრის უმთავრესი ადგილია, სადაც ადგილობრივი და მოწვეული ტოპ-დიჯეები უკრავენ.

Salame 157

THE CAT AND THE DOG

ადგილი, რომელსაც შეგიძლიათ მიაკითხოთ, როდესაც სხვა ბარები დაიკეტება. ამ კლუბში ხმის არაჩვეულებრივი სისტემაა და ბევრი ტოპ DJ მუშაობს.

Carlebach 23

SOLO CLUB

აქ საოცარი განათებითა და ხმის სისტემით აღჭურვილი უზარმაზარი სივრცეა. პოპულარული საცეკვაო მუსიკა კიმრავალფეროვანიგემოვნებისმქონეადამიანებისგულის მოსაგებად შეურჩევიათ.

Yehuda Halevi st 46; + 972 52 346 6905

CLARA

ღია სივრცეში, სანაპიროზე მდებარე ცნობილი კლუბი ყველაასაკისადამიანსიზიდავს–მათ,ვისაცსურსსახალისო მუსიკის ფონზე კარგი სამზარეულო დააგემოვნოს და ლამაზი ხალხის გარემოცვაში ზაფხულის ღამე ბედნიერად გაატაროს.

Koifman st 11 / Dolphinarium

BREAKFAST + MILK CLUB

DJ-ის მიერ შემოთავაზებული ტექნო და ჰაუს მუსიკა გიბიძგებთ, რომ გათენებამდე იცეკვოთ.

Rothschild 6

THE PENGUIN CLUB

ერთ-ერთ საუკეთესო ტექნო-მუსიკის კლუბში ჭეშმარიტი „ანდერგრაუნდის“ წარმომადგენლები იკრიბებიან.

Yehuda Halevi st 43

VOYAGER კომენტარი

ფეხის ქირა ისრაელში სულაც არ არის სარესტორნო ბიზნესის ნებაყოფლობითი შემადგენელი.

ქვეყანაში, სადაც კოქტეილის ფასი ბარში 50 შეკელია, ვახშმის ღირებულება კი ერთ ადამიანზე 150 შეკელიდან იწყება, 10% გასამრჯელო მომსახურებისთვის ის მინიმუმია, რომელსაც ოფიციანტი ან ბარმენი თქვენგან ელოდება. ანუ თუკი, ანგარიშის მიხედვით, თქვენი დანახარჯი 600 შეკელია, არ შეიძლება ფეხის ქირად 20 ან 50 შეკელის დატოვება იმ აზრით, რომ ეს საკმარისია. რეკომენდებულია დატოვოთ მინიმუმ 60 შეკელი და ესეც იმ შემთხვევაში, თუკი მომსახურება არ მოგეწონათ; ხოლო თუ კარგად მოგემსახურნენ, მაშინ, რა თქმა უნდა, თქვენგან მეტს ელიან.

მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, თუკი სერვისი ძალიან ცუდი იყო (იმედი გვაქვს, მსგავს სიტუაციაში არ აღმოჩნდებით), შეგიძლიათ საერთოდ თანხის გადაუხდელად დატოვოთ დაწესებულება.

ახალგაზრდა ოფიციანტების და ბარმენების მთელი არმია გამოდის ყოველ საღამოს სამუშაოდ, რომ სწავლის და ცხოვრების ფული გამოიმუშაოს. ისრაელში ოფიციანტად ნებისმიერი შემოსავლის მქონე ოჯახის წევრი ახალგაზრდა საქმდება: ამ ქვეყანაში მუშაობა პატივია და ოფიციანტად მუშაობა არც ერთ შემთხვევაში სათაკილო არაა, თუმცა ტურისტებიდან ცოტამ თუ იცის, რომ მიმტანს თითქმის არც ერთ დაწესებულებაში არ უდიანხელფასს. ხშირად უცხოელებიგაოცებასვერმალავენ, როდესაც მათ პირდაპირ ჩეკზე უწერენ გასამრჯელოს თანხას.

ისრაელელებს კი თავად თითქმის ყველას აქვს გავლილი „ბარმენობის ეტაპი“, ამიტომ არ უკვირთ, როდესაც ავტომატურად სთხოვენ საბარათე ანგარიშიდან 12-15%-ის მოხსნას.

ფეხის ქირა, რომელსაც გაიღებთ, ცვლის ყველა თანამშრომელს შორის ნაწილდება, ამიტომ აც ხშირად ერთის ნაცვლად რამდენიმე ადამიანი გემსახურებათ.

ოფიციანტის მომსახურება ისრაელის სერვისის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პლუსია. ისინი განსაკუთრებული კეთილგანწყობით და ყურადღებით გამოირჩევიან, მუდმივად ინტერესდებიან, მოგეწონათ თუ არა საკვები, სასმელი, სერვისი.

იგივე წესი ვრცელდება ღამის კლუბებსა და ბარებზე: თუ არ გინდათ, სრულიადაც უყურადღებოდ დაგტოვონ, გადაიხადეთ. და არ იდარდოთ, თუკი ნაღდი ფული არ გაქვთ – გასამრჯელოს ადვილად მოხსნიან თქვენი საბანკო ბარათიდანაც.

სუვენირები ისრაელიდან

მორწმუნე ქრისტიანებისათვის ისრაელი რელიკვიების ნამდვილი საბადოა.

ხატები – მომლოცველებს ისრაელიდან შინ მიაქვთ ხატები, „წმინდა ოჯახის“ გამოსახულებები ტილოზე, ხეზე, ქვაზე ან გრავიურები. ამ ხატების ასლების შეძენა ნებისმიერ საეკლესიო და სუვენირების მაღაზიაშია შესაძლებელი.

წმინდა ზეთი – ზეითუნის ზეთი სპეციალური სურნელოვანი დანამატებით სხვადასხვა საეკლესიო წესის აღსრულებისთვის.

ჯვრები და გულსაკიდი ხატები – ქრისტიანთათვის განსაკუთრებით ფასეულია ქრისტეს საფლავის ტაძარში ნაკურთხი არტეფაქტები.

ტრადიციული სუვენირები

ისრაელში მოგზაურობისას თუ რაიმე ნაციონალურის შეძენა გსურთ, ყურადღება მიაქციეთ ტრადიციულ ისრაელურ საჩუქრებს, როგორიცაა:

მაგენ დავიდი (დავითის ვარსკვლავი) – შეგიძლიათ უამრავი სუვენირი შეიძინოთ ამ 6-ქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებით (ბრელოკები, ფინჯნები, სამკაულები, მაგნიტები). ჰექსაგრამის ფორმის ამ უძველეს სიმბოლოს ებრაელები „დავითის ფარს“ უწოდებენ, რაც ივრითზე ჟღერს, როგორც „მაგენ დავიდ“. ეს სამკუთხედები სიმბოლურად აღნიშნავს 2 სტიქიას: ცეცხლს და წყალს.

მენორა – ეს არის ლითონის შვიდსასანთლიანი შანდალი თიხის და მინის კანდელებით, რომელიც იუდაიზმის და ებრაული ეროვნული ტრადიციების დაცვის უძველეს სიმბოლოდ გვევლინება. 7-სასანთლიანი ფორმა გამოხატავს 7 პლანეტას, მცირე აზიის 7 ეკლესიას და სამყაროს შექმნის 7 დღეს.

ჰამსა (ჰამეშის ხელისგული) – იუდაიზმში ჰამსა ცნობილია, აგრეთვე, როგორც „იად ჰა-ჰამეშ“ („ხუთის ხელი“) ან „მირიამის ხელი“ (მოსეს და აარონის დის სახელის მიხედვით). ჰამსას უკავშირებენ თორის ხუთწიგნეულსაც.

კულინარიული სუვენირები

ფინიკი – ბუნებრივი ტკბილეულის მოყვარულნი სათანადოდ დააფასებენ ისრაელურ გიგანტურ ფინიკებს. განსაკუთრებით გემრიელია მაჯჰოლი და დეგლეთ ნური.

ყავა ილით – ისრაელური ყავის

გასინჯვის შემდეგ (განსაკუთრებით ილით შეზავებულის) აუცილებლად მოინდომებთ მის შეძენას შინ წამოსაღებად. მოძებნეთ მაღაზიის თაროებზე ან ბაზრობებზე მწვანე შეფუთვა ილის ფოთლის გამოსახულებით.

მეფე სოლომონის ბეჭედი

შუასაუკუნეების ლეგენდებში სოლომონის ბეჭდად (Seal of Solomon) იწოდებოდა სიმბოლო – ორი ერთმანეთზე დადებული ტოლგვერდა სამკუთხედი (დავითის ვარსკვლავი), რომელიც მეფის ლეგენდარულ ბეჭედზე იყო ამოტვიფრული. მისი ძალით სოლომონს ემორჩილებოდნენ ჯინები და შეეძლო ცხოველებთანაც ელაპარაკა. საინტერესოა ლეგენდა სოლომონის ოქროს ბეჭდის წარწერებზე. ერთ-ერთი ვერსიით, მეფე არასდროს იშორებდა ბეჭედს, რომლის წარწერა – „ყველაფერი გაივლის“ – ეხმარებოდა განსაცდელში, ხოლო ლხინში აფხიზლებდა.

სხვა ვერსიით, ბეჭდის სხვადასხვა მხარეს ამოკაწრული იყო სამი ებრაული ასო – გიმელი (ალფავიტის მესამე ასო), ზაინი (მე-7 ასო) და იუდი (მე-10 ასო); ბეჭდის ტრიალისას მათგან იქმნებოდა აბრევიატურა, რომელიც აღნიშნავდა: „ესეც გაივლის“.

VAT REFUND

გაგაცნობთ წესებს, რომელთა შესრულებაც აუცილებელია იმისთვის, რომ ისრაელიდან გამომგზავრებისას დღგ-ის თანხა დაიბრუნოთ.

1. ისრაელის არარეზიდენტ პირებს დღგ-ის დაბრუნების უფლება აქვთ იმ შემთხვევაში, თუ არ ფლობენ ისრაელის პასპორტს და ამ ქვეყანას ტურისტის რანგში სტუმრობენ. თუ არ გინდათ, რომ ისრაელში შესვლისას პასპორტში შტამპი ჩაგირტყან, შეინახეთ სპეციალური ბლანკი, რომელსაც ქვეყანაში შესვლისას მოგცემენ დღგ-ის დაბრუნების პუნქტისთვის;
2. თანხის დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ იმ პროდუქციაზე, რომელიც დღგ-ის დაბრუნების პროგრამაში ჩართულ მაღაზიებშია შეძენილი; ამასთან, ერთჯერადი შენაძენის საფასური ერთი ანგარიშ-ფაქტურისთვის 400 ისრაელურ შეკელს უნდა აღემატებოდეს;
3. თუ საქონელი შეძენილია პირადი მოხმარებისთვის და იმ რაოდენობით, რომელიც კომერციული მიზნებისთვის არ არის გათვალისწინებული;
4. შეძენილი ნივთები გამოგაქვთ ისრაელის სახელმწიფოს ტერიტორიიდან;
5. საქონელი არ მიეკუთვნება კვების პროდუქტების, სასმლების, თამბაქოს ნაწარმის კატეგორიას;
6. დღგ-ის თანხის დასაბრუნებლად შენაძენი აუცილებლად უნდა შეფუთოთ დახურულ პაკეტში, მოათავსოთ მასში დღგ-ის დასაბრუნებელი სპეციალური ანგარიშ-ფაქტურა და ასეთი სახით წარუდგინოთ საბაჟოს თანამშრომელს MILGRAM-ის პუნქტში.



1. ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაცია;
2. დავიდ ბენ გურიონი აცხადებს ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას; თელ-ავივი, 14 მაისი, 1948 წელი.

ისრაელის „დამფუძნებელი მამები“

ბიძინა ბარათაშვილი

კაცობრიობის ისტორიაში ციფრი **3** ოდითგანვე **საკრალური** მნიშვნელობისაა. ზოგიერთი ხალხის ფოლკლორში დედამიწა **3 ვეშაპზე** დგას, ზოგან – ამდენივე **სპილოს ზურგზე**. ჩვენში სამეულს, საკუთრივ ქრისტიანული სამების გარდა, ფართო **იდეოლოგიური** დატვირთვაც მიენიჭა: **მამული, ენა, სარწმუნოება!** ისრაელის თანამედროვე **ისტორიაც** სამი „დამფუძნებელი მამის“ – **თეოდორ ჰერცლის**, **ელიეზერ ბენ იეჰუდასა** და **დავიდ ბენ გურიონის** შექმნილია.

დავიწყოთ იდეოლოგიით. პოლიტიკური სიონიზმის ფუძემდებლად ავსტრიაში დაბადებული ებრაელი ჟურნალისტი, დრამატურგი, რომანისტი და საზოგადო მოღვაწე თეოდორ ჰერცლი (ბინიამინ ზეევ ჰერცლი, 1860-1904) ითვლება. ბევრი ებრაელი დღემდე აღნიშნავს მის მესიანისტურ როლს, თავადაცამავეაზრსპროპაგანდირებდა.ამაშისულაცარაფერია ცუდი – თუ არავინ მოინდომებს მესიობას, ვერც ვერავინ გახდება! ამის გარეშე კი დიდი საქმეების კეთება შეუძლებელია. შედეგიც თვალსაჩინოა – ისრაელის სახელმწიფო არსებობს და წარმატებითაც ვითარდება!

ჰერცლი არც განსაკუთრებული ლიტერატურული ტალანტით იყო დაჯილდოებული და არც გამორჩეული მოაზროვნე ყოფილა. ყველაზე მეტს ჟურნალისტიკაში მიაღწია – თანამედროვენიაღნიშნავდნენ,რომმისინარკვევებისკითხვაერთი სიამოვნება იყო. ალბათ ამიტომაც არ ჰგავდა ის იმჟამინდელ იდეოლოგებს და უმეტესობისათვის გაუგებარი იდეების ქადაგებასაც ერიდებოდა. სამაგიეროდ, ბავშვობიდანვე რაიმე განსაკუთრებულის შექმნის იდეით იყო შეპყრობილი და მიზნის მისაღწევად უკან არაფერზე იხევდა.

ჰერცლის წარმატებას ბევრმა ფაქტორმა შეუწყო ხელი – პირველ რიგში, მისი ოჯახის მყარმა ფინანსურმა მდგომარეობამ. მას არ სჭირდებოდა ლუკმაპურის მოპოვებაზე ყოველდღიური ზრუნვა, ჰქონდა ბევრი თავისუფალი დრო, მუდმივად შეეძლო ემოგზაურა და შეესწავლა ებრაელთა წინაშე სხვადასხვა ქვეყანაში მდგარი პრობლემების საერთო ნიშნები.

ახალგაზრდა ჰერცლი ვენური ბოჰემის ტიპური წარმომადგენელი იყო. მისი ბიოგრაფი იულიუს შეპსი იხსენებს: „ის იყო დენდი, უყვარდა ვაგნერის ოპერები, მოდურად ჩაცმა და კაფეებში ყიალი“. თავად „სიონიზმის მამაც“ არ უარყოფდა, რომ ლესინგის, ლაუბესა და სხვა შემდგომში სოლიდური მოღვაწეების მსგავსად ხშირად ეტანებოდა ბანქოს, მიზეზად კი დაგროვილი ენერგიისა და ემოციების დახარჯვის აუცილებლობას ასახელებდა!

ცხოვრების რადიკალური ცვლილების მთავარ სტიმულად ჰერცლისთვის დრეიფუსის გახმაურებული საქმე იქცა, რომლის განხილვაც პარიზში ანტიებრაული ისტერიის ფონზე მიმდინარეობდა. ამას დაემატა საკუთარი წარუმატებელი ლიტერატურული მცდელობები...

მატერიალური კეთილდღეობა განაპირობებდა მის შეუბღალავ იმიჯს, ხოლო ჟურნალისტის პროფესიამ ორგანიზატორული და აგიტატორული გამოცდილება შესძინა. დავუმატოთ ამას წარმოსადეგი გარეგნობა და მივხვდებით, რატომ იწვევდა ეს ახალგაზრდა კაცი მისდამი პატივისცემასა და უსაზღვრო ნდობას. მართალია, ჰერცლს ზემოჩამოთვლილ პროფესიებში განსაკუთრებული არაფერი შეუქმნია, მაგრამ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება შეიძინა და შესანიშნავად გამოიყურებოდა პრეზიდიუმებსა და ტრიბუნებზე; თანაც ჰერცლმა დროულად მიაგნო წარმატებულ ფორმულას – დრეიფუსის საქმის გამოძახილად, გამოაცხადა: „ჩვენ არსად დაგვედგომება, საკუთარი ქვეყანა გვჭირდება! არ აქვს მნიშვნელობა – სად, მთავარია, არსებობდეს ებრაული სახელმწიფო!“



1. თეოდორ ჰერცლი; 2. ნაშრომი „Altneuland“ („ძველი ახალი მიწა“); 3. ჰერცლის მიერ შესრულებული დროშის ესკიზი

ასე ჩამოყალიბდა სიონიზმის მთავარი იდეა, რომელიც თეოდორმა დახვეწა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ებრაელების სახელმწიფო“ (1896).

ჰერცლმა პირველმა ახსენა ებრაული სახელმწიფოს უსწრაფესი აღორძინების იდეა, მაშინვე დაიწყო მისი ჩანერგვა როგორც ებრაული, ისე არაებრაული საზოგადოების მასობრივ ცნობიერებაში და თავისი იდეის განსახორციელებლად ორგანიზაციულად გააფორმა ის, როგორც საზოგადოებრივი მოძრაობა. პარალელურად, იგი მოევლინა ებრაელობას მოწამეობრივი განსაკუთრებულობის იდეოლოგად და დაამკვიდრა ანტისემიტიზმის ემოციურ-ზედაპირული ახსნა.

სიონიზმის მარტივად აღსაქმელი ბუნება ზემოთ უკვე ვახსენეთ, თუმცა იყო მისი სწრაფი გავრცელების არაერთი სხვა მიზეზიც. დავიწყოთ იმით, რომ სიონიზმი იმ ხანად არსებულ არც ერთ სახელმწიფოს არ უმლიდა ხელს. უფრო მეტიც, XIX საუკუნის ბოლო პერიოდის ევროპული პოლიტიკის ჭრილში, სიონიზმი, როგორც კოლონიზაციის ახალი ფორმა, სრულიად

ერთი ვერსიით, ჰერცლს უკავშირდება ისრაელის დედაქალაქისთვის თელ-ავივის სახელის დარქმევაც. საქმე ისაა, რომ 1902 წელს ჰერცლმა გერმანულად დაწერა ნახევრად ფანტასტიკური ნაშრომი „ALTNEULAND“ („ძველი ახალი მიწა“); ჰერცლი დარწმუნებული იყო, რომ ისრაელშიც, ძირითადად, გერმანულად ისაუბრებდნენ), სადაც აღწერილია ებრაელთა მომავალი – 50 წლის შემდგომი ბედნიერი ქვეყანა. „ძველი ახალი მიწა“ ივრითზე პოეტურად ითარგმნა, როგორც „თელ“ (ძველი – ყორღანი – რაც იყო და აღარ არის), „ავივ“ (ახალი – გაზაფხული)!

თელ-ავივის პიონერებმა, 60-მა ოჯახმა ქვიშაში დაიწყო ახალი ქალაქის მშენებლობა.

ბუნებრივად აღიქმებოდა. ის არ ეწინააღმდეგებოდა ებრაულ საზოგადოებაში უკვე არსებულ იდეოლოგიურ კანონებს და, ამავე დროს, ებრაული ოცნების ასრულებას ჰპირდებოდა მათ. კიდევ ერთ ხელშემწყობ ფაქტორად უნდა დავასახელოთ მსოფლიოში მზარდი ანტისემიტიზმიც.

თეოდორ ჰერცლი ვერ მოესწრო თავისი იდეის რეალიზა-ციას. ის ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე დიდი ხნით ადრე, 1904 წელს გარდაიცვალა გულის ავადმყოფობით. თანამედროვე ისრაელში არსებობს მისი სახელობის ქალაქი – ჰერცელია, თვითონ კი იერუსალიმში, ჰერცლის მთაზე გადმოასვენეს ვენიდან 1949 წლის აგვისტოში. იქვე მახლობლადაა ჰერცლის მუზეუმი, მისი გარდაცვალების თარიღი კი ჰერცლის ხსენების ეროვნულ დღედაა გამოცხადებული.

თეოდორ ჰერცლის მიერ ნაწინასწარმეტყველები მოვლენები თითქმის მათემატიკური სიზუსტით აღსრულდა. 1948 წლის 14 მაისს დავიდ ბენ გურიონმა ისრაელის სახელმწიფოს შექმნა გამოაცხადა!

საპატიო ცერემონიალის ბოლოს იქვე მყოფმა დროებითი სახელმწიფო საბჭოს 37-მა წევრმა ხელი მოაწერა დამოუკიდებლობის დეკლარაციას. ბევრმა არ იცის, რომ დეკლარაციის საბოლოო ტექსტი ხელმოწერამდე მხოლოდ ერთი საათით ადრე დამტკიცდა; კანცელარიისკენ მაღალი სიჩქარით მიმავალი კურიერის მანქანა გზად პოლიციამ გააჩერა და... ამ აყალ-მაყალში ხელმოწერის მომენტისთვის ვერ მოესწრო მისი ქაღალდზე გადატანა, შესაბამისად, სახელმწიფო მოღვაწეებმა ფაქსიმილე ცარიელ ფურცელზე დატოვეს! 14 მაისი ებრაელებისათვის წმინდა დღეს, შაბათს ემთხვეოდა, რაც კარგად გათვალა ათეისტმა ბენ გურიონმა; ამ დღეს მთავრდებოდა პალესტინაში ბრიტანეთის მანდატის მოქმედების ვადა. ყველაფერი იმდენად ნაჩქარევად მოხდა, რომ სკამები სახელდახელოდ მეზობლად მდებარე ბარებიდან, მიკროფონი კი – მაღაზიიდან მოიტანეს.



დავიდ ბენ გურიონი, ისრაელის პირველი პრემიერ-მინისტრი

ბენ გურიონი დავიდ გრინის (1886-1973) ფსევდონიმია, რომელიც მან ებრაელი მხედართმთავრის, იოსებ ბენ გორიონის პატივსაცემად დაირქვა.

მისი ბიოგრაფიიდან და პოლიტიკური წონიდან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია: ისრაელის პირველი პრემიერ-მინისტრი, რომელიც ამ პოსტზე კიდევ ორჯერ დაბრუნდა, 150 სმ სიმაღლისა იყო! მწერალი ამოს ოზი შოკში ჩავარდა, როდესაც პირველად პირადად შეხვდა ქვეყნის მეთაურს. „კაბინეტში შესულს, დამხვდა გამორჩეულად დაბალი ტანის მამაკაცი, რომელიც არაფრით შეიძლებოდა ყოფილიყო ბენ გურიონი! „ერის მამა“ ხომ გიგანტია, რომელიც, ატლანტის მსგავსად, ცას ეჯინება!“
ბავშვობის წლები დავიდმა უკიდურეს გაჭირვებაში



საქმეში – განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახელმწიფო მნიშვნელოვნის საკითხები წყდებოდა – ეს ჩია კაცი მართლაც გოლიათად გარდაიქმნებოდა! ასე იყო „6-დღიანი ომის“ დროსაც და ყოველი შემდგომი პოლიტიკური კრიზისის პერიოდშიც.

ორიგინალური აზროვნებამ პრემიერმა მაშინაც გამოავლინა, როდესაც 1952 წელს ისრაელის პრეზიდენტობა აღგერტ აინშტაინს შესთავაზა! სამწუხაროდ, აღიანსი არ გამოვიდა – მეცნიერმა აპოლიტიკურობა და ადამიანებთან ურთიერთობის პროგრამა მოიმიზეზა.

დავიდ ბენ გურიონი და ალბერტ აინშტაინი

გაატარა. ერთი ხანობა ისტორიულ სამშობლოში გადახვეწილი ახალგაზრდა, 1908 წელს პალესტინიდან რუსეთში მხოლოდ იმისთვის დაბრუნდა, რომ მამისთვის 300 მანეთის ჯარიმის გადახდა აეცილებინა. ამით დავიდმა თანხმობა განაცხადა იმპერიის ჯარში მსახურებაზე, თუმცა მალევე გაიქცა ქვეყნიდან და მეფის რუსეთში ბოლომდე დეზერტირად ითვლებოდა.

კარგი განათლების მიღება უმცროსმა გრინმა ვერ მოახერხა, მაგრამ უკვე ბენ გურიონად გახდომის შემდეგ, დაუოკებელი ცნობისმოყვარეობის გამო, შეძლო ჯერ ძველი ბერძნულის შესწავლა, რათა პლატონის ნაწერებს ორიგინალში გასცნობოდა, მერე კი, სპინოზას ხათრით, ლათინურიც დაძლია!

50-იანი წლების ბოლოსკენ ისრაელის პირველი პოლიტიკოსი ულტრაავტორიტარულ მმართველად ჩამოყალიბდა, თუმცა თავად ამ ფაქტს არაფრით აღიარებდა.

მისი ხასიათის კიდევ ერთი უცნაურობა ის იყო, რომ თანამემამულეთა დიდი უმრავლესობისაგან განსხვავებით ბენ გურიონს აბსოლუტურად არ გააჩნდა იუმორის გრძნობა. ქვეყნის მომავალი პრეზიდენტი (1969-1974) გოლდა მეიერი თავის მემუარებში ასეთ ეპიზოდს იხსენებს: „ერთხელ, როდესაც ვიღაცამ პარტიულ შეკრებაზე დავიდს ავტორიტარიზმის გამო უსაყვედურა, პრემიერი თანაგუნდელ ნაფტალი პერესს მიუბრუნდა და ჰკითხა:
– მითხარი, მეგობარო, ნუთუ შენც ფიქრობ, რომ მე პარტიის სხდომებს არადემოკრატიულად ვუძღვები?
ინტელექტითა და ენამოსწრებულობით ცნობილი მინისტრი არ დაიბნა:
– პირადად მე, დავიდ, დარწმუნებული ვარ, რომ პარტია, დემოკრატიის ყველა პრინციპის დაცვით, ცდილობს, ისე უყაროს კენჭი ნებისმიერ საკითხს, როგორც შენ გესიამოვნება!

სიცილი ძლივს შევიკავეთ, პრემიერი კი ძალიან კმაყოფილი დარჩა“.

დღეს მის სახელს არა მარტო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო აეროპორტი და ნეგევის უნივერსიტეტი ატარებს, არამედ იერუსალიმის რაიონი – კირიათ ბენ გურიონი, სადაც ყველა დიდი სამინისტროა თავმოყრილი.

ბენ გურიონი არ იყო დიდად რელიგიური კაცი, მაგრამ, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, რაბინატს ქორწინების ინსტიტუტის მართვა დაუტოვა, ორთოდოქსებიჯარიდან გაათავისუფლა და შაბათი დასვენების დღედ გამოაცხადა.

„მე არ დავდივარ სინაგოგაში, მაგრამ სინაგოგა, რომელშიც მე არ დავდივარ – ორთოდოქსულია!“ – ბენ გურიონის ამ სიტყვებმა ინგლისელ პუბლიცისტ ხაიმ ბერმანტს ენამოსწრებულად ათქმევინა: „მართალია, ბენ გურიონს არ სწამდა ღმერთის, მაგრამ, ვფიქრობ, ღმერთს სწამდა ბენ გურიონის!“

დაბოლოს, ერის უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი – ენა. დღეს ისრაელში ივრითზე საუბრობენ. ეს სიონიზმის კიდევ ერთი მამამთავრის, ელიეზერ ბენ იეჰუდას პირადი დამსახურებაა.

3 ათასი წლის ისტორიის მქონე ენამ, რომელიც თავდაპირველად ბრძენთა ურთიერთობის საშუალებად და ძველი აღთქმის ენად მოიხსენიებოდა, შემდგომში სასაუბრო-საკომუნიკაციო ფორმა მიიღო, მაგრამ 135 წელს რომაელთა წინააღმდეგ ამბოხის ჩახშობამ ჯერ იერუსალიმიდან ებრაელთა მასიური გასახლება გამოიწვია, მერე კი – ივრითის მნიშვნელობის დაქვეითება-გაქრობა.

ასე გაგრძელდა XIX საუკუნის დასაწყისამდე, როცა ივრითი მხოლოდ სამეცნიერო ტრაქტატების, მედიცინისა და იურისპრუდენციისთვის გამოიყენებოდა. ებრაული საგანმანათლებლო ეპოქა – ჰასქალა შემობრუნების წერტილად იქცა. აღმოსავლეთ ივრითზე ევროპაში ერთდროულად რამდენიმე გაზეთი გამოიცა, 1858 წელს კი რუსეთის იმპერიის კიდევ ერთ კუთხეში – ვილენის გუბერნიაში მცხოვრებიხასიდისოჯახში „თანამედროვეივრითისმამა“–ელიეზერ ბენ იეჰუდა დაიბადა.

მამის სურვილის საწინააღმდეგოდ პარიზში საერო განათლების მიღების შემდეგ ბენ იეჰუდა პალესტინაში გადაბარგების იდეით აენთო, რაც კიდევ უფრო დააჩქარა ჭლექით დაავადებამ. 1881 წელს იგი უკვე ისტორიულ სამშობლოშია და პერელმანის გვარს ბენ იეჰუდაზე ცვლის.

80-იანი წლებიდან მოყოლებული, განმანათლებელმა უზარმაზარი სამუშაო ჩაატარა. ერთი მხრივ, ივრითი იქცა ებრაულ ენაზე სწავლების ოფიციალურ ენად, მეორე მხრივ, ბენ იეჰუდამ გაამდიდრა ის ნეოლოგიზმებით და მაქსიმალურად მოარგო თანამედროვე მოთხოვნებს.

პროცესებს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მსოფლიოში სიონიზმის იდეის პოპულარიზაციამ. პირველი სიონისტური კონგრესის ჩატარებამ და ჰერცლის იდეოლოგიის საყოველთაო პროპაგანდამ მსოფლიოს ყველა კუთხიდან ებრაელთა პალესტინაში მიგრაციას დაუდო სათავე. პირველ ტალღაში აღმოჩნდა დავიდ ბენ გურიონიც, რომელიც პირადი მაგალითით ცდილობდა თანამემამულეთა აყოლიებას და ისრაელის ერთიანი სახელმწიფოს იდეის მსახურებას. ებრაელები ჩამოდიოდნენ ყველა მხრიდან: იემენიდან, რუმინეთიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, რათა საკუთარი კერა ეპოვნათ. საცხოვრებელსაც თავისებურად აშენებდნენ და წეს-ჩვეულებებიც განსხვავებული ჰქონდათ.

საჭირო იყო რაღაც გამაერთიანებელი ნიშნის მოძებნა, რაც გაუცხოების პროცესს შეაჩერებდა. ერის გამაერთიანებელ



ბენ იეჰუდამ ივრითის 18-ტომიანი ლექსიკონი შექმნა.

ასეთ ფაქტორად ბენ იეჰუდამ ივრითი მიიჩნია და მის პროპაგანდას შეუდგა.

საინტერესოა, რომ თეოდორ ჰერცლმა ივრითი საერთოდ არ იცოდა და ენის შესახებ სრულიად განსხვავებულ პოზიციაზე იდგა: „ყველა შეინარჩუნებს იმ ენას, რომელიც საკუთარ სამშობლოში შეისწავლა. გავიხსენოთ თუნდაც შვეიცარია, სადაც არ არსებობს დომინანტი ენა და ეს სულაც არ უშლის ხელს მის სახელმწიფოებრიობას!“

საპირისპიროდ ამისა, ბენ იეჰუდამ მთელი სიცოცხლე ივრითის დამკვიდრებას დუთმო და 1920 წელს ივრითის ენის აკადემიაც დააარსა, რომელსაც თავადვე ხელმძღვანელობდა სიკვდილამდე.

ბენ იეჰუდას უმთავრესი დამსახურებაა, აგრეთვე, მანდატურ პალესტინაში ივრითის ერთ-ერთ სახელმწიფო ენად გამოცხადება (ინგლისურისა და არაბულის მსგავსად), რასაც მან ბრიტანეთის უმაღლეს კომისარ ჰერბერტ სემუელთან მძიმე მოლაპარაკების შედეგად მიაღწია.

2012 წელს ისრაელის მთავრობამ ბენ იეჰუდას დაბადების დღე ივრითის ეროვნულ დღედ გამოაცხადა.

ივრითი თანამედროვე ებრაული ენაა. ის გაცოცხლებული ბიბლიის ენაა, რომელიც 1948 წელს ისრაელის სახელმწიფოს ოფიციალურ ენად გამოცხადდა. იდიში ებრაული და სლავური ელემენტების მქონე დასავლეთგერმანული ენაა, რომელიც დღემდე იყენებს ებრაულ დამწერლობას.



* www.data.worldbank.org/country/israel

My life. My card.

მიიღეთ AMERICAN EXPRESS-ისგან
სასურველი საჩუქარი

ავეჯი და სახლის აქსესუარები

550 000
5 000 ₾
სასაჩუქრე ბარათი

pensarecasa.it

Villeroy & Boch
1748

53 000
500 ₾
სასაჩუქრე ბარათი

აქსესუარები

320 000
3 000 ₾
სასაჩუქრე ბარათი

Chronograph
watches & jewellery

ტანსაცმელი და ფეხსაცმელი

115 000
1 000 ₾
სასაჩუქრე ბარათი

NEW TREND

მოგზაურობა

895 000
ეგზოტიკური ტური
სამხრეთ აზიაში.
მალაიზია,
კუნძული ლანგკავი,
ინდონეზია,
ბალი,
სინგაპური

VIP BTC

53 000
ერთი ღამე ორი
ადამიანისთვის
საუზმით

CROWNE PLAZA
BORJOMI

55 000
500 ₾
სასაჩუქრე
ბარათი

WEEKEND
MaxMara

119 000
1 000 ₾
სასაჩუქრე ბარათი

Ermenegildo Zegna

იუდაიზმი

ინტერპრეტაციის მრავალგვაროვნება

იუდაიზმის მრწამსით, არსებობს მარადიული, არარაობისგან სამყაროს შემქმნელი ღმერთი, რომელიც ხედავს ადამიანის საქმეებს; იგი სახელით ცნობს თითოეულ ადამიანს, სწყალობს კეთილთ და სჯის უკეთურთ; არსებობს უკანასკნელი სამსჯავრო; მოვა მესია და მკვდრები აღდგებიან.

მარინა ყიფშიძე, ნინო ლურსმანაშვილი

ებრაელთა რაოდენობა მსოფლიოში 14 მილიონამდეა. იუდაისტური ორგანიზებული თემები 80-ზე მეტ ქვეყანაშია. იუდაიზმში ამჟამად რამდენიმე ძირითადი მიმდინარეობაა: ორთოდოქსული, კონსერვატიული, რეფორმისტული, ხასიდიზმი და ე. წ. ნეტურეი კართა („ქალაქის მცველები“).

არ არსებობს იუდაიზმის ერთიანი და საყოველთაოდ გაზიარებული დოგმატიკა. იუდაიზმის მიმდინარეობები მერყეობენ მკაცრ რელიგიურობასა და სეკულარობას შორის.

ორთოდოქსული მიმდინარეობა თავის თავს მიიჩნევს იუდაიზმის არსის ერთადერთ მატარებლად. ჯერ კიდევ XIX ს-ის დასაწყისში ორთოდოქსული მიმდინარეობა დაუპირისპირდა რეფორმატორულს, ის ეწინააღმდეგებოდა სეკულარიზაციას, ებრაელთათვის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებების გაფართოებას და, საერთოდ, არა მხოლოდ ევროპულ, არამედ ებრაულ განმანათლებლობას (ჰასქალა). მათი აზრით, გეტოს გაუქმება გამოიწვევდა ებრაელთა სწრაფ ასიმილაციას და, საბოლოოდ, დაეტყრებოდა იუდაიზმს, როგორც მოძღვრებასა და ცხოვრების წესს. ამიტომაც მათი მესვეურნი იქამდეც მიდიოდნენ, რომ ადგილობრივი სახელმწიფო ენის შესწავლასა და გამოყენებაზეც კი უარს ამბობდნენ.

XIX საუკუნეში ევროპასა და აშშ-ში კონსერვატიული იუდაიზმი წარმოიშვა, რომელიც მიიჩნევდა, რომ ებრაელობა უნდა ზიარებოდა დასავლურ კულტურას, ჩართულიყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუნდაც ამას ებრაელთა რელიგიურ ყოფაში ცვლილებები მოჰყოლოდა. კონსერვატორები ტრადიციისა და რეფორმების სინთეზს ცდილობდნენ, თუმცა ცვლილებები არ უნდა შეხებოდა ფუძემდებლურ პრინციპებსა და ებრაული ენის ლიტურგიულ სტატუსს, დაცული ყოფილიყო წმიდა-არაწმიდას კატეგორია, შაბათის სიწმიდე და იუდაიზმის მარადიული არსი.

ახალი დროის პირმშო რეფორმისტთა შეხედულებით, აუცილებელია რწმენა-წარმოდგენების (რიტუალის) მისადაგება დროებასთან; ებრაელების სტატუსის შეცვლა. პირველი ნაბიჯი ამსტერდამში განხორციელებული ლიტურგიის რეფორმა იყო – ქადაგება ჰოლანდიურ ენაზე, ყავლგასული ლოცვების ამოღება. რეფორმიზმის ცენტრად კი გერმანია იქცა. ლოცვანიდან ამოიღეს ფრაზები მესიის მოლოდინზე, ებრაელთა ღვთივრჩეულობაზე და სხვა. რეფორმისტული მოძრაობა ევროპასა და ბრიტანეთში გავრცელდა. რეფორმისტები სოლიდარობას იჩენენ ისრაელის სახელმწიფოს მიმართ და ეყრდნობიან თორის ფუძემდებლურ ჭეშმარიტებას, რომ ადამიანი შექმნილია ღვთის ხატად, ამიტომაც თითოეულის ცხოვრება, განურჩევლად აღმსარებლობისა, კურთხეულია.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ ევროპაში წარმოშობილმა მისტიკურმა რეფორმისტულმა მოძრაობამ – ხასიდობამ ისრაელში გადაინაცვლა და დღეს არსებობს, როგორც ეზოთერული ფენომენი. თავდაპირველად ხასიდობა მდაბიო, წერა-კითხვის უცოდინარი ხალხის რეაქცია იყო თალმუდის წიგნიერი სიბრძნის წინააღმდეგ. მისი დამაარსებელი ისრაელ ბენ ელიაზარი (1700-1760) არ უარყოფდა თალმუდს, ათასწლოვან კულტურულ ტრადიციებს, მაგრამ ამბობდა, რომ შესაძლებელია მათ გარეშეც აღმოვაჩინოთ საკუთარ თავში ღვთის ნაპერწკალი: „უფალს სურს, რომ ადამიანმა თავისი წმიდა საქმეებით გამოაფრქვიოს ეს ნაპერწკლები... რასაც მივაღწიე, მხოლოდ ლოცვით და არა თალმუდის შესწავლით“.

ხასიდურმა მისტიკამ პიროვნების განუმეორებლობა და უნიკალურობა აღმოაჩინა. თუ თალმუდი კედელივით იცავდა იუდეველობას, რომ იგი სხვა ხალხებში არ გათქვეფილიყო, ხასიდობას თითოეული პიროვნების თავისთავადობა უნდა დაეცვა; ის მოუწოდებდა ადამიანს, თავი შეეცნო, რათა ღვთის სამსახურში სრულყოფილად გამოევლინა საკუთარი შესაძლებლობები, ღვთისკენ ინდივიდუალური გზა მოენახა და უფლის წინაშე პასუხისმგებელი ყოფილიყო საკუთარი პიროვნებისა და მთელი სამყაროს მაგიერ – ყველგან გაფანტული „ღვთიური ნაპერწკლები“ ადამიანმა უნდა გაათავისუფლოს და მაღალ საფეხურებზე აიყვანოს, სანამ საბოლოოდ არ მიაღწევს სრულ ერთიანობას შემოქმედსა და მის ქმნილებას შორის.

ხასიდი ღვთისადმი სრულყოფილი მსახურებით მესიის მოსვლის ჟამს აახლოებს. პიროვნული ხსნა ებრაელი ხალხის და შესაძლოა მთელი კაცობრიობის ხსნისკენ გადადგმული აუცილებელი ნაბიჯია.

ნეტურეი კართა („ქალაქის მცველნი“ – ასე იწოდებიან თალმუდში თორის მცოდნენი და მცნებების დამცველნი) ხასიდობის განაყოფი ულტრაორთოდოქსული თემია – სულ რამდენიმე ათეული ოჯახი; იუდაიზმის რელიგიური ექსტრემისტები უპირატესად იერუსალიმსა და თავიანთ დაარსებულ ქალაქ ბნეიბრაკში ცხოვრობენ.
ნეტურეი კართას ღვთის მგმობელ ქმედებად მიაჩნია ისრაელის სახელმწიფოს შექმნა და არ ცნობს მას, რადგან ეს ქვეყანასა და ხალხს მესიის მოსვლის ჟამისგან აშორებს. ბევრი მათგანი არ აღიარებს უზენაეს რაბინატს, უარს ამბობს სახელმწიფოსგან პირადობის მოწმობის მიღებაზე და მხარს უჭერს პალესტინის განმათავისუფლებელ მოძრაობას; ისრაელის დამოუკიდებლობის დღე მათ გლოვის დღედ გამოაცხადეს (დემონსტრაციულად წვავენ ისრაელის სახელმწიფო დროშას და შეურაცხყოფენ სიმბოლოებს). იუდაიზმის უნიკალურობას ორი ურთიერთსაპირისპირო იდეა განსაზღვრავს: ეროვნული რჩეულობა და უნივერსალიზმი. იუდაიზმის ყველა მიმდინარეობის უმთავრეს თეოლოგიურ-ეთიკურ თემებად რჩება: შენდობა, შაბათი, ისრაელის მიწა, თანახი (თალმუდთან ერთად) და მესიანური იდეა.

ხარედული იუდაიზმი რამდენიმე ულტრაორთოდოქსულ ჯგუფს აერთიანებს: ხასიდებს, აშკენაზ და სეფარდ ხარედებს და ხარდალებს. ისინი ადამიანის მოვალეობად მხოლოდ ღმერთის მსახურებას მიიჩნევენ. მამაკაცების უმეტესობა არ მუშაობს – დროს თორის შესწავლას უთმობს. ოჯახის შემოსავალი სახელმწიფო დახმარება ან ცოლის ხელფასია; სარგებლობენ შეღავათებითა და სამედიცინო დაზღვევით. მათ სახელმწიფო ეხმარება. ოჯახში საშუალოდ 7-8 ბავშვია. შვილებისთვის მეუღლეებს მშობლები არჩევენ. ქორწინებამდე სექსი დაუშვებელია.

ხარედები ისრაელის სახელმწიფოს შექმნის დროიდან არმიაში სამსახურისაგან თავისუფლდებოდნენ. თემი მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ დღეს უკვე მოსახლეობის 10 პროცენტია. ახალი კანონით, 2017 წლიდან მათ 16-თვიანი სამხედრო სავალდებულო ან ალტერნატიული სამსახური უნდა გაიარონ.

ვის შეუძლია იუდაიზმის მიმდევარი გახდეს?

იუდეველად გახდომა ადამიანს ორი გზით შეუძლია: პირველი – თუ ებრაელი დედა ჰყავს, მეორე – გიურის (ერთგვარი რელიგიური ნათლობა) შესრულებით, რაც საკმაოდ ძნელია: ტრადიციისამებრ, დიდხანს ცდილობენ, პოტენციურ პროზელიტს (ადამიანს, რომელიც ახალ რელიგიას ეზიარება) ამ ნაბიჯის გადადგმა გადააფიქრებინონ, რათა მისი ნების სიმტკიცე დადასტურდეს. „მაძიებელი“, რომელიც სათანადო სიმტკიცეს გამოიჩენს, სპეციალურ რელიგიურ წესებს ასრულებს – გიურის დროს ხდება რიტუალური განბანა აუზში, რომელსაც მიქვა ეწოდება.

რას არის ბრიტ მილა, ბარ მიცვა და ბატ მიცვა?

წინადაცვეთის იუდეური რიტუალი – ბრიტ მილა, ბიბლიის თანახმად, პირველი ებრაელისგან, აბრაამისგან მოდის – მან შეასრულა პირველად ბრიტ მილა ღმერთთან დადებული აღთქმის ნიშნად. ებრაელები ბიჭებს წინადაცვეთას დაბადებიდან მე-8 დღეს უტარებენ. ბარ მიცვა (სიტყვასიტყვით: „მცნების ვაჟიშვილი“) – ბიჭი 13 წლის ასაკში პირველად კითხულობს საჯაროდ თავს თორიდან. გოგონების მიერ ბატ მიცვის („მცნების ქალიშვილი“) შესრულება მხოლოდ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაიწყო ლიბერალურ რელიგიურ წრეებში, დღეს კი ებრაული რელიგიური ოჯახების უმრავლესობაში ტარდება.

რამდენი მცნება უნდა დაიცვას იუდეველმა?

იუდეველებმა 613 მცნება უნდა დაიცვან, რომელთაგანაც 365-ს (წელიწადში დღეების რიცხვი) აკრძალვითი ხასიათი აქვს, დანარჩენი 248 კი (ადამიანის სხეულის ორგანოების რაოდენობის მიხედვით) – მითითებაა. ნოეს არაებრაელმა შთამომავლებმა (ეს კი მთელი

კაცობრიობაა), იუდაიზმის თანახმად, 7 მცნება უნდა დაიცვან: იკრძალება კერპთაყვანისმცემლობა, ღვთის გმობა, სისხლისღვრა, ქურდობა, სისხლის აღრევა და საკვებში ცოცხალი ცხოველისგან ათლილი ხორცის გამოყენება; აგრეთვე, სავალდებულოა სამართლიანი საკანონმდებლო სისტემის შექმნა.

რის გაკეთებაა იკრძალებაა შაბათს?

ბიბლიის თანახმად, ღმერთმა სამყარო შექმნა 6 დღეში, მეშვიდე დღეს კი დაისვენა. შაბათს არ შეიძლება ცეცხლის დანთება, კარვის გაშლა, ცხვრების გაკრეჭა, ელექტრობის ჩართვა, ქოლგის გაშლა (რადგან კარავს ჰგავს), წვერის გაპარსვა და ა. შ. შაბათს იკრძალება, აგრეთვე, მიცვალებულის დამარხვა, თუმცა უმოქმედობის დარღვევა შეიძლება საკუთარი ან სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად.

რა არის თორა და თალმუდი?

იუდეველთა ბიბლია ქრისტიანულის იდენტური არ არის. ქრისტიანული ბიბლია ორი ნაწილისგან შედგება – ძველი და ახალი აღთქმისგან. ძველი აღთქმა (39 წიგნი) იუდეური ბიბლიის იდენტურია, თუმცა წიგნები მასში სხვა თანმიმდევრობითაა და ზოგიერთი მათგანი სხვა რედაქციითაა მოცემული. თანახ – ასე უწოდებენ თავად იუდეველები თავიანთ წმინდა წერილს.

იუდაიზმში წმინდა წერილს თორასაც (კანონი) უწოდებენ. სიტყვა „თორა“ სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება: ასე იწოდება მოსეს ხუთწიგნეული, ზოგჯერ – მთელი ბიბლია და, აგრეთვე, იუდეური კანონების ერთობლიობა.

თალმუდი (ივრ. „სწავლება“) – შუასაუკუნეების ებრაული აზროვნების ძეგლია, იუდაიზმის იურიდიულ, ეთიკურ და რიტუალურ ნორმათა კრებული. თალმუდის ტექსტები ავტორიტეტულ ბრძენთა დისკუსიებია სხვადასხვა საკითხზე. მოცულობით ის ბიბლიაზე გაცილებით დიდია. თორა მოსეს უფალმა მისცა სინაის მთაზე წერილობითი ფორმით, ხოლო თალმუდი – ზეპირი სახით და დროთა განმავლობაში ჩაიწერა.

რით განსხვავდება სინაგოგა ტაძრისგან?

სინაგოგა (ბერძ. „შეკრება“) კოლექტიური ლოცვისა და შეკრებისთვის, რელიგიური ცერემონიებისთვის განკუთვნილი შენობაა. სინაგოგა ბევრია, ხოლო იუდაისტური ტაძარი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს (ამჟამად არც ერთი ტაძარი აღარ არსებობს, რადგან მეორე, ბოლო ტაძარი ჩვ. წ. 70 წელს დაანგრიეს რომაელებმა დიდი იუდეური აჯანყების ჩახშობისას). ივრიოზე სინაგოგას ეწოდება „ბეთ ქნესეთ“ („შეკრებათა სახლი“), ხოლო ტაძარს უწოდებდნენ „ბეთ ელოჰიმ“ („ღვთის სახლი“) ანუ „სინაგოგა ადამიანებისთვისაა“, „ტაძარი – ღვთისთვის“. ოცნება რომაელთა მიერ დანგრეული ტაძრის აღდგენაზე – უმნიშვნელოვანესი იდეაა იუდაიზმში; სწორედ ტაძარს დასტირიან გოდების კედელთან (ტაძრის კომპლექსის ერთადერთი ჩვენამდე მოღწეული ნაწილი). ტაძრის აშენება შეიძლება მხოლოდ იმავე ადგილას, სადაც ძველი იყო აღმართული – ტაძრის გორაზე, იქ კი ამჟამად მუსლიმთა სიწმინდეებია. იუდეველების რწმენით, მესიის მოსვლის შემდეგ ტაძარი კვლავ აღდგება.

იუდეური დღესასწაულები

იუდაიზმის მთავარი დღესასწაულები ორგვარ ხასიათს ატარებს: ისინი აღნიშნავენ როგორც წელიწადის სეზონების ცვლილებას, ისე ისტორიულ მოვლენებს. ებრაული წელიწადის სამი მთავარი დღესასწაულია პესახი, შავუოთი და სუქოთი. მოსეს რჯული ამ დღესასწაულებზე ყოველ ისრაელიანს ავალებდა იერუსალიმის მოლოცვას და ტაძარში მსხვერპლის შეწირვას.

პესახი (პასექი) ებრაელი ხალხის ეგვიპტიდან გამოსვლის ხსოვნას ეძღვნება, მას გაზაფხულზე, ერთი კვირის განმავლობაში აღნიშნავენ. პირველი და მეშვიდე დღეები უქმეა. პესახის ძირითადი რიტუალური წესია 7 დღის განმავლობაში უსაფუვრო პურის – მაცის ჭამა (ეგვიპტური მონობის მოსაგონებლად).

შავუოთი (კვირეული) პასექიდან შვიდი კვირის თავზე აღინიშნება სივანის თვეში (მაისი-ივნისი) და პურის მკის დასაწყისს ეძღვნება. ამავე დროს, შავუოთი უკავშირდება რჯულის (თორის) მიღებას სინაის მთის ძირას.

სუქოთის (კარვობის) ასევე შვიდდღიან დღესასწაულს, რომელიც ებრაული ახალი წლის მე-15 დღეს იწყება, ორმაგი დატვირთვა აქვს: ამ დროს აღინიშნება მოსავლის აღება

და იხსენებენ უდაბნოში მოხეტიალე ისრაელიანების კარვებში ცხოვრებას.

ახალი წელი – როშ ჰაშანა (წლის სათავე) იდღესასწაულება ებრაული კალენდრის პირველი თვის, თიშრის (სექტემბერი-ოქტომბერი) პირველ ორ დღეს. ამ დღეებში ღმერთი განსჯის ადამიანს გასული წლის ქმედებებისთვის, ჩაწერს ან არ ჩაწერს მის სახელს სიცოცხლის წიგნში და განსაზღვრავს მისი ბედს დამდეგი წლისთვის.

ახალი წლის დღეებს მოსდევს მარხვისა და მონანიების ათი დღე, რომლის კულმინაცია არის იომ ქიფური ანუ „შენდობის დღე“, როცა შესაძლებელია ახალი წლის დღეს გამოტანილი განაჩენის შეცვლა.

ხანუქა აღნიშნავენ ქისლევის თვეში (ნოემბერი-დეკემბერი) ბერძნებისგან შეურაცხყოფილი ტაძრის განახლებისა (ძვ. წ. II ს.) და იმ სასწაულის გასახსენებლად, როცა ტაძარში აღმოჩენილი ერთი დღის სამყოფი წმიდა ზეთი რვა დღეს ენთო. ხანუქის დროს, რვა დღის განმავლობაში სასანთლეზე (მენორა) თითო სანთელი ინთება.

ფურიმის დღესასწაული, რომელსაც ადარის თვის (თებერვალი-მარტი) 14-15 რიცხვებში აღნიშნავენ, ძვ. წ. V საუკუნეში სპარსეთში მცხოვრები ებრაელების გადარჩენის აღსანიშნავად დაწესდა. ამ დროს ადამიანებს ღვინის განუსაზღვრელი რაოდენობით დალევის უფლება აქვთ. ფურიმი განსაკუთრებით სასიხარულოა ბავშვებისთვის, რადგან მათ საჩუქრები, ტკბილეული და კოსტუმირებული მსვლელობა ელით.

ებრაული კალენდარი

ებრაული კალენდარი ყოველწლიური ოფიციალური კალენდარია ისრაელში (გრიგორიანულთან ერთად) და ებრაული მნიშვნელოვანი თარიღების განსასაზღვრად გამოიყენება.

იუდეური ერა ძვ. წ. 3761 წლის 6/7 ოქტომბერს იწყება: ებრაული გამოთვლით, ამ დროს იყო პირველი ახალმთვარეობა (სამყაროს შექმნის ახალმთვარეობა).

ებრაული კალენდარი ერთ-ერთი ყველაზე რთულია მსოფლიოში. ამ კალენდრის მიხედვით, წელიწადში თვეების რაოდენობა შეიძლება იყოს 12 ან 13 (ნაკიან წელიწადში; 19-წლიან ციკლში 7 წელი ნაკიანია). თვე ყოველთვის ახალმთვარეობისას იწყება.

ებრაული წლის ხანგრძლივობაც ცვალებადია – დღეების რაოდენობა წელიწადში შეიძლება იყოს 354, 355 და 353, ხოლო ნაკიან წელიწადში – 384, 385 და 383.

ებრაული კალენდარი მთვარე-მზის კალენდარია, აქედან გამომდინარე, დღესასწაულები „მოძრავი“ კი არის, მაგრამ ყოველთვის ერთსა და იმავე სეზონზე, უფრო მეტიც, მთვარის ერთსა და იმავე ფაზაზე მოდის. მაგალითად, პესახი ყოველთვის გაზაფხულის პირველი სავსემთვარეობისას არის: იწყება ნისანის თვის მე-15 დღეს და ისრაელში 7 დღეს გრძელდება, მის ფარგლებს გარეთ კი – 8 დღეს.

2017 წელს პესახი 11-17 აპრილს აღინიშნება.

ებრაული სამოსის მახასიათებლები

საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ებრაელები იძულებულნი იყვნენ, ჩაეცვათ ან ჰქონოდათ რაიმე აქსესუარი, როგორიც მათ მოსახლეობის დანარჩენი ნაწილისაგან გამოარჩევდა.

ჩაცმის თაობაზე თავად ებრაელების მიერ შექმნილ ნორმებს ჰალახის კოდექსი და „ცნიუტის“ წესი არეგულირებს. ტანისამოსის სადა ფერი, სიგრძე, ქამრის ადგილი, თმის საბურავი მამაკაცებისა და ქალებისთვის, სხეულის კანის დაფარვა გარკვეულ ადგილებში, ნაკლები სამკაული და ა. შ. – ეს ყველაფერი მოკრძალებულობასა და სისადავეს უსვამს ხაზს და განურჩევლად სქესისა, ამ წესს ყველა ორთოდოქსი ებრაელი იცავს.

ჩოხა
ეს ტანსაცმელი ებრაელ ბიჭებს ბარ მიცვის ასაკამდე ეცვათ. ჩოხა ბამბეულ ან ბაჟენ ტანსაცმელზე ტარდება. ის ფეხებამდე სწვდება, ოთხ ნაწილად ნაკერია, ოთხ ბოლოზე ოთხ ფრაგმენტია მიკერებული. ეს ფრაგმენტები ებრაული ანბანის ოთხ ასოს ნიშნავს, ეს ასოები ებრაულ ფრაზას ადასტურებენ, „ეს ჩოხა ებრაელია“.

ბეკიშე
აბრეშუმის გრძელ პალტოს – ბეკიშეს ხასიდი ებრაელები ატარებენ. ძირითადად, მას შაბათობით, ებრაულ დღესასწაულებზე, ქორწილებზე და ბარ მიცვის დროს იცვამენ.

გარტელი
ეს ქამარი ებრაელი მამაკაცების აქსესუარია და მას ხშირად ლოცვის დროს იკეთებენ. ტრადიციის მიხედვით, გარტელი ინსტინქტების კონტროლის სიმბოლოა. გარტელი სისადავით გამოირჩევა – შავი ან თეთრი ფერისაა.

ბეკიშე
აბრეშუმის გრძელ პალტოს – ბეკიშეს ხასიდი ებრაელები ატარებენ. ძირითადად, მას შაბათობით, ებრაულ დღესასწაულებზე, ქორწილებზე და ბარ მიცვის დროს იცვამენ.

რეკელი
რეკელი პალტოა, რომელსაც ხასიდი ებრაელი კაცები სამუშაო დღეებში ატარებენ. მისი ნაირსახეობა კი შავი ან ლურჯი მატყლისაგან დამზადებული რეკელეჩია, რომელიც შესაფერის შარვალსა და ქამართან ერთად იყიდება.

ტალიტი
შალის ამ მოსასხამს დილის ლოცვებისას, თორის კითხვისას და ებრაულ დღესასწაულებზე ატარებენ დაქორწინებული მამაკაცები. ტალიტის მახასიათებელი შტრიხია მოქსოვილი და დაწნული ფოჩები, რომლებიც მის ოთხივე კუთხეზეა მიმაგრებული; ხოლო ლურჯი ზოლი ებრაელის მოვალეობების სიმბოლოა.

ციციტი ერთგვარი ფოჩებია, რომელსაც რელიგიური წეს-ჩვეულებების დამცველი ებრაელების ოთხკუთხოვან მოსასხამებზე შეხვდებით, მათ შორის, ტალიტზეც.

ტეფილინი

ტეფილინი ორი ტყავის ყუთისაგან და მათი შემაერთებელი ზონრებისგან შედგება. ერთი მათგანი კუნთზე მაგრდება, ზონარი შვიდჯერ იხვევა მკლავსა და ხელზე, წესისამებრ, მარცხენაზე, თუმცა ცაციები მას მარჯვენა ხელზე იკეთებენ. მეორე ყუთი შუბლზე მაგრდება. ზონრებზე წერია ოთხი ნაწყვეტი თორიდან, ყუთებში კი მოთავსებულია ხელნაწერი პერგამენტები რელიგიური ტექსტებით. მას დილის ლოცვებზე ატარებენ.

კიპა
კიპა მამაკაცის ტრადიციული ქუდია, თუმცა მას თანამედროვე, კონსერვატიული იუდაიზმის მიმდევარი ქალებიც ატარებენ. კიპა რელიგიური რიტუალების თანამდევი კომპონენტია. ის შეიძლება იყოს ნაქსოვი ან ხავერდის.

ლუბვიჩერი
ლუბვიჩერი თახვის ტყავის ქუდისა და ფედორას შთამომავალია. ის ყველაზე თანამედროვეა ტრადიციულ ებრაულ ქუდებს შორის.

სპოდიკი
ეს ბეწვის მაღალი ქუდია, რომელიც შტრეიმელს ჰგავს, თუმცა მისგან ზომით განსხვავდება. მას პოლონური ფესვების მქონე ხასიდი ებრაელი მამაკაცები იხურავენ.

ჰომბურგი
მას შემდეგ, რაც XX საუკუნეში ბეწვი მოდიდან გადავიდა, თახვის ტყავის ქუდმა სახეცვლილება განიცადა და ჰომბურგად გადაკეთდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ბეწვის საბურველი აღარ ჰქონდა. ჰომბურგის ქვეშ ტრადიციული ებრაელები კულულებს ატარებენ.

შტრეიმელი
ქუდი ბეწვითაა შემოქობილი. კაცები მას, ძირითადად, ქორწინების შემდეგ ატარებენ, თუმცა ზოგიერთ თემში შტრეიმელი ბარ მიცვის ასაკს გადაცილებული ბიჭების თავსაბურავიცაა. ჰალახის მიხედვით, კაცებს აკრძალული აქვთ თმის პარსვა ან შეჭრა საფეთქლებთან.

სწორედ ამ წესის გამო ატარებენ ორთოდოქსები **კულულებს (PAYOT)**. იმავე ტრადიციის თანახმად, ასევე დაუშვებელია წვერის გაპარსვა სამართებლით, თმისა და წვერის მოწესრიგებისას მხოლოდ მაკრატელსა და ელექტროსაპარსს იყენებენ.

თავსაბურავი
ებრაული წესის – ჰალახის მიხედვით, დაქორწინებულმა ქალმა თმა უნდა დაიფაროს, რათა გარშემომყოფმა მამაკაცებმა იცოდნენ, რომ მას ქმარი ჰყავს. ტრადიციის მიმდევარი დაქორწინებული ქალები ატარებენ ქუდებს, ბერეტებსა და პარიკებს განსხვავებული ორნამენტებითა და ფერებით.

ტიჩელი
ამ თავსაბურავს ებრაელი ქალები ატარებენ, როცა „ცნიუტის“, მოკრძალებულობის კოდექსის წესებს იცავენ. ტიჩელის უამრავი ნაირსახეობა არსებობს, ძალიან სადა ფაქტურით დაწყებული, გამორჩეული დიზაინითა და ქსოვილებით დამთავრებული.

შაიტელი
შაიტელი ერთგვარი პარიკია, რომელსაც ებრაელი ქალები ქორწინების შემდეგ ატარებენ. ის ტრადიციის გამოძახილია, რომლის მიხედვითაც, ქალმა მოკრძალებულობა უნდა შეინარჩუნოს და თმა დაიფაროს.

ფეხსაცმელი
ტრადიციული ებრაელების უმეტესობა არ ატარებს ღია ფეხსაცმელს, სანდალში კი წინდას იცვამს.

სამოსი
ქალები იცვამენ ზედა სამოსს, რომლის მკლავებიც იდაყვის ქვემოთ მთავრდება. ეს სამოსი ტანზე მომდგარი არ უნდა იყოს და მას ქამარიც ხალვათად უნდა ერტყას. სისადავის კანონი ფერებზეც ვრცელდება. კაბები და ქვედატანები, რომლებსაც ტრადიციის დამცველი ქალები იცვამენ, მუხლს ქვემოთ სიგრძისაა. ზოგიერთი ქალი მამაკაცების საზოგადოებაში შარვალს არ ატარებს.

რელიგიური დღესასწაულების სამოსი
შაბათობით ტრადიციის მიმდევარი ქალები თეთრ წინსაფარს ატარებენ (რეპროდუქციული ორგანოების სიწმინდის დასაცავად), სინაგოგაში კი კონსერვატიულად აცვიათ.

BIS-ᲖᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ...



ᲚᲐᲨᲐ ᲑᲣᲦᲐᲫᲔ

ალბათ ერთ-ერთი ბოლო, ვინც **ისრაელზე** წერის დროს უნდა გაგახსენდეს, **რიჰარდ ვაგნერია**, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემთვის არა იმდენად **დიდი გერმანელი** კომპოზიტორი, არამედ მუსიკის **თავგანწირული** პატრიოტი **დანიელ ბარენბოიმი** და მისი **პრინციპულობაა** საინტერესო, რომელმაც პირველად შეასრულა **ისრაელში** ვაგნერის **მუსიკა.**

ვაგნერის სამარცხვინო ანტისემიტიზმის დასადასტურებლად მისი ბრიყვული სტატიაც კმარა – „იუდაიზმი მუსიკაში“, თუმცა მხოლოდ ეს არაა იმის მიზეზი, თუ რატომ არ ითვლება „მიზანშეწონილად“ ისრაელში ვაგნერის მუსიკის შესრულება; ამ არაპირდაპირი აკრძალვის მიზეზი მისი იდეოლოგიური ფალსიფიკატორი ადოლფ ჰიტლერია, რომელმაც ნაციზმის ხმოვან ფონად აქცია ვაგნერის შემოქმედება.

რიჰარდ ვაგნერი აქ მართლაც არაფერ შუაშია – ის ნაცისტების მოსვლამდე ნახევარი საუკუნით ადრე გარდაიცვალა, მაგრამ რადგან ვაგნერის ზეკაცების კოლექცია – მთელი თავისი ზიგმუნდებითა და ზიგფრიდებით – მძლავრ პროპაგანდისტულ იარაღად აქცია მესამე რაიხმა, ბევრს ეს მუსიკა დღემდე ისტორიულ ტრავმად ახსენდება ისრაელში.

ვაგნერის იდეოლოგიურობის ტრაგიკომიკურობის ერთ-ერთი გამოვლინება იყო მოსკოვში დადგმული „ვალკირიები“ მეორე მსოფლიო ომის წინ, როცა ჰიტლერი და სტალინი დროებით იქცნენ მეგობრებად. სტალინს ბევრი უფიქრია, მოლოტოვ-რიბენტროპის საიდუმლო პაქტის პუნქტების გარდა კიდევ რა სიამოვნება მიენიჭებინა „თანამოაზრე ადისთვის“ და ბოლოს ვაგნერის „ნიბელუნგების“ ციკლის მეორეოპერაზეშეუჩერებიაარჩევანი.„ვალკირიები“მოსკოვის დიდ თეატრში დაუდგამს სტალინის იდეოლოგიურ რეჟისორად ჩამოქვეითებულ სერგეი ეიზენშტეინს და ისტორიაში შესულა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული საოპერო ჩაფლავება.

თავად ვაგნერის ანტისემიტიზმიც დიდი გაუგებრობაა და, ერთი მხრივ, XIX საუკუნის გერმანული ნაციონალიზმის ტენდენციის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ, მეორე მხრივ კი, ახალგაზრდა თავქარიანი და ამბიციური კომპოზიტორის წყენის გამოვლინებად, რომელიც „ტანჰოიზერის“ პარიზული ფიასკოს შემდეგ ვერ მოინელა: ვაგნერი სრულიად უსამართლოდ მიიჩნევდა, რომ მისი ოპერის წარუმატებლობაში დიდი გავლენის მქონე ფრანგი კომპოზიტორი, წარმოშობით ებრაელი მეიერბერი იყო დამნაშავე (ვაგნერის აზრით, „მისი სალიერი“). წლების მერე, როცა ბისმარკმა პარიზი აიღო 1871 წელს, ვაგნერის ცოლმა კოზიმამ ირონიულად ჩაწერა თავის დღიურში: „ეს დღეც დადგა: გერმანელებმა შური იძიეს „ტანჰოიზერის“ პარიზული მარცხის გამო!“ თუმცა კოზიმამდე ვაგნერს თავად შარლ ბოდლერმა მიუძღვნა წერილები, სადაც ის ბოდიშს იხდიდა ფრანგების „სიყრუის“ გამო, რომელთაც გენიალური „ტანჰოიზერის“ აღქმა ვერ შეძლეს.

ჰოდა, რამდენიმე წლის წინათ დანიელ ბარენბოიმმა სწორედ „ტანჰოიზერის“ ვეება უვერტიურის შესრულება სცადა ისრაელში, რის შემდეგაც ვაგნერს „ებრაული ჯადო“ უნდა ახსნოდა...

ბარენბოიმი პირველი არ ყოფილა წარმოშობით ებრაელ მუსიკოსთა შორის, რომელსაც მისთვის ნაცისტური „სტიგმის“ მოცილება ეწადა; ბარენბოიმამდე ეს მეტ-ნაკლები წარმატებით სცადა იუჰუდი მენუჰინმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასასრულს არა მხოლოდ ვაგნერის მუსიკის, არამედ ჰებელსის საყვარელი დირიჟორის – XX საუკუნის მუსიკალური გენიოსის, ვილჰელმ ფურტვენგლერის მორალურ რეაბილიტაციას ლამობდა, თუმცა ბარენბოიმი პირველი იყო, ვინც თავის მკაცრ თანატომელებს არ შეუშინდა და ვაგნერის აჟღერება სცადა ისრაელის მიწაზე.

თუკი ვინმეს ეკუთვნის მშვიდობის ნობელის პრემია, ეს ალბათ სწორედ დანიელ ბარენბოიმია, რადგან მის მიერ ჩამოყალიბებული ორკესტრი – „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“ პრაქტიკული მშვიდობის მუსიკალურ-პროფესიული დადასტურებაა: ბარენბოიმმა მოახერხა და ორკესტრი პალესტინელი და ებრაელი მუსიკოსებით დააკომპლექტა, არაბებს და ებრაელებს მის ორკესტრში მაინც შეუძლიათ მშვიდობიანი და ჰარმონიული ერთობის შექმნა.

ეს კაცი რომ აქაური ყოფილიყო, ეჭვი არ მეპარება, კონფლიქტებისა და ურთიერთგაღიზიანებისგან დაცლილ კავკასიურ ორკესტრს ჩამოაყალიბებდა, სადაც ერთმანეთზე განაწყენებულ ხალხებს გახსნილობისა და უკომპლექსობის მუსიკალურ გაკვეთილს ააჟღერებინებდა...

ვაგნერის სკანდალური „ისრაელური დებიუტის“ შესახებ ბევრს წერდნენ და ჰყვებოდნენ, მაგრამ უმეტესად ან ძალიან მოკლედ, ან ძალიან გაუგებრად, ისე რომ, ვერც გაიგებდი, ბოლოს და ბოლოს, შესრულდა თუ არა „ტაბუდადებული“ მუსიკა!

ერთი ჭორიკანა და მუსიკალურ ამბებში გათვითცნობიერებული კაცია – ნორმან ლებრეხტი, რომელსაც უაღრესად საინტერესო წიგნები აქვს დაწერილი მუსიკოსების პრაგმატულ სიგიჟეებზე (მაგალითად, კარაიანზე – „ვინ მოკლა კლასიკური მუსიკა?“), ჰოდა ამ კაცის ბლოგიდანაც ვერ შევიტყვე, შეძლო თუ არა ბარენბოიმმა არაპირდაპირი ცენზურის დაძლევა? სხვების არ იყოს, ლებრეხტიც ბუნდოვნად იმეორებდა, შეძლო, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერაო...

და აი შარშან, გავიცანი იოსი ტალგანი, ადამიანი, რომელიც ოდესღაც სწორედ იმ ფესტივალის დირექტორი ყოფილა ისრაელში, სადაც ვაგნერის შესრულება უცდია რისკიან დირიჟორს. ამ შესანიშნავი ბატონისგან დეტალურად მოვისმინე, როგორ გაუხილა ბარენბოიმმა, რომ bis-ზე, არც მეტი, არც ნაკლები, ვაგნერის შესრულებას აპირებდა; როგორ ჩავარდნილა ეს უკანასკნელი საგონებელში, როგორ „გაუუონავს“ მედიაში ამ ინფორმაციას, როგორ აუტეხიათ სკანდალი მემარჯვენე პოლიტიკოსებს, როგორ მოსწონებიათ ბარენბოიმის გადაწყვეტილება ლიბერალებს, როგორ დამფრთხალან ორკესტრანტები (პარადოქსი: ბარენბოიმი ისრაელში ბერლნის Staatskapelle-ს ორკესტრით ჩასულა), როგორ გამოუცხადებია ერთ-ერთ მინისტრს: ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ცენზურას ოფიციალურად ვერ დაგიწესებთ, მაგრამ მაგ ბარენბოიმს გადაეცით, ცეცხლს ნუ ეთამაშება, აქ არავის უნდა ისტორიულად გამაღიზიანებელი მუსიკით ტკბობაო...

ამის შემდეგ ბარენბოიმს კიდევ ერთი ავტორიტეტი ჩაურევია ვაგნერის ებრაული რეაბილიტაციის პროცესში – პლასიდო დომინგო, რომელსაც, თავის მხრივ, დაუდასტურებია, რომ თუკი ბარენბოიმი ვაგნერს შეასრულებდა, ამ კონცერტში ისიც დაუფიქრებლად მიიღებდა მონაწილეობას; დაბოლოს, რაკი ლაპარაკი bis-ზე ყოფილა და არა ოფიციალურ პროგრამაზე (რომელშიც ვაგნერის სახელი არ ჩაიწერებოდა), ფესტივალის დირექტორი მხოლოდ იმის იმედად დარჩენილა, რომ ეგებ ორკესტრს არც ისე კარგად დაეკრა პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოები და ხალხს bis-ზე არ გამოეძახებინა დირიჟორი.

მაგრამ Staatskapelle-ს ისე დაუკრავს, ისეთი გზნებით, რომ პუბლიკას ფეხების ბაკუნი დაუწყია, კიდევ რამე დაუკარითო (ცხადია, იმ იმედით და ცოდნით მედიიდან, რომ ბარენბოიმს სკანდალური სიურპრიზი ექნებოდა გადანახული). და მიუხედავად იმისა, რომ გარეთ ნაციონალისტები მდგარან პლაკატებით: „სირცხვილი მოღალატე ბარენბოიმს! არა ვაგნერს!“ – ჯიუტ დირიჟორს დარბაზისთვის მიუმართავს, რომ ახლა სწორედ ვაგნერს დაუკრავდნენ, რომლის აკრძალვის ვნებაც საზოგადოების რეგრესს უწყობდა ხელს.

„კომპლექსებისგან უნდა გავთავისუფლდეთ!“ – უთქვამს დირიჟორს და გაფითრებული მუსიკოსებისკენ შებრუნებულა, რათა ოდნავ მოგუდულ სასულეებს „ტანჰოიზერის“ მთავარი მელოდია აეჟღერებინათ (სხვათა შორის, ერთ-ერთი პირველი, ვინც პუბლიკისგან ზურგით შებრუნდა ორკესტრის დირიჟორობის დროს, სწორედ ვაგნერი იყო, რადგან მანამდე დირიჟორები ან გვერდულად დგებოდნენ, ან სახით პარტერისკენ). მაგრამ სასულეების შესვლა და დარბაზის აფეთქება ერთი ყოფილა: ზოგი მაშინვე წამომხტარა და ლანძღვა-გინებით გავარდნილა გასასვლელისკენ, ზოგი სავარძელზე ასულა და იქიდან დაუწყია ყვირილი, ზოგსაც ბარენბოიმის გამამხნევებელი ტაში შემოუკრავს; ერთ ქალბატონს ფეხსაცმელი გაუხდია და სცენისკენ უსვრია, სხვა ქალბატონს ორკესტრანტებისთვის შეუძახებია, არ გაჩერდეთ, ბოლომდე დაუკარითო – და მთელი ეს უშველებელი უვერტიურა ყვირილსა და ბრაგა-ბრუგში გაგრძელებულა, მუსიკა მხოლოდ დირიჟორს თუღა ესმოდაო...

კულისებში ჩამუხლულ ფესტივალის დირექტორს თავზე შემოეწყო ხელები და ერთსა და იმავეს იმეორებდა: „განა არ ჯობდა, ამ კაცს ვინმე პატიოსანი რესპუბლიკელის მუსიკა დაეკრა – ვთქვათ, ბეთჰოვენის – და ეს ვაგნერი სადმე სხვაგან, სხვა ფესტივალზე, სხვა ქვეყანაში შეესრულებინა?!“

ᲓᲘᲠᲘᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲥᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲑᲝᲚᲝ ᲜᲝᲢᲐᲛᲓᲔ ᲣᲔᲠᲗᲒᲣᲚᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲕᲐᲒᲜᲔᲠᲘ ᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲔᲣᲚ ᲘᲓᲔᲐᲡᲚ, ᲛᲔᲠᲔ ᲥᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲝᲕᲐᲪᲘᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ, ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲓᲐᲛᲙᲓᲐᲠᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲐ ᲙᲣᲚᲘᲡᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲗᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲛᲐᲓᲐᲑᲔᲓᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲣᲗᲥᲕᲐᲛᲡ: „ᲘᲡᲔ, BIS-ᲖᲔ ᲓᲐᲙᲕᲠᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲠᲘᲰᲐᲠᲓ ᲕᲐᲒᲜᲔᲠᲡ ᲔᲖᲘᲡᲖᲚᲔᲑᲝᲓᲐ“.

თეთრი ქალაქი

ნიკა ჩხაიძე

თელ-ავივის, როგორც მთელი ისრაელის ისტორია, არის ბრძოლის, შრომისა და გამბედაობის ისტორია, განსაკუთრებით კი – იმ პიონერთა, რომლებიც ისტორიულ სამშობლოში პირველნი ჩავიდნენ ევროპიდან. მათი მიზანი იყო დამოუკიდებელი, თანასწორი სოციალისტური საზოგადოების შექმნა. ამ ემიგრანტებს შორის იყო 200-მდე გულანთებული ახალგაზრდა არქიტექტორი, რომლებიც გერმანიიდან გადმოსახლდნენ.

საერთაშორისო მოდერნიზმის იდეებით გამსჭვალული ამ ახალგაზრდების დიდი ნაწილი ბაუჰაუზის სკოლის კურსდამთავრებული იყო. რამდენიმეწლიანი დაუღალავი შრომით მათ შეძლეს, შეექმნათ ე. წ. „თეთრი ქალაქი“ – 4000-მდე შენობა, რომელიც დღეს თელ-ავივის ისტორიულ ცენტრს წარმოადგენს და იუნესკოს მიერ არის დაცული. შენობები ბაუჰაუზის, ლე კორბუზიეს, ერიხ მენდელსონის სტილების გავლენით არის შექმნილი.

გამოწვევას კიდევ უფრო ართულებდა ის, რომ ქალაქი მთლიანად ქვიშაზე უნდა აშენებულიყო. იდეის „სიგიჟეს“ და მასშტაბს მაშინ ხვდები, როდესაც თელ-ავივში ხარ და ამ ქალაქს აკვირდები: გგონია, რომ ლოს-ანჯელესში ან ბიარიცში თუ მონტე-კარლოში მოხვდი; ხოლო როდესაც დაფიქრდები, თუ რა გეოგრაფიულ და პოლიტიკურ სივრცეში იმყოფები, ენით აუწერელი გაოცება გიპყრობს.

დავუბრუნდეთ თელ-ავივის მშენებლობას: პროცესის პარალელურად არ წყდებოდა ემიგრანტების და ახალმოსახლეების ნაკადი. „აქ არაფერი გამოვა“, – თქვა ბრიტანეთის კოლონიალურმა კონსულმა, ვინმე უინსტონ ჩერჩილმა.

ბაუჰაუზის სკოლა ვაიმარში, რომელიც 1919-1933 წლებში მოქმედებდა, უოლტერ გროპიუსმა დააარსა. მოგვიანებით ბაუჰაუზის სტილი თანამედროვე დიზაინის, მოდერნისტული არქიტექტურისა და ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებად იქცა.

მასზე საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა ინგლისელმა დიზაინერმა უილიამ მორისმა, რომლის აზრითაც, ხელოვნება საზოგადოების საჭიროებებს უნდა ითვალისწინებდეს, ფორმა კი ფუნქციას ექვემდებარებოდეს.

ბაუჰაუზის სტილისათვის დამახასიათებელია მორთულობისა და ორნამენტის უარყოფა, დიზაინის შერწყმა ნაგებობის არქიტექტურულ დანიშნულებასთან, რადიკალურად გამარტივებული ფორმები და შინაარსის რაციონალურად გააზრება.

Zamenhof st 1, 1939. Arch. Yehuda Megidovitz

ის 1920 წელს ურბანული დაგეგმარების კომისიაში იყო, რომელიც ქალაქის რეგლამენტაციაზე მუშაობდა.

მაგრამ ჩერჩილი შეცდა: მშენებლობა 1910 წლიდან არ შეჩერებულა და თელ-ავივი ყველაზე მიმზიდველ წერტილად გადაიქცა მაშინდელი ებრაული ემიგრაციისათვის. ქალაქის მოსახლეობა 2000-იდან 35 ათასამდე გაიზარდა.

1925 წელს თელ-ავივის პირველ მერს მეირ დიზენგოფს დასჭირდა შოტლანდიელი ცნობილი ურბანისტის, პატრიკ გედესის დაქირავება, რათა ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა შეექმნა.

Derech Begin 35, 1935.
Arch. Schlomo Liasowski & Jacob Orenstein

Nahalat Binyamin st 1, Poli House, 1933.
Arch. Schlomo Liasowski

„გარდენ-სიტის“ მოძრაობის მიმდევარმა გედესმა მისთვის ჩვეული მეთოდით შეიმუშავა „განვითარების გეგმა“ და თელ-ავივი მრავალი ლამაზი ბულვარით, სკვერითა თუ მწვანე სივრცით დამშვენდა. ეს ყველაფერი შენობებთან „გაერთიანდა“ და შეიქმნა „თეთრი ქალაქი“. ქალაქში სეირნობა სტუმარმა ალბათ სწორედ დიზენგოფის მოედნიდან უნდა დაიწყოს. თელ-ავივში ყოფნისას დასაბინავებლად ხშირად Hotel Cinema-ს ვირჩევ. პატარა ნომრების და ხმაურიანი ადგილის მიუხედავად სასტუმრო მიმზიდველია იმიტომ, რომ ნამდვილი არქიტექტურული ლეგენდაა. მისი ელეგანტური „მრუდები“ და არ-დეკოს ინტერიერი განსხვავებულ „პუბლიკას“ იზიდავს. სასტუმრო 1939 წელს ძმებმა მაგიდოვიჩებმა დააპროექტეს.

Dizengoff Square

ძალიან ლამაზია ორიგინალურად გადაწყვეტილი, ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი დიზენგოფის მოედანიც, რომელიც მიწის დონიდან მაღლაა აწეული და სამანქანო მოძრაობისგან დაცულია.

დაახლოებით 100 მეტრში, თუ Hovevi Zion street-ს აუყვებით, შეამჩნევთ უზადოდ თეთრ საცხოვრებელ ბლოკს. მენდელსონის „მრუდებითა“ და ლე კორბუზიეს გეომეტრიით ინსპირირებული ეს შენობა 1935 წელს ააგო პინხას ჰიტმა. გერმანელი ფენომენალური არქიტექტორის, ერიხ მენდელსონის გავლენა აქაც იკითხება. შენობა მთელ კვარტალს იკავებს.

Idelson st 25,1931. Arch. Richard Kauffmann

Emile Zola st 17, 1935. Arch. H.Sima & A. Glick

Lilienblum st 12, 1933. Avraham Soskin House, Arch. Zeev Rechter

თუკი დიზენგოფის ქუჩას აუყვებით, მრავალ კაფეს, ბარსა თუ მაღაზიას დაინახავთ. ეს ქუჩა ადგილობრივთა საყვარელ განტვირთვის ადგილს წარმოადგენს. როგორც ისრაელში ამბობენ: „იერუსალიმი – სალოცავად, ხაიფა – სამუშაოდ და თელ-ავივი – საცხოვრებლად“.

გენგეგმის შოტლანდიელი ავტორის ახდენილი ოცნება – როტშილდის ბულვარია. ეს სამზოლიანი ბულვარი გედესის მიერ შექმნილი გენერალური გეგმის მთავარ ღერძს წარმოადგენს. თელ-ავივის პულსი სწორედ აქ ცემს.

Strauss st 3, 1933. Bruno House, Arch. Ze'ev Haller

Levanda st 56, 1934. Ship House, Arch. Shimeon Levy

ჩვენი მარშრუტის შემდეგი სამიზნეა Bruno House, რომელიც როტშილდის ბულვარის სიახლოვეს, შტრიეს ქუჩაზე მდებარეობს. 1935 წელს ზეევ ჰალერის მიერ აგებულ შენობას უდავოდ სკულპტურული თვისებები აქვს; დიზაინი დახვეწილი და დეტალებამდე გათვლილია როგორც თვალისათვის სასიამოვნოდ, ისეკლიმატურითავისებურების გათვალისწინებით.

შემდეგ March street-ზე შეუხვიეთ. აქ, მენაჰემ ბეგინ როუდის კუთხეში ლეონ რეკანატის სახლს შეამჩნევთ. შლომო ლიასოვსკისა და იაკობ ორენშტეინის მიერ 1936 წელს აშენებული ეს თეთრი სახლი სწორკუთხა გრაფიკით გამოირჩევა, რის გამოც დღის სხვადასხვა მონაკვეთში შუქ-ჩრდილის საოცარი ტრანსფორმაცია ხდება და ძალზე საინტერესო სანახავია.

მიუხედავად იმისა, რომ იმ წლებიდან დღემდე აქ ბევრი რამ გადაკეთდა და დაემატა, ანსამბლი მაინც ინარჩუნებს თვითმყოფადობას. ფუნქციონალური შენობები, ახალი უდეკორო ესთეტიკით, გარემოს კლიმატურ პირობებთან ადაპტირებულია. და ამ ყველაფრით ანსამბლი უნიკალურია მსოფლიოში.

BAUHAUS FOUNDATION MUSEUM

ამ მუზეუმის მონახულებას დაბეჯითებით გირჩევთ. ეს სივრცე ბიალიკის პარკში საუკეთესოდ წარმოგვიდგენს თელავივურ ბაუჰაუზს. მუზეუმის მაღაზიაში ნახავთ საუკეთესო პოსტერებს, წიგნებს არქიტექტურაზე და ორიგინალურ სუვენირებს. ასევე გირჩევთ, ცენტრის ლიცენზირებული გიდის დახმარებით „თეთრი ქალაქის“ ტური შეიძინოთ თელ-ავივის ყველაზე მომხიბვლელი და ეგზოტიკური ადგილების მოსანახულებლად. შეგიძლიათ აუდიოგიდი შეიძინოთ და მარტოც გაემართოთ ქალაქის დასათვალიერებლად.

ღიაა: კვირა-ხუთშაბათი – 10.00-19.30; პარასკევი – 10.00-14.30; შაბათი – 10.00-19.30; **ფასი:** 60 NIS

Bialik 21; www.bauhaus-center.com
Dizengoff st 77, Tel Aviv; Tel. +972 3 522 0249

ზუბინ მეტა და ჰუბერმანის ვიოლინო წინანდალში

დავით საყვარელიძე

პირველად 1996 წლის 25 დეკემბერს ჩავფრინდი თელ-ავივში. უნდა შევხვედროდი დრამატურგ ხანოხ ლევინს, რომლის პიესის დადგმა რუსთაველის თეატრმა დამავალა. ეს დიდ სცენაზე ჩემი პირველი დადგმა იყო და მსურდა, საფუძვლიანად მოვმზადებულიყავი. ხანოხ ლევინს ლიტერატორები და თეატრმცოდნეები „ცოცხალ გენიოსს“ უწოდებდნენ. მისი პიესები მართლაც შესანიშნავია. მან შეხვედრა მეორე დღეს დამინიშნა „კამერი თეატრში“.

თელ-ავივი საინტერესო თეატრალური ქალაქია. ჩამოვთვლი თეატრებს მნიშვნელობის მიხედვით: თეატრი „ჰაბიმა“ (Habima Theater), რომელიც ნაციონალურ სტატუსს ატარებს; „კამერი“ (Cameri Theater), რომელიც აქცენტს აკეთებს ისრაელის შიდა აქტუალურ პრობლემებზე; თეატრალური დასი „ბეით ლესენი“ (Beit Lessen), რომელიც სხვადასხვა შენობაში მართავს სპექტაკლებს თანამედროვე ამერიკელი დრამატურგების პიესების მიხედვით; შედარებით ახალი თეატრი „გეშერი“ (Gesher Theater), რომელიც რუსი ემიგრანტების დაფუძნებულია; ძალიან საინტერესოა პატარა არაბული თეატრი ძველ ჯაფაში, სადაც ერთად მოღვაწეობენ არაბული და ებრაული დასები (Arab Hebrew Theater); „თმუნა“ (Tmuna Theater) – ეს არის ავანგარდული თეატრი ბევრი სხვადასხვა პროექტით; „თცავთა“ (Tzavta Theater) – ეს თეატრი ცნობილია ინგლისურენოვანი პროდუქციით, კონცერტებით, მიუზიკლებით.

მეორე დღეს შეხვედრაზე ადრე მივედი. ხანოხ ლევინმა მართლა საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, ის გახდა ჩემი გზის გამკვალავი, ერთგვარი „გიდი“ ისრაელში. მისი პიესებით, მისი შექმნილი პერსონაჟებით გავიცანი თელ-ავივი. ეს იგივეა, დავით კლდიაშვილის გმირებით რომ აღმოაჩინო საქართველო.



ალბერტ აინშტაინი და ბრონისლავ ჰუბერმანი

ხანოხ ლევინი კომპოზიტორობდა კიდეც, თავისი სპექტაკლებისთვის თხზავდა მუსიკას. მან ერთ მნიშვნელოვან კონცერტზე წასვლა მირჩია. უდიდესი მუსიკოსები – იცხაკ პერლმანი, დანიელ ბარენბოიმი, იეფიმ ბროფმანი, შლომო მინცი და კიდევ რამდენიმე ვარსკვლავი ისრაელის ფილარმონიული ორკესტრის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით გალა კონცერტს მართავდნენ. ამ კონცერტს დირიჟორობდა ზუბინ მეტა, ორკესტრის მუსიკალური ხელმძღვანელი. მასაც 60 წელი შეუსრულდა და ესეც კარგი დამთხვევა იყო.

საინტერესო ამბები ორკესტრის დამაარსებლის შესახებ:

ადლოფ ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ძალიან სწრაფად დაიწყო ებრაელი მუსიკოსების ორკესტრებიდან დათხოვნა. ბერლინის ფილარმონიული ორკესტრი ამის ძალიან კარგი მაგალითი იყო. მუსიკოსების სამსახურებიდან გათავისუფლების გამო ბრონისლავ ჰუბერმანს იდეა დაებადა, შეეკრიბა დათხოვნილი მუსიკოსები და, ახლად დაწყებული სიონისტური იდეებით გამსჭვალულს, დაეფუძნებინა ორკესტრი, რომელიც აღთქმულ მიწაზე შეძლებდა მოღვაწეობას.

ჰუბერმანი უდიდესი მუსიკოსი იყო, შეიძლება მას კლასიკური მუსიკის „წმინდანიც“ ვუწოდო. იგი პოლონეთში, ქალაქ ჩესტახოვაში დაიბადა და ძალიან პატარამ დაიწყო ვიოლინოზე დაკვრა. ნამდვილი ვუნდერკინდი, ვირტუოზი, პატარა ბრონისლავი იმდენად ღვთიური მოვლენა იყო, რომ როდესაც გრაფმა ვლადისლავ ზამოისკიმ მოუსმინა, გაოგნდა და თავისი საგვარეულო დინასტიის მუზეუმიდან სტრადივარიუსის შექმნილი უძვირფასესი ვიოლინო აჩუქა.

ჰუბერმანი არტურო ტოსკანინისთან და პალესტინის ფილარმონიის ორკესტრთან ერთად

ბრონისლავ ჰუბერმანი

ბრონისლავ ჰუბერმანი პალესტინის ორკესტრის შექმნამ ისე გაიტაცა, რომ მთელ მსოფლიოში ეძებდა თანამოაზრეებს. მან ფულის შესაგროვებლად 42 კონცერტი გამართა ამერიკაში. ამ დროს ნიუ-იორკში, „კარნეგი ჰოლში" მუსიკოსს სტრადივარიუსის ვიოლინო მოჰპარეს – სწორედ ის ვიოლინო, რომელიც ვლადისლავ ზამოისკიმ აჩუქა.

შემდეგ ჰუბერმანმა ალბერტ აინშტაინსაც სთხოვა დახმარება. აინშტაინმა ფულის შეგროვების მიზნით სასტუმრო „ვალდორფ ასტორიაში" წვეულება გამართა და $80 000 შეუგროვა ჰუბერმანს. ეს თანხა საკმარისი იყო ორკესტრის მუშაობის დასაწყებად.

კიდევ ერთ კურიოზს ჰქონდა ადგილი: ორკესტრმა ისრაელში პერმანენტული საიმიგრაციო დოკუმენტებისთვის დავიდ ბენ გურიონს, ისრაელის სახელმწიფოს დამაარსებელს და „ისრაელის სააგენტოს" მაშინდელ ხელმძღვანელს მიმართა. ბენ გურიონმა უარით გაისტუმრა ორკესტრანტები – მას სურდა, მუსიკოსები კი არა, უფრო მეტი მუშა ჩასულიყო ისრაელში.

ჰუბერმანმა შაიმ ვაიცმანის, „მსოფლიო სიონისტური კონფერენციის" პრეზიდენტის დახმარებით, ბრიტანელებისგან მაინც მიიღო დოკუმენტები და მაშინდელ პალესტინაში ჩაიყვანა ორკესტრი – 73 მუსიკოსი ევროპიდან. მათი გემი ქალაქ ჯაფას პორტში ჩამოდგა.

ორკესტრში ჩასარიცხად მუსიკოსებს მოსმენებით ირჩევდნენ. ჰუბერმანი ზურგით იჯდა და ისე უსმენდა მათ, რათა მხოლოდ მუსიკალური ხარისხით აერჩია ადამიანები. ორკესტრის სიის მიღმა დარჩენილები საშინლად განიცდიდნენ, რადგან ბედის ამარა რჩებოდნენ ფაშისტური გერმანიის წინაშე. ასეთი რთული შერჩევის შემდეგ ჰუბერმანმა 800 ადამიანი იხსნა ნაცისტური გერმანიის კლანჭებიდან. მან ისინი ყველა პალესტინაში ჩაიყვანა.

ამ დროს კი გერმანიაში ადოლფ ჰიტლერმა, ვაგნერების ოჯახის თხოვნით, წერილი მისწერა არტურო ტოსკანინის, რომელშიც სთხოვდა დიდ მაესტროს, ჩასულიყო ბაიროითში ვაგნერის ფესტივალზე და რამდენიმე ოპერისთვის ედირიჟორა. ამ ოფიციალურ წერილს არტურო ტოსკანინიმ სასტიკი უარით უპასუხა. დიდმა მაესტრომ დაგმო ჰიტლერი, მისი პოლიტიკა ებრაელთა მიმართ. ბრონისლავ ჰუბერმანმა სწორედ მას შესთავაზა პალესტინის ორკესტრის დირიჟორობა. ტოსკანინი სიამოვნებით დათანხმდა. პირველი კონცერტი 1936 წლის 26 დეკემბერს ჩატარდა. პირველი 10 წლის განმავლობაში ორკესტრმა მთელ ახლო აღმოსავლეთში იმოგზაურა. ბრონისლავ ჰუბერმანი ავიაკატასტროფაში მოყვა სუმატრაში (ინდონეზია), გადარჩა, მაგრამ თითები დაიზიანა და დაკვრის გაგრძელება ვეღარ შეძლო, ორკესტრმა კი მოღვაწეობა გააგრძელა. ჰუბერმანი 1947 წელს გარდაიცვალა.

პალესტინის ორკესტრს ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადების შემდეგ ბენ გურიონმა „ისრაელის ფილარმონიული ორკესტრი უწოდა" და მას სათავეში ჩაუდგა 29 წლის დირიჟორი, მაესტრო ლეონარდ ბერნსტაინი.

ზუბინ მეტა

1968 წელს ორკესტრმა ხელმძღვანელად მიიწვია ინდოელი წარმოშობის დირიჟორი ბომბეიდან ზუბინ მეტა. იგი ამჟამად ყველაზე ტიტულოვანი დირიჟორია.

ზუბინ მეტა მუსიკალურ ოჯახში აღიზარდა, მამამისი ბომბეის სიმფონიური ორკესტრის დამფუძნებელი იყო. ზუბინ მეტა ხელმძღვანელობდა მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმულ ორკესტრებს და საოპერო თეატრებს. მათ შორისაა მონრეალის, ლოს ანჯელესის, ნიუ-იორკის, ვენის, მიუნხენის ფილარმონიული ორკესტრები. ამჟამად იგი არის ფლორენციის ოპერის, „მაჯო მუსიკალე ფიორენტინოს", ნეაპოლის „სან კარლოს ოპერისა" და ისრაელის ფილარმონიული ორკესტრის ხელმძღვანელი.

ზუბინ მეტა და არტურ რუბინშტეინი

დედამიწაზეარარსებობსზუბინმეტაზეცნობილიდირიჟორი. მათ, ვისაც ნაკლებად უყვარს კლასიკური მუსიკა, ზუბინ მეტა შეიძლება ახსოვდეთ რომში 1990 წელს ჩატარებული „სამი ტენორის" კონცერტით. სწორედ ზუბინ მეტამ უდირიჟორა პლასიდო დომინგოს, ლუჩიანო პავაროტის და ხოსე კარერასს იმ დაუვიწყარ საღამოზე.

ამ საიუბილეო კონცერტზე დასწრებას მთავაზობდა ხანოხ ლევინი. მეც გავქანდი. ბილეთები, რა თქმა უნდა, აღარ იყო. გადამყიდველებში რომც ყოფილიყო, მაინც ვერ შევიძენდი – მაშინ 26 წლის ვიყავი და ამხელა თანხა არ მქონდა. ვიდექი საკონცერტო დარბაზის წინ და ვუყურებდი, როგორ შედიოდა მსმენელი დარბაზში. გარეთ ციოდა. ვიდექი და ნერვები მეშლებოდა, რომ ამ ისტორიულ მომენტს ხელიდან ვუშვებდი. მოკლედ, ვერ შევედი.

2017 წლის სექტემბერში ისრაელის ფილარმონიული ორკესტრი და მაესტრო ზუბინ მეტა საქართველოში ჩამოვლენ.

გავიდა ხანი. იმ პიესის დადგმა ჩემთვის წარმატებული აღმოჩნდა. სამწუხაროდ, რამდენიმე წლის შემდეგ ხანოხ ლევინი გარდაიცვალა.

შარშან კი ისრაელის ფილარმონიულ ორკესტრს და მაესტრო ზუბინ მეტას 80 წელი შეუსრულდათ. იუბილე ისევ პომპეზურად აღნიშნეს. გალა კონცერტზე მაესტრომ სოლისტად ხატია ბუნიათიშვილი მიიწვია. ამასობაში მეც დავმეგობრდი ორკესტრის ხელმძღვანელობასთან. ხატიამ ბილეთები გამომიგზავნა და 2016 წლის აპრილში ჩავფრინდი თელ-ავივში.

კონცერტმა გრანდიოზული წარმატებით ჩაიარა. შემდეგ საზეიმო წვეულებაზე მიგვიპატიჟეს. თავი რომ არ შეგაწყინოთ, შედეგებს მოკლედ გეტყვით: 2017 წლის სექტემბერში ისრაელის ფილარმონიული ორკესტრი და მაესტრო ზუბინ მეტა საქართველოში ჩამოვლენ – კონცერტს გამართავენ წინანდალში, ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმის ბაღში, სადაც ორკესტრის გენერალურ დირექტორთან ერთად დავაფუძნეთ ფესტივალი და მუსიკალური აკადემია.

წინანდლის ფესტივალს უკვე სტუმრობდნენ გიდონ კრემერი, ლიზა ბათიაშვილი, ბაროკოს ანსამბლი „დიდერო", ელისო ვირსალაძე, კამერული ორკესტრი „კრემერატა ბალტიკა", უგო დესმანი, ალისა სარა ოტი, ხატია ბუნიათიშვილი და კიდევ უამრავი საინტერესო მუსიკოსი.

შარშან ცნობილმა მევიოლინემ ჯოშუა ბელმა წინანდალში კონცერტის შემდეგ პუბლიკას უამბო ისტორია ბრონისლავ ჰუბერმანის დაკარგული სტრადივარიუსის ვიოლინოს შესახებ: 1987 წელს ამერიკის ერთ-ერთ ციხეში გარდაიცვალა მსჯავრდებული, რომელმაც სიკვდილის წინ თავის ცოლს საიდუმლო გაუმხილა: თურმე სწორედ მან მოჰპარა ჰუბერმანს „კარნეგი ჰოლში" ვიოლინო – მაშინ იგი ახალგაზრდა უიღბლო მუსიკოსი იყო, კაფეებსა და ბარებში უკრავდა. მისმა მეუღლემ ამის შესახებ პოლიციაში განაცხადა. ვიოლინო აუქციონზე გაყიდეს ერთ მილიონ დოლარად. მსჯავრდებულის ცოლს ამ თანხიდან 250 ათასი შეხვდა – ასეთი კანონი ყოფილა. ვიოლინო ერთმა ცნობილმა მუსიკოსმა იყიდა, რომელიც კვარტეტში უკრავდა, თუმცა შემდეგ მანაც გაყიდა.

ზუბინ მეტა ისრაელის ფილარმონიის ორკესტრთან ერთად

ჯოშუა ბელი 2014 წელს ლონდონის „ალბერტ ჰოლში" მართავდა კონცერტს. კონცერტის წინ იგი სიმების საყიდლად ვიოლინოების ცნობილ მაღაზიაში შევიდა, სადაც გამყიდველმა უთხრა, რომ ჰუბერმანის ვიოლინოს ყიდდნენ. „ხელი მოვკიდე თუ არა, მაშინვე ვიგრძენი, რომ ეს ჩემი ვიოლინო იყო". ჯოშუა ბელმა ინსტრუმენტი 4 მილიონად შეიძინა... და სწორედ ამ ვიოლინოზე დაუკრა წინანდალში, ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმში.

ზუბინ მეტა და სამი ტენორი

ზუბინ მეტა და დავით საყვარელიძე

ნინო ლურსმანაშვილი

თუ ადრე **ისრაელელი მეწარმეების** ოცნება იყო, ყველა ჩინელისთვის თითო ველოსიპედი მიეყიდათ, დღევანდელ დღეს მათი ოცნებაა – შექმნან **სტარტაპი** და **ამერიკელებს** მიჰყიდონ. მთლიანობაში ისრაელის პროდუქციის ექსპორტის **42,4% „ჰაიტექზე“** მოდის.

„ყველა ბუნებრივი რესურსიდან ჩვენ გვაქვს მხოლოდ ებრაული ტვინები, მაგრამ ეს ერთადერთი რესურსი ჯეშმარიტად ამოუწურავია“.

დავიდ ბენ გურიონი, ისრაელის პირველი პრემიერ-მინისტრი

მეცნიერება უნივერსალური ენაა, რომელიც ერებსა და კულტურებს ერთმანეთთან აკავშირებს. ისრაელის ტექნოლოგიური მიღწევები მას საერთაშორისო არენაზე განსაკუთრებულ სტატუსს სძენს, ხოლო აქაურმა მეცნიერებმა მსოფლიოში უმაგალითო აღიარება მოიპოვეს. მათ მიღწევებზე ნობელისა და ტურინგის პრემიები, ფილდსის მედალი და სხვა პრესტიჟული ჯილდოები მეტყველებს.

სიონისტური მოძრაობის ლიდერები, მათ შორის, ისრაელის პირველი პრემიერ-მინისტრი დავიდ ბენ გურიონი, პირველი პრეზიდენტი, დოქტორი ჰაიმ ვაიცმანი და ისრაელის მოსახლეობა მეცნიერულ კვლევებს თავიანთი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს ნაწილად და ისრაელის სახელმწიფოს უმთავრეს ქვაკუთხედად მიიჩნევდნენ. ისრაელის სახელმწიფოდ გამოცხადებამდეც ებრაელი მეცნიერები – ალბერტ აინშტაინი, მარტინ ბუბერი, ზიგმუნდ ფროიდი, აარონ აარონსონი და სხვანი სამეცნიერო ინსტიტუტებისა და კვლევითი ცენტრების დაარსებას სასიცოცხლოდ აუცილებელ ნაციონალურ და ეკონომიკურ პრიორიტეტად სახავდნენ.

ისრაელში 9 უნივერსიტეტი და 66 უმაღლესი განათლების ინსტიტუტია. ხაიფის „ტექნიონი“ და იერუსალიმის „ებრაული უნივერსიტეტი“ მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლების სიაშია.

ისრაელი ერთ-ერთია იმ ათი სახელმწიფოდან, რომლებიც პრესტიჟულ „კოსმოსურ კლუბში“ (Space Club) შედიან; ამ დაწესებულების საქმიანობა მოიცავს სატელიტების განვითარებას, წარმოებას, კოსმოსში გაშვებასა და მართვას. ისრაელი მსოფლიოს იმ 8 ქვეყანას შორისაა, რომლებსაც დამოუკიდებლად შეუძლიათ კოსმოსში თანამგზავრის გაშვება.

ქვეყანას სამეცნიერო ხარისხის მფლობელთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს მსოფლიოში: თითქმის 1,7-ჯერ მეტი, ვიდრე მეორე ადგილზე მყოფ აშშ-ს და 2-ჯერ მეტი, ვიდრე მესამე ადგილზე მყოფ იაპონიას.

ამჟამად ისრაელს საექსპორტოდ გააქვს თავისი HIGH-TECH ფირმების 10 241 მლნ დოლარის ღირებულების პროდუქცია წელიწადში, რაც ისრაელის მთელი ექსპორტის 42,4%-ია.

ისრაელის „ჰაიტექის“ ისტორია 50-იანი წლებიდან დაიწყო – მაშინდელი პატარა ფირმები აპარატურას და სამოქალაქო კავშირგაბმულობის საშუალებებს აწარმოებდნენ.

სხვა ქვეყნების მსგავსად, ტექნოლოგიების განვითარებას ისრაელშიც ომმა მისცა ძლიერი ბიძგი. სულ რამდენიმე წელიწადში აქ 2 ტექნოლოგიური რევოლუცია მოხდა: პირველი – 1967 წლის 6-დღიანი ომის შემდეგ, მეორე – 1973 წლის „სამსჯავროს დღის“ ომის შემდეგ. სწორედ ამ წლებში განვითარდა სამხედრო მრეწველობის სახელმწიფო კონცერნები: „ისრაელის საავიაციო წარმოება“ (IAI), შეიარაღების სისტემების შემუშავების სამმართველო („რაფაელი“) და სხვა.

მათ საწარმოებსა და ლაბორატორიებში განხორციელდა ისეთი მასშტაბური პროექტები, როგორიცაა: სარაკეტო კომპლექსები, ტელეკომუნიკაციის სისტემები, საბრძოლო თვითმფრინავები, ტანკი „მერქავა“, რაკეტმზიდი ხომალდები... 70-იანი წლებიდან ისრაელში ერთმანეთის მიყოლებით იხსნება ისეთი მსოფლიო გიგანტების განყოფილებები, როგორიცაა: Motorola, IBM, Intel, Microsoft, Cisco, Texas Instruments და სხვა.

ფიჯური ტელეფონი სწორედ „მოტოროლას“ ისრაელურ ფილიალში შეიქმნა, ხოლო ოპერაციული სისტემა Windows NT და XP – Microsoft-ის ისრაელის განყოფილებაში.

Intel-მაც შტატებს ფარგლებს გარეთ პირველად ხაიფაში გახსნა თავისი კვლევითი ცენტრი 1974 წელს. მაშინ იქ 5 თანამშრომელი მუშაობდა, ახლა კი ისრაელში ამ ფირმის 8 სამეცნიერო-დასაწარმოო ცენტრია, სადაც შეიქმნა და იწარმოა არაერთი მაღალტექნოლოგიური პროდუქტი: Pentium MMX, Pentium 4, Celeron, Itanium და სხვადასხვა დანიშნულების ჩიპები. ისრაელის „ინტელის“ დაწესებულებებში დღეს საერთო ჯამში 6000 ადამიანი მუშაობს, მათ მიერ შექმნილი პროდუქციის ექსპორტის მოცულობა კი წელიწადში 2 მლრდ დოლარს უტოლდება.

მესამე ტექნოლოგიური რევოლუცია ისრაელში 90-იან წლებში მოხდა და მსოფლიო საინფორმაციო ტექნოლოგიების ბუმს დაემთხვა.

ისრაელის საინვესტიციო მიმზიდველობას კვალიფიციური კადრებიც განაპირობებენ, რომლებსაც ამ ქვეყნის მაღალი დონის სასწავლებლები ამზადებენ. ამ ფაქტორების გამო ისრაელის მეცნიერებასა და მრეწველობაში მრავალმილიარდიანი ინვესტიციების მოზიდვა გახდა შესაძლებელი.

რამდენიმე წელიწადში დაარსდა ათასობით ახალი ფირმა, რომლებიც მსოფლიო ლიდერებად იქცნენ ყველაზე მაღალტექნოლოგიურ დარგებში. ცხადია, წარმოუდგენელია დღევანდელი მსოფლიო ბევრი ისეთი რამის გარეშე, რაც ისრაელში შეიქმნა ისრაელელი მეცნიერების, პროგრამისტების, მკვლევრების ძალისხმევით: იქნება ეს IP-ტელეფონი, ფაილების შეკუმშვის ტექნოლოგია – ZIP, USB-მატარებლები ან ICQ – ინტერნეტის მეშვეობით მყისიერი კავშირის ახალი ტექნოლოგია, რომელიც სწრაფადვე გახდა პოპულარული მთელ მსოფლიოში და მის შემქმნელებს, 4 ახალგაზრდა პროგრამისტს 100-ობით მილიონი დოლარი მოუტანა.

ათასობით მცირე და საშუალო ფირმასთან ერთად ისრაელში შეიქმნა მძლავრი მრავალდარგოვანი ტრანსნაციონალური High-Tech კომპანიებიც, როგორიცაა: Check Point, Commverse, Amdocs და ბევრი სხვა, რომელთა განყოფილებები არაერთ ქვეყანაშია.

ისრაელში აღმოცენდა იქაური „სილიკონის ველი“, რომელიც ხაიფიდან ბეერ-შევამდეა გადაჭიმული; ამ სივრცეში შეიქმნა ახალი ქალაქები სამეცნიერო და სამრეწველო ფირმებით, სადაც ათიათასობით სპეციალისტი მუშაობს.

ისრაელი ეკონომიკის მაღალტექნოლოგიურ სფეროებზე დებს ფსონს. ამგვარი სტრატეგია საუკეთესო გარანტიაა ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის.

ისრაელის კომპიუტერული ინდუსტრია ერთ-ერთი მოწინავეა მსოფლიოში. High-Tech ცენტრები, რომლებიც განლაგებულია რაანანში, ნეთანიაში, პეტახ-ტიკვაში, ჰერცლიაში, ხაიფაში, რიშონ ლეციონში, ყოველწლიურად ჩუქნიან მსოფლიოს ახალ ოპერაციულ პროგრამებს; ისრაელის ვაიცმანის ინსტიტუტი კომპიუტერული მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მსოფლიო უმაღლესი სასწავლებლების პირველ 20-ეულშია და ახალ-ახალ კომპიუტერულ გენიოსებს ამზადებს.

სასარგებლო წიაღისეულის სიმწირის, მცირე ტერიტორიისა და რთული საგარეო პოლიტიკური ვითარების გამო ისრაელი ყოველთვის ეძებდა არასტანდარტულ შემოქმედებით გადაწყვეტებს, ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ ისრაელის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ნაწილი – „ტექნიონი“, „ებრაული უნივერსიტეტი“ იერუსალიმში, სამეცნიერო ინსტიტუტი რეჰოვოტში – ჯერ კიდევ კიბუცებში (სასოფლო-სამეურნეო კომუნებში) შეიქმნა.

Weizmann Institute of Science

2002 წელს რეჰოვოტში ვაიცმანის ინსტიტუტის მკვლევარებმა წარადგინეს პროგრამული მოლეკულური გამომთვლელი მანქანა, რომელიც დნმ-ის ფერმენტებისა და მოლეკულებისგან შედგებოდა (ნაცვლად სილიციუმის მიკროჩიპებისა, რომელსაც ჩვეულებრივ იყენებენ). მსოფლიოში ყველაზე პატარა დნმ-კომპიუტერს შეუძლია ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოსტირება უჯრედულ დონეზე.

SanDisk

მსოფლიოში პირველი USB ფლეშ-მეხსიერება M-Systems-ის თანამშრომლებმა გამოიგონეს. 1999 წელს აშშ-ში მასზე პატენტი გაფორმდა, 2000 წლის სექტემბერში კი თავად USB-ც გამოჩნდა, რომელსაც უწოდეს DikOnKey. პირველ USB-ს ჰქონდა 8 მბ მეხსიერება და 50$ ღირდა. 2006 წელს M-Systems-ი კორპორაცია SanDisk-მა შეიერთა, რისთვისაც ამ უკანასკნელმა 1,55 მლრდ დოლარი გადაიხადა.

evigilo

eVigilo-ს გადარჩენის მობილური სამსახური საგანგებო სიტუაციებში მოსახლეობის მასობრივ გაფრთხილებას უზრუნველყოფს. eVigilo-ს სისტემა საშუალებას იძლევა, SMS-ები მასობრივად გაიგზავნოს იმ მობილურ ტელეფონებზე, რომლებიც ფიჯური კავშირის ანტენების დაფარვის ზონაში იმყოფება (ნომრების ბაზა საჭირო არ არის). ამას გარდა, სისტემას შეუძლია აამოქმედოს ტელევიზია, რადიო, სტაციონარული ტელეფონები და სირენები მოსახლეობის გასაფრთხილებლად.

ამ კვლევითი ცენტრების სამეცნიერო პოტენციალი უზარმაზარი იყო, რადგან იქ 1930-40-იან წლებში ევროპიდან ფაშისტებს გამოქცეული ათასობით მაღალი კვალიფიკაციის მქონე ინჟინერი და მეცნიერი მუშაობდა; 1990-იან წლებში მათი რიგები ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ჩასულმა მაღალკვალიფიციურმა კადრებმა შეავსეს. შედეგად დღეს ისრაელში მსოფლიოში ყველაზე მეტი ინჟინერია, ყველაზე მეტი საუნივერსიტეტო დიპლომის მქონე სპეციალისტი და ყველაზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია ერთ სულ მოსახლეზე გათვლით.

ისრაელი პირველ ადგილს იკავებს მსოფლიოში კვლევებისა და განვითარებისთვის (R&D) გამოყოფილი თანხით (მშპ-ის 4,7%) და ერთ-ერთი წამყვანია მსოფლიოში ვენჩურული კაპიტალის ხელმისაწვდომობის მხრივ. მარტო მრეწველობის, ვაჭრობის და შრომის სამინისტრო გამოყოფს ყოველწლიურად 400 მლნ დოლარზე მეტს სხვადასხვა კვლევითი პროექტის დასაფინანსებლად, მათ შორის, პირველ რიგში, სტარტაპებისთვის.

ისრაელში ტექნოლოგიური სტარტაპ-კომპანიების ძალზე დიდი კონცენტრაციაა და ამ მხრივ მსოფლიო რეიტინგში ის სილიკონის ველის შემდეგ მე-2 ადგილს იკავებს. ისრაელს სტარტაპების ქვეყანას უწოდებენ.

ისრაელი ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს და ქმნის ახალ ტექნოლოგიებს სხვადასხვა სფეროში, იქნება ეს საინფორმაციო კომუნიკაციური ტექნოლოგიები, წყლით მომარაგება და წყლის წმენდა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ეროვნული უსაფრთხოება თუ სოფლის მეურნეობა და მედიცინა.

ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფერო. ისრაელელი ტექნიკოსების ძალისხმევით, დღეს ეს ქვეყანა თავდაცვითი ტექნოლოგიების სფეროში მსოფლიო ლიდერებს შორისაა. ისრაელის ბენ გურიონის აეროპორტი შემთხვევით როდი იწოდება ყველაზე მშვიდ აეროპორტად მსოფლიოში. სწორედ ამიტომ მარტო აშშ-ში 40-ზე მეტი აეროპორტიისრაელურითავდაცვითი მოწყობილობებითაა აღჭურვილი.

CHECK POINT – IT უსაფრთხოების მსოფლიო სტანდარტი

1993 წელს ისრაელის თავდაცვის არმიის – ცაჰალის 8200-ე ელიტური ქვედანაყოფის 25 წლის კურსდამთავრებულმა გილ შვედმა, თავის ორ პარტნიორთან ერთად, კომპანია Check Point-ი დააარსა.

„ჩეკ პოინტმა“ დაამუშავა უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამული და აპარატული სისტემები, მათ შორის, ქსელთაშორისი ეკრანების და ვირტუალური კერძო ქსელების ორგანიზაციის საშუალებები. დღეს კომპანიას მთელ მსოფლიოში 2200-ზე მეტი თანამშრომელი და 100 000-ზე მეტი კლიენტი ჰყავს.

MOBILEYE – მართვის უსაფრთხოების სისტემა

მძღოლის დამხმარე სისტემის ძირითადი კომპონენტებია ციფრული კამერა და მიკროპროცესორი, რომელიც საქარე მინის ქვეშ მაგრდება. კამერის მიერ აღქმული გამოსახულება ციფრული სახით მიეწოდება პროცესორს, რომელიც რეალურ დროში ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას, ამგვარად შესაძლებელი ხდება მანძილის განსაზღვრა წინ მდებარე ობიექტებამდე. მუშაობის ალგორითმები არ ითვალისწინებს ოპტიკური, ლაზერული ან რადიოგამოსხივების გამოყენებას – საბოლოო ინფორმაციის მიღება სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით ხდება.

სანავიგაციო სერვისი WAZE

კორპორაცია Google-მა 2013 წლის ივნისში 1,1 მლრდ დოლარად შეიძინა ისრაელური სტარტაპი Waze – მობილური სანავიგაციო აპლიკაცია, რომლის ინფორმაციასაც 100%-ით თავად მისი მოსარგებლეები ქმნიან. აპლიკაციის მეშვეობით შესაძლებელია სიტუაციის თვალის დევნება გზებზე რეალური დროის რეჟიმში, ოპტიმალური მარშრუტის მითითება; სიჩქარეთა რადარების მდებარეობის გაგება, სხვა მოსარგებლეებისგან საგზაო პირობების შეცვლის შესახებ, წინაღობებზე, პოლიციის პოსტებზე ინფორმაციის მიღება ან მათთვის მსგავსი ინფორმაციის მიწოდება.

„სუპერკონდენსატორი“ ELBIT

ისრაელის თავდაცვითი კონცერნის მიერ შექმნილი ეს უსადენო ტროლეიბუსი თავიდან თავდაცვის მიზნებისთვის შემუშავდა, თუმცა დიდი შანსია, რომ ის რევოლუციას მოახდენს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სფეროში მთელ მსოფლიოში.

„სუპერკონდენსატორით“ აღჭურვილი ტროლეიბუსი თუ ტრამვაი ელექტროქსელს მხოლოდ გაჩერებებზე დაუკავშირდება, სანამ მგზავრებს აიყვანს. ეს არა მარტო გააიაფებს ტრანსპორტის დანახარჯებს, არამედ გარემოს დაბინძურებასაც შეაჩერებს.

HERON – უპილოტო მზვერავი საფრენი აპარატი. 2014 წელს ისრაელში შეიქმნა უპილოტო აპარატების ახალი თაობა Super Heron HF. მას შეუძლია ჰაერში იყოს 50 საათის განმავლობაში, განავითაროს მაქს. სიჩქარე 280 კმ/სთ და გადაიტანოს 500 კგ ტვირთი. სამხედრო სფეროში აღსანიშნავია: **LAVI** – გამანადგურებელი; **GUARDIUM** – უპილოტო საპატრულო ავტომობილი; **PROTECTOR USV** – უპილოტო კატერი; **MUSIC** – ინფრაწითელი სისტემა, პერსონალური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი საჰაერო ხომალდების აქტიური დაცვისთვის; **CAMERO** – რადარი, რომელიც კედლის მიღმა ხედავს.

ისრაელურმა კომპანიამ INDIGO-მ 1993 წელს მსოფლიოს წარუდგინა E-PRINT 1000 – პირველი ფერადი ციფრული პრინტერი. 1977 წელს ბენი ლანდაუ მიერ დაარსებული „ინდიგო“ 2002 წელს კორპორაციამ HP-მ შეიერთა 830 მლნ დოლარის საფასურად.

სტარტაპ-კომპანია STOREDOT-მა 2016 წელს დაიწყო მოწყობილობის სერიული წარმოება, რომელსაც შეუძლია სმარტფონ SAMSUNG GALAXY-ს დატენა 30 წამში. STOREDOT-ის დამტენი მოწყობილობის ღირებულება 60$-ია.

POWERMAT – უსადენო დამტენი მოწყობილობა აიფონისთვის ისრაელურმა კომპანიამ POWERMAT TECHNOLOGIES-მა შექმნა. სიახლე წარმოადგენს ფუტლიარ-დამტენს და დამატებით ბატარეას, რომელიც ტელეფონის ავტონომიური მუშაობის დროს 2-ჯერ ზრდის.

SILENTIUM-ი ხმაურის აქტიური ჩახშობის სფეროში მსოფლიო ლიდერია. მან შეიმუშავა ხმაურის ჩამხშობი ტექნოლოგია SILENCE-IN-A-CHIP. ეს არის ჩიპი, მიკროფონი და დინამიკი, რომელიც ხმაურის ტალღის საწინააღმდეგოდ მიმართულ ბგერით ტალღას წარმოქმნის და ასე ახშობს ხმაურს.

LUMIO-ს ვირტუალური კლავიატურა წარმოადგენს კლავიატურის ოპტიკურ პროექციას რომელიმე ზედაპირზე.

REGENCURE – „შესახვევი ქაღალდი“ მოტეხილობების სამკურნალოდ ძვლის მოტეხილობის შეხორცების დასაჩქარებლად.

ნანოტექნოლოგიის გამოყენებით ხაიფის მკვლევართა ჯგუფმა შექმნა ნანობოჯკო, რომლის ორი გარეგანი ზომა (მაგ., სიგანე და სისქე) არსებითად მცირეა მესამეზე (სიგრძეზე) და ნანოდიაპაზონში მდებარეობს. ის 1000-ჯერ უფრო წვრილია, ვიდრე ადამიანის თმა.

COPAXONE – გაფანტული სკლეროზის სამკურნალო პირველი მედიკამენტი ფარმაცევტულმა კომპანია TEVA-მ გამოუშვა.

MEDIGUS – სამედიცინო კომპანია MEDIGUS-ის მიერ შექმნილი მსოფლიოში ყველაზე პატარა ვიდეოკამერა (დიამეტრი 0,99 მმ) გასტროეზოფაგეალური რეფლუქსური დაავადების დიაგნოსტიკისათვის გამოიყენება.

REWALK – ეკზოჩონჩხი, რომელიც პარალიზებულმა ებრაელმა მეცნიერმა შექმნა, ქვედა კიდურების პარალიჩით დაავადებულ ადამიანებს დამოუკიდებლადლად სიარულის საშუალებას აძლევს.

კომპანია **PYTHAGORAS SOLAR**-მა შექმნა ფანჯარა ჩარჩოებით, რომლებშიც მზის ბატარეებია ჩამონტაჟებული და გაცილებით ენერგოეფექტიანია, ვიდრე სხვა მზის ბატარეები.

ალტერნატიული ენერგიის წყაროს პროექტის ფარგლებში კომპანია **LEVIATHAN ENERGY**-ს მიერ შექმნილი უმძაურო ენერგოეფექტიანი ქარის ტურბინა Wind Tulip ქალაქურ სკულპტურას ჰგავს. ეს ქარის ტურბინები უკვე დგას როგორც ისრაელის, ისე ევროპის და აშშ-ის ქალაქებში.

OLA MUNDO – მსოფლიოში პირველი აპლიკაციაა აუტისტების ურთიერთობისათვის. Ola Mundo (ესპ. „გამარჯობა, მსოფლიო“) მობილური აპლიკაციაა, რომელიც მყისიერად გადასცემს შეტყობინებას სიმბოლოების გამოყენებით იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც წერის და მეტყველების სერიოზული პრობლემები აქვთ.

პროცესორები INTEL 8088, 80386

1974 წელს ისრაელი გახდა პირველი ადგილი აშშ-ის ფარგლებს გარეთ, სადაც Intel-მა თავისი R&D-ცენტრი გახსნა. სწორედ Intel-ის ხაიფის განყოფილებაში შეიქმნა 1980 წელს პროცესორი 8088, რაც ახალი ტექნოლოგიური ერის დაწყებას ნიშნავდა. „ინტელის“ მომდევნო ტექნოლოგიური გარღვევა კვლავ ისრაელში მოხდა: იერუსალიმის ფილიალმა წარადგინა 80386 – მსოფლიოში პირველი 32-თანრიგიანი პროცესორი პლატფორმისთვის IBM PC. კორპორაცია Intel-ის ისრაელის დაწესებულებებში დღეს 6000-ზე მეტი ადამიანი მუშაობს.

ალგორითმი LZW

ლემპელ-ზივ უელჩის ალგორითმი უნივერსალური ალგორითმია მონაცემთა შეკუმშვისათვის დანაკარგების გარეშე, რომელიც „ტექნიონის“ მკვლევარებმა – ლემპელმა და ზივმა, აგრეთვე, ამერიკელმა მეცნიერმა ტერი უელჩმა შექმნეს და იმ დროისათვის საუკეთესო კოეფიციენტი ჰქონდა.

1987 წელს ალგორითმი გახდა GIF-ის გამოსახულებების ფორმატზე არსებული სტანდარტის ნაწილი; დღეისათვის ამ ალგორითმს შეიცავს PDF სტანდარტი.

FACE.COM

ამერიკულმა კომპანია „ფეისბუქმა“ 2013 წელს 100 მლნ დოლარად შეიძინა ისრაელური მაღალტექნოლოგიური კომპანია Face.com. ამ უკანასკნელმა შექმნა სახის ამომცნობი პროგრამა ინტერნეტში ატვირთულ ფოტოებზე.

დანართი Face.com ინტერნეტში ატვირთული მილიონობით ფოტოს სკანირებას ახდენს და პოულობს იმ სახეებს, რომლებიც ქსელში უკვე არის. თუ პროგრამის მიერ ნაპოვნ სახეზე არსებობს დარეგისტრირებული პროფაილი ფეისბუქში, ის ფოტოს პროფაილის ინფორმაციას ურთავს.

PREPEX

ისრაელურმა სტარტაპ-კომპანია PrePex-მა შექმნა მოწყობილობა, რომელიც ქირურგიული ჩარევის გარეშე აკეთებს წინადაცვეთას.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ამ მეთოდს რეკომენდაციას უწევს და ათასობით ადამიანმა უკვე გამოიყენა კიდეც.

PrePex-ით პროცედურა ანესთეზიის გარეშე, უსისხლოდ ტარდება და ექიმის მეთვალყურეობას არ საჭიროებს.

ICECURE – სიმსივნის გაყინვა

მეთოდს ისრაელური კომპანია IceCure 2013 წლიდან იყენებს სარძევე ჯირკვლის მცირე ზომის სიმსივნური ახალწარმონაქმნების სამკურნალოდ. მეთოდი ასეთია: პრობლემურ ქსოვილში ნერგავენ ნემსს თხევადი აზოტით, რომელიც თავიდან სიმსივნეს ყინავს -170 გრადუსამდე, ხოლო სხეულის ტემპერატურაზე დაბრუნების შემდეგ ის საფრთხეს უკვე აღარ წარმოადგენს.

15-წუთიანი პროცედურა უმტკივნეულოა და გამაყუჩებელიც არ სჭირდება.

ELMINDA

თავის ტვინის დაავადებების მკურნალობაში ეს კომპანია ნამდვილ რევოლუციას ახდენს. მეთოდი Brain Networks Activation ტექნოლოგიაზეა დაფუძნებული და ფსიქიატრისა და ნევროლოგის მეთვალყურეობის ქვეშ პაციენტის პერსონალური დიაგნოსტიკისა და თავის ტვინის დაავადების მიმდინარეობის კონტროლისთვისაა განკუთვნილი. BNA შეძლებს ხელი შეუწყოს ისეთი დაავადებების მკურნალობას, როგორიცაა: პარკინსონის დაავადება, შაკიკი, დეპრესია, ნარკომანია, ქრონიკული ტკივილის სინდრომი.

აღბათ მხოლოდ ისრაელში შეიძლებოდა აეროპორტში მოეწყოთ გამოფენა, რომელიც მეცნიერული, ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარების ისტორიას ასახავს. აქ იხილავთ „რკინის კამარას“ (IRON DOME), მედიკამენტ კოპაქსონს (COPAXONE), მეხსიერების ფლეშ-ბარათს, სანავიგაციო სერვისის აპლიკაციას (WAZE), წვეთოვან სარწყავ სისტემას, პომიდორ „ჩერის“ და ა. შ. „ქეთილი მგზავრობა! გისურვებთ, უსაფრთხოდ დაბრუნდეთ ჩვენს სპოსარ და უღამაზეს ქვეყანაში“, – ასე ეგებვიდობება ისრაელი ვიზიტორებს.

აღთქმული უდაბნო

თეა სხიერელი

ისრაელი დედამიწაზე ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ადამიანმა **უდაბნო დაამარცხა**; სადაც XXI საუკუნეში უფრო **მეტი ტყეა**, ვიდრე XX-ში იყო. თუ მსოფლიოსთვის **სოფლის მეურნეობა** ადამიანთა **გამოკვების** საშუალებაა, ისრაელში ის **იდეოლოგიური მოძრაობაა.**

სოფლის მეურნეობა მაღალნაყოფიერად მიიჩნევა, თუ ერთ ფერმერს შეუძლია 30-50 კაცი გამოკვებოს. ისრაელში ეს მაჩვენებელი 95-ია. დარგი ქვეყანას საჯირო პროდუქტების 92%-ს აწვდის, არადა, მიწების მხოლოდ მეხუთედი ნაწილია სოფლის მეურნეობისათვის ვარგისი.

1890 წელს ქალაქ ჯაფაში ბრიტანელი ფილანთროპის, მოშე მონტეფიორეს შემოწირულობით ხილის ბაღი გააშენეს სიონისტმა ებრაელებმა, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ერმა დაკარგულ სამშობლოში უნდა იცხოვროს და იშრომოს. იმხანად ისრაელი არ არსებობდა. პალესტინა ბრიტანეთის მანდატს ექვემდებარებოდა. გადმოსახლებული ებრაელები ყიდულობდნენ მიწებს, რომლებსაც ნელ-ნელა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად აქცევდნენ.

ჩრდილოეთის ჭაობებისა და სამხრეთის უდაბნოების „მორჯულებას“ უმაგალითო შრომა სჭირდებოდა. ადამიანები დაუღალავად ირჯებოდნენ – მიწაც „დანებდა“ და პირველი მოსავალი აჩუქა მათ, თუმცა ნიადაგს რაღაც რევოლუციისმაგვარი სჭირდებოდა. ეს ბოტანიკოს-აგრონომმა აარონ აარონსონმა, გრინიონის პრესტიჟული სასოფლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა გააკეთა. მან ზემო გალილეაში მარცვლეული იპოვა, რომელშიც ველური ხორბლის უძველესი ჯიში ამოიცნეს.

მდიდარი ამერიკელების დახმარებით ებრაელთა ეროვნულმა ფონდმა შეიძინა მიწები ატლიტში, სადაც აარონსონი ნიადაგების რუკისა და თესვის გეგმის შედგენას შეუდგა. უნაყოფო მიწებზე მოსავალი გამოჩნდა. 1948 წელს, როცა ისრაელის სახელმწიფო დაარსდა, ორგანიზაცია, რომელმაც ოდესღაც გროშებით წამოიწყო საქმიანობა, პალესტინაში უზარმაზარ მიწებს ფლობდა – ისრაელის მთელი ტერიტორიის 54%-ს. ეს არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო, არამედ პოლიტიკური ამოცანა იყო – დასახლებებმა, ტყეებმა, დამუშავებულმა მინდვრებმა განსაზღვრა ისრაელის სახელმწიფოს საზღვრები.

ისრაელი ლიდერია მზის ენერგეტიკის განვითარების დარგში და ერთ სულ მოსახლეზე მზის ენერგიის გამოყენების მაჩვენებლით. მეურნეობების 85%-ზე მეტში მზის ბატარეებია დამონტაჟებული.

მიწა, წყალი და მზე – ამათგან ისრაელს მხოლოდ მესამე ჰქონდა. XIX საუკუნიდან მოყოლებული, ქვეყანა ცდილობდა, შეექმნა ბუნებრივი პირობებისგან დამოუკიდებელი სოფლის მეურნეობა და მან ეს დიდი ოფლისღვრის ფასად შეძლო.

შეიქმნა პირველი კიბუცი (დგანია), პირველი უნივერსიტეტი (იერუსალიმში), პირველი ქალაქი (თელ-ავივი), პირველი ტყე (გერცლი). ფონდმა სავარგულები სახელმწიფოს გადასცა და მასშტაბური სამუშაოების განხორციელებას შეუდგა – კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის შექმნას; მზარდი მოსახლეობის უზრუნველყოფას წყლითა და ადგილობრივი სურსათით; ადამიანთა დაცვას უდაბნოს შემოტევებისაგან.

XIX საუკუნის ბოლოს პირველი „ალია“ – 25 ათასი კაცი – ქმნის პირველ სასოფლო-სამეურნეო დასახლებებს – მოშავებს, რომლებიც შემდგომში ქალაქებად იქცა. მეორე „ალიამ“ (1904-1914 წწ.) კი შექმნა კიბუცი, ისრაელის აგრარული პოლიტიკის ფენომენი – მეურნეობა, რომელშიც მიწაცა და სამუშაო იარაღებიც კოლექტიური საკუთრება იყო.
კიბუცებიდან სასწავლებლად გზავნიდნენ ახალგაზრდებს

მიღწევები

- ერთ ჰექტარზე ისრაელში 30-ჯერ მეტ მოსავალს (500 ტ) იღებენ, ვიდრე ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში.
- 1980 წელს ისრაელში 24 ახალი პროდუქტი მოიყვანეს, 1986-ში – 98, დღეს ეს რიცხვი 300-ს შეადგენს.
- ევროპული ბაზრის 60-70 პროცენტს სანელებლებით ისრაელი ამარაგებს, ექსპორტზე გადის 32 დასახელების მწვანილი (ამ სფეროში მას კონკურენტი არ ჰყავს), 200 დასახელების ყვავილი (მსოფლიოში მესამეა); პომიდვრის თესლი, რომლის 2 მ სიმაღლის ბუჩქი 400 მ სიგრძეზე იტოტება.

ისრაელის სოფლის მეურნეობის პროდუქტების 76 პროცენტი ევროკავშირში იყიდება, რაც მის მაღალხარისხიანობაზე მიუთითებს.

- ისრაელი მანგოსა და ავოკადოს მსხვილი ექსპორტიორია – აქ 40-მდე ჯიშის მანგო მოჰყავთ (ერთი დუნამი 3 ტონას ისხამს). ფორთოხალმა კი ასწლოვანი ლიდერობა ლაიმს, თურინჯსა და კუმკვატს (ჩინური ფორთოხალი) დაუთმო.
- სელექციონერებმა გამოიყვანეს უთესლო და შავი საზამთროები, თეფშის ფორმის ყაბაყი, წითელი ბანანი, სიცივეგამძლე ავოკადო, ადრეული ყურ-ძენი, საზამთროსა და გოგრის ხეები, დაკიდებული ნესვი და სხვა.
- პომიდორი „ჩერი“ ისრაელელი პროფესორების ქმნილებაა. მის თესლს მხოლოდ ისრაელი აწარმოებს.
- ისრაელელი მეცნიერების სელექცირებულია ევროპაში პოპულარული ნესვი „გალია“, არასეზონური ყურძენი და ხილი.
- მარწყვის „დაკიდებული ბაღები“ ავტომატიზებულ საამქროს ჰგავს (კლიმატის კონტროლითა და წვეთოვანი სარწყავი სისტემით).

სოფლის მეურნეობის ნაწარმი მშპ-ის 5%-სა და ექსპორტის 5,6%-ს შეადგენს. ამ სფეროში 50 ათასი ადამიანია დასაქმებული (უცხოელებისა და სეზონური მუშახელის ჩათვლით), რაც ქვეყნაში მომუშავეთა 2%-ია.

ევროპაში, ნერგავდნენ მოწინავე ტექნოლოგიებს; იგონებდნენ უნიკალურ იარაღებსა და მეთოდებს, რომლებსაც ახლა მთელ მსოფლიოში ყიდიან.

ისრაელში მოსავალს წელიწადში ორ-სამჯერ იღებენ. ქვეყანა ქორფა სანოვაგისა და სამეურნეო ტექნოლოგიების ექსპორტით მსოფლიო ლიდერია. დარგი მთლიანად კომპიუტერიზებულია.

შენდება სასათბურე კომპლექსები, ხოლო უზარმაზარი წყალსაცავი მშრალ რეგიონებს ამარაგებს. ძირითადი პროდუქტების ნუსხაშია: ყაბაყი, პომიდორი, კიტრი, წიწაკა, ყურძენი, მარწყვი, ბანანი, ავოკადო, კივი, მანგო, ციტრუსები, ატამი, მარცვლეული, ყვავილები, ბამბა.

1948 წლიდან 17-ჯერ გაიზარდა პომიდვრის მოსავალი, 8-ჯერ – კიტრის, 20-ჯერ – კარტოფილის, 60-ჯერ – მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ხორცის, 16-ჯერ – რძის პროდუქტების რაოდენობა.

ისრაელის სოფლის მეურნეობა განუმეორებელი ფენომენია. მან ტრადიციული მეთოდები უარყო, არასაკმარის ბუნებრივ პოტენციალს კი მეცნიერული ინოვაციები დაუპირისპირა.

- მცენარეების თავზე გადაჭიმული მზისგან დამცავი ბადის ფერი ნაყოფის მოცულობას ზრდის. სხვადასხვა კულტურა სხვადასხვა ფერის ბადეზე რეაგირებს. ეს აღმოჩენა უკვე ბევრ ქვეყანაში დაინერგა.
- მსოფლიო პრობლემა – მოსავლის გამძლეობის შენარჩუნება მავნე ქიმიკატების გარეშე – ისრაელში ინოვაციურად გადაწყვიტეს. ევროკავშირმა პროდუქტის საჰაერო ტრანსპორტირებაზე უარი განაცხადა, რადგან ეს ძვირადღირებული გზაა. ისრაელელმა მეცნიერებმა შექმნეს ისეთი ჯიშები, რომლებიც დიდხანს ინახება და პესტიციდების გარეშე ინარჩუნებს ტენიანობას.

„წყალს სიყვარულით ვუბრუნებთ ბუნებას“

ისრაელის აგრარული სასწაული – წვეთოვანი მორწყვა, წყლის გაწმენდა და მეორადი გამოყენება – ინტელექტუალებმა მოახდინეს. ქვეყანა ჩამდინარე წყლების სამ მეოთხედს ასუფთავებს და მიწების 40 პროცენტის სარწყავად ხმარობს. 1987 წელს აშენდა მსოფლიოში უდიდესი წყლის გამწმენდი ფაბრიკა „შაფრანი“.

აქედან წყალი ნეგევის უდაბნოს ველებამდე აღწევს. ბოლო 30 წლის განმავლობაში მოსავლის რაოდენობა 5-ჯერ გაიზარდა, წყლის მოხმარების მაჩვენებელი, ნიადაგქვეშა წვეთოვანი მორწყვის წყალობით, არ შეცვლილა. წყლის მოხმარების ეფექტიანობის მაჩვენებელი 85 პროცენტია. ინფრასტრუქტურის სპეციალისტები ამბობენ: „წყალს სიყვარულით ვუბრუნებთ ბუნებას“. ამჟამად ისრაელელი მეცნიერები სასმელი წყლის რაოდენობის გაზრდას ცდილობენ – სურთ, ნაკლები დანახარჯით მეტი მტკნარი წყალი მიიღონ.

თევზჭერა უდაბნოში – ამ ტექნოლოგიის გაცნობისას 5 კურის და 2 თევზის სახარეებისეული ამბავი გახსენდება. ისრაელური კომპანიის, GFA-ს მტკიცებით, თევზის მოშენება ყველგან შეიძლება, უდაბნოშიც კი. სისტემა არ არის დამოკიდებული ელექტროენერგიაზე და არც წყლის ხელმისაწვდომობაზე. სპეციალურად გამოყვანილი ბაქტერიები წყალს ასუფთავებენ, რის შედეგადაც რეზერვუარში წყლის შეცვლა საჭირო აღარ არის.



ძრობებს ცივ წყალს ავლებენ. „შხაპი“ პირუტყვის მადას აუმჯობესებს და წველადობას ზრდის. ერთი ძრობა ისრაელში 12,5 ტონას იწველის წელიწადში (გერმანიაში – 8,5-9 ტ, აშშ-ში – 10 ტ).

ფაქტები

- ისრაელელ ფერმერებს შეუძლიათ, შეცვალონ ხილ-ბოსტნეულის გემო – გააძლიერონ ან გაანეიტრალონ ჰიბრიდაციით, ბუნებრივი დამყნობით და არა გენმოდიფიცირებით.
- პროდუქტი ფოტოტექნიკისა და კომპიუტერის დახმარებით ხარისხდება. კონვეიერზე ნაყოფს 32 ფოტოს უღებენ, კომპიუტერი კი განსაზღვრავს ზომას, სიმწიფეს, დაზიანების ხარისხს და ა. შ.
- ნუშსა და ფინიკს სპეციალური კომბაინით კრეფენ.
- სახელმწიფო ფერმერებს შესყიდული პროდუქციის 40%-ის სუბსიდირებას უწევს – მორწყვის სისტემები, კრეფის ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა მათ საკმაოდ იაფი უჯდებათ.
- ყურძენს სპეციალური კომბაინით კრეფენ; დანაკარგი მხოლოდ 1-1,5 პროცენტია (ხელით კრეფისას – 10 პროცენტი).
- ქათმების კვერცხისმდებლობას ფერადი სათამაშოებით აუმჯობესებენ – საქათმეებში თოჯინა-ქათმებს კიდებენ, რომ ერთმანეთის მაგიერ ფრინველებმა სათამაშოს ჩაუნისკარტონ. ქათმები ნაკლებად იხოცებიან და ბევრ კვერცხსაც დებენ.

კარტოფილის ვარგისიანად შენახვის ვადას ღივების ეთერზეთებით დამუშავებით ზრდიან.

- მწერებთან ბრძოლა შერჩევით მეთოდებსა და კონტროლს ეფუძნება. ებრძვიან მხოლოდ მავნე მწერებსა და მიკროორგანიზმებს, სასარგებლოებს კი ამრავლებენ. ამისათვის ეთერზეთებს იყენებენ.

კომიდორ „ჩერის“ სახეობა TOMACCIO 1973 წელს გამოიყვანეს „ებრაულ უნივერსიტეტში“. მეცნიერების მიზანი იყო სწრაფი მწიფობის შენელება ცხელი კლიმატის პირობებში. მათ განსაზღვრეს გენეტიკური კომბინაცია, რომელიც დამწიფების შენელებას უწყობს ხელს.

ჭამე, დაღიე, იცეკვე

სალომე დადუნაშვილი

რესტორანი „მაჰნეუდა“ **(Machneyuda) იერუსალიმში** 7 წლის წინ გაიხსნა თითქმის ამავე სახელწოდების **Mahane Yehuda-ს ბაზრის მახლობლად.** მისი დამფუძნებლები, დღეს უკვე ვარსკვლავებად ქცეული 3 შეფი, მაშინ დიდ რისკზე მიდიოდნენ. ეს ადგილი, ეგზოტიკურობის მიუხედავად, მაღალი კლასის რესტორნისთვის ინვესტორებს შეუფერებლად მიაჩნდათ. მაჰანე იეჰუდას ბაზარი, თავისი მოვაჭრეებით, საღამოს დაცარიელებული დახლებითა და ძირს მიმოფანტული უვარგისი ბოსტნეულით, სანდოობას არ იწვევდა. მიუხედავად ამისა, **ასაფ გრანიტმა**, **იოსი ელადმა** და **ური ნავონმა** თავისი გაიტანეს და „მაჰნეუდა“ გახსნეს. რესტორნის **წარმატება ფენომენალური** იყო.

ადამიანები დღემდე, 7 წლის შემდეგაც, მზად არიან, გარეთ საათობით იდგნენ რიგში, რომ შემთხვევით გათავისუფლებული მაგიდა „ჩაიგდონ ხელში“. არც თუ დემოკრატიული ფასების მიუხედავად რესტორანი ლანჩზეც და ვახშამზეც მუდამ სავსეა.

აქ მოხვედრა თუ გსურთ, აუცილებლად 2 კვირით ადრე მაინც უნდა დაიჯიროთ თადარიგი, ან ქუჩაში მომლოდინეთა ბედი გაიზიაროთ.

ადამიანები აქ სპეციალურად თელ-ავივიდანაც ჩამოდიან სავახშმოდ. 7 წლის განმავლობაში რესტორანმა მოახერხა დამატებით 4 დაწესებულების გახსნა იერუსალიმში, ორი რესტორნის აწყობა ლონდონში და საკუთარი კეიტერინგული კომპანიის ჩამოყალიბება.

ამ შეფების გახსნილ ყველა რესტორანს თავისი ხელწერა აქვს, მაგრამ „მაჰნეუდა“ მაინც უმნიშვნელოვანესია უნიკალური გარემოთი, ცოცხალი და საინტერესო ატმოსფეროთი.

ლიმონის ის ტარტი, რომელიც იერუსალიმის ბაზრის კუთხეში ზამთრის იმ ცივ, მზიან დღეს გავსინჯე, არის საუკეთესო, რაც კი ოდესმე შეუქმნია ადამიანისა და ლიმონის ათასწლოვან ურთიერთობას.

ემი უაინჰაუსის მსგავსმა გოგონამ რესტორნის შესასვლელში კრიტიკულად აათვალიერ-ჩაათვალიერა ჩემი ვედრებით დამანჯული სახე. შეფთან ინტერვიუ სხვაა და მაგიდა „მაჰნეუდაში“ სამ კაცზე, დაჯავშნის გარეშე – წმიდათაწმიდა. არ ვიცი, რამ გაჯრა, ალბათ ჩემმა გრიპით გატანჯულმა ცხვირმა, მაგრამ მისი გამომეტყველება მოლბა და „ემიმ“ ყურადღებით დაიწყო კირკიტი თავის დავთრებში. საბოლოო ვერდიქტი ასეთი იყო: „ბართან ვერ დაგსვამთ, მაგიდა მხოლოდ 2 საათით, ახლა კი დაელოდეთ“.

„მაჰნეუდაში“ საოცარი სივიწროვეა. ეს გარკვეულწილად კარგიცაა: ასეთ რესტორნებში ყოველთვის საინტერესოა, რას ჭამს მეზობელი. ბართან დასხდომაზე არც კი გვიოცნებია, რადგან იქიდან შესანიშნავად ჩანს, როგორ ჯადოქრობს **იოსი ელადი** – რესტორნის შეფი, რომელთანაც მოგვიანებით ინტერვიუ მაქვს. სამაგიეროდ ძალიან ახლოს მოვხვდი შესანიშნავ ბოსტნეულთან, პაწია სტაფილოებთან და კარტოფილთან, რომელიც დილის ბაზრიდან აღმოჩნდა რესტორანში და რომლის შესწავლაც გადასარევი გასართობია, სანამ კერძს ელი.

რესტორანი გახსნისთანავე გაივსო და ახმაურდა. საყოველთაო აღტაცებას, რომელიც უგემრიელესი საკვების მოლოდინს მოაქვს, მომსახურე პერსონალის მხიარული გადაძახილი და ბაზრიდან შემოტანილი, ახალი პროდუქტებით სავსე ხის ყუთების სურნელი ამძაფრებს. ყუთები მოაქვთ და მოაქვთ... ასე მგონია, მალე საერთოდ არ დარჩება ადგილი ადამიანებისთვის, მაგრამ ეს არავის აწუხებს: ოფიციანტები ცეკვავენ, მზარეულები ცეკვავენ. სტუმრები კმაყოფილი სახეებით ემზადებიან იმისთვის, რომ მალე თავადაც აცეკვდებიან.

მეშდეგი 2 საათი განუმეორებელია ჩემი საგემოვნებო რეცეპტორებისთვის, რომლებიც აცეკვდნენ ყველა ოფიციანტთან, მზარეულთან, სტუმართან ერთად. საკვებს ისეთი გემო აქვს, რომ თავგრუ გეხვევა. ცდილობ, გემო გამოიცნო, გაჭყვე სალღაც თითქოს უკვე ნაგრძნობ სურნელს, მაგრამ სიამოვნება იმდენად დიდია, რომ ტვინი უარს ამბობს ღოგიკურად აზროვნებაზე.

საოცარი სალათა ტაჰინით და იხვის მკერდით, განუმეორებელი თევზი, „მაჰნეუდას“ სახელგანთქმული პოლენტა ტრიუფელით ამ გემოთა ზეიმის კულმინაციაა. და მაშინ, როცა გგონია, რომ უკვე ყველაფერი გასინჯე, მოაქვთ დესერტის თეფში. რა ვთქვა?! ლიმონის ის ტარტი, რომელიც იერუსალიმის ბაზრის კუთხეში ზამთრის იმ ცივ, მზიან დღეს გავსინჯე, არის საუკეთესო, რაც კი ოდესმე შეუქმნია ადამიანისა და ლიმონის ათასწლოვან ურთიერთობას. აღარაფერს ვამბობ ჩიზქეიქზე, რომლის დატოვებული, ბოლო ლუკმის დარდიც სიცოცხლის ბოლომდე გამაწვალებს.
სრულიად გასაგებია, რატომ არიან მზად ადამიანები, „მაჰნეუდაში“ ვახშმის გამო იდგნენ რიგში, გაატარონ ერთი საათი მანქანაში ან 5 საათი თვითმფრინავში. ეს ნამდვილი სასწაულია, რომელსაც ყოველდღე და თითქოს ადვილად, ცეკვა-სიმღერით ქმნიან მხიარული ადამიანები.

იოსი ელადი დიდი, კეთილი და მოწყენილი საავდრო ღრუბელივით ჩამოწვა ჩემს მაგიდასთან. ჩემი კომპლიმენტებიც ჩვეული ღიმილით მოისმინა, თუმცა სახეზე კმაყოფილებაც დაეტყო.

რატომ გადაწყვიტეთ რესტორნის აქ გახსნა, მაშინ ხომ ეს ბაზარი ასეთი პოპულარული ადგილი არ იყო იერუსალიმში?

მართალია. გვინდოდა რამე ნამდვილის, პროდუქტებთან ახლოს მყოფი რესტორნის გახსნა. გვინდოდა, ყოველ დილას იმ პროდუქტებით მოგვემზადებინა კერძები, რომლებსაც ბაზარში ვიპოვიდით. ძალიან გაგვიჭირდა ამ იდეის გატანა. ეს ახლაა ამ ბაზარში ყოველი მეორე დახლის მერე რესტორანი, სადაც ხალხი დილამდე ცეკვავს; მაშინ არაფერი იყო, გარდა ჩვეულებრივი მოვაჭრეებისა. ძალიან ბევრი ვიომეთ იმისთვის, რომ ჩვენი იდეა გაგვეტანა და ამან გაამართლა კიდეც. ერთმანეთი გავზარდეთ: ბაზარმა – ჩვენ, ჩვენ – ბაზარი.

საკვები, რომელსაც თქვენ ამზადებთ... რა დავარქვათ მას? საიდან იღებს სათავეს თქვენი ინსპირაცია?

ეს ყველა იმ ქვეყნის კრებითი სამზარეულოა, საიდანაც აქ, ისრაელში ჩამოვიდა ხალხი. დედაჩემი ებრაელია, მამა – ქურთი, ბავშვობიდან ებრაულ, ქურთულ, ლიბანურ, არაბულ, თურქულ საკვებს ვჭამ. ეს კერძები გვაერთიანებს. ჰუმუსის

ისრაელის „ახალი სამზარეულო“

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ისრაელელმა შეფ-მზარეულებმა მოახერხეს დამოუკიდებელი ფენომენის შექმნა, რომელსაც „ისრაელის ახალი სამზარეულო“ ჰქვია.

ახალი სამზრეულო არც ერთი რელიგიური მრწამსის შეზღუდვებს არ ითვალისწინებს, ამიტომ აქ ნებისმიერი პროდუქტისგან მომზადებულ საკვებს იგემებთ. **მენიუ არ არის ქოშერული, თუმცა ყველაზე პოპულარული მაინც ბოსტნეულისგან მომზადებული კერძებია; ეს საქმე ხელოვნების დონემდეა აყვანილი და არ უნდა გაგიკვირდეთ, თუ ჩვეულებრივი, ტრივიალური ყვავილოვანი კომბოსტო უცებ ნამდვილ კულინარიულ აღმოჩენად გექცევათ.**

„ისრაელის ახალი სამზარეულო“ ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც კულტურები, რომლებმაც ამ მიწაზე მოიყარა თავი. მსოფლიოს ყველა კუთხიდან ისრაელში ჩამოსულმა ადამიანებმა თან ჩამოიტანეს თავიანთი ქვეყნების საკვების ტრადიციებიც და ახლო აღმოსავლეთისთვის დამახასიათებელ კულინარიულ მრავალფეროვნებას შეურიეს.



რეგიონისთვის ესოდენ ჩვეული კერძების ნაკრები – მეზე, რომელსაც ნებისმიერ ტრადიციულ რესტორანში შემოგთავაზებენ, ასეთივე ჭრელი და საინტერესოა. მეზეს გასინჯვა აუცილებლად ღირს, რადგან შემდეგ შეფების მიერ ინტერპრეტირებული ვერსიების დაფასება შეძლოთ. ტრადიციულად, სუფრასთან ერთდროულად უამრავი პატარა კერძი მოაქვთ, ფალაფელსა და პიტასთან ერთად. ყველა ინგრედიენტი, იქნება ეს იოგურთის და კიტრის სალათა, პომიდვრით მომზადებული ბადრიჯანი, შებოლილი ბადრიჯნის კრემოვანი პასტა თუ სახელგანთქმული ჰუმუსი, იდეალურად ერწყმის და შესანიშნავ კომბინაციას წარმოადგენს პიტასა და ფალაფელთან ერთად.

დიპლომატიაზე არ გსმენიათ? ხალხებს, რომლებიც აქ ცხოვრობენ, უფრო მეტი აქვთ საერთო, ვიდრე გასაყოფი. ჩვენ ყველაფერს ვაერთიანებთ და ახალს ვქმნით. აქ ყოველღამე ხალხი 2 საათამდე ცეკვავს არა მხოლოდ იმიტომ, რომ კარგად ჭამეს. ჩვენ ატმოსფეროს ვქმნით, რომელიც აერთიანებს ადამიანებს.

მართლაც ყველა ძალიან კმაყოფილი ჩანს...

კი, ასეა. აქ რობერტ დე ნირო, მადონა, „U2“ და ვინ არ ყოფილა! ყველა ერთნაირად სივიწროვეში ზის, გვერდზე ყველას ბაზრიდან მოტანილი პროდუქტი უდევს და ბოლოს ყველა ერთად ცეკვავს. ესაა ჩვენი კონცეფცია.

იერუსალიმში უფრო მეტი რელიგიური შეზღუდვაა, ვიდრე თელ-ავივში. თქვენი რესტორანი არ ითვალისწინებს რელიგიურ წესებს?

ჰო, ასეა. ჩვენ გვინდა, თავისუფლები ვიყოთ ყველა რელიგიისგან. აქ ყველა რჯულის ადამიანი ერთად მუშაობს. გარდა ამისა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ შეფები, მზარეულები ვართ და ახალი კერძების გამოგონება ჩვენი ცხოვრებაა. ვერაფრით ვიტყვით უარს რაღაც პროდუქტებზე, ეს ჩვენს არეალს ავიწროებს.

ყველას აქვს არჩევანის თავისუფლება. ჩვენ ასეთი ვერსია ავირჩიეთ – ყველა კერძი, ყველა სამზარეულო გვაინტერესებს. მაგალითად, აქვე, მეზობლად არის ძალიან პოპულარული ხაჭაპური. ეს ხომ თქვენი ნაციონალური კერძია. ძალიან მოგწონს. სხვა კერძებიც გამისინჯავს და არ გამოვრიცხავ, რომ ერთ დღესაც ქართული გემოთი ინსპირირებული მოვიგონო რამე. მსოფლიო დიდი და მრავალფეროვანია.

შეფ-მზარეულების ახალი თაობა ისრაელიდან საკვებისადმი სრულიად ახალ მიდგომას სთავაზობს მსოფლიოს და, როგორც ჩანს, მსოფლიო კმაყოფილია. ეს არის ახალი პროდუქტებისგან მომზადებული, თითქოსდა უმარტივესი, მაგრამ, ამავე დროს, საოცრად დახვეწილი კერძები, სადაც ბოსტნეულს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. უფრო და უფრო მეტი ტურისტი ჩადის ისრაელში არა მხოლოდ ისტორიული ადგილების, არამედ ახალი და საყვეყნოდ ცნობილი რესტორნების მოსანახულებლად.

იალ შანი

ცნობილი შეფი იალ შანი ისრაელში ახალი სამზარეულოს პიონერად შეიძლება მივიჩნიოთ. მას თელ-ავივში რამდენიმე რესტორანი აქვს, სადაც მოხვედრისთვის წინასწარ უნდა დაიჯიროთ თადარიგი. რესტორნები – „ჰა სალონი“, „ცვონ აბრაქსას“ და უფრო დემოკრატიული „მიძნონი“ ყოველთვის სავსეა.

იალ შანის სტილი თავისუფალი და შემოქმედებითია. მის ყველა რესტორანში ღია სამზარეულოა, სადაც საოცრებები ხდება. შეფი თავად არ თაკილობს ბარზე ჩამოწყობილი ბოსტნეულის დაჭრას და თან კლიენტებსაც ესაუბრება. მისი საფირმო ნიშანია ყვავილოვანი კომბოსტოს მთლიანად გამომცხვარი და ნაკვერჩხლებზე შებრაწული თავი, რომელსაც ყავისფერ შესაფუთ ქაღალდზე მოგართმევენ. იალ შანის რესტორნებში, საერთოდ, ძალიან უყვართ კერძების, ვითომ სახელდახელოდ, ქაღალდზე მორთმევა – თითქოს ქუჩის მოვაჭრემ თავისი დახლიდან მოგაწოდათ ახლად მომზადებული კერძი; თუმცა ის ხარისხი, რომელსაც ამ რესტორნებში შემოგთავაზებენ, ნამდვილად ექსკლუზიურია.

ისრაელში კარგად იციან სიცოცხლის გემო და აფასებენ მას. ახალი რესტორნები და ბარები თავიანთი ღიღი ატმოსფეროთი ამ თავისუფალი, ახალი სიცოცხლის შესანიშნავი სიმბოლოა. ამიტომ, რათქმაღმა, რომ ისრაელში რესტორანში წასვლა ქვეყვითი საამშაოა ამ ქვეყნის უკეთ შესაცნობად.

იოთამ ოტოლენგი

ერთ-ერთი პირველი, ვინც ისრაელის ახალ სამზარეულოს გაუთქვა სახელი, იოთამ ოტოლენგია. იერუსალიმში, პედაგოგების ოჯახში დაბადებულმა ოტოლენგიმ ლიტერატურის შესწავლას ცხოვრების დიდი ნაწილი დაუთმო და მხოლოდ მას შემდეგ დაინტერესდა კულინარიით, რაც ჯერ ამსტერდამში და შემდეგ ლონდონში გადავიდა სასწავლებლად.

ლონდონის პრესტიჟულ კულინარიულ სკოლაში – Le Cordon Bleu-ში გატარებული 6 თვის შემდეგ მან სხვადასხვა რესტორანში დაიწყო მუშაობა და მალე თავის პარტნიორებს, სამი ტამისა და ნოამ ბარს შეხვდა. მეგობრებმა ლონდონში რამდენიმე „გურმე“ მაღაზია გახსნეს, რომლებიც საოცარი პოპულარობით სარგებლობდა.

დღეს ოტოლენგი რამდენიმე წიგნის ავტორი და ტელეგადაცემებისწამყვანია, მისრესტორანშიმოხვედრაკიმხოლოდ კარგა ხნით ადრე წინასწარ ჩაწერითაა შესაძლებელი. იოთამ ოტოლენგის და ბოსტნეულს დიდი სიყვარულის ისტორია აკავშირებთ; მისი კერძები მომხიბვლელია, საინტერესო, თამამი და ახლო აღმოსავლეთის ყველა სურნელითაა გაჯერებული.

მიუხედავად ვეგეტარიანელთა გურუად აღიარებისა, მას უყვარს ხორცთან და თევზთან მუშაობა, რის გამოც ხანდახან მათ გულისწყრომას იწვევს და თავის მართლებაც უწევს. დღეს მისი რესტორანი „ნოპი“ ლონდონში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილია.

ისრაელში სამზარეულო ისეთივე მრავალფეროვანია, როგორიც მისი მოსახლეობა. ერთიანი ფენომენი – „ისრაელური სამზარეულო“ სულ რაღაც 60 წლის წინ შეიქმნა და აქ არსებული კულინარიული ტრადიციებისა და პროდუქტის საფუძველზე ჯერ კიდევ ყალიბდება. ისრაელელების დიდი ნაწილი დასავლეთ ევროპის, ჩრდილო აფრიკის, ახლო აღმოსავლეთისა და დსთ-ის ქვეყნებიდან გადმოსახლდა; მათ თან მოიყოლეს საუკუნეების განმავლობაში შემონახული ძველი ებრაული სამზარეულოს ტრადიციები.

ისრაელი ასევე ხმელთაშუა ზღვის ქვეყანა და დასავლური ტიპის სახელმწიფოა, რომელიც რეაგირებს ყველაფერზე, რაც „დიდ სამყაროში“ ხდება და ცდილობს, კულინარიული მოდის უახლესი ტენდენციები გაითავისოს. ხმელთაშუა ზღვის სამზარეულოს გავლენით, ისრაელურ კერძებში მრავლადაა ბოსტნეული და ხილი, ზეითუნის ზეთი, თევზეული, მწვანილეული და პარკოსნები. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ნაწილი არაბია. მათი გავლენა მრავალ კერძში იგრძნობა (მაგ., ჰუმუსი, ტაჰინი, ფალაფელი).

ერთმანეთს შერწყმულია ე. წ. აშკენაზური (აღმოსავლეთ ევროპული) და სეფარდული ტრადიციული სამზარეულო. სეფარდმა ისრაელელებმა, რომლებიც ასწლეულების განმავლობაში ძირითადად ესპანეთში, იტალიასა და ჩრდილო აფრიკაში სახლობდნენ, ადგილობრივ სამზარეულოში დაამკვიდრეს ეგზოტიკური სანელებლებისა და მწვანილეულის კულტურა, ისეთი პოპულარული კერძები, როგორიცაა: კუსკუსი, მაფრუმი, შაკშუკა, ხრაიმე და ა. შ.; მიზრახებმა (ახლო აღმოსავლეთიდან გადმოსახლებულმა ებრაელებმა) დაამკვიდრეს არაბული, სპარსული, იემენური და ოსმალური სამზარეულოს ტენდენციები. აშკენაზებმა თან ჩამოიტანეს ბევრი ტრადიციული რეცეპტი (ბეიგლი, რეგელ კრუშა, მაცებრაი და ა. შ.).

TAHINI

ტაჰინი მოხალული სეზამის მარცვლებისგან დამზადებული სოუსია. ის არაბული სამყაროს კერძია, თუმცა პირველად 4000 წლის წინანდელ დოკუმენტებში იხსენიება. დღეს ტაჰინის სოუსი თითქმის ყველა ქვეყნის სამზარეულოში მოიხმარება (ჩინურშიც კი); ის ბევრი ისრაელური კერძის შემადგენელი ნაწილია.

FALAFEL

ფალაფელი სხვადასხვა სახეობის დაკეპილი პარკოსნების ნარევისგან დამზადებული შემწვარი ბურთულებია. ამ კერძს ეგვიპტური „ფესვები“ აქვს.

ფალაფელი, ხრაშუნა ზედაპირისა და გამორჩეული გემოს წყალობით, აღმოსავლურ სამზარეულოში დამკვიდრდა. მას პიტის პურში გახვეულს, სხვადასხვა მუავეულობასა და სალათის ფოთლებთან ერთად, ტაჰინის სოუსითა თუ ჰუმუსით შეკმაზულს არა მხოლოდ მარხვის პერიოდში მიირთმევენ, არამედ ზოგჯერ დღეში რამდენჯერმე, ყველა სეზონის განმავლობაში.

HUMUS

ჰუმუსი, ბარდის პასტა, პირველად XIII საუკუნის ქაიროს რეცეპტებში იხსენიება. ბარდის მარცვლებს ხარშავენ, პიურესავით სრესენ და დაუმუშავებელ ტაჰინს უმატებენ. ჰუმუსს ზეითუნის ზეთით, ოხრახუშითა და სუნელებით მიირთმევენ. ისრაელში მისი პოპულარობა იმან განაპირობა, რომ მკაცრი რელიგიური კანონი უფლებას იძლევა, ჰუმუსი ხორცსა და რძის პროდუქტებთან ერთად მიირთვან. ტრადიციულად, მას შემოგთავაზებენ როგორც ცალკე, აპეტაიზერად, რაიმე ბოსტნეულთან ერთად, ისე პიტის პურში გახვეულს, ან სხვა ნებისმიერი კერძის საკმაზის სახით. ჰუმუსი სასურსათო მაღაზიებში ქილებითაც იყიდება, თუმცა ახალდამზადებული გაცილებით გემრიელია.

KIBBEH

კიბეც ოსმალური სამზარეულოდან გავრცელდა. დაკეპილი ხორცისა და ბულგურის (ხორბლის ბურღულის სახეობა) მოგრძო ბურთულებს წვნიანსა და ბოსტნეულთან ერთად მიირთმევენ.

MALAWACH

მალავაჰი და შუგი იემენელი ებრაელი ემიგრანტების შემოტანილია ისრაელურ კულინარიაში.

მალავაჰი თხელი, შემწვარი ფენოვანი ცომია, რომელსაც მიირთმევენ დაჭრილი პომიდვრით, გახეხილი ყველითა და აჯიკის მსგავსი საწებლით; შუგი მწვანე ან წითელი „ხალაპენიოს“ წიწაკის დანამატით მზადდება და საოცრად არომატულია.

SHAKSHOUKA

შაკშუკა პოპულარული საუზმეა (ტაფა-მწვარი პომიდვრით, მწვანე წიწაკითა და ხახვით), რომლის თითო ულუფას ინდივიდუალურად, თუჯის ტაფებით მოგართმევენ. ეს კერძი ისრაელში ჩრდილო აფრიკის ქვეყნების ემიგრანტებმა ჩამოიტანეს. შეგიძლიათ დილა ამ სრულყოფილი, საკმაოდ მსუყე კერძით დაიწყოთ.

GEFILTE FISH

გეფილტე თევზისგან მომზადებული კერძია, რომელიც აღმოსავლეთ ევროპიდან აშკენაზმა ებრაელებმა შემოიტანეს ისრაელის სამზარეულოში.

ეს არის ლეგენდარული ცივი აპეტაიზერი, რომელიც სხვადასხვა თეთრი თევზის დაკეპილი ფილესგან მზადდება და პირშუშხასთან ერთად ძალიან გემრიელია.

BABA GHANOUSH

ბაბაგანუში ოსმალური სამზარეულოს გავლენით დამკვიდრებული კერძია. ამ აპეტაიზერის მთავარი ინგრედიენტი ცეცხლზე შებოლილი ბადრიჯანია, რომელსაც ლიმონის წვენით ან მაიონეზით კმაზავენ.

SABICH

საბიჰ სენდვიჩი, ისრაელური „ქუჩის სამზარეულოს“ ერთ-ერთი ვარსკვლავი, ერაყელმა ებრაელებმა ჩამოიტანეს. თავდაპირველად ის შაბათი დილის საუზმეს წარმოადგენდა. რადგან ამ დღეს კერძების მზადებას რელიგია კრძალავს, საბიჩს საუზმეზე მიირთმევდნენ. პიტის პურში (რომელიც წინასწარ იყო გაჭრილი) თავსდებოდა უკვე მომზადებული ინგრედიენტები: შემწვარი ბადრიჯანი, მოხარშული კარტოფილი, მოხარშული კვერცხი, ტაჰინის სოუსი, ჰუმუსი და ქორფა მწვანილი.

1960 წლიდან მოყოლებული, ეს სენდვიჩი ისრაელის სამზარეულოს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კერძად მიიჩნევა და, შესაბამისად, ცნობილ სასაუზმეებთან ადგილობრივი მოსახლეობისა და მოგზაურების უზარმაზარი რიგი დგას.

CHOLENT

ჩოლენტი ანუ ჰამინი ტრადიციული ებრაული კერძია. პარასკევს, შუაღამემდე, ხორცსა და საჭირო ინგრედიენტებს დაბალ ცეცხლზე (ზოგჯერ 12 საათზე მეტხანს) შუშავენ, რათა შაბათს ლანჩზე მიირთვან. ამ კერძის ისტორია საუკუნეებს ითვლის და მისი რეცეპტი ექვემდებარება წესს, რომლის მიხედვითაც, ებრაულ თემში შაბათობით საჭმლის მომზადება აკრძალულია. უამრავ ტრადიციულ ისრაელურ ოჯახში ჰამინი შაბათის მთავარი კერძია და მას რელიგიური რიტუალების შემდეგ მიირთმევენ, თუმცა ჩოლენტს სეკულარული ისრაელური ოჯახებიც ამზადებენ. ჰამინი საზეიმო კერძად შეიძლება მივიჩნიოთ, მას რელიგიური დღესასწაულების შემდეგ გამართული წვეულებების თუ საქორწილო სუფრაზე აუცილებლად იხილავთ.

SHAWARMA

ისრაელური შაურმა ცხვრის ან ინდაურის ხორცისაგან მზადდება. ვერტიკალურად დამაგრებულ მბრუნავ შამფურზე ხორცის დიდი ნაჭერი ნელა იწვება, ყოველი ულუფისათვის მას გარე ფენას აჭრიან და პიტაში ან ლაფეში გახვეულს მოგართმევენ ბოსტნეულის სალათასა და ტაჰინთან ერთად, ჰუმუსით ან ჩიფსებით. მას მწნილეულთან ერთად მიირთმევენ.

ქოშერული სამზარეული

ქოშერული სამზარეულო გულისხმობს რძისა და ხორცის პროდუქტების განცალკევებით მიღებას, კვებათა შორის 2 საათზე მეტი უნდა იყოს გასული. ასევე იკრძალება ღორის ხორცი, ვინაიდან ქოშერულად მხოლოდ ორჩლიქოსანი მცოხნელი ცხოველებია მიჩნეული. ნებადართულია ფრინველის ხორცი; ასევე დაშვებულია მხოლოდ იმ თევზის ჭამა, რომელსაც ფხა აქვს და, შესაბამისად, ეს ნებართვა ზღვის პროდუქტებზე არ ვრცელდება.

მაჰმადიანური რელიგიის მიმდევართა კვებითი აკრძალვები იუდეველთა აკრძალვებს საკმაოდ ჰგავს, თუმცა ყველაფერი, რაც ჰარამია (რელიგიურად ნებადართულია მუსლიმთათვის), არ არის ქოშერი; სამაგიეროდ, რაც ქოშერია, ყველაფერი ჰარამია. ამ თემაზე არაერთ ხუმრობასაც მოისმენთ ისრაელში. მსგავს შეზღუდვებს და შესაბამის წარწერებს რესტორნებზე უფრო მეტად იერუსალიმში შეხვდებით, თელ-ავივის პოპულარულ ახალ რესტორნებში კი ამგვარ მითითებებს ვერ აღმოაჩენთ.

ისრაელის ტრადიციული ნამცხვრეულ-ფუნთუშეულის შესწავლას ისრაელის ისტორიასა და ბიბლიურ თქმულებებში გადავყავართ. ამ ქვეყანაში ყოველი ნამცხვარი არა მხოლოდ ტკბილი ჩაროზია, არამედ ამა თუ იმ რელიგიური დღესასწაულის სიმბოლოც, რომელიც ღრმა შინაარსის მატარებელია.

MATZA

მაცა უმარილოდ, ხორბლის ფქვილისა და წყლისაგან მომზადებული თხელი, ხმელი ფირფიტებია. მაცისგან დამზადებული ფქვილი – მაცამელი, ებრაული სარიტუალო პურობის განუყოფელი ნაწილია. მას ებრაელები მიირთმევენ პასექის დღესასწაულზე, ვინაიდან ამ დროს აკრძალულია საფუარზე დამზადებული პროდუქტების მიღება.

მაცის ფირფიტებს დანამავენ მდუღარე წყლით, მოასხამენ კვერცხს, გამოაცხობენ და ასე მომზადებულ მაცას პურის ნაცვლად მიირთმევენ. მაცამელს სხვადასხვანაირად იყენებენ – მას ბრინჯის ნაცვლად ამატებენ ხორცისა და ბოსტნეულის კერძებში, აცხობენ ნამცხვრებს და ღვეზელებს.

CHAROSET

პასექის დროს ყველა ებრაულ ოჯახში აუცილებლად მზადდება ხაროზეთი. ის ვაშლიან-ნიგვზიანი მასაა თაფლით და სხვადასხვა ჩირით, რომელსაც მაცაზე უსვამენ და ისე ჭამენ. ხაროზეთის მომზადების რამდენიმე რეცეპტი არსებობს, ვაშლს ენაცვლება სხვადასხვა ჩირი, ნიგოზს – თხილი და ნუში.

CHALLAH

ხალა – ეს ტრადიციული დაწნული უგემრიელესი პურია, გარედან დაბრაწული, შიგნიდან კი – ტკბილი და ჰაეროვანი.

ტრადიციულად, მიირთმევენ შაბათის დადგომის სარიტუალო ან სხვა სადღესასწაულო სუფრებზე. ის რძის პროდუქტების გარეშე მზადდება.

ოდესღაც ხალას უწოდებდნენ ცომის პატარა ნაჭერს, რომელიც შესაწირავად ტაძარში მიჰქონდათ. მას აცხობდნენ და მიირთმევდნენ მღვდლები – ამის უფლება მხოლოდ მათ ჰქონდათ.

PITA

პიტის პური ორფენიანი, ბრტყელი ანუ „ჯიბისებრი“ ფუნთუშეული ნაწარმია, რომელიც შუაღმოსავლური და ხმელთაშუა ზღვის ტრადიციულ სამზარეულოებში გვხვდება. მას ზოგჯერ დამატებითი ინგრედიენტების გარეშე აცხობენ, ხან კი სეზამის მარცვლებით ან რომაული ქინძის თესლით ფარავენ. პიტას კულინარიაში სხვადასხვა ფუნქცია აქვს – მასში ფალაფელს, ნაირ-ნაირ სალათასა თუ ხორცს დებენ.

პიტის პური ძალიან მოსახერხებელია წასახემსებლად ან სწრაფი კვებისთვის. პიტის პურის ნატეხებით მიირთმევენ სხვადასხვა პროდუქტისგან მომზადებულ, საწებლისებურ ნაზავებს, რომელთა დაგემოვნება ძალიან სასიამოვნოა. მხედველობიდან არ გამოგრჩეთ პიტის ახლო ნათესავი ლაფა, რომელიც უფრო ფართო და რბილი პურია და მასში ფალაფელს ან დაქუცმაცებულ ხორცს ახვევენ.

BOUREKAS

ეს უგემრიელესი ფანტელისებრი ღვეზელი ფენოვანი ცომისგან მზადდება. მისი შიგთავსი მრავალფეროვანია და იმის მიხედვით იცვლება, თუ რომელი ქვეყნიდან იმიგრირებული მზარეულის ნახელავია.
ისრაელში ბევრნაირი ფორმისა და ზომის ბურეკასი შეგიძლიათ მიირთვათ – ისინი უხვადაა გამოტენილი ყველით, კარტოფილის პიურეთი, სოკოთი თუ ისპანახით. ბურეკასის ფორმის მიხედვით მისი შიგთავსის გამოცნობაც შეიძლება: ოთხკუთხა – კარტოფილიანია, ხოლო მრგვალში – ყველს აღმოაჩენთ.

LEKACH

თაფლის კექსი ლეკა ისრაელური ახალი წლის (როშ ჰაშანა) უმთავრესი სიმბოლოა. მიიჩნევა, რომ თუ ეს ნამცხვარი საზეიმო სუფრაზე ძალიან ბევრია, მომავალი წელი საუკეთესოდ ჩაივლის. თაფლის გარდა კექსს სურნელოვან სანელებლებსა და ჩაის ან ყავას უმატებენ შთამბეჭდავი მუქი ფერის მისაღებად.

BABKA

ბაბკას ევროპის ბევრ ქვეყანაში ამზადებენ, თუმცა ისრაელური ვარიანტი განსაკუთრებულია – ნამცხვარს წნული ფენოვანის ფორმა აქვს და მასში აუცილებლად არის შოკოლადისა და დარიჩინის გულთავსი. ბაბკას ზემოდან აყრიან საკონდიტრო ფხვნილს ან შოკოლადის წვეთებს. ისრაელში მას ხშირად უწოდებენ Shmarim Cake-ს, რაც „საფუვრის ნამცხვარს“ ნიშნავს.

SUFGANIYOT

სუფგანიას ხანუქის დღესასწაულზე მიირთმევენ. მის მოსამზადებლად საჭიროა ბევრი მცენარეული ზეთი, რომელიც ხანუქის სიმბოლოდ მიიჩნევა და ამ ზეიმისადმი მიძღვნილი კერძების უმთავრესი ინგრედიენტია. გადმოცემის თანახმად, ხანუქის სასწაულის დროს ტაძრის სასანთლეში დარჩენილი ცოტა-ოდენი ზეითუნის ზეთი 8 დღე იწვოდა, რომ ტაძარი გაენათებინა.

TU BI'SHVAT CAKE

უგემრიელესი ტკბილი ნამცხვარი, რომელიც ისრაელის კიდევ ერთი დღესასწაულისთვის მზადდება, არის „თუ ბი'შვათი“ („ხეების ახალი წელი“). ბიბლია მოგვითხრობს, რომ ხეებმა, რომლებმაც დაინახეს, როგორ აჩუქა ღმერთმა ადამიანებს ახალი წელიწადი, სთხოვეს უფალს, მათთვისაც დაეწესებინა ასეთი დღესასწაული. თანამედროვე ისრაელში „თუ ბი'შვათს“ აღნიშნავენ, როგორც ეკოლოგიური ცნობიერების დღეს და ბევრ ხეს რგავენ; მერე კი ცოცხალ ხილსა და ჩირს მიირთმევენ. ასევე ჩირისაგან აცხობენ ამ ტრადიციულ კექსს.

KUGEL YERUSHALMI

იერუსალიმური კუგელი ტრადიციული ატრიის პუდინგის ისრაელური ვერსიაა, რომელიც კარამელიზებული შაქრითა და შავი წიწაკით იკმაზება. მას ძველ იშუვში დასახლებული აშკენაზები ამზადებდნენ. კუგელი, როგორც წესი, ძალიან დაბალ ცეცხლზე ცხვება მთელი ღამის განმავლობაში და მას შაბათ დილით, სინაგოგაში სტუმრობის შემდეგ მიირთმევენ.

KANAFEH

მსოფლიოს ყველაზე საოცარ და გემრიელ დესერტებს შორის კანაფე ღირსეულ ადგილს იკავებს. ამ ნუგბარს ყველისა და ცომისგან ამზადებენ და ტკბილ სიროფში ავლებენ; ზემოდან ვარდის წყლის ან ფორთოხლის ყვავილისექსტრაქტისრამდენიმეწვეთს აფრქვევენ და დაქუცმაცებული ფსტით ალამაზებენ. კანაფეს ხრაშუნა ზედაპირი აქვს, რაც მას კიდევ უფრო სასურველ სასუსნავად აქცევს. ამ დესერტს, ძირითადად, ქვეყანაში მცხოვრები არაბები ამზადებენ და ამიტომ კანაფე არაბული წარმოშობის ჩაროზად მიიჩნევა.

RUGELACH

რუგელა ევროპელი აშკენაზების მიერ ჩამოტანილი ჩაროზია და იმ მცირერიცხოვან ისრაელურ ნამცხვართა-განია, რომელიც არც ერთ დღესასწაულს არ უკავშირდება, თუმცა ცომის ამ პატარა ხვეულების გარეშე ისრაელში საზეიმო სუფრა სრულიად წარმოუდგენელია.

რუგელა ნებისმიერ სეზონზე, ნებისმიერ დღეს შეგიძლიათ მიირთვათ, განსაკუთრებით პოპულარულია შაბათობით და ხანუქის დღესასწაულზე. ტრადიციულად, რუგელას არაჟნიანი ცომით აცხობენ, თუმცა ბოლო ხანებში პოპულარულია ხაჭოს ან მდნარი ყველისგან მომზადებული ბისკვიტიც. გულთავსი მზადდება ქიშმიშის, ნიგვზის, ყაყაჩოს, დარიჩინის, შოკოლადის, მარციპანის ან მურაბისგან. რუგელა შესაძლოა კრუასანის წინაპარიც კი იყოს.

HAMANTASCHEN

ეს სამკუთხა ნამცხვარი პურიმის დღესასწაულის აუცილებელი ატრიბუტია; მის მოსამზადებლად ყაყაჩოს, ნიგვზის ან ხილის გულთავსს იყენებენ. „ჰამანტაშენ“ ნიშნავს „ამანის ჯიბეებს“, ხოლო მეორე სახელი, „ოზნეი ამან“ – „ამანის ყურებს“. ძველი ტრადიციით, დამნაშავეებს ჩამოხრჩობამდე ყურებს აჭრიდნენ, ასე დაისაჯა სპარსეთის უფლისწული ამანიც. ბიბლიაში მოთხრობილია, როგორ ცდილობდა იგი, ამოეხოცა სპარსეთის იმპერიაში მცხოვრები ყველა ებრაელი. პურიმი სწორედ ებრაელების გადარჩენის პატივსაცემად აღინიშნება.

HALVAH

ჰალვა ვეგანებისთვის იდეალური დესერტია – ისრაელური ჰალვის შემადგენლობაში ტაჰინი, გლუკოზა, შაქარი, ვანილი და ყვავილოვანი მცენარის, საპონას ფესვების ექსტრაქტი შედის, რაც ამ ნუგბარის რეცეპტს უნიკალურს ხდის. საუკეთესო ჰალვისთვის იერუსალიმის Machane Yehuda-ს ბაზრობაზე მდებარე Halva Kingdom-ს უნდა მიაკითხოთ. აქ 1947 წლიდან ჰალვას მაროკოული რეცეპტით ამზადებენ.

„ღეხაიმ“ გაუმარჯოს სიცოცხლეს!

თეა სხიერელი

ღვინის ისტორიას ისრაელის მიწაზე ბიბლიური ეპოქიდან მოყოლებული შეგვიძლია გადავავლოთ თვალი. თორა და თალმუდი სავსეა ენოლოგიურირემინისცენციებით. თორაში ღვინო ყველაზე უფრო ხშირად ნახსენები სასმელია (141-ჯერ). ღვინო ბიბლიაში პირველად ნოეს შესახებ ამბის თხრობისას გვხვდება – პირველი ადამიანის, რომელმაც წარღვნის შედეგ ვენახი გააშენა, ღვინო დააყენა, მიირთვა და თრობაც განიცადა (დაბ. 9:20-21).

ეგვიპტიდან ებრაელთა გამოსვლის დროს მოსეს წარგზავნილმა მსტოვრებმა მას ვაზის ღერწი იმის დასტურად მოუტანეს, რომ ისრაელის მიწა უკვე ახლოს იყო. ისრაელის მიწის ღვთისაგან დაღოცვის ტექსტში ვაზი გამორჩეულადაა მოხსენიებული. ყურძენი ისრაელის მიწის 7 ღვთივკურთხეულ ნაყოფს შორის ერთ-ერთია.

Carmel wines-ის ლოგოტიპზე გამოსახული ბიბლიური სცენა

ისრაელიდან ღვინო ეგვიპტეში გაჰქონდათ. ის ფარაონების საყვარელი სასმელი იყო. VII საუკუნიდან, როცა პალესტინა არაბებმა დაიპყრეს, ღვინის დაწურვა აიკრძალა. ისრაელში ღვინის წარმოება მხოლოდ XIX საუკუნეში აღორძინდა.

ბარონ ედმონდ დე როტშილდის მიერ XIX საუკუნეში განხორციელებულმა „ებრაელთა ჩასახლებამ“ ისრაელის მიწაზე მეღვინეობაც გააცოცხლა. ბარონის აზრით, მეღვინეობა ახალმოსახლეთა ეკონომიკურ დასაყრდენად უნდა ქცეულიყო. როტშილდს ორი მიზანი ჰქონდა: ისრაელის აღორძინება და მეღვინეობა (მისი ოჯახი დღესაც ფლობს ღვინის ბიზნესს – Chateau Lafitte და Mouton-Rothschild).

1882 წ. მან დააარსა „კარმელ მიზრახი“ (CARMEL-MIZRAHI), რომელიც 1990-იან წლებამდე დომინირებდა ისრაელის ღვინის წარმოებაში. დღეისათვის ისრაელის უძველესი ღვინის ქარხანა Carmel Winery ქვეყანაში ღვინის უმსხვილესი მწარმოებელია (75%) და თავისი პროდუქცია 40 ქვეყანაში გააქვს.

ბოლო 15 წელია ისრაელის ღვინის წარმოებაში ნამდვილი რევოლუცია მოხდა. ასორტიმენტი სრულიად შეიცვალა; მეღვინეობამ საზოგადოებრივი რეზონანსი შეიძინა. ღვინო დღეს ისრაელთა ეროვნული სიამაყის საგანია.

სინაგოგის ფასადის ფრაგმენტი. IV-V ჩვ. წ. აღ-ით; კაპერნაუმი, გალილეა

2016 წელს 5 კონტინენტზე, 40-ზე მეტ ქვეყანაში ისრაელის ღვინის ექსპორტმა $40 მლნ შეადგინა. ათი წლის წინ ეს მაჩვენებელი მხოლოდ 8 მლნ-ს უდრიდა. უმთავრესი საექსპორტო ქვეყნებია: აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, კანადა, პოლონეთი, გერმანია, ჰოლანდია.

„ღვინის რევოლუცია“

XX საუკუნის 60-იან წლებამდე ებრაული ღვინოები სათანადოდ არ ფასდებოდა. მათ აღიქვამდნენ, როგორც დაბალხარისხოვანსა და ძალიან ტკბილ სასმელს, მაგრამ 1960-1970-იან წლებში მოულოდნელად დაიწყო გარდატეხა და მალე ისრაელი მსოფლიო ღვინის წარმოების ლიდერად იქცა.

ე. წ. „ღვინის რევოლუცია“ (1972 წ.) უშუალოდ უკავშირდება 1967 წლის ექვსდღიან ომში ისრაელის გამარჯვებას, რომლის შემდეგაც ქვეყნის მფლობელობაში მოექცა გოლანის მაღლობები. იმახანად ისრაელში ჩასულმა კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა ოუფმა გამოთქვა აზრი, რომ გოლანის ვულკანური, ბაზალტოვანი ნიადაგები მეღვინეობისთვის იდეალური იქნებოდა.

მართლაც, „გოლანის მაღლობების მეღვინეობამ“ თავისი ახალი ნაწარმით (1983) სრული აღფრთოვანება გამოიწვია და აბსოლუტურად შეცვალა ისრაელის მეღვინეობის სახე – „ახალგამომცხვარი“ წარმოება სპეციალისტებს კალიფორნიაში სასწავლებლად გზავნიდა, შემოჰქონდა ნერგები, ხვეწდა ტექნოლოგიებს. „გოლანის“ თავკაცები მიხვდნენ, რომ ძველი ჯიშები (გრენაში, მალბეკი, სემიიონი) ისრაელის გარემო პირობებს ვერ ეთვისება და კაბერნე სოვინიონის, მერლოს, შარდონესა და სხვა ფრანგული ჯიშების მოყვანა დაიწყეს.

„ბუტიკური“ მეღვინეობა

მსხვილ წარმოებასთან ერთად ისრაელში ახალგაზრდა ენთუზიასტებმა განავითარეს მცირე, მაღალხარისხოვანი, ე. წ. „ბუტიკური“ საოჯახო მეღვინეობა. ამ ტერუარების (ნიადაგის, კლიმატისა და გეოგრაფიული მდებარეობის უნიკალური თავსებადობა) ღვინო ყველა კონტინენტზე იყიდება.

დღეს მცირე მეღვინეობის განვითარება გრძელდება. კონკურენციის გამო მწარმოებლები ახალი ტექნიკური საშუალებებით აღიჭურვნენ, იწვევენ გამოცდილ სპეციალისტებს, შეისწავლიან მთიანეთის გრილ ნიადაგებს. თუ ადრე ისრაელის ღვინოების უმეტესობა ტკბილი, სადესერტო იყო, ამჟამად მშრალი ღვინოები ჭარბობს და ისინი მთელი მსოფლიოს ღვინის მოყვარულთა ინტერესს იწვევს.

„ბუტიკური“ მეღვინეობის საუკეთესო ხუთეული:

1. Margalit Winery, Caesarea/Upper Galillee
2. Clos de Gat, Ayalon Valley
3. Domaine Du Castel, Judean Hills
4. Katlav, Judean Hills
5. Tzora, Judean Hills

ტკბილი ღვინოების მოხმარების მაჩვენებელი 20%-ია, მაშინ როცა 1982 წელს ის 86%-ს შეადგენდა.

ისრაელის ღვინის ბაზრის წლიური ღირებულება 315 აშშ დოლარია. ბრუნვის 20% იმპორტზე მოდის. ეს, ძირითადად, იტალიური, ჩილეური, არგენტინული და ფრანგული ღვინოებია. ერთი მოსახლე საშუალოდ 5 ლიტრ ღვინოს სვამს, თუმცა მშრალი ღვინოებისადმი ინტერესი დღითიდღე მატულობს.

მოხმარებული ღვინის 63% წითელია, 16% – თეთრი, 8% – შუხუნა, 2% – ვარდისფერი, 11% – მუსკატის ტიპის, ტკბილი, სადესერტო.

1970-იან წლებში დაწყებულ ისრაელის ეკონომიკის ღიბერალიზაციისა და საზოგადოების ვესტერნიზაციის პროცესზე, რომლის პიკიც „ჰაიტეკ“ გუმი და 90-იანებში ცხოვრების დონის გაუმჯობესება იყო, დიდი გავლენა მოახდინა ღვინის წარმოებამ და მოხმარებამ. ისრაელში ჩამოყალიბდა ე. წ. „კანოსიეების“ (მოწინავე მომხმარებელთა) ახალი კლასი, განსაკუთრებით თეძ-ავივში.

ყურძნის ჯიშები

ტრადიციული ჯიშებისგან – კარიგნანი (შეადგენს მთლიანი წარმოების 17%-ს) და კოლმბარდი (4%) იწარმოება შედარებით იაფფასიანი ღვინო; ძვირადღირებულ ღვინოს ბორდოული და ხმელთაშუა ზღვის ჯიშებისგან ამზადებენ: კაბერნე სოვინიონი – 18%, მერლო – 13%, შარდონე – 3%, სოვინიონ ბლანი – 2%, პეტიტ ვერდო – 5%, შირაზი – 7%, ალექსანდრიის მუსკატი – 4% და ა. შ.

ბოლო წლებში განსაკუთრებით პოპულარულია ღვინოები, რომლებიც დამზადებულია მუსკატ კანელის, თეთრი რისლინგის, პინო ნუარის, ტემპრალინოს, ბარბერას, ნებიოლოსა და სხვა ჯიშის ყურძნისგან.

ქოშერული ღვინო

ქოშერული ღვინის წარმოებისას გარკვეული წესების დაცვა აუცილებელია: მას მხოლოდ მორწმუნე, შაბათის დამცველი ებრაელები აყენებენ; არ გამოიყენება ცხოველურიინგრედიენტები, ვაზის ჩაყრიდან სამი წლის განმავლობაში არ იჭმება მოსავალი, არამორწმუნე არ უნდა მიეკაროს საწნახელსა და ღვინის კასრსაც კი. ქოშერული შეიძლება იყოს არა მხოლოდ ტკბილი, არამედ მშრალი ღვინოებიც. და კიდევ, ასეთი ღვინოების წარმოება არაქოშერულ ღვინის ქარხნებშიც შეიძლება.

ისრაელში ვენახების ფართობი არც ისე დიდია – 5500 ჰექტარი. აქ, ძირითადად, ხმელთაშუა ზღვის კლიმატია, ხანგრძლივი ცხელი ზაფხულითა და ხანმოკლე ზამთრით. ისტორიული ავტოქტონური ჯიშები, თურქეთისა თუ ლიბანისაგან განსხვავებით, არ შემონახულა.
რთველი აქ აგვისტოდან იწყება და ოქტომბრის დასაწყისამდე გრძელდება. ყურძენს ბევრ ვენახში ხელით კრეფენ.
მოსავლის საუკეთესო წლებია: 2014, 2013, 2012, 2008, 2005, 2004, 2003, 2000, 1997, 1995, 1993, 1990, 1989, 1985, 1979, 1976.

მეღვინეობის რეგიონები

ისრაელში ღვინის რეგიონების კონტროლირებული სისტემა არ არსებობს, თუმცა გამოიყოფა 5 დიდი და, თავის მხრივ, სუბრეგიონებად დაყოფილი ტერიტორია.

Galilee (Galil Region in Hebrew) – გალილეა, ჩრდილო რეგიონი, ყველაზე შესაფერისი ადგილია მეღვინეობისთვის – გრილი კლიმატი, სიმაღლე, ნაყოფიერი, მძიმე, მშრალი და ბაზალტოვანი ნიადაგები. რეგიონი იყოფა ქვემო და ზემო გალილეად, თაბორის მთად და გოლანის მაღლობებად.

Samaria (Shomron) – სამარია ხაიფის სამხრეთით, ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. აქ განფენილია ყველაზე დიდი ვენახები, მათ შორის, „კარმელ მიზრახის“ მიწები. ხმელთაშუა ზღვის ქარები და კარმელის მთათა ჯაჭვი უხვმოსავლიანობას განაპირობებს.

Samson (Shimshon) – სამსონი, იგივე გუშ-იდანი, ცენტრალური სანაპირო რეგიონია იერუსალიმის მთებსა და სანაპიროს შორის, რიშონ ლე-ციონისა და რეხოვათის ზეგნების ჩათვლით. აქაური ნიადაგები თიხიანია.

Judean Hills (Harey Yehuda) – იუდეის მთების რეგიონი გარს ერტყმის თვით იერუსალიმს (იუდეისა და სამარიის ჩათვლით), აქვს იდეალური სიმაღლე, ოპტიმალური კლიმატი და თიხიან-კირქვიანი ნიადაგი. ის ტკბილი ღვინოებითაა ცნობილი, თუმცა ბოლოხანს მაღალხარისხოვან ღვინოს აწარმოებს.

Negev (Hanegev) – ნეგევი ნახევარუდაბნოა; 10 წლის წინ ვერავინ იფიქრებდა, რომ აქაურობა მეღვინეობის მოწინავე რეგიონად იქცეოდა, რაც ირიგაციის სისტემამ გახადა შესაძლებელი.

მეღვინეობის ფართობების პროცენტული გადანაწილებარეგიონების მიხედვით: GALILEE – 41; SAMSON – 27; SHOMRON – 17; JUDEAN HILLS – 10; NEGEV – 5.

VOYAGER **რეკომენდაცია**

SHVO WINERY

„შვოს“ ვენახები ჩრდილო ისრაელში, ზემო გალილეაში, გაშ ჰალავში მდებარეობს – ზღვის დონიდან 800 მეტრზე, მთის ფერდობებზე.ხმელთაშუა ზღვის ქარი, ცვალებადი კლიმატი, ბიოსასუქები ღვინის მაღალ ხარისხს განაპირობებს.

SHVO ADOM RED

ეს წითელი ღვინო სირას, მურვედრის, ბარბერასა და გრენაშის ნარევისგან მზადდება. ყოველი მათგანი ღვინოს საუცხოო, თავისებურ არომატს ანიჭებს – ხილის, ტყის, მწვანილის ნოტებს.

ფასი: 35$

SHVO CHENIN BLANC

მწიფე მოსავლის დაწურვის შემდეგ ფერმენტაცია 12 თვეს გრძელდება. ეს მშრალი, სავსე ტექსტურის, გამოკვეთილი გემოს მქონე მშრალი თეთრი ღვინოა, მოხალული გოგრის თესლის, თაფლის, კაკლის არომატითა და კარგად დაბალანსებული ბუნებრივი სიმჟავით.

ფასი: 35$

მათთვის, ვისთვისაც კათხა ცივი ლუდი დასვენებისა და სიამოვნების მიღების საუკეთესო საშუალებაა, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში წარმოებული არაერთი დასახელების ლუდის უკვე დიდი არჩევანი არსებობს.

HERZL

იერუსალიმშიმდებარელუდსახარში Herzl Brewery ალბათ ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მოკრძალებული საწარმოა ამ სფეროში. დამფუძნებლებმა ლუდსახარში უკვე მოძლიერებული, წამყვანიკორპორაციებისათვის გარკვეული მეტოქეობის გაწევის მიზნით გახსნეს და საამისოდ სრულიად გამორჩეული გემოს მქონე ნაწარმის გამოშვება დაიწყეს, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ე. წ. ყოველდღიური, უკვე გვარიანად მობეზრებული ბრენდებისაგან. 2016 წლის გაზაფხულზე მათ საგანგებო განცხადებაც გაავრცელეს იმის აღსანიშნავად, რომ მათი ლუდი სწორედ იმგვარი რეცეპტით მზადდება, რომლითაც ამ სასმელს ჯერ კიდევ მაცხოვრის დროს ხარშავდნენ.

Hasadna 5, Jerusalem

SHAPIRO

შაპიროს ლუდი, მეტწილად, იერუსალიმის ლუდხანებსა და სპირტიანი სასმელების მაღაზიებში იყიდება, თუმცა ბოლო დროს თელ-ავივშიც მოიკიდა ფეხი. შაპიროს ფირმა მხოლოდ სუფთა სახის ლუდს აწარმოებს და შეგნებულად ერიდება ისეთი სურნელოვანი დანამატების გამოყენებას, როგორიცაა ფორთოხლის ქერქი თუ ოხრახუში. იერუსალიმელი ლუდის მოყვარულები ამას აფასებენ და ძალიანაც ამაყობენ სწორედ ამ ქალაქში წარმოებული, ადგილობრივი ბრენდით.

Beit Shemesh, Jerusalem

JEM'S BEER FACTORY

ამ საწარმომ საქმიანობა მას შემდეგ დაიწყო, რაც მისმა დამფუძნებელმა, ჯერემიმ თავი მიანება თეთრ სახლში სამსახურს, რათა დიდი ხნის ოცნება – ისრაელში დაბრუნება და იქ ლუდის ჩამოსხმა დაეწყო. თავის მეწყვილესთან, ასევე ამერიკიდან სამშობლოში დაბრუნებულ იურისტ დენთან ერთად, მან მართლაც მალე ევგახსნა ლუდის ქარხანა, რომლის შემდგომი წარმატების თავიდათავი დაუღალავი შრომა, ოცნების განხორციელების დაუოკებელი ჟინი, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინება და, რაც მთავარია, ლუდის დიდი სიყვარული გახდა.

თავდაპირველად თელ-ავივის სამრეწველო უბანში გახსნილ ამ საწარმოს დღეს უკვე 4 ახალი ფილიალიც აქვს და მათი ნაწარმი კვლავინდებურად ინარჩუნებს ლუდის ხარშვის უმაღლეს დონესა და კულტურული ტრადიციის ერთგულებას.

Raoul Wallenberg st 20; Ramat Hachayal, Tel Aviv

GOLAN

ეს ლუდსახარში საკუთარი წარმოებისათვის გოლანის ნაკადულების ცოცხალ წყალს იყენებს, რაც სრულიად განუმეორებელ გემოს აძლევს მათ ლუდს. არქეოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ გოლანის მაღლობებზე ეს სასმელი ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მზადდებოდა. საწარმოს დამფუძნებლებსაც სწორედ უძველესი ტრადიციის აღდგენის მიზანი ამოძრავებდათ, როდესაც თავიანთი ლუდსახარში აამუშავეს 2006 წელს. აქაური ლუდი მხოლოდ ცოცხალი ჩამოსხმით მიეწოდება მომხმარებელს, ყოველგვარი კონსერვანტებისა და პასტერიზაციის გარეშე.

VOYAGER **კომენტარი**

BEER BAZAAR
(Shuk HaCarmel, Tel Aviv)

BB TLV ლუდხანა კარმელის ბაზარში მუდმივად სავსეა როგორც ახალგაზრდა, ისე უკვე ასაკოვანი ლუდის მოყვარულებით, Beer Bazaar-ში ადგილობრივი და უცხოური ლუდის საუკეთესო არჩევანია.

Rambam 1, Tel Aviv
Yishkon st 36, Tel Aviv

PORTER AND SONS
(Sarona, Tel Aviv)

Porter and Sons სარონას ბაზარში, რომელიც ტრადიციულ ინგლისურ პაბს მოგაგონებთ, საუკეთესო ადგილია 17 სახეობის არტიზანალური ლუდის დასაგემოვნებლად. ლუდხანის კომფორტული თანამშრომლები დიდი სიხარულით დაგეხმარებიან ლუდის მრავალფეროვან ლაბირინთში გასარკვევად.

Ha'Arbaa st 14, Tel Aviv

THE DANCING CAMEL

პირველი მცირე ლუდსახარში – Dancing Camel Brewing Company 2005 წელს გაიხსნა. ესაა ერთადერთი ამგვარი საწა-
რმო ქალაქ თელ-ავივში და მან ბინა 1933 წელს აშენებულ, ყოფილ მარცვლეულის საწყობში დაიდო. საწარმოს მფლობელები მიზნად ისახავენ ჭეშმარიტად ადგილობრივი ლუდი აწარმოონ, რისთვისაც სწორედ ისრაელისთვის დამახასიათებელი გემოსა და სურნელის მქონე შემადგენლობებს იყენებენ. საფირმო, გამორჩეული დასახელების თითოეული ლუდი ყველა ადგილობრივ მახასიათებელს ინარჩუნებს – იქნება ეს ფინიკის თაფლისა თუ პიტნის გემო-სურნელი.

Hata'asiya 12, Tel Aviv

მაკაბიადა

ბიძინა ბარათაშვილი

სეოკ-ში ქვეყნის გაწევრიანებამდე 20 წლით ადრე, 1932 წლიდან მოყოლებული, ისრაელში იმართება „ებრაული ოლიმპიური თამაშები“ – მაკაბიადა, რომელშიც, ტრადიციულად, საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობს.

ისევე, როგორც ბევრ სხვა სფეროში, ებრაელებმა სპორტშიც თავიანთი განსხვავებული, ორიგინალური განვითარების გზა აირჩიეს. თანამედროვე ისრაელში ჩასულს – განსაკუთრებით თელ-ავივში – უთუოდ შეგექმნებათ აზრი, რომ ისრაელი ჯანსაღი ცხოვრების წესის ყველაზე ერთგული მიმდევარია მსოფლიოში. აქაურ ქუჩებსა თუ სანაპიროებზე დილიდან გვიან საღამომდე მუდმივად შეხვდებით სავარჯიშოდ გამოსულ ყველა ასაკის ადამიანებს, რომელთაც ეს ყოფის განუყოფელ ნაწილად გაუხდიათ.

ამ ფონზე მით უფრო უცნაურია, რომ ებრაელები კატეგორიულად არ მონაწილეობდნენ ანტიკური ხანის ოლიმპიურ თამაშებსა თუ სხვა შეჯიბრებებში, რადგან ეს წარმართი ღვთაებებისადმი მსხვერპლშეწირვას გულისხმობდა. კიდევ უფრო დაამძიმა მდგომარეობა ებრაელთა დაპყრობამ სელევკიდთა დინასტიის მიერ, რომლებიც ადამიანის ჯანსაღი სხეულის სილამაზისა და სპორტის კულტს ქადაგებდნენ.

რეგიონში რომაელთა ბატონობის ხანაში მეფე ჰეროდემ იუდეაში რამდენიმე სპორტული არენა ააშენა, მაგრამ ამას ოდნავადაც არ შეუცვლია საერთო დამოკიდებულება. ულტრაორთოდოქსი ებრაელები სპორტს დღესაც ელინისტურ ერესად აღიქვამენ და კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან მის პოპულარიზაციას.

პირველი მსოფლმხედველობითი ცვლილება შუასაუკუნეებიდან დაიწყო. მაიმონიდმა გაიმეორა ანტიკური თეზა იმის შესახებ, რომ ჯანსაღი სული მხოლოდ ჯანსაღ სხეულში შეძლებს არსებობას. XVIII საუკუნეში კი პირველი დიდი ებრაელი სპორტსმენებიც გამოჩნდნენ. დოქტორი ურიელ სიმრი იხსენებს მაშინდელი უელსის პრინცის საყვარელ მოკრივეს დანიელ მენდოსას, რომელიც 1792-95 წლებში ინგლისის დაუმარცხებელი ჩემპიონი იყო. წარმოშობით იგი პორტუგალიელი ებრაელი ყოფილა. წარუშლელი კვალი დატოვეს სპორტის თავიანთ სახეობებში ლიპმან პაიკმა, რომელიც აშშ-ში პირველი პროფესიონალი ბეისბოლისტი გახდა და კანადელმა ლუის რუბინშტეინმა, რომელმაც 1890 წელს ფიგურულ ციგურაობაში არაოფიციალური ჩემპიონატი მოიგო.

მაიმონიდის დოქტრინა უკვე XX საუკუნის დასაწყისში განავითარა რაბინმა აბრაამ იცხაკ კუკმა, რასაც მაკაბიანური მოძრაობა და სპორტული საზოგადოებების გაჩენა მოჰყვა. იქამდე, 1898 წელს დოქტორმა მაქს ნორდაუმ პარიზში გამოაცხადა „კუნთების იუდაიზმის“ აუცილებლობა, ბერლინში კი ტანვარჯიშის პირველი ებრაული კლუბი – „ბარ-კოხვა“ დაარსდა.

სპორტის პირველი სახეობები, რომლებშიც ებრაელთა ნაკრებები (პალესტინის სახელით) მონაწილეობდნენ, იყო ფეხბურთი (1934 და 1938 მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევი ტურნირები) და ჭადრაკი (საერთაშორისო ოლიმპიადები). პალესტინის ოლიმპიური კომიტეტი 1933 წელს დაარსდა, ერთი წლით ადრე კი მანდატურმა პალესტინამ პირველ მაკაბიადასუმასპინძლა, რომელშიც 23 ქვეყნის 500 სპორტსმენი მონაწილეობდა. 3 წლის შემდეგ შეჯიბრება ისევ გაიმართა – ამჯერად „მაკაბიადა ალიას“ სახელით, რადგან ევროპიდან ჩასულთა უმრავლესობამ ისტორიულ სამშობლოში დარჩენა ისურვა!

მაკაბიადაზე დაცულია საერთაშორისი ოლიმპიური თამაშების თითქმის ყველა რიტუალი – გახსნისა და დახურვის პომპეზური ცერემონიალით დაწყებული, მონაწილეთა ტრადიციული აღლუმითა და „მაკაბიური სოფლით“ დამთავრებული. წარმომადგენლობითობაც შესაშურია – მე-19 მაკაბიადაზე 76-მა ქვეყანამ გაგზავნა გუნდი, აშშ-ის დელეგაცია კი 1106 სპორტსმენს ითვლიდა!
სხვადასხვა წლებში მაკაბიადაში მონაწილეობა მიუღია არაერთ ოლიმპიურ თუ მსოფლიო ჩემპიონს. მათ შორის გამოვყოფდით 33 მსოფლიო რეკორდის მფლობელს, ამერიკელ მოცურავე მარკ სპიტცს, რომელმაც 1968 და 1972 წწ. მეხიკოსა და მიუნხენში მიღწეულ ტრიუმფამდე (9 ოქროს მედალი) მოასწრო მაკაბიადის 10 ოქროს მედლის მოპოვება; კარიერა მან მიუნხენში მომხდარი ანტიისრაელური ტერორისტული აქტის საპროტესტოდ დაასრულა! 1985 წელს სპიტცს მაკაბიადის გახსნის პატივი ხვდა წილად, 2005 წელს კი იგი ამერიკის დელეგაციის მედროშედ აირჩიეს.

ჭადრაკი

ჭადრაკის ისტორიაში ებრაელ მოთამაშეთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ჭადრაკი „ებრაულ სპორტად“! გარდა იმისა, რომ 1886 წელს პირველ ოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონად ებრაელი ვილჰელმ სტეინიციგამოცხადდა, XIX-XX სს. მიჯნაზეგამართულითითქმის ყველა საერთაშორისო ტურნირი მისი თანამემამულეების უდიდესი უპირატესობით მიმდინარეობდა.

14 მსოფლიო ჩემპიონიდან 8 ებრაული წარმოშობისა იყო: სტეინიცი, ლასკერი, მიხეილ ბოტვინიკი, მიხეილ ტალი, ბორის სპასკი (დედით), ბობი ფიშერი (დედით), გარი კასპაროვი (ვაინშტეინი) და ვლადიმერ კრამნიკი.

ჭადრაკი ებრაელებს არ გამოუგონიათ, ის სათავეს ინდოეთში იღებს, საიდანაც ჭადრაკმა ჯერ სპარსეთში გადაინაცვლა; ევროპაში კი ეს თამაში ხაზართა გავლით შემოვიდა და თავიდანვე ებრაელთა ერთგვარი პროტექციის ქვეშ მოექცა.

ესპანეთში დაბადებული ებრაელი მოაზროვნე მოშე სფარადი (1062-1106) თავის ნაშრომებში საჭადრაკო ხელოვნებას რაინდთათვის რეკომენდებულ 7 მეცნიერებას შორის ასახელებდა; გამოჩენილი ებრაელი ფილოსოფოსი მოსე მაიმონიდი (1135-1204) თანამემამულეებს უკრძალავდა ჭადრაკის თამაშს ფულზე, რაც თავისთავად მეტყველებს ამ გასართობის ფართო გავრცელებაზე ებრაელთა შორის.

საჭადრაკო სამყაროში ამგვარმა დომინაციამ ბუნებრივად გამოიწვია ანტისემიტიზმის სპეციფიკური ფორმა. ამას ჯერ კიდევ სტეინიცი შეეჯახა, როდესაც დამარცხებით გულნატკენი პრეტენდენტისგან მოისმინა:
– თქვენ მოჭადრაკე კი არა, ებრაელი ხართ!
– თქვენ კი – არც ერთი და არც მეორე! – არ დაიბნა ჩემპიონი.

მოგვიანებით სტეინიცმა დაწერა პამფლეტი: „ჩემი პასუხი ანტისემიტებს ვენაში და სადაც გინდა იყოს...“ და წიგნი: „ებრაელობა ჭადრაკში“. ოკუპირებულ პარიზში მცხოვრებმა მსოფლიო ჩემპიონმა ალექსანდრე ალიოხინმა 1941 წელს გამოაქვეყნა საგაზეთო წერილი: „არიული და ებრაული ჭადრაკი“, რომელშიც მიწასთან გაასწორა სტეინიცი, ლასკერი, რუბინშტეინი, იანოვსკი, ფაინი, ფლორი, ნიმცოვიჩი, შლეხტერი და სხვები. მას, როგორც „ჭეშმარიტ არიელს“, ძალიან არ მოსწონდა ებრაელთა თამაშის სტილი და ლასკერი უკანასკნელ ებრაელ ჩემპიონად მიაჩნდა...

აბსურდის აპოთეოზად იქცა მსოფლიოს XI საჭადრაკო ოლიმპიადაზე მომხდარი კაზუსი, როდესაც, ისრაელთან შეხვედრის წინ, საბჭოთა ნაკრების კაპიტან ალექსანდრე კოტოვს „მოეჩვენა“, რომ ეფიმ გელერი და დავიდ ბრონშტეინი „სრული ძალით ვერ ითამაშებდნენ“!

კოტოვმა ორივე ებრაელი მოხსნა განაცხადიდან და... თვითონ დამარცხდა ისრაელელ ოსტატ ალონისთან! ეს იყო ერთადერთი მატჩი, რომელიც იმ წელს საბჭოთა კავშირმა ვერ მოიგო...

არანაკლებ სკანდალურად ვითარდებოდა ანატოლი კარპოვის „მეფობის ეპოქა“: თავნება ებრაელმა ბობი ფიშერმა იუარა მასთან თამაში და უბრძოლველად დაუთმო ტიტული; მეორე ებრაელი – პრეტენდენტი ვიქტორ კორჩნოი ისე დაღალა ოფიციოზის დაუფარავმა ზეწოლამ, რომ შვეიცარიაში გაიქცა; დაბოლოს, 1984 წლის შემოდგომაზე კასპაროვის გვარით მოასპარეზე გარი ვაინშტეინის ჯერიც დადგა.

1992 წლის იანვარში ბაქოელმა ჩემპიონმა დეტალურად გაგვიმხილა სპეცსამსახურების მიერ მოწყობილი ინფორმაციის „გაუონვის“ ამბავი, რამაც 27 პარტიის შემდეგ ანგარიში 0-5 გახადა (მატჩი 6 მოგებამდე თამაშდებოდა). ამის შემდეგ კასპაროვმა გაამკაცრა დაცვის ზომები და ზედიზედ 3 გამარჯვება იზეიმა. გადაღლილ-გამოფიტული კარპოვი კატასტროფის მოახლოებას გრძნობდა, როდესაც 1985 წლის 15 თებერვალს მატჩი გამარჯვებულის გამოუცხადებლად შეწყდა მოქმედი ჩემპიონის ვითომდა ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზით!

იმავე წელს დანიშნული გადათამაშების წინ კასპაროვმა გერმანული „შპიგელის“ ფურცლებიდან საბჭოური ფედერაცია ანტისემიტიზმში დაადანაშაულა. იგი სასწაულებრივ გადაურჩა დისკვალიფიკაციას და 9 ნოემბერს საბოლოდ აჯობა მეტოქეს ანგარიშით: 13-11 – 22 წლის კასპაროვი მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა, რიგით მე-13 ჩემპიონი გახდა!

ათასგვარი წინაღობის მიუხედავად ებრაელები ჭადრაკშიც ახერხებენ თავიანთი უნიკალური სიცოცხლისუნარიანობის გამოვლენას და დამსახურებულად ითვლებიან სპორტის ყველაზე ინტელექტუალური სახეობის „მოდის კანონმდებლებად“.

მხოლოდ ერთი ნაბიჯი დააკლდა დიდებამდე ებრაელ სპორტსმენთა დიდ ჯგუფს. სხვადასხვა წლებში საჩემპიონო გვირგვინისთვის იბრძოდნენ პრეტენდენტები: ზიგბერტ ტარაში, დავიდ იანოვსკი, აკიბა რუბინშტეინი, არონ ნიმცოვიჩი, მიგელ ნაიდორფი, სალო ფლორი, სამუელ რეშევსკი, დავიდ ბრონშტეინი და სხვები.

ჭადრაკში 14 მსოფლიო ჩემპიონიდან 8 ებრაული წარმოშობისა იყო: სტეინიცი, ლასკერი, მიხეილ ბოტვინიკი, მიხეილ ტალი, ბორის სპასკი (დედით), ბობი ფიშერი (დედით), გარი კასპაროვი (ვაინშტეინი) და ვლადიმერ კრამნიკი.

მართალია, საკუთარივ ისრაელის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებს მსგავსი სიმაღლეებისთვის ჯერ არ მიუღწევიათ, მაგრამ მათ შორისაც მოიძებნება არაერთი უმაღლესი დონის მოჭადრაკე – თუნდაც ილია სმირინი და ლეონიდ იუდასინი ავიღოთ. მათგან რამდენიმეს ქართული წარმომავლობა აქვს: 72 წლის თბილისელი რომან ჯინჯიხაშვილი ჰასტინგსის უპრესტიჟულესი ტურნირის ყოფილი გამარჯვებულია. ის თავისი ისტორიული სამშობლოს ჩემპიონიც იყო და მისი სახელი 2 ოლიმპიადაზეც დაიცვა (კიდევ ერთზე კი აშშ-ის ნაკრებში ითამაშა). ახალ თაობას ის შეიძლება ახსოვდეს ეპიზოდური როლით 1993 წელს გადაღებულ ფილმში – „ბობი ფიშერის კვალდაკვალ“.

ტანსაცმელი ფერადი ადამიანებისთვის

მაია ბაში – დიზაინერი, რომელმაც იცის, რას ნიშნავს „სიყვარული“

სალომე დადუნაშვილი

მაია ხშირად იყენებს ქართულ შრიფტს. სიტყვა „სიყვარული“ მის მაისურებზე ნიკა მაჩაიძისა და ტუსია ბერიძის წყალობით მოხვდა. მათ ერთმანეთი ფილმის გადაღებაზე გაიცნეს და დამეგობრდნენ. მას შემდეგ მაიას საქართველოსადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს. ერთ მშვენიერ დღეს, როცა მაია თავისი სარეკლამო კამპანიისთვის ფოტოგრაფს ეძებდა, ნიკა მაჩაიძემ დავით მესხის ნამუშევრები აჩვენა. მას შემდეგ მაიას ყველა ახალ კოლექციას დავით მესხი იღებს.

ზამთრის თელ-ავივში მშვენიერი ამინდი იცის, მაგრამ ხანდახან ქალაქი წვიმის ფარდას მოისხამს და ქარი უმოწყალოდ შოლტავს პალმების ფოთლებს. მაია ბაშის მაღაზია-სალონს სწორედ ასეთ ქარიშხლიან საღამოს მივადექი. მაღაზიის სიღრმეში, მაგიდასთან კოხტად მოკალათებული, ლამაზ კომბინეზონში გამოწყობილი გოგონა კომპიუტერის ეკრანს დაჰყურებდა. მაიას პეპი გრძელი წინდას ღიმილმა, აცქვეტილმა ცხვირმა და მხიარულმა თვალებმა ქარის ზუზუნი და წვიმა უცებ დამავიწყა.

მაია ბაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ახალგაზრდა დიზაინერია ისრაელში. როცა მან და მისმა რამდენიმე კოლეგამ თელ-ავივის ერთ-ერთი ცენტრალური უბნის ქუჩა აირჩიეს რეზიდენციად, ერთმანეთს და ადგილობრივ უსახლკაროებს უწევდნენ მეზობლობას. დღეს ეს უბანი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟულია თელ-ავივში და გარშემო არაერთ დიზაინერულ მაღაზიას ნახავთ.

მე საბჭოთა ემიგრანტების შვილი ვარ და ბავშვობიდან მივეჩვიე, რომ ძალიან ბევრი უნდა ვიმუშაო და ვიბრძოლო ჩემი ადგილისათვის მზის ქვეშ. ისრაელში 10 წლის ასაკში ჩამოვედი და სკოლაში ყოველთვის სხვებზე ცუდად მეცვა. ჩემმა მშობლებმა ვერასოდეს დაიწყეს საკუთარი პროფესიით მუშაობა, ვინაიდან ჩვენ ვყავდით სარჩენი.

აქ გადმოსვლა ჩემს დას უფრო გაუადვილდა – ის 18 წლის იყო მაშინ და კირდაკირ დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო. მე კი მეგონა, რომ არასოდეს მიმიღებდნენ ამ ახალ სკოლაში, ახალ გარემოში, ამიტომაც არც განსაკუთრებულად კარგი ყოფაქცევით გამოვირჩეოდი. არ მიღებდნენ და არც მე მინდოდა მათთან. ჯარმა ყველაფერი შეცვალა. იქ ყველა ერთნაირები ვიყავით. ეს ძალიან დამეხმარა.

მაიას ტანსაცმელი საინტერესო და პრაქტიკულია; იაპონური ქსოვილებისა და უჩვეულო თარგის კომბინაციის წყალობით, მაიას შექმნილი სამოსი ინტელექტუალებს, არტისტებსა და, უბრალოდ, თელ-ავივის ფერად ადამიანებს ერთნაირად იზიდავს.

დიზაინერობა როგორ გადაწყვიტეთ?

ჩემი მშობლები, რომლებსაც არსებობის მძიმე ტვირთი აწვათ მხრებზე, სულ იმას მეუბნებოდნენ თავიდანვე, რომ აუცილებლად ისეთი პროფესია უნდა შევარჩიო, რომელიც გარანტირებულად მომცემს კარგ შემოსავალს. მაშინ ყველაზე დიდი მოთხოვნილება პროგრამისტებზე იყო და მეც ვწვალობდი, ვცდილობდი, მათემატიკა ამომექაჩა, მაგრამ

არაფერი გამომდიოდა... ახლა ვხვდები, რომ ეს იმდენად არ იყო ჩემი, რომ შინაგანად ვეწინააღმდეგებოდი და იმიტომ ვერ ვსწავლობდი.

მერე ისე მოხდა, რომ ჩემი ბოიფრენდი, რომელიც კარგი პროგრამისტი იყო, მაღალანაზღაურებად სამსახურში მიიღეს. მან მითხრა: „რატომ წვალობ, იქნებ სხვა რამე სცადო... სინამდვილეში რის გაკეთება გინდა?“ ეს იყო ყველაზე კარგი კითხვა.

დავფიქრდი და მივხვდი, რომ ძალიან მინდოდა რაღაც, რაც ხატვასთან იყო დაკავშირებული. სულ მომწონდა ხატვა, მაგრამ ამას განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვაქცევდი. სასწრაფოდ შევიტანე საბუთები რამდენიმე სასწავლებელში და, ჩემდა გასაკვირად, მიმიღეს, დიდი კონკურსის მიუხედავად. ეს იყო საოცარი სიხარული და ბედნიერება. როგორც იქნა, ვიპოვე ის, რის კეთებაც მინდოდა.

რამდენად ადვილია საკუთარი ბრენდის მართვა ისრაელში და ვინ არიან თქვენი კლიენტები?

ისრაელში ქსოვილების წარმოება დაიხურა – სამწუხაროდ, აქ არცერთი ქსოვილების ფაბრიკა აღარ მუშაობს, ამიტომ ყველაფერი იაპონიიდან შემომაქვს. მოდის ინდუსტრიაც არ არის ძალიან განვითარებული – მოდის კვირეული ეწყობა, მაგრამ სპონსორების მოძიება უჭირთ. ჩვენს ქვეყანას სხვა პრიორიტეტები აქვს. პროდუქტის წარმოება საკმაოდ ძვირი ჯდება, მსყიდველობითი უნარი კი ყველას მაღალი არ აქვს, ამიტომ ვცდილობ, გარკვეულ ფასობრივ კატეგორიაში დავრჩე (მაიას მაღაზიაში ტანსაცმელი 300-იდან 1500 დოლარამდე ღირს).

ჩემთან ყველა ასაკის კლიენტები მოდიან: ესენი არიან 50-ს მიღწეული ქალები, რომლებიც ძალიან მიყვარს, ვინაიდან ამ დროს ქალები ყველაზე უკეთ იცნობენ საკუთარ თავს, საკუთარ სხეულს და კომფორტში არიან საკუთარ „მე“-სთან; თუ ერთ შარვალს მიაგნებენ, რომელიც უხდებათ,

ჩემი ტანსაცმელი, უპირველეს ყოვლისა, კომფორტულია და თან საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანებისთვისაა შექმნილი.

ისრაელში ძალიან კარგი დიზაინის სკოლები გვაქვს და, შესაბამისად, მშვენიერი განათლების მიღებაა შესაძლებელი.

ამ ქვეყანაში ბევრია ასეთი ადამიანი, რომელიც საკუთარ თავში რამდენიმე ენას, რამდენიმე ქვეყნის კულტურას ატარებს. ახალი თაობა კი, რომელიც ისრაელში დაიბადა და გაიზარდა, სულ სხვანაირად ხედავს სამყაროს.

სასწრაფოდ ხუთს იყიდიან სხვადასხვა ფერში (იცინის). ასევე საინტერესოები არიან ახალგაზრდა მამაკაცები, რომლებიც თავიანთი როლერებით მოგორდებიან ხოლმე და უცებ იღებენ გადაწყვეტილებას. ჩემი ტანსაცმელი, უპირველეს ყოვლისა, კომფორტულია და თან საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანებისთვისაა შექმნილი.

თელ-ავივში ძალიან საინტერესო ადამიანები ცხოვრობენ. ხშირად ამბობენ, რომ არის თელ-ავივი და დანარჩენი ისრაელი. მაგალითად, იერუსალიმი კიდევ ცალკე ქვეყანაა, სადაც ყველაფერი რწმენასა და რელიგიურ კონფესიებზეა აწყობილი, აქ კი ყველა ისე ცხოვრობს, თითქოს რელიგია საერთოდ არ არსებობდეს. ეს ცოტა უტოპიურია, მაგრამ სწორედ ეს მომწონს თელ-ავივში.

თქვენი ბრენდი როგორ შექმენით?

როცა სწავლა დავამთავრე, ერთ დიდ კომპანიაში მოვხვდი გასაუბრებაზე. ბრიტანული ფირმა იყო, რომელიც სტამბოლში კერავდა ტანსაცმელს და მერე მთელ მსოფლიოში გზავნიდა. სხარტი გონება და ბევრი მუშაობა იყო საჭირო. მიმიღეს და მეც, ბედნიერი, სტამბოლში გავემგზავრე. ძალიან მომწონდა ეს საქმე. იქ აღმოვაჩინე, რომ დღეში 100 იდეის ჩახატვა ჩემი უპირატესობაა. ფულსაც კარგად მიხდიდნენ და გარკვეული პერიოდი მეგონა, რომ ეს არის, რის კეთებაც მინდა, მაგრამ როცა დრო მოვიდა და მუდმივი კონტრაქტი შემომთავაზეს, ხელი არ მოვაწერე და ისრაელში დავბრუნდი.

ეს ძალიან სპონტანური გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ვიცოდი, რომ რაღაც გამომივიდოდა. ჩამოვედი, დავჯექი და რამდენიმე მაისური შევკერე. ყველაფერი ჩემი ხელით გავაკეთე, თავიდან ბოლომდე. ჩავიცვი ეს ჩემი მაისური და ერთ თელავივურ ცნობილ კაფეში წავედი, სადაც ყველა იკრიბებოდა და კარგი მაღაზიის ბაიერებიც დადიოდნენ. იმ საღამოსვე შემიკვეთეს მაისურები. გახარებული გამოვვარდი და კერვა დავიწყე, შეკვეთები კი მოდიოდა და მოდიოდა... ასე დავიწყე ჩემი საკუთარი ბრენდის შექმნა. დღეს 8 თანამშრომელი მყავს და ერთ-ერთი დედაჩემია, რომლიც ქსოვს და ძალიან მეხმარება.

საერთოდ, ისრაელში რა დამოკიდებულება აქვთ მოდასთან?

ისრაელში ძალიან კარგი დიზაინის სკოლები გვაქვს და, შესაბამისად, მშვენიერი განათლების მიღებაა შესაძლებელი. უბრალოდ, რა თქმა უნდა, ჩვენს პატარა ქვეყანაში ბიზნესის კეთება არც ისე ადვილია, თუმცა არიან დიზაინერები, რომლებიც არ ცხოვრობენ ისრაელში და დიდ წარმატებას მიაღწიეს. ბევრი ასეთი დიზაინერია საიუველირო სფეროში.

ძალიან მიხარია, რომ ორი კულტურის მატარებელი ვარ: საბჭოთა ბავშვობა, რომელიც აქ ჩამოსვლისას ასე მიმწარებდა სიცოცხლეს, ახლა მეხმარება. ამ ქვეყანაში ბევრია ასეთი ადამიანი, რომელიც საკუთარ თავში რამდენიმე ენას, რამდენიმე ქვეყნის კულტურას ატარებს. ახალი თაობა კი, რომელიც ისრაელში დაიბადა და გაიზარდა, სულ სხვანაირად ხედავს სამყაროს. ყველაფერი იცვლება. ჩვენი უბანიც ისეთი ძვირი გახდა, რომ ბევრმა პატარა მაღაზიამ დატოვა აქაურობა, მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით აქ ვართ და ვმუშაობთ. მუშაობის და ბრძოლის გარეშე არაფერი გამოდის.

Barzilai st 5, Tel Aviv-Yafo; www.mayabash.com

თელ-ავივში ძალიან საინტერესო ადამიანები ცხოვრობენ. ხშირად ამბობენ, რომ არის თელ-ავივი და დანარჩენი ისრაელი. აქ ყველა ისე ცხოვრობს, თითქოს რელიგია საერთოდ არ არსებობდეს. ეს ცოტა უტოპიურია, მაგრამ სწორედ ეს მომწონს თელ-ავივში.

ჯანმრთელობის ტურიზმი

სალომე დადუნაშვილი

ისრაელი ერთ-ერთი ყველაზე **პოპულარული** მიმართულებაა **სამედიცინო ტურიზმის** თვალსაზრისით. ამის შესახებ არაერთი სტატისტიკური **მონაცემი** არსებობს და ისრაელის **სამედიცინო დაწესებულებებიც**, ტრადიციულად, **საუკეთესოთა** შორისაა მოხსენიებული.

ყოველწლიურად გამოქვეყნებულ კვლევებში ისრაელი, სამედიცინო ტურიზმით ცნობილ ტოპ 25 ქვეყანას შორის, ამ ბოლოს დროს ინდექსით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

ამ ფაქტს, უახლესი ტექნოლოგიებისა და მაღალი ხარისხის სამედიცინო სერვისის გარდა, ისიც განაპირობებს, რომ ისრაელი ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტების გადარჩენის მაჩვენებლით ასევე პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

ისრაელის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაცემებით, კიბოთი დაავადებული 100 პაციენტი მამაკაციდან 61 და 100 პაციენტი ქალიდან 67 განკურნებიდან 5 წლის გასვლის შემდეგაც აგრძელებენ სრულფასოვან სიცოცხლეს.

ამ სტატისტიკური მონაცემების მთავარი პირობა ადრეულ სტადიაზე დაავადების გამოვლენა და უახლესი ტექნოლოგიებით მკურნალობის ხელმისაწვდომობაა.

მეცნიერი **რონ აფტე** ონკოლოგიურ დაავადებებზე მიმდინარე კვლევების ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტია ისრაელში. მისმა კვლევებმა ადამიანის იმუნური სისტემისა და კიბოს უჯრედების ინტერაქციაზე ონკოლოგიურ დაავადებებთან ბრძოლის ახალ მიმართულებას ჩაუყარა საფუძველი. კვლევა გრძელდება, მაგრამ უკვე გაირკვა არაერთი ფაქტი კიბოს უჯრედის ქცევის შესახებ ადამიანის ორგანიზმში, რომელსაც შესაძლოა გადამწყვეტი როლი ჰქონდეს დაავადებასთან ბრძოლისას და აქამდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ამ საკითხებზე მედიცინის დოქტორთან, ბენ გურიონის უნივერსიტეტის პროფესორ რონ აფტესთან ვისაუბრეთ:

ბატონო რონ, ისრაელი ძალიან ახალგაზრდა სახელმწიფოა, მაგრამ სამედიცინო მომსახურებისთვის აქ ადამიანები მთელი მსოფლიოდან ჩამოდიან. რით აიხსნება ის, რომ თქვენს ქვეყანაში მედიცინის ესოდენ მაღალი დონეა?

ისრაელი მედიცინამრამდენჯერმეგადაარჩინა, მოგეხსენებათ, რომ ჩვენს ქვეყანაში იმიგრაციის რამდენიმე ტალღა იყო. პირველ ტალღას, ძირითადად, ინტელიგენცია წარმოადგენდა. მათ შორის ძალიან ბევრი ექიმი იყო, ამიტომაც პირველ ეტაპზე ქვეყანას ძალიან მნიშვნელოვანი სამედიცინო ბაზა ჰქონდა.

შემდეგ და შემდეგ, ცხადია, გაცილებით მეტი ადამიანი ჩამოვიდა ისრაელში და ექიმების რაოდენობა, რაღაც ეტაპზე, საკმარისი აღარ აღმოჩნდა. დიდი როლი ითამაშეს საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულმა ექიმებმა. ეს იმიგრაციის ერთ-ერთი ბოლო ტალღა იყო და მაშინ მას ძალიან ბევრი კარგი ექიმი ჩამოჰყვა. ისინი საბჭოთა სკოლის წარმომადგენლები იყვნენ, რომელიც თავად გერმანულ სკოლას ეფუძნებოდა. ისრაელში კი ბრიტანული სისტემა გვაქვს და ყველას მოუხდა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარება, რაც ადვილი არ არის.

ახლა უამრავი ადამიანი ჩამოდის მთელი მსოფლიოდან ისრაელში სამკურნალოდ, მათ შორის ძალიან ბევრი ებრაელიც არის. ალბათ იცით, რომ იმ წუთიდან, რაც ებრაელი ისრაელის მიწაზე დადგამს ფეხს, ის ისრაელის მოქალაქის უფლებებით სარგებლობს, მათთვის კი სამედიცინო მომსახურება თითქმის უფასოა, ამიტომ ამით ბევრი სარგებლობს. გარდა ამისა, ისრაელში არაერთი ძალიან მაღალი დონის კლინიკაა, სადაც საუკეთესო ხარისხის მომსახურებას გიწევენ. ეს სერვისი გაცილებით უფრო იაფია, ვიდრე გერმანიაში ან ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებული სამედიცინო სერვისი.

ისრაელი უახლეს სამედიცინო ტექნოლოგიას საზღვარგარეთ ყიდულობს. მოგეხსენებათ, ეს არ არის იაფი, ამიტომ ბევრი ქვეყანა, თავისი ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ამას ვერ ახერხებს. ისრაელიც არ არის ძალიან მდიდარი ქვეყანა, მაგრამ ჩვენ აქ პრიორიტეტები გვაქვს და ჯანდაცვის სფეროც პრიორიტეტულია.

თქვენ ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი ხართ ონკოლოგიური დაავადებების სფეროში, თქვენი კვლევები ძალზე ინოვაციურია. გვიამბეთ მათ შესახებ.

ბევრ გამოკვლევებს ბენ გურიონის უნივერსიტეტში ვაწარმოებ. მათი მთავარი თემაა ადამიანის იმუნური სისტემისა და კიბოს უჯრედების ინტერაქცია. ეს კვლევა, თავისთავად, სიახლე იყო. ყველა სწავლობდა ონკოლოგიურ დაავადებებს მხოლოდ დაავადებული უჯრედის განადგურების მხრივ.

ჩვენ დავსვით კითხვა, რომელიც მანამდე არ დასმულა: რატომ არ ებრძვის ჩვენი იმუნური სისტემა კიბოს უჯრედს? ცნობილია, რომ იმუნური სისტემა ებრძვის უცხო სხეულებს, ვირუსებს, ბაქტერიებს. მიუხედავად იმისა, რომ კიბოს უჯრედები თავად სხეულშივე არიან წარმოქმნილნი, ისინი გენეტიკურ სახეცვლილებას განიცდიან და, ლოგიკურად, იმუნურმა სისტემამ ისინი უნდა ამოიცნოს, როგორც უცხო სხეული, თუმცა ასე არ ხდება.

ამ კვლევამ უამრავ აღმოჩენასთან მიგვიყვანა. გაირკვა, რომ კიბოს უჯრედი, რომელიც ისედაც აღიარებულია „ყველაზე ჭკვიან“ უჯრედად, ქიმიური რეაქციების მეშვეობით „ატყუებს“, შეცდომაში შეჰყავს იმუნური სისტემა. ის უჯრედები, რომლებიც დაავადებულ უჯრედს უნდა ებრძოდნენ, მას ემსახურებიან და კვებავენ კიდეც. მთავარი ამოცანა იმუნური სისტემის ამ „შეცდომის“ გამოსწორება გახდა.

დღეს არსებული ყველა თერაპია დაავადებულ უჯრედს ებრძვის; იქნება ეს დასხივება თუ ქიმიოთერაპია, მისი მიზანი დაავადებული უჯრედის მოსპობა ან ლოკალიზაციაა. დღეისათვის ყველა ჩვენს გამოკვლევას ამერიკული მხარე აფინანსებს და მიღწეული შედეგებითაც ის სარგებლობს. უკვე საკმაოდ დიდ წარმატებებს მივაღწიეთ ადამიანის იმუნური სისტემის „გამოღვიძების“ მცდელობაში.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ონკოლოგიური დაავადებები ერთგვაროვანი არ არის, კიბოს უამრავი სახეობა არსებობს. თავისთავად, ეს სიმსივნური წარმონაქმნია, რომელიც რომელიმე ორგანოზე ვითარდება. საქმე ისაა, რომ დაავადებული უჯრედები ჯანმრთელ ქსოვილებში ვითარდებიან და ყველა პრივილეგიით სარგებლობენ, იღებენ ჟანგბადსა და საკვებ ნივთიერებებს. მათ ეს ზრდისა და პროლიფერაციისთვის (გამრავლებისთვის) სჭირდებათ.

ვინაიდან, როგორც მოგახსენეთ, ყველა ონკოლოგიური დაავადება ერთმანეთისგან განსხვავდება, მათი მკურნალობის მეთოდები და მიღწეული ეფექტიც სხვადასხვაა. შეიძლება ერთი სახეობის ონკოლოგიური დაავადების მკურნალობაში დიდ წარმატებას მივაღწიოთ გარკვეული მეთოდიკით და ამ მეთოდმა იგივე შედეგი სხვა მიმართულებით არ მოგვცეს, ამიტომ იმუნური სისტემის ჩართვა დაავადებულ უჯრედებთან ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი საკითხია. ისრაელში ონკოლოგიური დაავადებების საკმაოდ მაღალი რიცხვი ფიქსირდება, თუმცა ასევე მაღალია განკურნებულთა და სრულიად გამოჯანმრთელებულთა რიცხვიც.

აქ, ისრაელში ყველაზე დიდი მტერი მზეა. არავინ გადის სახლიდან დამცავი კრემის გარეშე. მზის აქტიურობა კანის კიბოს მაღალ სტატისტიკურ მაჩვენებელს განაპირობებს ისრაელში, მაგრამ დროულად გამოვლენა და პროფილაქტიკური კვლევები გვეხმარება, რომ დაავადება დასაწყისშივე აღმოვაჩინოთ. ეს ამ დაავადების დროს ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტია.

რა სახის სერვისებს სთავაზობს ისრაელის მედიცინა აქ მკურნალობის მსურველებს?

ინფორმაციაში, არ არსებობს დაავადება, რომლის გამოკვლევა და მკურნალობაც არ არის შესაძლებელი ისრაელში. ცხადია, ინტერესის ერთ-ერთი მთავარი სფერო ონკოლოგიური დაავადებებია, ამ მხრივ უკვე დიდი გამოცდილება დაგვიგროვდა. ისრაელში არაერთი უმაღლესი დონის კლინიკა მოქმედებს, რომელიც ყველა სახის მომსახურებას სთავაზობს პაციენტებს. მკურნალობა არამოქალაქეებისთვის, ცხადია, ფასიანია, მაგრამ სერვისიც ძალიან მაღალი დონისაა. გარდა ამისა, არის ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების გზით წასვლის საშუალებებიც.

ბევრი აქ მხოლოდ დიაგნოსტიკისთვის ჩამოდის და მკურნალობას სამშობლოში განაგრძობს. უმაღლესი დონის აპარატურა და სამედიცინო პერსონალი მათ განკარგულებაშია. ისრაელში სამედიცინო საქმე დიდი ბიზნესია და, მოგეხსენებათ, როცა საქმე დიდძალ ფულს ეხება, ყველაფერი საუკეთესო ხარისხის უნდა იყოს – ექიმიც, აპარატურაც და მომსახურებაც. ეს ასეცაა, ხშირად ფასიან კლინიკებში ხელმისწვდომია ისეთი სერვისები, რომლებიც სხვა საავადმყოფოებში არ არის.

მკვდარი ზღვა

წყალი ძალიან მარილიანია (33.7%) და, ფაქტობრივად, მთელ მენდელეევის სისტემას შეიცავს, რაც უამრავ სამკურნალო თვისებას ანიჭებს მას. კლდიანი და გაუდაბნოებული ზღვის სანაპიროს გასწვრივ სელენით და სამკურნალო ტალახით მდიდარი თერმული წყაროებია.

მკვდარი ზღვა ბუნების უნიკალური ქმნილებაა. მის წყლებში არანაირი სულიერი არსება არ ბინადრობს, ამიტომაც ჰქვია მას მკვდარი: მაღალმა ტემპერატურამ და დაბალმა ტენიანობამ წყალში მარილის მაღალი კონცენტრაცია გამოიწვია და სიცოცხლისათვის გამოუსადეგარი პირობები შექმნა.

მკვდარი ზღვა წარმოადგენს ხმელეთის ყველაზე ღრმა ადგილს დედამიწაზე, რომლის წყლის დონე ზღვის დონიდან 405 მ-ზე დაბლა მდებარეობს. ამ ადგილების სამკურნალო თვისებები ადამიანებისთვის მრავალი ათასწლეულის მანძილზე იყო ცნობილი და, გადმოცემის თანახმად, თვით დედოფალი კლეოპატრაც კი სარგებლობდა მათი სიკეთით. ზღვის სანაპირო თავად წარმოადგენს არქეოლოგიურ მუზეუმს ღია ცის ქვეშ. ბიბლიის თანახმად, აქ გარკვეული დრო დაყვეს ლეგენდარულმა მეფე დავითმა და თავად იესო ქრისტემაც. აქ მდებარეობდა სოდომი და გომორაც.

მკვდარ ზღვაზე ათზე მეტი პლაჟია და მათი უმეტესობა საზოგადოებრივია. ძირითადად, ისინი თავმოყრილია ეინ ბოკეკის და ჰამეი-ზოჰარის რაიონებში. ის, ვინც აქტიურად ისვენებს, ეინ გედის ოაზისს ირჩევს.

მზის სხივებს აქ, პრაქტიკულად, გამოცლილი აქვს უარყოფითი კომპონენტი და მშვიდად შეგიძლიათ მზეზე დღეში 8 საათი გაატაროთ; ზღვაში ცურვა კი 2, მაქსიმუმ 3 საათის განმავლობაშია რეკომენდებული, თანაც ერთ ჩასვლაზე წყალში 20 წუთზე მეტხანს არ უნდა გაჩერდეთ. შხაპის მიღება რეკომენდებულია ბანაობის შემდეგ ყოველ ჯერზე. მკვდარ ზღვაში არ უნდა ჩაყვინთოთ და სველი ხელები თვალებზე არ მოისვათ, ძალიან მარილიანი წყალი თვალებში მოხვედრისას ძლიერ წვას იწვევს.

საშუალო ტემპერატურა (°C)			
	დღე	ღამე	წყალი
იანვარი	+20	+11	+20
თებერვალი	+22	+13	+18
მარტი	+25	+16	+21
აპრილი	+29	+20	+24
მაისი	+34	+24	+30
ივნისი	+37	+27	+32
ივლისი	+39	+28	+35
აგვისტო	+38	+29	+35
სექტემბერი	+37	+27	+33
ოქტომბერი	+32	+24	+31
ნოემბერი	+27	+18	+25
დეკემბერი	+22	+13	+22

მთელ მსოფლიოში ცნობილია მკვდარი ზღვის შავი ტალახი, რომელიც ფართოდ გამოიყენება მედიცინასა და კოსმეტოლოგიაში მრავალგვარი ნიღბებისათვის, ბალზამებსა და კრემებში.

მზისგან ყველაზე უფრო დაშორებულ ამ ადგილას მზის სხივები იფილტრება დამატებითი ჰაერის ფენის გამო და უარყოფით თვისებებს კარგავს, ამიტომაც კანის დაავადებების მქონე ადამიანებიც უსაფრთხოდ ირუჯებიან მზეზე. ჰაერი მკვდარი ზღვის სანაპიროზე ძალიან მშრალია და არ აქვს ალერგიული მინარევები, ამიტომაც დადებითად მოქმედებს ბრონქებსა და ფილტვებზე.

ეინ გედი (EIN GEDI) უნიკალური ოაზისი-ნაკრძალია, რომელიც იუდეის უდაბნოში, მკვდარი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობს.

ეინ გედიში სტუმრობისათვის საუკეთესო დრო შემოდგომაა: ამ დროს ამინდი არაჩვეულებრივია იუდეის უდაბნოს ულამაზესი პეიზაჟების დასათვალიერებლად.

ეინ გედის ტერიტორიაზე დასახლება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 7 საუკუნით ადრე არსებობდა. ის იყო სხვა ქვეყნებისათვის ლეღვის, ყურძნის, ღვინის, სანელებლებისა და იშვიათი სახეობის ბალზამების მნიშვნელოვანი მიმწოდებელი.

ეინ გედის კიბუცის ტერიტორიაზე მკვდარი ზღვის მარილსა და მინერალებზე დამზადებული „აჰავას" ბრენდის კოსმეტიკის ფაბრიკაა, ის საუკეთესო ადგილად ითვლება ტანის თუ სახის კანის მოვლის საშუალებების შესაძენად.

კიბუცი 1953 წელს დაარსდა. ეინ გედის სასოფლო-სამეურნეო კომუნაში არა მხოლოდ ფინიკები იზრდება, არამედ მინერალური წყალიც იწარმოება, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ 3000 წლის წინათ იყო ცნობილი; ეინ გედის ეკუთვნის სამედიცინო კომპლექსი მკვდარი ზღვის სანაპიროზე, გოგირდის წყლის აბაზანებითა და პლაჟით.

ტურის დროს დაგჭირდებათ თავსაბურავი, მზისგან დამცავი კრემი, სასმელი წყალი, საცურაო კოსტიუმი, პირსახოცი, კომფორტული ფეხსაცმელი ჰლაჟისთვის და ქალაქში სასიარულოდ.

ისრაელის **გამაჯანსაღებელ ცენტრებში,** მკურნალობის გარდა, არაჩვეულებრივი დასვენება და განტვირთვაც შეგიძლიათ.
საკურორტო-გამაჯანსაღებელი ცენტრების უმრავლესობა თავმოყრილია კინერეტის ტბის და მკვდარი ზღვის ირგვლივ. დამსვენებლებს შესაძლებლობა აქვთ, ჩაიტარონ ჰოლისტიკური პროცედურები, რომლებიც თანამედროვე ევროპული და ნატურალური აღმოსავლური მედიცინის საფუძვლებს ემყარება.

VOYAGER რეკომენდაცია

თუ მკვდარ ზღვაზე რამდენიმე დღით დარჩენას გადაწყვეტთ, გირჩევთ, დაბინავდეთ EIN GEDI KIBBUTZ HOTEL-ში, რომელიც მკვდარი ზღვის მახლობლად მდებარეობს. ეს სასტუმრო ტურისტებს უნიკალურ შანსს აძლევს, დაისვენონ ნამდვილ ოაზისში, ულამაზესი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე. ის ძალიან ახლოსაა მკვდარ ზღვასთან და სტუმრებს შეუძლიათ ისარგებლონ პირდაპირი გასასვლელით სანაპიროზე.

სასტუმროს ოთახებიდან მრავალგვარი ნაკადულების, მთების, უდაბნოებისა და ტბის გასაოცარი ხედები იშლება. ამ ადგილიდან იერუსალიმი ერთი საათის სავალზეა.

ნომრის ღირებულება: 150 $-იდან.

მკვდარ ზღვაზე ათზე მეტი დერმატოლოგიური სამკურნალო დაწესებულებაა, სადაც წარმატებით კურნავენ კანის დაავადებებს, ართროპათიას და ქრონიკულ ართრიტებს. მკვდარი ზღვის ჟანგბადით გაჯერებული ჰაერი სასუნთქ გზებს მკურნალობს, მაღალი ატმოსფერული წნევა კი ჰიპერტონიით დაავადებულებს არტერიულ წნევას დაბლა უწევს. უამრავი პაციენტი ჩადის ნევროლოგიური დაავადებების სამკურნალოდ. აქ შემოგთავაზებენ გამაჯანსაღებელ პროცედურებს ტალახის აბაზანებითა და შეხვევებს შავი თიხით.

ადგილი, საიდანაც დაიწყო სამყარო

მეორე ტაძრის მაკეტი ისრაელის მუზეუმში

აკა მორჩილაძე

რა ლამაზია ეგ ქალაქი, არაფერს არ ჰგავს. ხალხიც სულ სხვანაირია, ვიდრე სადმე. ხასიათითაც, რაღაც, წინ გახედული მზერით. საოცარი სანახავები არიან. ასე უბრალოდ და გასაგებად დაახასიათა იერუსალიმი იქ გავლით მყოფმა ერთმა მწერალმა.

ამ დახასიათებაში არ იყო არაფერი, რითაც, ჩვეულებრივ, ახასიათებენ იერუსალიმს: სამი დიადი რელიგიის წმინდა და დღემდე სადავო შესაყარი, სადაც ერთმანეთის სიწმინდეები ყოველთვის ხელიდან ხელში გადადიოდა და სადაც ეძიებდნენ და ხედავდნენ ცოცხალ ღმერთს.

სამყაროში ცოტამ თუ არ იცის, რომ ეს არის ადგილი, ხელდებული დავით მეფსალმუნის მიერ და ნაშენები სოლომონ ბრძენის მიერ. ეს არის ადგილი, სადაც ყველა მოვიდა, სადაც ყველა მოდის და ყველას სამუდამოდ უნდა ყოფნა, რადგან ღმერთი სწორედ აქ არის. ამ ქალაქში ლოცვა ხილული ხდება და ადამიანი აღმოაჩენს, რომ ის, რასაც ცათა შინა ეძებდა, აქვე, ხმელეთზე ყოფილა, ელეონს, სიონსა და გოლგოთას შორის.

იერუსალიმი არის ქალაქი, რომლისთვისაც ისე იბრძოდნენ და იბრძვიან, როგორც დედამიწაზე ნაპოვნი სამოთხისათვის და სამოთხისთვის კი უკან არავინ იხევს ხოლმე, თუნდ ასი ჯოჯოხეთი ჰქონდეს გასავლელი.

ის, რასაც ჩვენ იერუსალიმს ვუწოდებთ, დღევანდელი მსოფლიო სატურისტო გაგებით ძველი იერუსალიმია ანუ ძველი ქალაქი, სადაც ყველაფერი ძალიან ახლოა ერთმანეთთან და სადაც იქ რამდენიმე დღით მყოფ ადამიანს ხშირად სურათების მწკრივის მიდევნებაც კი უჭირს, მათი აურაცხელობის და შთამბეჭდავობის გამო და იქიდან უფრო მოჰყვება ხოლმე ერთადერთი და უკიდეგანო სიტყვა – „ღმერთი“, რაც ალბათ იერუსალიმის უპირველესი სახელია.

იერუსალიმში ხედავ, რომ ბაბილონის გოდოლი მართლაც არსებულა და რომ ადამიანები ერთად ვერასდროს იქნებიან, მაგრამ ისინი შეიძლება იყვნენ გვერდიგვერდ, რაც ალბათ ძალიან დიდ ძალისხმევას და ასჯერ მეტ სიკეთეს მოითხოვს.

იერუსალიმში ყველგან არის ღმერთი და ყველგან არიან ადამიანები. სალადინის დროებიდან მოყოლებული, უფლის საფლავის ტაძრის გასაღები ერთ მუსლიმ ოჯახს აბარია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქრისტიანები ერთმანეთში ვერ მორიგდნენ და დიდმა სულთანმა, რომელთანაც თამარსაც ჰქონია ურთიერთობა სწორედ იერუსალიმის გამო, შუაკაცობის აუცილებლობა დაინახა.

იერუსალიმი ყველასია. ყველას მიაჩნია, რომ ამ ქალაქის ნაწილი მასაც ეკუთვნის. რადგან ღმერთი ყველასია, იერუსალიმიც ყველასია, მაგრამ მიწაზე ცხოვრება და მოძმედება ისე გამოიყვანს ხოლმე, რომ იერუსალიმი გრძოლის ადგილი ხდება და თუ ზოგს იქ რაღაც ყოველთვის აქვს, სხვანი იბრძვიან, რომ ჰქონდეთ.

ამ ბრძოლაში მეტნაკლებობაც არსებობს. ზოგი მხოლოდ იმ მცირე ნაწილისთვის იბრძვის, რომელიც ღმერთისკენ მიმავალ ბილიკად უჩანს, ზოგი იმას იცავს, რაც ოდითგანვე მოუპოვებია ამ ქალაქში, ზოგისთვის კი ის ერთადერთი სამშობლოა და არ ძალუძს, რომ მასზე, როგორც სხვათა მონაწილეობით არსებულ ალაგზე, ისე იფიქროს.

იერუსალიმი ერთია. პირველი რომი, მეორე რომი, მესამე რომი. ახალი იორკი, ძველი იორკი, აქეთა ქარტახენა, იქითა ქარტახენა და სხვა რამ უამრავი იერუსალიმის მემთხვევაში არ არსებობს. ის ერთია და ისეთი, როგორიც არაფერი. აქ და ახლა. ახლა და მარად. სხვა მიდგომა წარმოუდგენელია.

ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ მეტად გავრცელებული უბრალო სუვენირი – კედლის ნამტვრევი დღესაც აურაცხელი ოდენობით იყიდება „ჩეკპოინტ ჩარლის“ სიახლოვეს. რაღაც ასეთი, მაგრამ დღევანდელი ცხოვრების უბრალო სუვენირობას მოშორებული ხდება იერუსალიმში.

ასე გამოდის, რომ ყველას, ვისაც ღმერთზე უფიქრია, სურს იერუსალიმის ნამტვრევი, რაღაც ანდამატი ჰქონდეს გულში. ყველა ასეთ ადამიანს თავისი იერუსალიმი აქვს, ხოლო ყველა რწმენას – თავისი სიწმინდე, რომლის სათავეც იერუსალიმში ძევს.

საერთოდ, ეს წარმოუდგენელი ამბავია. გოლგოთა არის ადგილი, სადაც სამოთხიდან გამოძევებული ადამი ცხოვრობდა. საბჭოთა კედლის ნამტვრევების დღემდე არსებობა ღიმილის მომგვრელია.

იერუსალიმში ბოძებზე აღნიშნულია ყოველი მეხი, ყოველი რისხვა, ყოველი გაფრთხილება. იქ გოდების კედელს ეჩურჩულებიან, იმის გადაღმა კი არის ალაქსა და კლდის გუმბათი. ჩვენ აქ ვიხსენებთ, რომ 14-ჯერ შევდგებით გოლგოთისკენ

მიმავალ გზაზე და, ამ ქალაქის ვითარებიდან გამომდინარე, აუცილებლად დავურთავთ, რომ ამ შედგომათაგან 9 – მუსლიმთა უბანშია, საიდანაც იწყება ვია დოლოროზა და 5 კი – ქრისტიანულში. სხვაგან რამდენად დათვლიან ასე, უცნობია. იერუსალიმში კი ეს ყველაფერი დათვლილია და დახაზულია. დახაზულია ბიზანტიელთა პირველ დროებიდან და მერე კიდევ – XII საუკუნიდან, როცა დონ რიკლადო დე მონტეკრორემ პირველმა დაადგინა გოლგოთისკენ სვლის ახლა არსებული გეზი.

იერუსალიმს კი ანგრევდნენ, უმოწყალოდ ნანგრევი და ნაომარია. დაანგრიეს პირველი ტაძარი, დაანგრიეს მეორე ტაძარი. მერე რომაელებმა საერთოდაც თავისებურად გადახნეს, რაც საბოლოოდ მხოლოდ ერთი ფურცელი გამოდგა ქალაქის ისტორიაში, რადგან მისი ელია კაპიტოლინად გარდასახვა მეტად მცირე რამედ გამოჩნდა. კი, ისტორიის ამ ფურცელზე იუდეველთა ცხელი გული პროვინციულ რომაულ ქალაქად უნდა გადაქცეულიყო. ერთი ხანობა იმპერატორი ადრიანე II ტაძრის აღდგენას ფიქრობდა, რაღაც კეთილგანწყობის ნიშნად, მაგრამ არ ურჩიეს: იუდეველებისთვის ეს ტაძარი აჯანყების უპირველესი მიზეზი იქნებაო. აჯანყება მაინც დაიწყო, მეორე ომიც. იერუსალიმის ისტორია უსასრულოა; უსასრულო და ღრმა, უტევი და დიდი.

დღეს იერუსალიმი ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქია. ასე მიიჩნევს ისრაელის სახელმწიფო და გამოცხადებულიც ასე აქვს წარმოქმნის პირველ დროების, პირველი ომების დროიდან. მაგრამ სხვათათვის იერუსალიმი არ არის ებრაელთა სახელმწიფოს დედაქალაქი. სტატუსები, გეგმები, დაყოფები. აღმოსავლეთ იერუსალიმი, დასავლეთის კედელი, გაეროს დადგენილებები, მიდგომები, დამოკიდებულებები და, რა თქმა უნდა, დასავლეთ ნაპირი და პალესტინის ავტონომია.

ჩვენ ჩვენს წილ იერუსალიმს, ეგებ სულ ერთი ციცქნას, ფიზიკურად მთლად დაკარგულს, ერთ პატარა ნამცეცს ვეგლაუჭეგით და იქით კი დგას იერუსალიმის მძლე სამყაროები და ისტორია, რომელიც დაიწყო და დასასრული არ უჩანს.

უკვე რამდენი ათწლეულია, ახალი ამბების სათაურებიდან სამუდამოდ ჩაბეჭდილა გონებაში ასე უბრალოდ და შემაშფოთებლად დასამახსოვრებელი ორი სიტყვა: „ახლო აღმოსავლეთი“; სინამდვილეში კი ადგილი, საიდანაც დაიწყო სამყარო, დღესაც ცეცხლშია გახვეული. ქანაანი, დღესაც დანგრეული ნინევია, რასაც ახლა მოსულს ვეძახით, დანგრეული ჰალები, დამასკო და ქვეყანა იგი ბაბილოვანისა და ათასის გადამტანი იერუსალიმი. უკანასკნელად საზღვრები სხვებმა გაავლეს, დიდმა ევროპელმა მოთამაშეებმა. ეს არ არის ადგილი, სადაც საზღვრები ასე იოლად გაივლება, ბევრის გათვალისწინებით და მაინც სახაზავის დადებით, მით უმეტეს, უცხოთა მიერ. ამას არასდროს არავინ დაეთანხმება. სახაზავი კი იერუსალიმში იციან, რაც არის. ოდესღაც ქრისტიანებმა სწორედ სახაზავი დადეს ჯვარცმისას გახლეჩილ გოლგოთის ქვის საძირკველზე, მისით იზომება ნაპრალის მზარდობა და მეორედ მოსვლის სიახლოვე. ისევ აჩვენებს, რომ როგორც ვერ გამთელდება გახლეჩილი ქვა, ისე სამყაროც ვერ შეერთდება.

ქართველებს გვაქვს ჩვენი იერუსალიმი. თავიდანვე გვქონდა. ადრე უფრო ხილული იყო, საკუთარიც, შეენახული და დაცული. როგორც „ვეფხისტყაოსანი“ ჰქონდა საქართველოს და სხვაც რაღაც დასაყრდნობი, ისევე ჰქონდა იერუსალიმი და სანამ შეეძლო და გაძანეგა ჰქონდა, სულ იცავდა მას.

იერუსალიმი ოდითგანვე ისეთი ქალაქი იყო, რომ ხელიდან ხელში გადადიოდა, დიდ იმპერიებს თითქოს რაღაც არც თუ პირველ წერტილად უჩანდათ ჯვაროსნული ლაშქრობების მოლევის შემდეგ, მაგრამ მის განსაკუთრებულობას ყოველთვის ითვალისწინებდნენ. ჰა, თუ ეგვიპტის, ჰა, თუ ოსმალეთის სულთნებს და ხალიფებს, შაჰებს, მერე კი ახლო აღმოსავლეთში ჩამდგარ ევროპულ იმპერიათა მეთაურებს უწევდათ მასზე არა მხოლოდ როგორც სამხედრო-სტრატეგიულ ადგილზე ფიქრი, არამედ როგორც ისეთ ქალაქზეც, რომელიც ყველასია, რომლის ქუჩებსა და შენობებშიც ჯერ კიდევ ქრის მათი ცივილიზაციის სული, რომელიც ეგებ მისგან მოშორებით კი სხვაფერდება, მაგრამ იერუსალიმში კი დგას და დგას და არის ასე.

ჰოდა, ქართველთა ერთ-ერთი საყრდენი თხრობა არის იერუსალიმის ქართულ ალაგთა მუდმივი დაცვისა და დაბრუნების ამბავიც, რომელიც ყველაზე წარმატებულ შემთხვევაში გამოიხატა ფრაზით, საქართველოში ყოველთვის რომ წარმოითქმებოდა ხოლმე, როგორც რაღაც ზედროული, მარადი, სიამაყის შემცველი, დაუნახავი სევდით გაჯერებული სიტყვები: „ჩვენ იერუსალიმში ცხენდაცხენ, გაშლილი დროშებით შევდიოდით“.

იგულისხმებოდა, რომ სხვას არ ჰქონდა ამის უფლება, ან საამისო არ დაემსახურებინა; უფრო პროზაულად რომ ვთქვათ, არ გადაეხადა. ეს ნამდვილი ამბავია. სალადინის და თამარის დროისა. ასე ამბობენ. საქართველომ გადაიხადა, რადგან ჯვაროსანთათვის წართმეული იერუსალიმში ცხენდაცხენ შესვლა მართლაც არ შეიძლებოდა, სასულიერო ნაგებობის პატრონები კი ხშირად ახალი წესებისდა კვალად იცვლებოდნენ, ან ეს საკუთრებისთვის დავა სრულ ქაოსში გადაიზრდებოდა ხოლმე.

ღმერთი ასეთი დავებით იღლება ხოლმე, ამიტომ საქმის მოწესრიგებას უფრო მმართველები ცდილობდნენ. ჩვენი გაშლილი დროშების ამბები შემორჩენილია ევროპულ ნაწერებშიც და არაბულშიც. მაგრამ იერუსალიმი ისეთი ადგილი იყო, რომ იქ შენსას განუწყვეტლივ დაცვა და მოვლა სჭირდებოდა. აქამდე მოატანა მეჯუჯრჯლეთუხუცესი შოთას ფრესკამ და მაინცდამაინც XXI საუკუნეში დაუწყეს ჩხაპნა, თუმცა დღეს უკვე მის ბრელოკებს ყიდიან ფრესკიდან შორიახლოს.

რახან იერუსალიმი ისეთი ადგილიცაა, სადაც ღმერთი შენ გვერდითაა, ამიტომ ადამიანებს ზოგჯერ ჰგონიათ, რომ ღმერთი ადამიანისნაირია. აქაოდა, შეგვქმნა „ხატად თვისადო“. ამიტომ მთელი ამ ჩხაპნების, წარწერების გადაღებვებისა და სხვა პატარა ადამიანური ისტორიების სწორედ საღმრთო მადლით გაჯერებულ გარემოში კეთება იქაურობის ერთ-ერთი მიწიერი ადათია, მაცხოვრის საფლავის ტაძარში დასადგომად ჭიდაობა-თავპირისმტვრევისა არ იყოს.
ქართველები უვლიდნენ თავიანთ იერუსალიმს. ისეც ყოფილა, რომ იერუსალიმის პატრიარქს მოუწერია კახეთის მეფისთვის, ვალები მაქვს და დამეხმარეო. სხვაც უამრავი ყოფილა. მომლოცველობაც დიდი იყო.

არის კიდევ ერთი ამბავი, რაც მოულოდნელიც კია თავისი აუხსნელობით. ესაა განუმეორებელი ამბავი, რომელიც თავისი არსით 300 და მეტი წლით ადრინდელს უნდა ჰგავდეს, ვიდრე იმ დროისას, რომელშიაც თითქოსდა მოხდა. მეისტორიენი, ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი და ერთი სხვაც, რომელმაც უფრო გვიან იერუსალიმის ქართველებისგან მოისმინა ეს ამბავი, თხრობენ, რომ ოსმალთა განთქმულ სულთანს სპარსელებთან საქმე გასჭირვებიაო და სამთა ქართველთა მეფეთათვის უთხოვია, თქვენი გამკვირვებიაო, იერუსალიმი თქვენიც ხოა და იქ კი სხვანი სხედანო.

ეს სულთანი უნდა იყოს სულეიმან კანუნი, რადგან ის ემთხვევა იმ ჩვენს მეფეთა ზეობის წლებს. ამ „სხვათა სხდომაში“ სპარსელები იგულისხმებიან და სულეიმანის შემონათვალმა აღატაცა ყმაწვილი მეფე ლეონ კახეთისა, ჭაბუკი მეფე იმერეთისა ბაგრატ და გიორგი, ძმა დავითისა, სიმონის პაპისა, რომელიც ბერად შემდგარიყო და ტახტი ამ გიორგისთვის გადაელოცა. შეიყარენ ერთად სამივენი ნარჩევი ხალხით და გაატარა ოსმალომ მშვიდობით თავის ქვეყანაზე და მივიდნენ იერუსალიმსაო და იმის კედლებს რომ მიადგნენ, იქედან გადმოუხედავთ და ვინა ხართ, კაცნო, თქვენაო, თუ სტუმრად ხართ, სტუმრისთვის ბევრნი ხართო და თუ მტრად და ჯარად მოხვედით, ცოტანიო და ამაზე ამათ გამოიწვიეს გარეთ, საბრძოლველად.

უნდა ითქვას, რომ ქართველნი ცოტანი არასდროს არიან, განსაკუთრებით ძველ დროს. ეს იყო მომზადებული და ომის ხელობაში ძალიან გარკვეული ხალხი და ამ მზადყოფნაში ხშირად გლეხს და დიდგვაროვანს ვერ გაარჩევდი.

რამდენნი იყვნენ იერუსალიმის კართან? და ნეტავ რომელ კართან? აბა, ვინ იცის და საბოლოოდ ასე დამთავრდაო, რომ კარგად მიანგრიეს ციხიონი, ქალაქშიაც შევიდნენ, კოშკები და კედლები აიღეს, დაიჭირეს ყოველი იერუსალიმი და სულეიმან კანუნთან აფრინეს ამბავი, აქა ვართ, გამოვიხსენით გამოსახსნელიო და მან დაუმტკიცა ქართველთა მთელი ადგილები, მაცხოვრის საფლავი, გოლგოთა და რა აღარ და პირადი საჩუქრებიც არ დააკლოო. დაახლოებით ამ დროისაა ევროპული ჩანაწერი, რომ ქართველებს გოლგოთის მთაც და სხვა ბევრი ადგილიც მტკიცედ უპყრიათ იერუსალიმშიო. ოღონდ, სამწუხარო ეს არის, რომ სამთა მეფეთა ასეთი ლაშქრობა იმ დროს და ისე, როგორც აღწერენ, სრულიად გამორიცხულია. იმ სულეიმან კანუნს იერუსალიმში საბრძოლი არაფერი ჰქონდა, მტკიცედ ეპყრა ქალაქი და სხვაც რაოდენიმე ამბავია, რაც ამ ამბავს აზღაპრებს. საქმე კი ეს არის, რომ ამდენმა შემდგომდროინდელმა მეისტორიემ საიდან მოიტანა ლაშქრობის ამბავი. ეტყობა, რომ რაღაც ისტორია არსებობდა, რომელიც სადმე თუ არ წერებულიყო, გადმოცემით მოსდევდა მაღალ საზოგადოებას.

საიდან გაჩნდა ეს ამბავი, როგორ გაჩნდა, რატომ გაჩნდა? ეგებ ეს სულ სხვა რამის გამოძახილი იყო? სამი ბრძენი აღმოსავლეთიდან, სამი მეფე აღმოსავლეთიდან, ან რაღაც ასეთი. მაგრამ რატომ? ვის რაში დასჭირდა იმ დროის საქართველოში ასეთი ლაშქრობების თხზვა, როცა სინამდვილეში მეფენი გაერთიანებული ლაშქრით სხვა ქვეყნებზე წასვლას კი არა, ერთმანეთთან ვერ არკვევდნენ ურთიერთობას?!

შესაძლოა ეს ერთ-ერთი ქართული ქიმერა იყო, იერუსალიმს მიწვდომის სურვილი, ზღაპარი, რომელმაც იცოცხლა იმიტომ, რომ ის მეტად სასურველი იყო. დიდხანს კი იცოცხლა, ჩვენს დრომდე. საკვირველი კი ეს არის, რომ ქართველ მეფეებს ლაშქრობა არ სჭირდებოდათ, ისინი ისედაც უვლიდნენ იერუსალიმის ქართულ ადგილებს. უჭირდათ თუ ულხინდათ, ფულს და შესაწირ ძვირფასეულობას ყოველთვის გზავნიდნენ იქ. მაგრამ ეს იერუსალიმის გამოხსნის იდეა თუ ლეგენდა ალბათ მართლა მეტად საოცნებო რამეს შეეხო. ძველთა დროთ დიადთა. ხოლო „შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა“.

იერუსალიმი წმინდა ქალაქია. სუნიტთათვის ასეა: მექა, მედინა და ალ აქსა. სამი უდიდესი სიწმინდე. საოცარმა ცხენმა ბურაქმა წაიყვანა შუამავალი მუჰამედი იმ განთქმულ ღამის მგზავრობით შორეული, მთაზე არსებული სალოცავისკენ და მერე კი, როცა შუამავალმა იქ ილოცა, გაიხსნა ცანი და აქედან ავიდა ის სამოთხეში. მუჰამედის აღსრულების შემდეგ, როცა ხალიფა ომარმა იერუსალიმი აიღო, შუამავლის ლოცვათა ადგილას ააგო ალ აქსას მეჩეთი. ქააბამდე იერუსალიმი იყო პირველი ყიბლა მუსლიმთათვის. როცა ისინი მექასა და მედინაში იყვნენ, პირით იერუსალიმისკენ ლოცულობდნენ. მუჰამედის შემდეგ ბევრი მისი თანამრწმენი და თანმხლები იერუსალიმში დასახლდა.

ებრაელთათვის კი იერუსალიმი მათი არსების გულია. ასეა უკვე 30 საუკუნეა. გულს არავის უყოფენ ხოლმე და ამიტომ,

იერუსალიმის ქართულ ალაგთა მუდმივი დაცვისა და დაბრუნების ამბავი ყოველთვის წარმოითქმებოდა ხოლმე, როგორც რაღაც ზედროული, მარადი, სიამაყის შემცველი, დაუნახავი სევდით გაჯერებული სიტყვები: „ჩვენ იერუსალიმში ცხენდაცხენ, გაშლილი დროშებით შევდიოდით“.

იერუსალიმი დღესაც რთული ადგილია. ის ნაომარია და მისი აღმოსავლეთი ბევრისთვის ისრაელის მიერ ოკუპირებულად ითვლება იმ ექვსდღიანი ომის შემდეგ, ისრაელს რომ მოუხდა მთელ არაბულ სამყაროსთან და აღთქმული მიწის ყოველი გოჯის ფასი ხომ საყოველთაოდაა ცნობილი. დავითის ფსალმუნნი გაჯერებულია იერუსალიმით და თავიანთი დანგრეული და დაკარგული ქალაქის მარადიულობისთვის მსოფლიოს ებრაელები ყოველ იომ ქიფურის პასექის ტრაპეზის ბოლოს იგალობებენ: „გაისად, იერუსალიმში“.

„გაისად, იერუსალიმში“ – ეს დიდი მოლოდინის და დიდი იმედის საგალობელია და თუმცა დღეს ყოველ ებრაელს ძალუძს, მივიდეს თავისი რწმენის გულში, „გაისად, იერუსალიმში“ უბრალოდ ამ ქალაქში მისვლას არ ნიშნავს, არამედ იდეალთან მიახლოებას, სულისა და ხორცის ერთობას, ტაძრის მიღწევას, მიწისა და ცის სრულყოფილ შერწყმას შეწი. იერუსალიმი კი გულია, სადაც ეს ყველაფერი უნდა მოხდეს. ახლა ვერ ჩამოვთვლით იერუსალიმზე ფიქრისა და მასზე ოცნების რიტუალებიდან უმცირესსაც კი, მხოლოდ ფსალმუნიდან კი მოვა: „თუ დაგივიწყო, იერუსალიმ...“

ამ თავგადასავალს ბოლო არა აქვს, ისევე როგორც არა აქვს სულს. ამ ქალაქსაც არა აქვს ბოლო, ხოლო დასაწყისი კი ღმერთისგანაა.

MASADA

მწვერვალზე ასვლისას მკვდარ ზღვასა და იუდეის მთებზე გაწოლილი აალებული ჰორიზონტით დატკბებით. ეს განუმეორებელი გარიჟრაჟია. ბრომის ორთქლის სიჯარბის გამო მომაჯადოებელია სხვადასხვაფრად „შეღებილი" ჰაერი მასადის თავზე, უღრუბლო ცა, ფირუზისფერი ზღვა მარილის თეთრი ნაწიბურით, იორდანიის მთები აღმოსავლეთ სანაპიროზე, სუფთა ჰაერი და ისტორიული კონტექსტი – ეს ყველაფერი საკუთარი თვალით უნდა ნახოთ.



თანამედროვე ისრაელისთვის მასადის ციხესიმაგრე არა მხოლოდ ისტორიული ადგილია, არამედ ეროვნული სიმამაცისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის სინონიმიც.

ციხესიმაგრე ქალაქ არადის მახლობლად, იუდეის უდაბნოს აღმოსავლეთ კიდესთან აღმართულ 450მ სიმაღლის მიუდგომელ კლდეზე მდებარეობს. მაღალ მწვერვალზე იშლება 600x300 მ² ფართობის რომბისებრი ზემანი.

მასადის ეპოკეა იოსებ ფლავიუსის (იგივე იოსებ ბენ მატათიაჰუ) ქრონიკების მეშვეობითაა ცნობილი. იგი იუდეველთა აჯანყების ერთ-ერთი მოთავე იყო. ტყვედ ჩავარდნის შემდეგ იოსებმა რომის მოქალაქეობა მიიღო. თავის 7 წიგნში იგი დაწვრილებით აღწერს იუდეის ომს. საუკუნეთა განმავლობაში მასადის შესახებ სხვა ცნობები არ არსებობდა.

რომის იმპერიის წინააღმდეგ ახ. წ. 66 წელს დაწყებულმა ებრაელთა აჯანყებამ, მკვლევართა აზრით, კაცობრიობის ისტორია შეცვალა. მასადაში გამაგრდნენ შეურიგებელი მებრძოლები – მგზნებარე მორწმუნე ზელოტები. ახ. წ. 70 წელს რომაელმა მხედართმთავარმა ტიტუსმა აჯანყებული იერუსალიმი დაიმორჩილა და მეორე ტაძარი დააქცია. ათასი თავგანწირული მეომარი ოჯახთან ერთად მასადაში გაიხიზნა და თავისუფლების უკანასკნელ ფორპოსტს იცავდა.

აჯანყებულები სამ წელს ეომებოდნენ რომაულ ლეგიონებს – 15 000 მებრძოლი 1000 ზელოტის წინააღმდეგ – თუმცა ზელოტები იმარჯვებდნენ. რომაელებმა ებრაელი მონების დახმარებით დასავლეთის მხრიდან გიგანტური მიწაყრილი ააგეს და ბოლო ბრძოლა ახ. წ. 73 წელს გაიმართა (მას შემდეგ, რაც რომაელებმა მეორე ტაძარი გაანადგურეს, დაიწყო ებრაელთა ლტოლვილობა მთელ მსოფლიოში).

მამაცმა მებრძოლებმა ტყვეობას დაღუპვა ამჯობინეს. მათი დევიზი იყო: „სიკვდილი და არა მონობა". წინამძღოლმა ელიაზარ ბენ აირმა წილი ყარა – 10-მა რჩეულმა დახოცა ყველა მეომარი, ქალები და ბავშვები; ერთმა მათგანმა – 9 მეომარი, მერე კი თავი მოიკლა.

ციხესიმაგრის ნანგრევები 1862 წელს აღმოაჩინეს. გათხრები 1963-65 წლებში ჩატარდა. რასაკვირველია, აქ 2000 წლის წინანდელ ნაგებობათა მხოლოდ ნაშთებია შემორჩენილი, თუმცა შესანიშნავადაა შემონახული დიდებული მოზაიკა, აბანოები, სამეფო სასახლის ნაწილი, ვვაში გამოკვეთილი უზარმაზარი ავზები და მრავალი სხვა.

ძვ. წ. 30-იან წლებში მეფე ჰეროდე დიდმა, რომელმაც იუდაიზმი მიიღო, ძველ ციხესიმაგრესთან გამალებული მშენებლობა წამოიწყო. პარანოიით დაავადებულ მონარქს მიაჩნდა, რომ ძნელად მისადგომი ორმაგკედლიანი, ოთხკარიბჭიანი ციხე-კოშკი უნდა აეშენებინა, რომელიც იდეალური თავშესაფარი იქნებოდა და რომელიც მას შეთქმულებისაგან იხსნიდა. ჩრდილოეთ ფერდობზე ჰეროდემ ააგო სამიარუსიანი დიდებული სამეფო სასახლე, მის ახლოს – სტუმართა რეზიდენცია, სამი სასახლე თავისი ოჯახისათვის, აბანოები, სინაგოგა, იარაღის საწყობები, წყლისა და საკვების საცავები და დამხმარე ნაგებობები.

მასადას ყოველი მხრიდან დაფერდებული კლდეები აკრავს. აქ საბაგიროთი ან იმ დაკლაკნილი ბილიკით მოხვდებით, რომლითაც ოდესღაც ციხესიმაგრის დამცველები სარგებლობდნენ. ეს რთული ერთსაათიანი გზაა, რომელიც დილის 5.30-ზე იხსნება.

ჯობს, მოგზაურობა ადრიანად დაიწყოთ, რომ სულისშმახუთველმა სიცხემ არ შეგაწუხოთ.

ძეგლი დამთვალიერებლებისთვის ღიაა აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით ყოველდღე – 8.00-17.00; პარასკეობითა და დღესასწაულებზე ციხესიმაგრე ერთი საათით ადრე იკეტება. ფუნიკულიორი მუშაობს ყოველდღე, გარდა პარასკევისა – 8.00-16.00 (ზამთარში – 15.00 სთ-მდე). ბილეთის ფასი: 75 NIS (საბაგიროს ღირებულების (47 NIS) ჩათვლით). აუცილებლად შეინახეთ საბაგიროს ჩეკი უკან დასაბრუნებლად, თან წაიღეთ ქუდი ან თავსაფარი, საჭმელი და ორი ლიტრი წყალი (ერთ კაცზე).

2001 წელს იუნესკომ მასადა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლად გამოაცხადა.

ისრაელის ოთხ მთავარ წმინდა ქალაქთაგან ერთ-ერთი – ცფათი წარსულში კაბალის ცენტრს წარმოადგენდა. ეს უძველესი, მისტიკით გამსჭვალული ქალაქი დღესაც ისრაელის სულიერების საკვანძო ადგილია. აქ ცხოვრობდნენ, სწავლობდნენ და ასწავლიდნენ მეცნიერი-კაბალისტები, რომელთა საფლავები დღეს კაბალისტიკის მიმდევართა მოლოცვის ადგილებად ქცეულა.

TZFAT (SAFED)

ზემო გალილეაში, ზღვის დონიდან 900 მ სიმაღლეზე მდებარე ქალაქი თავისი მდიდარი ისტორიული-რელიგიური მემკვიდრეობის, ხელოვნებისადმი დამოკიდებულებისა და განუმეორებელი ლანდშაფტის გამო ყველა ქვეყნიდან იზიდავს მოგზაურებს. რბილი ჰავის წყალობით ცფათში თბილი ზაფხული და თოვლიანი ზამთარი იცის. აქედან არა მარტო ხმელთაშუა ზღვის, არამედ კინერეტის ტბის დანახვასაც შეძლებთ.

ცფათის არქიტექტურა უჩვეულოა, უძველესი ნაგებობებით დამშვენებული ქუჩები ზემოდან ქვემოთ მიემართება. ქალაქში სეირნობისას შეამჩნევთ, რომ ბევრი შენობის კარის ღიობი ცისფრად შეუღებავთ – ადგილობრივთა რწმენით, ეს ფერი მათ ავი თვალისგან იცავს. დაინახავთ ჰამსას თილისმებსაც, რომლებსაც სახლის შესასვლელთან, მანქანაში და სხეულზე იკიდებენ. „ჰამსა“ ღვთის ხელისგულის სიმბოლოს წარმოადგენს, რომლის შუაში ხშირად გამოსახავენ თევზს, თვალს ან დავითის ვარსკვლავს.

1492 წლის შემდგომ პერიოდში, ესპანეთიდან და პორტუგალიიდან ინკვიზიციის მიერ ებრაელთა (სეფარდების) მასობრივი განდევნის დროს, ცფათში გადმოსახლდა მისტიკოსი კაბალისტი რაბინების მთელი პლეადა: მოშე კორდოვერო, იოსებ კარო, კომპოზიტორი შლომო ჰალევი (შაბათის ჰიმნის ავტორი), იცხაკ ლურია და სხვანი.

XV-XVI სს-ში ცფათი იუდაისტური ეზოთერული განათლების გლობალურ ცენტრად იქცა. XVIII საუკუნეში სეფარდებს ცენტრალური ევროპიდან მოსული ხასიდებიც შეუერთდნენ. აქ საუკუნეებია ცდილობენ იუდაიზმის წმინდა წიგნებში დაფარული საიდუმლოებების კვლევას.

რაბინ იცხაკ ლურიას საფლავი

სინაგოგა ARIZAL

ცფათის უმნიშვნელოვანესი ღირსშესანიშნაობა სინაგოგებია. ქალაქში ძალიან ბევრი სინაგოგაა და ყოველი მათგანი ისტორიის საბურველშია გახვეული. ყველაზე ცნობილია სეფარდების მიერ XVI საუკუნეში აშენებული სინაგოგა Arizal. სწორედ აქ ლოცულობდა რაბინი იცხაკ ლურია, კაბალისტიკის ერთ-ერთი მიმართულების შემქმნელი.

ცნობილი სინაგოგაა იოსებ კაროს სახელობის თორის შემსწავლელი სახლი. ლეგენდის თანახმად, სწორედ ამ ნაგებობის სარდაფში გადასცა ანგელოზმა რაბინს კაბალისტიკის საიდუმლოებები.

XV საუკუნეში მოღვაწე რაბინ ისააკ აბუჰავის სახელობის სინაგოგის კონსტრუქცია კი ესპანეთიდან განდევნის შემდეგ რაბინმა თავის მოსწავლეებთან ერთად კაბალისტური სწავლების მიხედვით შექმნა.

სინაგოგა ABUHAV

გაითვალისწინეთ, რომ ორთოდოქსული იუდაიზმისა და კაბალისტიკის მიმდევართა პატივსაცემად, წმინდა ადგილების მონახულებისას აუცილებლად ისეთი სამოსი უნდა გეცვათ, რომ მკლავები და წვივები დაფარული გქონდეთ.

XX საუკუნის 30-იან წლებში ცფათში ბევრი ხელოვანი დასახლდა. სწორედ მათ ეკუთვნით ქალაქის ცენტრში სამხატვრო გალერეათა უმეტესობა. ეს ჩინებული კვარტლები აუცილებლად უნდა მოინახულოთ; სტუდიებსა და სახელოსნოებში საავტორო ნამუშევრებია წარმოდგენილი, რომლებიც ამ იდუმალი ქალაქის სამახსოვროდ შეგიძლიათ შეიძინოთ.

შაფარით – ცხვრის რქის საყვირით იუდეურ დღესასწაულებზე მორწმუნეებს მოუხმობენ.

ცფათის ცვილის სანთლების ქარხანაში ულამაზეს დეკორატიულ სანთლებს ამზადებენ.

აქ დაკლაკნილი ვიწრო ქუჩები, ვაზით დამშვენებული ტერასებიანი ქვის სახლები, ფერადი სინაგოგები, მაღაზიები, მხატვრების სახელოსნოები და სტუდიებია, რომლებიც ყოფილ არაბულ კვარტლებში, უძველეს დიდებულ სახლებშია განთავსებული; დახლები და ვიტრინები კი სავსეა ხელოვანთა ნამუშევრებით. ეს არის რელიგიის, მედიუმებისა და ხელოვანების ფერადი ქალაქი, რომელიც გაგაკვირვებთ თავისი იდუმალებით მოცული ატმოსფეროთი.

HAARI 8

ამ კაფეში იგემებთ სხვადასხვაგვარ სტეიკს, გრილზე შემწვარ ხორცს, დაკეპილი ხორცით გამოტენილ ე. წ. „სიგარას“, თევზსა და ახალმომზადებულ სალათებს. ვეგეტარიანული მენიუ მოიცავს ქორფა ბოსტნეულის სალათებს, უგემრიელეს წვნიანებსა და პასტას.

ღიაა: კვირიდან ხუთშაბათამდე – 11.00-23.00; პარასკეობით დაკეტილია. ზოგჯერ შაბათობითაც იღება მზის ჩასვლის შემდეგ.

HaAri st 8; Tel. +972 4 6920033

არაბული ყველის საწარმოები, რომლებიც ცფათის შემოგარენშია განლაგებული, განთქმულია ნახევრად მაგარი ყველის სახეობებით. ცფათის ყველი წვრილრქოსანი საქონლის (იშვიათად – ძროხის) რძისგან მზადდება, დრეკადი კონსისტენციით გამოირჩევა, ნაკლებად ცხიმიანი და ოდნავ მარილიანია.

BETHLEHEM

„სახლი ჰურისა" (ებრ.) და „სახლი ხორცისა" (არაბ.) – ასე ითარგმნება ქართულად ერთ-ერთი უძველესი ქალაქის, ბეთლემის (BETHLEHEM) სახელწოდება. ქალაქი პალესტინის ავტონომიის ტერიტორიაზე მდებარეობს, მდინარე იორდანეს ნაპირას, იერუსალიმიდან სამხრეთით, 8 კმ-ის დაშორებით.

ბეთლემი მსოფლიოს ქრისტიან მომლოცველთათვის უმნიშვნელოვანესი ადგილია, რადგან, სახარების თანახმად, სწორედ აქ დაიბადა იესო ქრისტე მღვიმეში, რომელსაც თავი შეაფარა ბეთლემში აღწერაზე წასულმა წმინდა ოჯახმა. ქრისტეშობის ტაძარი ბეთლემში 339 წლის 31 მაისს აკურთხეს და მას მერე იქ წირვა-ლოცვა არ შეწყვეტილა.

პირველად ბეთლემი ბიბლიაში იხსენიება, როგორც რაქელის დაკრძალვისა და მეფე დავითის დაბადების ადგილი. ქრისტიანობის გავრცელების დროიდან ის მორწმუნეთათვის წმინდა ქალაქია. ყოველ წელს აქაურობას მილიონზე მეტი მოგზაური სტუმრობს.

ქრისტიანებისათვის ისრაელი, იერუსალიმი და ბეთლემი ერთი განუყოფელი მთლიანობაა. და არა მხოლოდ ქრისტიანებისათვის: ნებისმიერი აღმსარებლობის დამთვალიერებელს აქ სულისშემძვრელი გარემო და თავგადასავლები, საინტერესო მაღაზიები და გემრიელი სამზარეულო ელოდება.

სანამ წმინდა ადგილების დასათვალიერებლად გაემართებით, ყურადღება მიაქციეთ ჩაცმულობას. მამაკაცებს შორვალი უნდა ეცვათ, ხოლო ქალებს – მოგრძო ქვედაბოლო ან კაბა, აუცილებლად გრძელი სახელოებით.

ქრისტეშობის ბაზილიკა ბაგის მოედანზე

გადმოცემის მიხედვით, ქრისტეშობის ბაზილიკა, ბეთლემის ცენტრში მდებარენაგებობა, სწორედ იმადგილასააშენებული, სადაც იესო ქრისტე დაიბადა. ტაძრის დაბალ კარს „სიმდაბლის კარი" ჰქვია, რომელშიც თავდაუხრელად ვერ შეხვალ. თაღები ეყრდნობა მარმარილოს 44 სვეტს, რომლებზეც ზეთის საღებავებით წმინდანთა და წინასწარმეტყველთა ფრესკებია გამოსახული.

მხატვრობის ამგვარი ტექნიკა ამ მიწაზე სხვაგან არსად გვხვდება. იატაკზე ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დიდის (IV ს.) დროინდელი მოზაიკაა შემორჩენილი. ქრისტეს შობის ადგილი იატაკზე 14-სხივიანი ვერცხლის ვარსკვლავით არის აღნიშნული. მღვიმის სამხრეთ ნაწილში ბაგის ეკვდერია – ადგილი, სადაც ახალშობილი ქრისტე დააწვინეს. მის ზემოთ ხუთი გაუქრობელი ლამპარია. აქვეა ხატი – ბეთლემელ მწყემსთა თაყვანისცემა ყრმა იესოსადმი.

ბეთლემის მნიშვნელოვან სიწმინდედ მიიჩნევა ბიბლიური რაქელის – იაკობის მეუღლისა და იოსების დედის საფლავი. ეს ადგილი იზიდავს სამივე რელიგიის აღმსარებელ მომლოცველ მოგზაურებს – აქაურობა ქრისტიანების, იუდეველებისა და მუსლიმებისთვის წმინდა ადგილად მიიჩნევა.

რძის მღვიმეს, გადმოცემის მიხედვით, წმინდა ოჯახი თავს აფარებდა ბეთლემიდან გაქცევის შემდეგ და იქ ღვთისმშობელი ჩვილ იესოს ძუძუს აწოვებდა. სრულიად თეთრი ფერის ქვაბული მნახველზე განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს. ლეგენდა მოგვითხრობს, რომ იქაურობა რამდენიმე წვეთმა რძემ გაათეთრა, რომელიც იესოს კვების დროს დაიღვარა.

მღვიმეესთან ახლოსაა მწყემსების ველი, სადაც უფლის ანგელოზმა აცნობა მწყემსებს მაცხოვრის დაბადება, მათ კი თავიანთი ცხვარი მიატოვეს და ჩვილის თაყვანსაცემად გაემართნენ. მწყემსთა ღვაწლის პატივსაცემად აქ დგას მომრგვალებული ტაძარი – მწყემსთა ეკლესია.

წმინდა ელიას მთების ძირას, ბეთლემისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, მდებარეობს ძველთაძველი ჭა, რომელიც **სამი მოგვის ჭად** იწოდება. გადმოცემის თანახმად, ქრისტეს დაბადების მაუწყებელი ვარსკვლავი, რომელმაც აღმოსავლეთელი მოგვები (ბრძენნი) იერუსალიმში მოიყვანა, ხელახლა გაბრწყინდა მათთვის ამ ადგილას, როცა მოგვები ბეთლემისკენ მიემართებოდნენ, რათა ახალდაბადებულისთვის ეკმიათ ოქრო, გუნდრუკი და მური. ამბობენ, მორწმუნენი ჭის სიღრმეში ვარსკვლავს ხედავენო.

ბეთლემიდან 5 კმ-ის დაშორებით, ორტასის ზეგნის ულამაზეს ფიჭვის ტყეში სოლომონის აუზები მდებარეობს. ეს არის სამი ღია ქვის აუზი, რომლებშიც 160 ათასი მ³ წყალი ეტევა. საუკუნეების განმავლობაში ეს აუზები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა რეგიონის წყლით მომარაგების საქმეში.

VOYAGER კომენტარი

თუ გსურთ, რომ ბეთლემში თქვენი მოგზაურობა მაქსიმალურად უსაფრთხო და შთაბეჭდილებებით დატვირთული იყოს, გირჩევთ, კერძო გიდი დაიქირაოთ. აუცილებლად დაგჭირდებათ ტრანსპორტიც რომორც ბეთლემამდე მისასვლელად, ისე ადგილობრივი ღირსშესანიშნაობების მოსანახულებლად.

ტური იერუსალიმიდან ითვალისწინებს ბეთლემის დათვალიერებას გიდის თანხლებით, რომლის ღირებულებაში შედის შობის ეკლესიის დათვალიერება, ტრანსფერი, სასაზღვრო მოსაკრებელი. ასეთი ინდივიდუალური ექსკურსიის ფასი 50-70 $-ია. თუ გიდის გარეშე ტაქსით გაემგზავრებით იერუსალიმის ცენტრიდან ბეთლემში, მგზავრობა (ერთი გზა) 20 აშშ დოლარი დაგიჯდებათ.

გაითვალისწინეთ: ბეთლემი პალესტინის ავტონომიის ნაწილია, ამდენად, საზღვრის გადაკვეთა მოგიწევთ. არ დაგავიწყდეთ პასპორტისა და პირადობის მოწმობის წაღება.

თანამედროვე ხელოვნების მოყვარულებს უთუოდ დააინტერესებს ცნობილი კედელი, მასზე გამოსახული შესანიშნავი გრაფიტით, რომელიც ინგლისელმა არტისტმა ბენქსიმ შექმნა. კედელი ბეთლემს იერუსალიმისაგან ყოფს.

Manger street-ის მოედანზე მდებარე სუვენირების მაღაზიებში განსხვავებული გემოვნების მქონე მოგზაურთათვის ფართო არჩევანია. სუვენირებისთვის ასევე ეწვიეთ ზეთისხილის ხისგან დამზადებული ნაკეთობების ფაბრიკას Milk Grotto street-ზე.

PALACE INTERCONTINENTAL

ბეთლემის შუაგულში მდებარე ამ ისტორიული სასტუმროს ნაგებობა მუფტის, დიდი ღვთისმეტყველის, ამინ ალ ჰუსეინის მიმდევრებმა ააგეს. ფუფუნება, შესანიშნავი ლანდშაფტი, გარე აუზი, კორტები – ეს ნამდვილი ოაზისია კეთილგანწყობილი გარემოთი, უმაღლესი კლასის ნომრებითა და მაღალი დონის სერვისით. ოთხ აქაურ რესტორანში საერთაშორისო სამზარეულოს საუკეთესო კერძებით გაგიმასპინძლდებიან; მათ შორის გამორჩეულია ადგილობრივი კულინარია. აქედან ბეთლემის ტაძრამდე ფეხით შეძლებთ მისვლას.

გირჩევთ, სასტუმროს ნომერი დაჯავშნოთ საიტზე:
reservation@jahipalace.ps ან ტელეფონით: +972 2 2766777
West Bank 1167, Bethlehem, Palestine; www.jacirpalace.ps

NAZARETH

ნაზარეთი ქრისტიანული სამყაროს წმინდა ქალაქია, სადაც, ახალი აღთქმის მიხედვით, იესო ქრისტემ ბავშვობა გაატარა. ისტორიულ ანუ ქვემო ნაზარეთში ისრაელელი არაბები ცხოვრობენ; მათგან დაახლოებით მესამედი სხვადასხვა აღმსარებლობის ქრისტიანია, დანარჩენი კი – მუსლიმი, ამიტომ ნაზარეთი ისრაელის ყველაზე უფრო ქრისტიანულ და ყველაზე უფრო არაბულ ქალაქად მიიჩნევა. ის ერთადერთი ადგილია მთელ ქვეყანაში, სადაც კვირა დასვენების დღეა.

BASILICA OF THE ANNUNCIATION (ხარების ბაზილიკა) – ეს ტაძარი ნაზარეთის მთავარი წმინდა ადგილი და უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული ეკლესიაა ახლო აღმოსავლეთში. სახარების ცნობილი ეპიზოდის თანახმად, მთავარანგელოზი გაბრიელი მიწაზე დაეშვა, რათა ქალწული მარიამისთვის ეხარებინა, რომ მან მუცლად იღო ძე ღვთისა. ეს ბაზილიკა სწორედ იმ ადგილად მიიჩნევა, სადაც მარიამმა ღვთისგან ნიშანი მიიღო. ნაგებობა ორი დონისაგან შედგება. პირველი (ქვედა) მოიცავს ხარების მღვიმეს, რომელიც ქალწული მარიამის საცხოვრისად მიაჩნიათ ქრისტიანებს.
ღიაა: ზამთარში – 14.00-16.00; ზაფხულში – 14.00- 17.45

EL BABOUR MARKET – *გალილეური წისქვილი მართლაც უნიკალური ადგილია, რომელიც აუცილებლად უნდა მოინახულოთ. აქვეა უზარმაზარი მაღაზია, სადაც ათასობით სანელებელი, ბალახეული და არომატული ზეთები იყიდება, რაც საუკეთესო სუვენირად გამოგადგებათ.*

ღიაა: ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით – 8.30-19.30

CHURCH OF ST. GABRIEL (გაბრიელ მთავარანგელოზის ეკლესია) ხარების ბაზილიკიდან 15 წუთის სავალზე, ჩრდილოეთით მდებარეობს. აქვე, გასასვლელთან არის ღვთისმშობლის წყაროც, რომელთანაც მართლმადიდებლური რწმენის მიხედვით, მთავარანგელოზმა გაბრიელმა აუწყა მარიამს უმანკო ჩასახვის შესახებ.

ღიაა: აპრილიდან სექტემბრამდე – 08.30-11.45 და 14.00-18.00; კვირადღეს – 08.00-15.00. ქრისტიანულ დღესასწაულებზე დამთვალიერებელთათვის დაკეტილია.
შესვლა უფასოა.

THE ST. JOSEPH CHURCH (წმინდა იოსების ეკლესია) – ეს იოსების სახელობის ერთადერთი ტაძარია ისრაელში. კედლები დამშვენებულია წმინდა ოჯახის ცხოვრების, იოსების სიზმრის (ღმერთის ძის დაბადების მაუწყებელი) და იოსების გარდაცვალების ამსახველი ფრესკებით.

ღიაა: 09.00-11.45 და 14.00-17.30

რეკონსტრუირებულ ახ. წ. I საუკუნის სოფელ ნაზარეთში აღდგენილია იესოს ეპოქის გალილეის ერთი სოფლის ყოფა. ნაგებობები, მინდვრები, ზეითუნის ზეთის სახდელები, ღვინის საწნახლები და სხვა ყველა წვრილმანი ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ორი ათასი წლის წინანდელ შთამბეჭდავ გარემოში იმყოფებით. **ღიაა:** ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით – 09.00-17.00;
ბილეთის ფასი: 22 NIS

VILLA NAZARETH

ნაზარეთის შუაგულში მდებარე ჩინებული სასტუმრო, თავისი აღმოსავლური შტრიხებით, დახვეწილი დიზაინით, ტერასიანი სასადილოთი, მყუდრო რესტორნითა და ბარით, ის ადგილია, სადაც ძველი ქალაქის სუნთქვას შეიგრძნობთ. რესტორანში შეფის საავტორო კერძები და ტრადიციული ისრაელური მენიუა, ბარში კი შეგიძლიათ უგემრიელესი კოქტეილები მიირთვათ.

ნომრის ფასი: 100 $-იდან

Mary's Well Square; Tel. +972 O 4 6000569
www.villa-nazareth.co.il

CAESAREA

1948 წელს ბარონმა ედმონდ ჯეიმს დე როტშილდმა კეისარიის ირგვლივ მიწები შეისყიდა და ქალაქის ფონდს გადასცა. კეისარია ერთადერთი ადგილია ისრაელში, რომელსაც კერძო ორგანიზაცია მართავს და არა მუნიციპალიტეტი; ქალაქი ისრაელში ყველაზე პრესტიჟულ საცხოვრებელ ადგილად ითვლება.

RALLIMUSEUMS
ძალიან პოპულარულია „რალის“ მუზეუმი თავისი კერძო კოლექციებით, სადაც საკმაოდ დიდი განყოფილება კეისარიის ისტორიას ეთმობა. აქ წარმოდგენილია, აგრეთვე,სამხრეთაფრიკელი ხელოვანების და სალვადორ დალის ნამუშევრები.
ღიაა: ორშაბათი, სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი – 10.30-17.00; პარასკევი – 10.30-15.00; კვირას და ოთხშაბათს მუზეუმი ისვენებს.

Rotschild Blv.

ამფითეატრი – რომაულ პერიოდში აგებულ ამ ოვალური ფორმის ამფითეატრში გლადიატორთა ბრძოლები იმართებოდა.

თეატრი – ისრაელის ტერიტორიაზე ერთ-ერთი ყველაზე ძველი აღმოჩენაა. ის მეფე ჰეროდეს დროს აშენდა და 100 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა, ბიზანტიურ პერიოდამდე. თეატრი ორიარუსიანია და 4000 ადამიანზეა გათვლილი. რომაული თეატრის ნანგრევებში ყოველწლიურად საერთაშორისო საოპერო ფესტივალი ტარდება. კეისარიაში პოპულარული ჯაზ-ფესტივალიც იმართება.

პორტი – ჰეროდეს მმართველობისას კეისარიაში დიდი პორტი აშენდა. დღეს არსებული ნავმისადგომი ისრაელის სახელმწიფოს ფორმირების შემდეგ აიგო.

კეისარია ისრაელის ხმელთაშუაზღვისპირეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს, თელ-ავივიდან 50 კმ-ის დაშორებით. ქალაქი ფინიკიელებმა დააარსეს. მათ აქ ჩვენს ერამდე III საუკუნეში პატარა ციხესიმაგრე ააგეს, რომელსაც „სტრატონის ციხესიმაგრე“ უწოდეს. იმპერატორმა აუგუსტუსმა ეს ადგილი მეფე ჰეროდეს გადასცა, რომელმაც აქ დიდებული ქალაქი ააშენა. ახ. წ. დასაწყისში კეისარია რომის პროვინციის, იუდეის ადმინისტრაციული ცენტრი გახდა და ასე იყო 600 წლის განმავლობაში. სანაპირო ზოლში რბილი, სუბტროპიკული კლიმატია; ზღვის სეზონი აპრილის ბოლოდან ოქტომბრამდეა.

საშუალო ტემპერატურაა: სექტემბერში +25°C, ოქტომბერში +21°C, ნოემბერში +17°C, დეკემბერში +12° C.

კეისარიის პლაჟები საუკეთესოთა შორისაა ისრაელში. სანაპიროს სტუმრობა სამუშაო საათებში ფასიანია, სხვა დროს კი – უფასო. ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი პლაჟი ისრაელში Sdot Yam-ია, ის იმავე დასახელების ქალაქში მდებარეობს და ძველი კეისარიის ნანგრევებს გადაჰყურებს. კიდევ ერთი მოვლილი და კეთილმოწყობილი სანაპიროა Harbor.

GALILEE

ისრაელის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფერწერული მხარე – გალილეა მთელი მსოფლიოდან იზიდავს არა მხოლოდ მოგზაურებს, არამედ მომლოცველებსაც იუდაიზმის და ქრისტიანული სიწმინდეების მოსანახულებლად. აქ თავმოყრილი უამრავი ღირსშესანიშნაობა, ლანდშაფტის ბუნებრივი სილამაზე და განუმეორებელი, მისტიკური ადგილები გალილეას არნახულ მოხიბვლელობას სძენს. მას ხშირად ისრაელის „ტოსკანას“ უწოდებენ.

მთიან ფერდობებზე გაშენებულია ვენახები და ღვინის საწარმოები. გალილეაში მდებარეობს კინერეტის ტბა – მტკნარი წყლის მთავარი საცავი, რომელიც მთელ ქვეყანას სასმელი წყლით ამარაგებს.

გალილეაში არსებული მრავალი ადგილი ახლა აღთქმაშია მოხსენიებული. რელიგიური შინაარსის ღირსშესანიშნაობების გარდა ამ მხარეში მდებარეობს ისტორიული ქალაქები – ტვერია, აკო და კაპერნაუმი.

GOLAN HEIGHTS

ისრაელის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს გოლანის მაღლობები, ფერწერული, მთიანი ადგილი ბუნებრივი ნაკრძალებით, განუმეორებელი ხედებითა და ისტორიულ-არქეოლოგიური ობიექტებით. ნაკრძალთა შორის გამორჩეულია გამლა, სადაც ისეთი ბუნებრივი ლანდშაფტია, რომ არწივები ბუდეებს იშენებენ. აქვეა ჰერმიონის მთა, ისრაელის ყველაზე მაღალი მწვერვალი.

CAPERNAUM

კაპერნაუმში (კფარ ნაჰუმი) რამდენიმე ეკლესია და ეროვნული პარკია. აქ ტარდება ღვთისმშობლის ხარებისადმი მიძღვნილი მსვლელობა. კაპერნაუმის ჩრდილო-დასავლეთით, კინერეტის ტბის ნაპირას დგას 12 მოციქულის სახელობის ბერძნული მართლმადიდებლური ტაძარი. ქრისტიანობის ისტორიის თანახმად, სწორედ ამ ადგილას აირჩია იესომ თავისი 12 მოციქული.

ACRE – ამ ზღვისპირა ქალაქის (ძველი აკო) ისტორიული ნაწილი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია. აქაურობა მართლაც რომ თვალწარმტაცი და გამაოგნებელია თავისი ძველი ციხე-გალავნით, რომელიც შორეული წარსულიდან შემონახულა. საკუთარი თვალით ნახავთ იმ ცივილიზაციების კვალს, ოდესღაც აქ რომ სახლობდნენ და მათ მიერ აშენებულ ნაგებობებს – უძველეს სიმაგრეებს, კოშკებს, სინაგოგებს, ეკლესიებსა და მეჩეთებს. ქალაქში არის ჭრელი აღმოსავლური ბაზრობები, თვალწარმტაცი პლაჟები, ნავსადგური; იმართება ყოველწლიური ფესტივალები.

TVERIA, TIBERIAS (ტვერია)

გალილეის ეს მშვენიერი ქალაქი იუდაიზმისა და ქრისტიანობის წმინდა ადგილად მიიჩნევა. აქ რამდენიმე ტაძარია, მათ შორის, პურისა და თევზის გამრავლების სახელობის ეკლესია (სახარების ეპიზოდის მიხედვით, როცა ქრისტემ ხუთი პურითა და ორი თევზით 5000 ადამიანი დააპურა). ტვერიაში მდებარეობს ებრაელი ბრძენისა და თორის შესწავლის მეთოდოლოგიის შემქმნელის, რაბინ ჰიის საფლავი. ტვერიის ღირსშესანიშნაობებს შორისაა ცხელი თერმული წყლები ბუნებრივი ჩანჩქერებით და სამკურნალო წყაროებით.

EILAT

დღევანდელი ეილატი საერთოდ არ ჰგავს იმ ძველ ქალაქ-პორტ ეციონ-გებერს, რომელიც აქ ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით პირველ ათასწლეულში არსებობდა. ახლა ის ქვეყანაში ყველაზე პოპულარული კურორტია: როდესაც ისრაელის ყველა სხვა ზღვის წყლის ტემპერატურა ცხელ წვნიანს ემსგავსება, წითელი ზღვის წყალი ეილატის სანაპიროზე სასიამოვნოდ გრილია. ზამთარში კი, როდესაც ისრაელის სხვა ნაწილში წვიმების და ქარების სეზონი იწყება, ეილატში თბილა და ამინდიც მშრალია. შემოდგომაზე ხავერდის სეზონია. მზე აღარაა მწველი და საამოდ თბილა, ზღვა კი შედარებით გრილი ხდება, თუმცა არა იმდენად, რომ ბანაობაზე უარი თქვა – 21 გრადუსზე დაბლა ტემპერატურა არასდროს ჩამოდის.

დაივინგი – აქ არაჩვეულებრივი ადგილებია დამწყებთათვის და რთული ადგილები – გამოცდილი დაივერებისთვის, დინებები წყალქვეშა „გაფრენისთვის“, ციცაბო წყალქვეშა კლდეები, მარჯნის ბაღები. ზოგი სასტუმროში ცხოვრებას და ყოველდღე კატერით ზღვაში გასვლას ირჩევს, თუმცა შესაძლებელია იცხოვრო დაივინგისთვის სპეციალურად აღჭურვილ კომფორტულ გემზე და რამდენიმე დღით უდაბნოში საფარი-ტურზე წახვიდე.

უდაბნო

თუ ზღვაც მოგბეზრდათ და თოვლიც, გაატარეთ ერთი დღე უდაბნოში. აქ არაამქვეყნიური ოქროსფერი სილამაზე გელით: აღმაფრთოვანებელი ლანდშაფტი, არაჩვეულებრივი დამალული ტბა, ტიმნის და ჰაი ბარის ველის საფარი-ტური 4-საათიან მოგზაურობას ითვალისწინებს. ექსკურსიები ეწყობა დღისითაც და ღამითაც.

არეი-ეილატი ისრაელის ყველაზე „მშრალი“ ნაკრძალია და აქ მცენარეებს ვერ ნახავთ. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მთები, რომელთა ფერი განათების მიხედვით იცვლება – დილას ოქროსფერია, საღამოს კი ყავისფერი ხდება. ტურისტები ყველაზე ხშირად წითელ კანიონს სტუმრობენ; მისი კედლები ჭრელია სხვადასხვა მინერალის შემცველობის გამო.

ყველა დაივინგ კლუბში მკაცრად დაცულია უსაფრთხოების ნორმები. ყველა არსებული კლუბი აუცილებელ ლიცენზიას და ნებართვებს ფლობს. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ თქვენი მეგზური ან ინსტრუქტორი სერტიფიცირებული პროფესიონალია და საფუძვლიანად იცნობს ყვინთვისათვის გამოყოფილ ადგილებს.

მარჯნის სანაპიროს ნაკრძალი

ზღვის ეს პატარა მონაკვეთი 1200-მეტრიანი სანაპირო ზოლით ეილატისა და ტაბას საზღვრისპირა გადასასვლელთან მდებარეობს. სანაპიროდან 20 მეტრში მარჯნის წყალქვეშა კლდეა. გარდა მარჯნის მთებისა, აქ 2700 სახეობის სხვადასხვა ფერის თევზებია, ზღვის შროშანები, ზღარბები, ჰიტონები და ა. შ. წყალი ძალიან ღრმა არ არის – ფსკერი დაახლოებით 4 მეტრის სიღრმეზეა და ყვინთვა დამწყებთათვისაც შესაძლებელია.

HERODS VITALIS SPA HOTEL

სასტუმრო მდიდრული საკურორტო სპა-კომპლექსის, „ჰეროდსის“ ნაწილს წარმოადგენს. სტუმრების განკარგულებაშია დახურული და ღია აუზები, გამაჯანსაღებელი ცენტრი ტრენაჟორებით. ყველა ნომერში არის საბაზანო ჰიდრომასაჟით.

სტანდარტული ნომრის ფასი: 200 $-იდან

კარმელის მთის კალთებზე გაშენებულ ხმელთაშუაზღვისპირა ქალაქს 5-კილომეტრიანი, ყველაზე სუფთა და ლამაზი სანაპირო ზოლი აქვს.

ხაიფა კონგრესებისა და განათლების ცენტრად ითვლება – აქ არის უნივერსიტეტი და „ტექნიონი“ (ისრაელის ტექნოლოგიური ინსტიტუტი), კონგრესებისა და გამოფენების საერთაშორისო ცენტრი, კომპიუტერული წარმოების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი – მატამი. ეს ქალაქი ისრაელში სიდიდით მესამეა.

ბაჰაის ბაღები

ბაჰაის ბაღები ბიბლიურ დაკიდებულ ბაღებს მოგაგონებთ. ხელოვნურად შექმნილი ზონა 12 ტერასად იყოფა და ხაიფის სანაპიროსკენ კასკადად ეშვება. ტერასებს მთავარ სიმბოლურ ადგილამდე – ოქროსთავიან ტაძართან მივ-ყავართ, რომელიც 40-მეტრიანი გუმბათით გვირგვინდება.

ულამაზესი ბაღის ანსამბლი ბაჰაის რელიგიური დოქ-ტრინის სიმბოლოა. მისი არსი ჭეშმარიტი სიყვარულის, სიმშვიდისა და ჰარმონიის ძიებაა. სპარსულ სტილში გა-დაწყვეტილი ტერასები და საყვავილეები, ხეივნები და გაზონები ბაჰაის რელიგიის დამაარსებლის და წინას-წარმეტყველის – ბაჰაულის ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებს განასახიერებს. არქიტექტორ ფარიბროზ საჰბას მიერ დაპროექტებული ბაღები 2001 წელს გაიხსნა, 7 წლის შემდეგ კი იუნესკომ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეიტანა.

ღიაა კვირაში 7 დღეს: შიდა ბაღები – 09.00-12.00; გარე ბაღები – 09.00-17.00; ბაღები მხოლოდ წვიმის დროს იკეტება, უსაფრთხოების მიზნით.

Sderot Hatsiyonut 80, Haifa; www.ganbahai.org.il

TIKOTIN MUSEUM OF JAPANESE ART

„ტიკოტინის“ კოლექცია ათასზე მეტ ექსპონატს ითვლის, რომელიც 3 თვეში ერთხელ იცვლება.

„ტიკოტინი“ 7000-ზე მეტ თანამედროვე და ტრადი-ციული იაპონური ხელოვ-ნების ნიმუშს აერთიანებს, დაწყებული მხატვრობიდან და პრინტებიდან, ანტიკური დეკორატიული წიგნებით, ინტერიერის საგნებით, ანტიკური საბრძოლო იარაღებით დამთავრებული.

ბილეთის ფასი: 35 NIS
ღიაა: ორშაბათი-ხუთშაბათი – 10.00-19.00; პარასკევი – 10.00-13.00; შაბათი – 10.00-19.00

Hanassi Ave. 89, Haifa
www.tmja.org.il

HAIFA MUSEUM OF ART

ეს უმნიშვნელოვანესი მუზეუმი ხაზს უსვამს ხაიფის, როგორც მრავალეროვანი ქალაქის, უნიკალურობას. მუზეუმის კოლექციის მნიშ-ვნელოვანი ნაწილია მარკ შაგალის, ონორე დაუმიერის, ოდილონ რედონის, ჰანა ორ-ლოფის და ანდრე მესონის დიდი და შთამბეჭდავი ნამუ-შევრები. მუზეუმს აქვს ბეჭდ-ვითი მედიის არაჩვეულებ-რივი არქივი და ვიდეონამუ-შევრების კოლექცია 1960 წლიდან დღემდე.

ბილეთის ფასი: 45 NIS
ღიაა: ყოველდღე – 10.00-16.00; პარასკევი – 10.00-13.00; შაბათი – 10.00-15.00

Shabbetai Levi St 26, Haifa
www.hma.org.il

WELL HOUSE
House of Your Dream

იცხოვრე ოცნების სახლში
ექსკლუზიურად SOLO მომხმარებელს 7 %-იანი ფასდაკლება!

ენერგოეფექტური საცხოვრებელი კომპლექსი WELL HOUSE საბურთალოზე

- თქვენზე მოჩგებული გადახდის გრაფიკი
- შიდა უპროცენტო განვადება
- პირველადი შენატანი 0%

www.wellhouse.ge
ელ-ფოსტა: office@wellhouse.ge
www.facebook.com/wellhouse.ge
ტელ.: (+995 32) 2 21 28 13; 2 21 28 14
მობ.: 577 22 45 85

ნეთანია – არაჩვეულებრივი ქვიშის კლაჟები, თვალუწვდენელი სანაპირო, ფანტასტიკური სასეირნო ადგილები, მწვანე პარკები და ბუნებრივი ნაკრძალები.

არ არსებობს ისრაელში სხვა ადგილი, რომელიც ასე თანაბრადაა დაშორებული ქვეყნის ნებისმიერი წერტილიდან, ამიტომ ნეთანიაში მოგზაურობა ნიშნავს მინიმალურ დროში მაქსიმალურ სიამოვნებას.

ნეთანიის ოქროს პლაჟები 13,5 კმ-ზეა გადაჭიმული. ზღვის ლიფტი, რომელსაც სანაპირომდე ჩაჰყავხარ, ერთადერთი ასეთი სახის ტურისტული ატრაქციონია ისრაელში. ორი მაღალსიჩქარიანი გამჭვირვალე სალონი 60 მგზავრს იტევს. ნეთანიის სასეირნო სანაპირო ზოლი ქვეყანაში ყველაზე გრძელია და ეროვნული მარშრუტების სიაში შედის. საბანაო სეზონი ხმელთაშუა ზღვის ამ ნაწილში წელიწადში 9 თვეს გრძელდება და ზღვის წყლის საშუალო ტემპერატურა +35°C-ია.

ნეთანიასთან ახლოს მდებარეობს საოცარი ადგილი, სადაც სტუმრებს დაუვიწყარი დასვენება ელით. ამ კურორტს HAMEI GAASH („გაასშის ცხელი წყლები") ჰქვია. გაასშის კიბუცი რამდენიმე წლის წინათ ძვირადღირებულ კურორტად გადაიქცა.

„ჰამეი გააშში" დამსვენებლების განკარგულებაშია 32 სასტუმრო ოთახი, რომლებიც ერთსართულიან და ორსართულიან კოტეჯებშია განლაგებული. ცხელი მინერალური წყლების აუზში წყლის ტემპერატურა 36°C და 40°C-ია; აქ არის დიდი საცურაო აუზი 40 თერმული მინერალური წყლის ნაკადით, სველი და მშრალი საუნა, ჰიდრომასაჟის ცენტრი, სპა-ცენტრი, საცურაო აუზი უფროსებისა და ბავშვებისთვის.

www.hameigaash.co.il

SEASONS TAMNUN BEACH

ლუქს-კლასის ბუტიკ-სასტუმრო განსაკუთრებული ტურისტული მარგალიტია. ის ქალაქის მთავარი მოედნიდან ფეხით სავალ მანძილზეა (5 წუთი), ხოლო აქედან თელ-ავივამდე 25 წუთის გზაა.

სასტუმროში სხვადასხვა ტიპის ოთახებია: ბაღის ოთახი, რომელიც აუზს ესაზღვრება; დიდი ზომის სტუდიოს ტიპის ოთახები; დიდი სუიტი და სუპერ სუიტი, რომელიდანაც აუზის ხედიც ჩანს და ზღვისაც. სასტუმროს რესტორნის ტერასა პირდაპირ ზღვას გადაჰყურებს.

ფასი: 150 $-იდან

Nice Boulevard 1, Netanya



- ალუმინის რეჰაუს ფირმის კარ-ფანჯრები
- შვეიცარული „შინდლერის" ლიფტი

- კეთილმოწყობილი ეზო
- 24-საათიანი დაცვის სამსახური და კონსიერჟი

- ფიტნეს ცენტრი კომპლექსის მაცხოვრებლებისთვის

VIVA Development

კომფორტი და დასავლური სტანდარტის შესაბამისი ხარისხი

წყნეთის გზატკეცილი N 15/17
www.vivadevelopment.ge
+995 595 612 020

ჭავჭავაძის გამზ. №50

m² ჭავჭავაძეზე

იცხოვრე უკეთესად თბილისის ყველაზე პრესტიჟულ გამზირზე.

ბინები დასრულებული რემონტით ბარდება 2018 წლის სექტემბერში.

2 444 111 | www.m2.ge